

ახალი
ქართული ენა

ლიალქსეშის
მონოგრაფია

ვახაიშვილი

ნომერი IV

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ახალი ქართული ენა

წიგნი IV

ღიალექტების მორფოლოგია
პარადიგმები

გიორგი გოგოლაშვილისა და ავთანდილ არაბულის
რედაქცია

თბილისი
2017

იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი
გიორგი გოგოლაშვილი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაიგეგმა „ახალი ქართული ენის“ მრავალტომეულის გამოცემა. ამ კორპუსის I-II წიგნები („სალიტერატურო ენის მორფოლოგია“) დაეფუძნა 2011 წელს მცირე ტირაჟით გამოცემულ წიგნს „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. სალიტერატურო ენა“; III-IV წიგნები ემყარება 2016 წელს გამოცემულ წიგნს „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. დიალექტები“. ესაა ფაქტობრივ დაზუსტებული, შევსებული, გავრცობილი ვარიანტი. დაემატა ტექსტები და ბიბლიოგრაფია... მრავალტომეულის მომდევნო წიგნები კი სინტაქსის, ფონეტიკისა და ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის საკითხებს მიეძღვნება.

გარეკანის დიზაინი

ტექნიკური რედაქტორი **ლევან ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან გრიგოლიასი**

წინასიტყვა „ახალი ქართული ენის“ მეოთხე წიგნისათვის

„ახალი ქართული ენის“ IV წიგნში წარმოდგენილია ქართული ენის დიალექტთა სახელის ბრუნებისა და ზმნის უღლების პარადიგმები. ეს არის, ფაქტობრივ, დამატებითი მასალა წინა (მესამე) წიგნისათვის.

მესამე წიგნში დიალექტების მორფოლოგიის კრებსითი ანალიზი არის მოცემული. ცხადია, მასში ვერ შევძლებდით და არც გვიცდია ქართული ენის დიალექტების მორფოლოგიის სრულყოფილი აღწერა. ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ძირითად საკითხებზე, რითაც ფაქტობრივ შევავსეთ ახალი ქართული ენის სისტემური აღწერა (რომელიც მოცემულია I და II წიგნებში).

ახალი ქართული ენის თანამედროვე დიალექტებში უამრავი ისეთი კონკრეტული ფაქტია, რომელიც ვერ მოხვდა ჩვენს კრებსით ანალიზში, ამიტომ გადავწყვიტეთ, IV წიგნის სახით წარმოგვედგინა თითოეულ დიალექტში სახელის ბრუნებისა და ზმნის უღლების პარადიგმები.

* * *

დიალექტოლოგები ამა თუ იმ დიალექტის აღწერისას, ცალკეული გრამატიკული ფაქტისა თუ მოვლენის ანალიზისას, ჩვეულებრივ, მსჯელობენ იმ თავისებურებებზე, რომლებიც დასტურდება ამა თუ იმ დიალექტში. ხშირ შემთხვევაში ჭირს ამ თავისებურების გააზრება სხვა ფორმებთან მიმართებაში, ამ თავისებურ ფორმათა ადგილის გარკვევა საერთო ენობრივ სისტემაში; ანუ: ამ თავისებურებების გააზრება სისტემის ნაწილად. ბრუნებისა თუ უღლების პარადიგმის წარმოდგენას და ამ პარადიგმაში თავისებური ფორმების წარმოჩენას, ვფიქრობთ, ამ თავისებურებათა ანალიზისათვის და არსებული ენობრივი ტენდენციების გარკვევისთვისაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

ერთი კონკრეტული მაგალითი: დიალექტოლოგიური ანალიზისას აღნიშნავდნენ, რომ, ერთი მხრივ, ხმოვანფუძიანი სახელის სახელობითი ბრუნვის ნიშანია **ღ** — **ღეღა-ღ** და, მეორე მხრივ ხმოვანფუძიანი სახელის მიცემითი ბრუნვის ნიშანი არის **ღ** — **ღეღა-ღ** (= ღეღა-ს). პარადიგმათა ანალიზის შედეგად წარმოჩნდება, რომ თუ ხმოვანფუძიან სი-

ტყვას სახელობითში აქვს **ფ**, მას მიცემითში ექნება **-ს**, ხოლო თუ მიცემითში აქვს **ფ**, მას სახელობითში ექნება ან **ფ**, ან **ფ** (ბ. ჯორბენაძე). ეს თითქოსდა მარტივი წესი თვალსაჩინო ხდება პარადიგმაში...

ეს ერთი კონკრეტული მარტივი მაგალითია. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ზმნის ფორმაცვალება.

როცა ვსაუბრობთ იმის თაობაზე, რომ ყველა თავისებურების შემჩნევა, საილუსტრაციო მასალის მოძიება ჭირს; ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ არ გვქონდა მეტ-ნაკლებად სრული პარადიგმები ამა თუ იმ დიალექტის სახელისა და ზმნის ფორმაცვალებისა... ამიტომ პროექტზე მუშაობის პარალელურად გადავწყვიტეთ ქართული ენის დიალექტების სახელის ბრუნებისა და ზმნის უღლების პარადიგმების შედგენა. ჩვენი თხოვნით ქართული ენის სხვადასხვა დიალექტის წარმომადგენლებმა შეადგინეს სახელისა და ზმნის შესაბამისი პარადიგმები. ეს საკმაოდ ძნელი და რთული აღმოჩნდა. ჩვენ ავტორებს მივეცით ზოგადი პრინციპები და ნიმუში ერთი დიალექტისათვის — ქვემოიმერულიათვის (რომელიც ჩვენი თხოვნით შეადგინა ნ. შარაშენიძე); მათ კონკრეტული ამოცანები დაგუსახეთ... მაგალითების შერჩევა ავტორთა საქმე იყო.

ზოგ ავტორთან, სამწუხაროდ, არ დაგვცალდა მუშაობა — ნაადრევად განემორენ ამ წუთისოფელს (ქ-ნი დ. ჩხუბიანიშვილი, ბ-ნი გ. ბედოშვილი, ბ-ნი კ. კაკიაძე...), ზოგიც ჩამოშორდა ენათმეცნიერებას (გ. დგებუაძე, მ. კობიაშვილი...)... იყო სხვა პრობლემებიც.

მკითხველი ადვილად შენიშნავს, რომ მასალა არ არის ერთგვაროვანი; ზოგი დიალექტის პარადიგმები უფრო ვრცელია, ზოგისა — შედარებით მცირე. ცხადია, ყველა თავისებურ შემთხვევასაც ვერ ავსახავდით პარადიგმებში, ამიტომაც ვუწოდეთ „ძირითადი პარადიგმები“. ზოგჯერ ერთი და იმავე ფაქტისა თუ მოვლენის კვალიფიკაციაც არ არის ერთგვაროვანი (მაგალითისათვის: თუშურში ხოლმეობითის ბოლოსართი დაუშლელადაა წარმოდგენილი **იდ**, ხევსურულში — დაყოფით **ი-დ**). ჩვენ არ ვცდილვართ ავტორებთან ჩვენი თვალსაზრისის შეჯერებას ამგვარ შემთხვევაში... ანდა: ზოგ შემთხვევაში I სერია 3 (ან 4) მწკრივითაა წარმოდგენილი (აწმყო-მყოფადი, უწყვეტელი, I ხოლმეობითი, I კავშირებითი), ზოგ ავტორთან აწმყოსა და მყოფადის წრეებია წარმოდგენილი. თითქოსდა არ იყო ძნელი ერთი პრინციპის გატარება, მაგრამ ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს ზოგ დიალექტში მხოლოდ ზმნისწინი არ განასხვავებს — ზმნურ ფუძესა და ზმნისწინის

ურთიერთგავლენის შედეგად არსებითი ხასიათის სხვაობა იჩენს თავს (მაგ. თუშურ დიალექტში)... ამიტომაც რომ არ დაიკარგოს ფორმო-ბრივი ვარიანტი (თუნდაც ფონეტიკური), ვტოვებთ პარადიგმის ავტორისეულ ვარიანტს.

შენიშვნა: II წიგნში ვსაუბრობდით ზმნის უღლების ფორმო-ბრივ და სემანტიკურ პარადიგმებზე. ამ მასალაში ეს შესაძლებლობა შერეული სახითაა წარმოდგენილი.

საკმაოდ პრობლემური აღმოჩნდა ტერმინოლოგიის საკითხიც. სპეციალურ ლიტერატურაში **აკეთებდ-ი-ს / გა-აკეთებდ-ი-ს** ფორმები ერთ მწკრივად — I ხოლმეობითად არის მიჩნეული. როცა სემანტიკური პარადიგმა გაიმართა, უზმნისწინო ვარიანტი (აკეთებდის) აწმყოს წრეში მოექცა, ზმნისწინიანი (გა-აკეთებდ-ი-ს) მყოფადის წრეში. ასე რომ, I სერიაში ორი მწკრივი აღმოჩნდა ხოლმეობითისა. ხევესურულის პარადიგმაში ავტორმა შემოგვთავაზა ტერმინები **აწმყოს ხოლმეობითი** (აკეთებდ-ი-ს) და **მყოფადის ხოლმეობითი** (გა-აკეთებდ-ი-ს).

შენიშვნა: ფაქტია, ლოგიკა არის ამგვარ კვალიფიკაციაში, მაგრამ ამ შემთხვევაში I სერიაში ორი მწკრივია ხოლმეობითისა; II სერიის ხოლმეობითს მაინც ტრადიციული მეორე ხოლმეობითი ჰქვია... თუმცა ეს დეტალია, ვფიქრობთ, ამ შემთხვევისათვის არაარსებითი.

სხვა შემთხვევაში (მაგ. მოხეურში) ორივე ფორმისათვის დავტოვეთ ტერმინი **I ხოლმეობითი**; ანალოგიისათვის გავისხენებთ ა. შანიძის 1930 წელის გრამატიკას, სადაც ავტორმა **I კავშირებითის** ტერმინით ორი მწკრივი წარმოადგინა (შემდგომი ტერმინოლოგიით — აწმყოს კავშირებითი და მყოფადის კავშირებითი)... ასევე სხვაობს ტერმინები **გა-აკეთებდა** ფორმისათვის; ერთ შემთხვევაში ავტორმა მას **პირობითი** უწოდა, მეორე შემთხვევაში — სხვა ავტორმა **ხოლმეობით-შედეგობითი** და ა. შ.

პარადიგმები ჩვენთვის არის მასალა თეორიული მსჯელობისათვის; თუნდაც ტერმინოლოგიის შერჩევა-დახვეწისათვის. ამიტომ ამ სახის ფაქტებზე კამათს ავტორებთან მოვერიდეთ. ვიმეორებთ, ჩვენი მიზანი კონკრეტული დიალექტის ბრუნებისა და უღლების ძირითადი სურათის ჩვენება იყო; ჩვენთვის არსებითი იყო დიალექტური მასალა; ფაქტების კვალიფიკაცია ავტორთა ნებაზე დარჩა... ამ მხრივ მაღლობას მოვასხენებთ ყველას, ვინც ამ საქმეში დახმარება გაგვიწია.

ცხადია, ყველა თავისებურება დიალექტისა ვერ იქნება ასახული აქ წარმოდგენილ პარადიგმებში; მით უმეტეს, კილოკაური სხვაობა (ზოგჯერ არის ამის თაობაზე მინიშნება). თუმცა იმერულის შემთხვევაში იმდენად დიდი გვეჩვენებოდა კილოკაური განსხვავება, ცალ-ცალკე წარმოვადგინეთ ზემო და ქვემო იმერულის პარადიგმები... ზოგ შემთხვევაში მორფოლოგიური ვარიანტები არის ნაჩვენები, თუმცა რომელი ვარიანტი რა შემთხვევაში და სად არის რეალიზებული, ეს არ ჩანს... კომენტარები ფაქტობრივ ვერ წარმოვადგინეთ (ზოგ ავტორს ჰქონდა და მოვხსენით, რისთვისაც მათ ბოდიშს ვუხდით), რადგან ეს ძალიან გაზრდიდა წიგნის მოცულობას. ვიმედოვნებთ, რომ ავტორები მომავალში შემოგვთავაზებენ თავიანთი პარადიგმების გავრცობილ ვარიანტებს კომენტარებითა და შენიშვნებით. რამდენიმე ასეთი ნაშრომის ჩანაფიქრის შესახებ ჩვენთვის ცნობილია...

შეიძლება იყოს სადავო ფორმებიც. პარადიგმებზე პასუხისმგებელნი არიან თავად შემდგენელი ავტორები. ყველა საქმიანი შენიშვნა მხოლოდ მადლობას დაიმსახურებს.

ამ სახით პარადიგმების გამოქვეყნება, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს მომავალ დიალექტოლოგიურ კვლევა-ძიებას.

ფაქტია, ამგვარი სამუშაოსთვის დრო ყოველთვის „ცოტაა“. გულისწყვეტა აქვთ ავტორებსაც და რედაქტორებსაც... ვფიქრობთ, ამ სახითაც ეს ნაშრომი თავის დანიშნულებას შეასრულებს...

თითოეულ დიალექტს დანართის სახით დავურთეთ ტექსტები, რომლებიც შეარჩიეს **ციცინო კვანტალიანმა** და **რუსუდან ლანდიამ**. ყველა შემთხვევაში მითითებულია წყარო, საიდანაც გადმოიბეჭდა ეს ტექსტები. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დედანში ნახონ ეს მასალა (ბევრ მათგანს დედანში ლექსიკონიც ახლავს...)... ტექსტები შეირჩა ძირითადად ამ პრინციპით: ფრაზები, გაბმული პროზაული ტექსტი, პოეტური ტექსტი (თუმცა ყოველთვის არ მოხერხდა)...

ცალკეული დიალექტების მასალას დავურთეთ ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა. ამ შემთხვევაში მიზანი ეს იყო: წარმოდგენა შევიქმნათ, თუ რამდენადაა შესწავლილი ეს თუ ის დიალექტი... ამკარაა, რომ მიუხედავად დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების შემდგომი ინტენსიობისა, ვითარება არათანაბარია...

ვიმედოვნებთ, „ახალი ქართული ენის“ მესამე და მეოთხე წიგნები ხელს შეუწყობს დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების გაფართოებასა და გაღრმავებას.

მარიამ კობერიძე

ქართლური კილო

ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები

ს ა ხ ე ლ ი ს ბ რ უ ნ ე ბ ა

თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელები

ფუძეუკუმშველი

სახ.	ბატონ-ი /0	ბატონ-ებ-ი /-ებ-0 /ბატონ-ნ-ი
მოთხ.	ბატონ-მა / მან	ბატონ-ებ-მა / მან
მიც.	ბატონ-ს / ს-ა / 0 /-ა	ბატონ-ებ-ს/ს-ა/0
ნათ.	ბატონ-ის /ის-ა /ის-ი/იღჷ	ბატონ-ებ-ის /ის-ა /ის-ი
მოქ.	ბატონ-ით /ით -ა /ით -ი	ბატონ-ებ-ით / ით-ა /ით-ი
ვით.	ბატონ-ად / ად -ა /ათ /ათ -ა	ბატონ-ებ-ად/ად-ა / ათ/ ათ-ა
წოდ.	ბატონ-ო	ბატონ-ებ-ო // ბატონ-ნ-ო

ფუძეუკუმშვალი

სახ.	მეზობელ-ი /0	მეზობლ-ებ-ი/ებ-0//მეზობელ-ნ-ი
მოთხ.	მეზობელ-მა /მან	მეზობლ-ებ-მა / მან
მიც.	მეზობელ-ს / ს-ა /0/-ა	მეზობლ-ებ-ს /ს-ა/0
ნათ.	მეზობელ//მეზობლ-ის/ის-ა/ის-ი/იღჷ	მეზობლ-ებ-ის/ის-ა/ის-ი
მოქ.	მეზობელ//მეზობლ-ით /ით-ა/ით-ი	მეზობლ-ებ-ით/ით-ა/ით-ი
ვით.	მეზობლ-ად /ათ /-ათ-ა	მეზობლ-ებ-ად/ად-ა/ათ//ათ-ა
წოდ.	მეზობელ-ო	მეზობლ-ებ-ო//მეზობელ-ნ-ო

სახ.	ხანჯალ-ი/0	ხანჯლ-ებ-ი//0//ხანჯალ-ნ-ი
მოთხ.	ხანჯალ-მა/მან	ხანჯლ-ებ-მა /მან
მიც.	ხანჯალ-ს/ს-ა/0/-ა	ხანჯლ-ებ-ს /ს-ა /0
ნათ.	ხანჯალ//ხანჯლ-ის/ის-ა/ის-ი /იღჷ	ხანჯლ-ებ-ის /ის-ა /ის-ი
მოქ.	ხანჯალ//ხანჯლ-ით/ით-ა//ით-ი	ხანჯლ-ებ-ით /ით-ა/ით-ი
ვით.	ხანჯლ-ად/ად-ა/ათ /ათ-ა	ხანჯლ-ებ-ად/ად-ა/ათ/ათ-ა
წოდ.	ხანჯალ-ო	ხანჯლ-ებ-ო//ხანჯალ-ნ-ო

სახ.	(მ) ტერი-ი /0	(მ)ტრ-ებ/-ეფ/-ი/0// (მ)ტერ-ნ-ი
მოთხ.	(მ) ტერ-მა /მან	(მ)ტრ-ებ-მა /მან
მიც.	(მ) ტერ-ს / ს-ა /0/-ა	(მ)ტრ-ებ-ს/ს-ა/0

ნათ.	(მ)ტერ// (მ)ტრ-ის/ის-ა/ის(ი)/იფჰ	(მ)ტრ-ებ-ის/ის-ა/ის-ი
მოქ.	(მ)ტერ// (მ)ტრ-ით/ით-ა/ით-ი	(მ) ტრ-ებ-ით /ით-ა /ით-ი
ვით.	(მ)ტრ-ად/ად-ა/ათ-/-ათ-ა	(მ) ტრ-ებ-ად/ად-ა /ათ /ათ-ა
წოდ	(მ)ტერ-ო	(მ) ტრ-ებ-ო/(მ)-ტერ-ნ-ო

სახ.	მინდორ-ი/ო	მინდვრ-ებ/ეფ-ი/ო//მინდორ-ნ-ი
მოთხ.	მინდორ-მა/მან	მინდვრ-ებ-მა/მან
მიც.	მინდორ-ს/-ს-ა/ო/-ა	მინდვრ-ებ-ს/ს-ა
ნათ.	მინდორ//მინდვრ-ის/ის-ა/ის-ი/იფჰ	მინდვრ-ებ-ის/ის-ა
მოქ.	მინდორ//მინდვრ-ით/ით-ა/ით-ი	მინდვრ-ებ-ით/ით-ა
ვით.	მინდორ//მინდვრ-ად/ად-ა/ათ/ათ-ა	მინდვრ-ებ-ად/ად-ა/ათ/ათ-ა
წოდ	მინდორ-ო	მინდვრ-ებ-ო//მინდორ-ნ-ო

**ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნება
ფუძეკვეცადი**

სახ.	(მ)ზე/ი	(მ)ზე-ებ-ი/ნ-ი
მოთხ.	(მ)ზე-მ/მა/მან	(მ)ზე-ებ-მა/მან
მიც.	(მ)ზე-ს/ს-ა/-ფს/-ფს-იჰ	(მ)ზე-ებ-ს/ს-ა
ნათ.	(მ)ზე// (მ)ზ-ის/ის-ა/ის-ი/ფს/-ფს-ა/-ფს/- იფჰ/-ჰ/-იფ/-ი	(მ)ზე-ებ-ის/ის-ა/ის-ი
მოქ.	(მ)ზ-ით/ით-ა/ით-ი	(მ)ზე-ებ-ით/ით-ა/ით-ი
ვით.	(მ)ზე-დ/დ-ა/ათ-ა	(მ)ზე-ებ-ად/ად-ა/ათ-ა
წოდ	(მ)ზე-ო/ო	(მ)ზე-ებ-ო/ნ-ო

შენიშვნა: მზე, მთვარე, ცაქართულში იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს მრავლობითი რიცხვის ფორმით. მაგ.: მთვარე-ები // მთვარე-ნ-ი, ცა/ც-ებ-ი//ცა-ნ-ი...

სახ.	დედა /ი	დედე//დედ-ებ-ი/ო/დედა-ნ-ი
მოთხ.	დედა-მ/მა/მან	დედ-ებ-მა/მან
მიც.	დედა-ს/ს-ა/-ფს/-ფს-იჰ	დედ-ებ-ს/ს-ა
ნათ.	დედა//დედ-ის/ის-ა/ის-ი/ფს/-ფს-ა/- -ფს/-იფჰ/-ჰ/-იფ/-ი	დედ-ებ-ის/ის-ა/ის-ი
მოქ.	დედა/დედ-ით/ით-ა/ით-ი	დედ-ებ-ით/ით-ა/ით-ი
ვით.	დედა-დ /დ-ა/ათ-ა	დედ-ებ-ად /ად-ა/ათ-ათ-ა
წოდ	დედა/ვ/ო/ო	დედ-ებ-ო//დედა-ნ-ო

შენიშვნა: ჩრდილოეთ ქართულში ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნები ვერ კვეცენ -ა ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს და არც თვითონ რედუცირდებიან: რკინა-ის-ა, რკინა-ით-ა (თუმცა საკმაოდ გვხვდება რკინ-ის-ა, რკინ-ით-ა) (გრ. იმნაიშვილი).

ფუძეუკვეცილო

სახ.	ორმო /ი	ორმო-ებ-ი /O//ორმო-ნ-ი
მოთხ.	ორმო-მ/მა /მან	ორმო-ებ-მა/მან
მიც.	ორმო-ს /ს-ა /ს-ი/-დს/-იჰ	ორმო-ებ-ს/ს-ა
ნათ.	ორმო-ს/ს-ა/ს-ი/დს/-დს-ა/-ი/დს/-ი/დჰ/-ჰ/-ი/დ	ორმო-ებ-ის/ის-ა/ის-ი
მოქ.	ორმო-თ/თ-ა/თ-ი	ორმო-ებ-ით/ით-ა/ით-ი
ვით.	ორმო-დ/დ-ა/თ/თ-ა	ორმო-ებ-ად/ად-ა/თ/თ-ა
წოდ	ორმო-ვ/O	ორმო-ებ-ო

შენიშვნა: ო-ზე დაბოლოებული არსებითი სახელები მრავლობით რიცხვში შეიძლება შეგვხვდეს ასეთი ფორმით: წყარუ-ებ-ი//წყარუ-ეფ-ი, რუ-ები//რუ-ეფ-ი, რკუ-ებ-ი//რკუ-ეფ-ი, ორმუ-ები//ორმუ-ეფ-ი

სახ.	რუ//რუფ-ი/O	რუ-ებ-ი/O//რუ-ნ-ი
მოთხ.	რუ-მ/მა/მან	რუ-ებ-მა/მან
მიც.	რუ-ს/ს-ა/ს-ი/-დს/-იჰ/-ი	რუ-ებ-ს//რუ-ებ-ს-ა
ნათ.	რუ-ს/ს-ა/ს-ი/ის/-დს/-დს-ა/-ი/დს/-ი/დჰ/-ჰ/-ი/დ	რუ-ებ-ის/ის-ა/ის-ი
მოქ.	რუ-თ/თ-ა/თ-ი	რუ-ებ-ით/ით-ა/ით-ი
ვით.	რუ-დ/დ-ა/თ/თ-ა	რუ-ებ-ად/ად-ა/თ/თ-ა
წოდ	რუ-ვ/O	რუ-ებ-ო

კუმშვად-კვეციადი სახელები

სახ.	მოყვარე/ი	მოყვარე//მოყვრ-ებ-ი/O//მოყვარე-ნ-ი
მოთხ.	მოყვარე-მ/მა/მან	მოყვარე//მოყვრ-ებ-მა/მან
მიც.	მოყვარე-ს/ს-ა/-დს/-იჰ/-ი	მოყვარე//მოყვრ-ებ-ს/ს-ა
ნათ.	მოყვარე//მოყვრ-ის/ის-ა/ის-ი/დს/-დს-ა/-ი/დს/-ი/დჰ/-ჰ/-ი/დ	მოყვარე//მოყვრ-ებ-ის/ის-ა/ის-ი
მოქ.	მოყვარე//მოყვრ-ით/ით-ა/ით-ი //თ/თ-ა/თ-ი	მოყვარე//მოყვრ-ებ-ით/ით-ა/ით-ი// თ/თ-ა/თ-ი
ვით.	მოყვარე//მოყვრ-ად/დ-ა/თ/თ-ა ა//დ/დ-ა/თ/თ-ა	მოყვარე//მოყვრ-ებ-ად/ად-ა/თ/თ-ა -ა//დ/დ-ა/თ/თ-ა
წოდ	მოყვარე -ვ /ო/O	მოყვარე//მოყვრ-ებ-ო//მოყვარე-ნ-ო

სახ.	სახელო/ი	სახელო//სახლ-ებ-ი/ი//სახელო-ნ-ი
მოთხ.	სახელო-მ/მა/მან	სახელო//სახლ-ებ-მა/მან
მიც.	სახელო-ს/ს-ა/ს-ი/-ის/-ის/იჰ	სახელო//სახლ-ებ-ს/ს-ა
ნათ.	სახელო-ს/ს-ა/ს-ი/-ის/-ის-ა/ის-ი /ჰ/-იჰ//სახლ-ის/ის-ა/ის-ი	სახელო//სახლ-ებ-ის/ის-ა /ის-ი
მოქ.	სახელო-თ/თ-ა/თ-ი//სახლ-ით/ით-ა /ით-ი	სახელო//სახლ-ებ-ით/ით-ა/ით-ი
ვით.	სახელო-დ/დ-ა/თ/თ-ა//სახლ-ად/ად -ა/-ათ/-ათ-ა	სახელო//სახლ-ებ-ად/ად-ა/ათ/ ათ-ა
წოდ	სახელო-ვ/ო	სახელო//სახლ-ებ-ო

**საკუთარი სახელების ბრუნება
ადამიანის სახელების ბრუნება**

სახ.	გიორგი-ი	მაყვალა-ი/ო
მოთხ.	გიორგი-მ/მი/გიორგი-მა	მაყვალა-მ/მა
მიც.	გიორგი-ს	მაყვალა-ს
ნათ.	გიორგი-ს(ი)	მაყვალა-ს(ი)
მოქ.	გიორგი-თ(ი)	მაყვალა-თ (ი)
ვით.	გიორგი-დ	მაყვალა-დ
წოდ	გიორგი	მაყვალა//მაყვალ

გვარის ბრუნება

სახ.	ჭეჭელაშვილ-ი	ჭეჭელაშვილ-ებ-ი/ნ-ი
მოთხ.	ჭეჭელაშვილ-მა/მან	ჭეჭელაშვილ-ებ-მა/მან
მიც.	ჭეჭელაშვილ-ს/ს-ა	ჭეჭელაშვილ-ებ-ს/ს-ა
ნათ.	ჭეჭელაშვილ-ის/ის-ა/ის-ი	ჭეჭელაშვილ-ებ-ის/ის-ა/ის-ი
მოქ.	ჭეჭელაშვილ-ით/ით-ა/ით-ი	ჭეჭელაშვილ-ებ-ით/ით-ა/ით-ი
ვით.	ჭეჭელაშვილ-ად/ად-ა/ათ/ათ-ა	ჭეჭელაშვილ-ებ-ად/ად-ა/ათ/ათ-ა
წოდ	ჭეჭელაშვილ-ო	ჭეჭელაშვილ-ებ-ო /ნ-ო

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება

სახ.	შავ-ი ცხენ-ი	შავ-ი ცხენ-ებ-ი
მოთხ.	შავ-მა/-ი ცხენ-მა/მან	შავ-მა/-ი ცხენ-ებ-მა/მან
მიც.	შავ-ს/-ი ცხენ-ს/-ს-ა	შავ /-ს/-ი ცხენ-ებ-ს
ნათ.	შავ-ის/-ი ცხენ-ის/-ის-ა/-ის-ი	შავ -ის/-ი ცხენ-ებ-ის
მოქ.	შავ-ის/-ი ცხენ-ით/-ით-ა/-ით-ი	შავ-ის/-ი ცხენ-ებ-ით
ვით.	შავ-ს/-ი ცხენ-ად/-ად-ა /-ათ-ა	შავ/-ს/ი ცხენ-ებ-ად/-ათ
წოდ	შავ-ო/-ი ცხენ-ო	შავ-ო /-ი ცხენ-ებ-ო

სახ.	მოკლე ჯობ-ი	მოკლე ჯობ-ებ-ი
მოთხ.	მოკლე ჯობ-მა/მან	მოკლე ჯობ-ებ-მა/მან
მიც.	მოკლე ჯობ-ს/ს-ა	მოკლე ჯობ-ებ-ს//მოკლე ჯობ-ებ-ს-ა
ნათ.	მოკლე ჯობ-ის/ის-ა/ის-ი	მოკლე ჯობ-ებ-ის/ის-ა/ის-ი
მოქ.	მოკლე ჯობ-ით/ით-ა/ით-ი	მოკლე ჯობ-ებ-ით/ით-ა/ით-ი
ვით.	მოკლე ჯობ-ად/ად-ა/ათ/ათ-ა	მოკლე ჯობ-ებ-ად/ად-ა/ათ/ათ-ა
წოდ	მოკლე ჯობ-ო	მოკლე ჯობ-ებ-ო

მართული მსაზღვრელი

სახ.	ლამ-ის/-ი მეხრე-ი/ი	ლამ-ის/-ი მეხრე-ებ-ი/ი
მოთხ.	ლამ-ის/-ი მეხრე-მ/მა/მან	ლამ-ის/-ი მეხრე-ებ-მა/მან
მიც.	ლამ-ის/-ი მეხრე-ს/ს-ა	ლამ-ის/-ი მეხრე-ებ-ს/ს-ა
ნათ.	ლამ-ის/-ი მეხრე//მეხრ-ის/ის-ა /ის-ი	ლამ-ის/-ი მეხრე-ებ-ის/ის-ა /ის-ი
მოქ.	ლამ-ის/-ი მეხრე//მეხრ-ით/ით- ა/ით-ი	ლამ-ის/-ი მეხრე-ებ-ით/ით-ა/ით-ი
ვით.	ლამ-ის/-ი მეხრე-დ/დ-ა/თ/თ-ი	ლამ-ის/-ი მეხრე-ებ-ად/ად-ა/ათ/ათ-ა
წოდ	ლამ-ის/-ი მეხრე/-ვ	ლამ-ის/-ი მეხრე-ებ-ო

სახელისა და გვარის ბრუნება

სახ.	იაკოვ ქარუმიძე	სანდრო თარაშვილი-ი
მოთხ.	იაკოვ ქარუმიძე-მ/მა/მან	სანდრო თარაშვილი-მა/მან
მიც.	იაკოვ ქარუმიძე-ს/ს-ა	სანდრო თარაშვილი-ს/ს-ა
ნათ.	იაკოვ ქარუმიძ-ის/ის-ა/ის-ი	სანდრო თარაშვილი-ის/ის-ა/ის-ი
მოქ.	იაკოვ ქარუმიძ-ით/ით-ა/ით-ი	სანდრო თარაშვილი-ით/ით-ა /ით-ი
ვით.	იაკოვ ქარუმიძე-დ/დ-ა/თ/თ-ა	სანდრო თარაშვილი-ად/ად-ა/ათ/ათ-ა
წოდ	იაკოვ ქარუმიძე-ვ/ი	სანდრო თარაშვილი-ო

ზ მ ნ ის უ ლ ლ ე ბ ა
მოქმედებითი გვარის ზმნები
ერთეშიანი ზმნები

I სერია		
აწ.- მე.	(და-)ვ/ი-წერ/-ა/ვ/-ამ/-ან (და-)წერ/-ავ/-ამ/-ან (და-)წერ/-ავ/-ამ/-ან/-ს	(და-)ვ/ი-წერ/-ა/ვ/-ამ/-ან-თ (და-)წერ/-ავ/-ამ/-ან-თ (და-)წერ/-ავ/-ამ-ენ

უწ.- ნოლ.	(და-)ვ/0-წერ/-ავ/-ამ/-ან/-დ-ი (და-)წერ/-ავ/-ამ/-ან/-დ-ი (და-)წერ/-ავ/-ამ/-ან/-დ-ა	(და-)ვ/0-წერ/-ავ/-ამ/-ან/-დ-ი-თ (და-)წერ/-ავ/-ამ/-ან/-დ-ი-თ (და-)წერ/-ავ/-ამ/-ან/-დ-ენ
I კავ.	(და-)ვ/0-წერ-/-ავ/-ამ/-ან/-დ-ე (და-)წერ/-ავ/-ამ/-ან/-დ-ე (და-)წერ/-ავ/-ამ/-ან/-დ-ე-ს	(და-)ვ/0-წერ/-ავ/-ამ/-ან/-დ-ე-თ (და-)წერ/-ავ/-ამ/-ან/-დ-ე-თ (და-)წერ-/-ავ/-ამ/-ან/-დ-ენ/-ენ
II სერია		
წყ.	და-ვ/0-წერ-ე-(ვ)ი და-წერ-ე-(ვ)ი და-წერ-ა	და-ვ/0-წერ-ე-(ვ)ი-თ და-წერ-ე-(ვ)ი-თ და-წერ-ეს
II კავშ.	და-ვ/0-წერ-ო და-წერ-ო და-წერ-ო-ს	და-ვ/0-წერ-ო-თ და-წერ-ო-თ და-წერ-ო-ნ
III სერია		
I თურ.	და-მ-ი-წერ-(ნ)-ი-ა და-გ-ი-წერ-(ნ)-ი-ა და-უ-წერ-(ნ)-ი-ა	და-გ-ი-წერ-(ნ)-ი-ა-თ და-გ-ი-წერ-(ნ)-ი-ა-თ და-უ-წერ-(ნ)-ი-ა-თ
II თურ.	და-მ-ე-წერ-(ნ)-ა და-გ-ე-წერ-(ნ)-ა და-ე-წერ-(ნ)-ა	და-გ-ე-წერ-(ნ)-ა-თ და-გ-ე-წერ-(ნ)-ა-თ და-ე-წერ-(ნ)-ა-თ
III კავშ.	და-მ-ე-წერ-ო-ს და-გ-ე-წერ-ო-ს და-ე-წერ-ო-ს	და-გ-ე-წერ-ო-ს-თ და-გ-ე-წერ-ო-ს-თ და-ე-წერ-ო-ს-თ

შენიშვნა: 1. ქართულურში თვალში საცემია თემის ნიშნების გამოყენება იმ ზმნებთან, რომლებიც სალიტერატურო ენის მიხედვით თემის ნიშანს არ დაირთავენ. მაგ.: **ყიდის** → **ყიდავს//ყიდამს//ყიდანს, წერს** → **წერავს//წერამს, წერანს...**

ფუძედრეკადი ზმნები

I სერია		
აწ.- მყ.	(წა-)ვ/0-ზელ//ზილ/-ამ/-ავ/-ან (წა-)ზელ//ზილ/-ამ/-ავ/-ან (წა-)ზელ//ზილ/-ამ/-ავ/-ან-ს	(წა-)ვ/0-ზელ//ზილ/-ამ/-ავ/-ან-თ (წა-)ზელ//ზილ/-ამ/-ავ/-ან-თ (წა-)ზელ//ზილ/-ამ/-ავ/-ენ
უწ.- ნოლ.	(წა-)ვ/0-ზელ//ზილ/-ამ/-ავ/-ან-დ-ი (წა-)ზელ//ზილ/-ამ/-ავ/-ან-დ-ი (წა-)ზელ//ზილ/-ამ/-ავ/-ან-დ-ა	(წა-)ვ/0-ზელ//ზილ/-ამ/-ავ/-ან-დ-ი-თ (წა-)ზელ//ზილ/-ამ/-ავ/-ან-დ-ი-თ (წა-)ზელ//ზილ/-ამ/-ავ/-ან-დ-ენ/-ენ

I კავ.	(წა-)ვ/0-ზელ//ზილ-ამ/-ავ/-ან-დ-ე (წა-)ზელ//ზილ/-ამ/-ავ/-ან-დ-ე (წა-)ზელ//ზილ/-ამ/-ავ/-ან-დ-ე-ს	(წა-)ვ/0-ზელ//ზილ/-ამ/-ავ/-ან-დ-ე-თ (წა-)ზელ//ზილ/-ამ/-ავ/-ან-დ-ე-თ (წა-)ზელ//ზილ/-ამ/-ავ/-ან-დ-ენ-ენ
II სერია		
წკ.	წა-ვ/0-ზილ-ე-(ვ) -ი წა-ზილ-ე-(ვ) -ი წა-ზილ-ა	წა-ვ/0-ზილ-ე-(ვ)-ი-თ წა-ზილ-ე-(ვ)-ი-თ წა-ზილ-ეს
II კავ.	წა-ვ/0-ზილ-ო წა-ზილ-ო წა-ზილ-ო-ს	წა-ვ/0-ზილ-ო -თ წა-ზილ-ო-თ წა-ზილ-ო-ნ
III სერია		
I თურ.	წა-მ-ი-ზელ//ზილ-(ნ)-ი-ა წა-გ-ი-ზელ//ზილ-(ნ)-ი-ა წა-უ-ზელ//ზილ-(ნ)-ი-ა	წა-გვ-ი-ზელ//ზილ-(ნ)-ი-ა წა-გ-ი-ზელ//ზილ-(ნ)-ი-ა-თ წა-უ-ზელ//ზილ-(ნ)-ი-ა-თ
II თურ.	წა-მ-ე-ზელ//ზილ-(ნ)-ა წა-გ-ე-ზელ//ზილ-(ნ)-ა წა-ე-ზელ//ზილ-(ნ)-ა	წა-გვ-ე-ზელ//ზილ-(ნ)-ა წა-გ-ე-ზელ//ზილ-(ნ)-ა-თ წა-ე-ზელ//ზილ-(ნ)-ა-თ
III კავ.	წა-მ-ე-ზელ//ზილ--ო-ს წა-გ-ე-ზელ//ზილ--ო-ს წა-ე-ზელ//ზილ--ო-ს	წა-გვ-ე-ზელ//ზილ-ო-ს წა-გ-ე-ზელ//ზილ--ო-თ წა-ე-ზელ//ზილ--ო-თ

შენიშვნა: 1. -ავ/-ამ/-ან თემის ნიშანი უჩნდება ერთთემიან (მათ შორის ფუძედრეკად ან იმ ზმნებს, რომლებიც აწყმოს ფუძეს ი სუფიქსით აწარმოებენ). მაგ.: **ტებს / -ამ / -ავ/-ან-ს, ზელ- / -ამ / -ავ / -ან-ს, გლეჯ / -ამ / -ავ / -ან-ს, ფხეკ / -ამ / -ავ / -ან-ს, კრეფ / -ამ / -ავ / -ან-ს, ყიდ / -ამ / -ავ / -ან-ს, ფენ / -ამ / -ავ / -ან-ს...** გვხვდება სწორი ფორმებიც: **წერს, ყიდის, კრეფს...**

2. ფუძედრეკადი ზმნები I და III სერიის მწკრივებში ორ ფუძეს გვიჩვენებენ. მაგ.: **გრებს // გრის ჩამ/-ავ/-ან-ს, გრებს // გრის ჩამ/-ავ/-ან-დ-ა, გრებს // გრის/-ამ/-ავ/-ან-დ-ე-ს, და-გრებს // გრის ჩამ/-ავ/-ან-ს, და-გრებს // გრის/-ამ/-ავ/-ან-დ-ა, და- გრებს // გრის ჩამ/-ავ/-ან-დ-ეს, და-უ-გრებს / გრის-ი-ა, და-ე-გრებს // გრი-ს-ა, დ-ე-გრებს // გრის-ო-ს...**

-ავ თემისნიშნაანი ზმნები (-ავ/-ამ-ან)

I სერია		
აწ.- მკ.	(და-)ვ/0-მალ-ავ/-ამ/-ან (და-)(3)მალ-ავ/-ამ/-ან (და-)(3)მალ-ავ/-ამ/-ან-ს	(და-)ვ/0-მალ-ავ/-ამ/-ან-თ (და-)(3)მალ-ავ/-ამ/-ან-თ (და-)(3)მალ-ავ/-ამ/-ენ

უწ.- ნოლ.	(და-)ვ/0-მალ-/ავ/-ამ/-ან-დ-ი (და-)(ჰ)მალ-ავ/-ამ/-ან-დ-ი (და-)(ჰ)მალ-ავ/-ამ/-ან-დ-ა	(და-)ვ/0-მალ-ავ/-ამ/-ან-დ-ი-თ (და-)(ჰ)მალ-ავ/-ამ/-ან-დ-ი-თ (და-)(ჰ)მალ-ავ/-ამ/-ან-დ-ნენ/-ენ
I კავ.	(და-)ვ/0-მალ-/ავ/-ა/-ან-დ-ე (და-)(ჰ)მალ-ავ/-ამ/-ან-დ-ე (და-)(ჰ)მალ-ავ/-ამ/-ან-დ-ე-ს	(და-)ვ/0-მალ-/ავ/-ამ/-ან-დ-ე-თ (და-)(ჰ)მალ-ავ/-ამ/-ან-დ-ე-თ (და-)(ჰ)მალ-ავ/-ამ/-ან-დ-ნენ/-ენ
II სერია		
წყ.	და-ვ/0-მალ-ე(ვ)ი და-(ჰ)-მალ-ე(ვ)ი და-(ჰ)-მალ-ა	და-ვ/0-მალ-ე(ვ)ი-თ და-(ჰ)-მალ-ე(ვ)ი-თ და-(ჰ)-მალ-ეს
II კავ.	და-ვ/0-მალ-ო და-(ჰ)-მალ-ო და-(ჰ)-მალ-ო	და-ვ/0-მალ-ო-თ და-(ჰ)-მალ-ო-თ და-(ჰ)-მალ-ონ
III სერია		
I თურ.	და-მ-ი-მალ-(ნ)-ი-ა//-ავ/-ამ-ს და-გ-ი-მალ-(ნ)-ი-ა//-ავ/-ამ-ს და-უ-მალ-(ნ)-ი-ა//-ავ/-ამ-ს	და-გვ-ი-მალ-(ნ)-ი-ა//-ავ/-ამ-ს და-გ-ი-მალ-(ნ)-ი-ა-თ//-ავ/-ამ-თ და-უ-მალ-(ნ)-ი-ა//-ავ/-ამ-თ
II თურ.	და-მ-ე-მალ-(ნ)-ა და-გ-ე-მალ-(ნ)-ა და-ე-მალ-(ნ)-ა	და-გვ-ე-მალ-(ნ)-ა და-გ-ე-მალ-(ნ)-ა-თ და-ე-მალ-(ნ)-ა-თ
III კავ.	და-მ-ე-მალ-ო-ს და-გ-ე-მალ-ო-ს და-ე-მალ-ო-ს	და-გვ-ე-მალ-ო-ს და-გ-ე-მალ-ო-თ და-ე-მალ-ო-თ

-ამ სუფიქსიანი ზმნები (-ამ / -ავ / -ან)

I სერია		
აწ.- მყ.	(და-)ვ/0-ა-რტყ-ამ/-ავ/-ან (და-)ა-რტყ-ამ/-ავ/-ან (და-)ა-რტყ-ამ/-ავ/-ან-ს	(და-)ვ/0-რტყ-ამ/-ავ/-ან-თ (და-)ა-რტყ-ამ/-ავ/-ან-თ (და-)ა-რტყ-ამ/-ავ/-ენ
უწ.- ნოლ.	(და-)ვ/0-ა-რტყ-ამ/-ავ/-ან-დ-ი (და-)ა-რტყ-ამ/-ავ/-ან-დ-ი (და-)ა-რტყ-ამ/-ავ/-ან-დ-ა	(და-)ვ/0-ა-რტყ-ამ/-ავ/-ან-დ-ი-თ (და-)ა-რტყ-ამ/-ავ/-ან-დ-ი-თ (და-)ა-რტყ-ამ/-ავ/-ან-დ-ნენ/ენ
I კავ.	(და-)ვ/0-ა-რტყ-ამ/-ავ/-ან-დ-ე (და-)ა-რტყ-ამ/-ავ/-ან-დ-ე (და-)ა-რტყ-ამ/-ავ/-ან-დ-ე-ს	(და-)ვ/0-ა-რტყ-ამ/-ავ/-ან-დ-ე-თ (და-)ა-რტყ-ამ/-ავ/-ან-დ-ე-თ (და-)ა-რტყ-ამ/-ავ/-ან-დ-ნენ/ენ

II სერია		
წყ.	და-ვ/0-ა-რტყ-ი და-ა-რტყ-ი და-ა-რტყ-ა	და-ვ/0-ა-რტყ-ი-თ და-ა-რტყ-ი-თ და-ა-რტყ-ეს
II კავ.	და-ვ/0-ა-რტყ-ა და-ა-რტყ-ა და-ა-რტყ-ა-ს	და-ვ/0-ა-რტყ-ა-თ და-ა-რტყ-ა-თ და-ა-რტყ-ა-ნ
III სერია		
I თურ.	და-მ-ი-რტყ-ი-ა/-ამ/-ავ/-ან-ს და-გ-ი-რტყ-ი-ა/-ამ/-ავ/-ან-ს და-უ-რტყ-ი-ა/-ამ/-ავ/-ან-ს	და-გვ-ი-რტყ-ი-ა/-ამ/-ავ/-ან-ს და-გ-ი-რტყ-ი-ა/-ამ/-ავ/-ან-თ და-უ-რტყ-ი-ა/-ამ/-ავ/-ან-თ
II თურ.	და-მ-ე-რტყ-ა და-გ-ე-რტყ-ა და-ე-რტყ-ა	და-გვ-ე-რტყ-ა და-გ-ე-რტყ-ა-თ და-ე-რტყ-ა-თ
III კავ.	და-მ-ე-რტყ-ა-ს და-გ-ე-რტყ-ა-ს და-ე-რტყ-ა-ს	და-გვ-ე-რტყ-ა-ს და-გ-ე-რტყ-ა-თ და-ე-რტყ-ა-თ

-ევ თემისნიშნაანი ზმნები (-ევ/-ემ)

I სერია		
აწ.- მყ.	(ჩა-)ვ/0-ა-მტვრ-ევ/-ემ (ჩა-)ა-მტვრ-ევ/-ემ (ჩა-)ა-მტვრ-ევ/-ემ-ს	(ჩა-)ვ/0- მტვრ-ევ/-ემ-თ (ჩა-)ა-მტვრ-ევ/-ემ-თ (ჩა-)ა-მტვრ-ევ/-ემ-ენ
უწ.- ნოლ.	(ჩა-)ვ/0-ა-მტვრ-ევ/-ემ-დ-ი (ჩა-)ა-მტვრ-ევ/-ემ-დ-ი (ჩა-)ა-მტვრ-ევ/-ემ-დ-ა	(ჩა-)ვ/0-ა-მტვრ-ევ/-ემ-დ-ი-თ (ჩა-)ა-მტვრ-ევ/-ემ-დ-ი-თ (ჩა-)ა-მტვრ-ევ/-ემ-დ-ენ/ენ
I კავ.	(ჩა-)ვ/0-ა-მტვრ-ევ/-ემ-დ-ე (ჩა-)ა-მტვრ-ევ/-ემ-დ-ე (ჩა-)ა-მტვრ-ევ/-ემ-დ-ე-ს	(ჩა-)ვ/0-ა-მტვრ-ევ/-ემ-დ-ე-თ (ჩა-)ა-მტვრ-ევ/-ემ-დ-ე-თ (ჩა-)ა-მტვრ-ევ/-ემ-დ-ენ/ენ
II სერია		
წყ.	ჩა-ვ/0-ა-მტვრ-ი(ვ)-ე-ი ჩა-ა-მტვრ-ი(ვ)-ე-ი ჩა-ა-მტვრ-ი(ვ)-ა	ჩა-ვ/0-ა-მტვრ-ი(ვ)-ე-ი-თ ჩა-ა-მტვრ-ი(ვ)-ე-ი-თ ჩა-ა-მტვრ-ი(ვ)-ეს
II კავ.	ჩა-ვ/0-ა-მტვრ-ი(ვ)-ო ჩა-ა-მტვრ-ი(ვ)-ო ჩა-ა-მტვრ-ი(ვ)-ო-ს	ჩა-ვ/0-ა-მტვრ-ი(ვ)-ო-თ ჩა-ა-მტვრ-ი(ვ)-ო-თ ჩა-ა-მტვრ-ი(ვ)-ო-ნ

III სერია		
I თურ.	ჩა-მ-ი-მტვრ-ევ-(ნ)-ი-ა ჩა-გ-ი-მტვრ-ევ-(ნ)-ი-ა ჩა-უ-მტვრ-ევ-(ნ)-ი-ა	ჩა-გვ-ი-მტვრ-ევ-(ნ)-ი-ა ჩა-გ-ი-მტვრ-ევ-(ნ)-ი-ა-თ ჩა-უ-მტვრ-ევ-(ნ)-ი-ა-თ
II თურ.	ჩა-მ-ე-მტვრ-ი-ა ჩა-გ-ე-მტვრ-ი-ა ჩა-ე-მტვრ-ი-ა	ჩა-გვ-ე-მტვრ-ი-ა ჩა-გ-ე-მტვრ-ი-ა-თ ჩა-ე-მტვრ-ი-ა-თ
III კავ.	ჩა-მ-ე-მტვრ-ი-ო-ს ჩა-გ-ე-მტვრ-ი-ო-ს ჩა-ე-მტვრ-ი-ო-ს	ჩა-გვ-ე-მტვრ-ი-ო-ს ჩა-გ-ე-მტვრ-ი-ო-თ ჩა-ე-მტვრ-ი-ო-თ

-ებ თემისნიშნაანი ზმნები (-ებ/-ემ/-ევ)

I სერია		
აწ.-მე.	(ა-)ვ/0-ი-კიდ-ებ/-ემ/-ევ (ა-)ი-კიდ-ებ/ემ/-ევ (ა-)ი-კიდ-ებ/ემ/-ევ-ს	(ა-)ვ/0-ი-კიდ-ებ/ემ/-ევ-თ (ა-)ი-კიდ-ებ/ემ/-ევ-თ (ა-)ი-კიდ-ებ/ემ/-ევ-ენ
უწ.-ნოლ.	(ა-)ვ/0-ი-კიდ-ებ/ემ/-ევ-დ-ი (ა-)ი-კიდ-ებ/ემ/-ევ-დ-ი (ა-)ი-კიდ-ებ/ემ/-ევ-დ-ა	(ა-)ვ/0-ი-კიდ-ებ/ემ/-ევ-დ-ი-თ (ა-)ი-კიდ-ებ/ემ/-ევ-დ-ი-თ (ა-)ი-კიდ-ებ/ემ/-ევ-დ-ენ-ენ
I კავ.	(ა-)ვ/0-ი-კიდ-ებ/ემ/-ევ-დ-ე (ა-)ი-კიდ-ებ/ემ/-ევ-დ-ე (ა-)ი-კიდ-ებ/ემ/-ევ-დ-ე-ს	(ა-)ვ/0-ი-კიდ-ებ/ემ/-ევ-დ-ე-თ (ა-)ი-კიდ-ებ/ემ/-ევ-დ-ე-თ (ა-)ი-კიდ-ებ/ემ/-ევ-დ-ენ-ენ
II სერია		
წყ.	ა-ვ/0-ი-კიდ-ე(ვ)-ი ა-ი-კიდ-ე(ვ)-ი ა-ი-კიდ-ა	ა-ვ/0-ი-კიდ-ე(ვ)-ი-თ ა-ი-კიდ-ე(ვ)-ი-თ ა-ი-კიდ-ეს
II კავ.	ა-ვ/0-ი-კიდ-ო ა-ი-კიდ-ო ა-ი-კიდ-ო-ს	ა-ვ/0-ი-კიდ-ო-თ ა-ი-კიდ-ო-თ ა-ი-კიდ-ო-ნ
III სერია		
I თურ.	ა-მ-ი-კიდ-(ნ)-ი-ა ა-გ-ი-კიდ-(ნ)-ი-ა ა-უ-კიდ-(ნ)-ი-ა	ა-გვ-ი-კიდ-(ნ)-ი-ა ა-გ-ი-კიდ-(ნ)-ი-ა-თ ა-უ-კიდ-(ნ)-ი-ა-თ
II თურ.	ა-მ-ე-კიდ-(ნ)-ა ა-გ-ე-კიდ-(ნ)-ა ა-ე-კიდ-(ნ)-ა	ა-გვ-ე-კიდ-(ნ)-ა ა-გ-ე-კიდ-(ნ)-ა-თ ა-ე-კიდ-(ნ)-ა-თ

III კავ.	ა-მ-ე-კიდ-ო-ს	ა-გვ-ე-კიდ-ო-ს
	ა-გ-ე-კიდ-ო-ს	ა-გ-ე-კიდ-ო-თ
	ა-ე-კიდ-ო-ს	ა-ე-კიდ-ო-თ

-ობ თემისნიშნაანი (-ობ/-ოფ)

I სერია		
აწ.- მე.	(შე-)ვ/0-ატყ-ობ/-ოფ (შე-)ატყ-ობ/-ოფ (შე-)ატყ-ობ/-ოფ-ს	(შე-)ვ/0-ატყ-ობ/-ოფ-თ (შე-)ატყ-ობ/-ოფ-თ (შე-)ატყ-ობ/-ოფ-ენ
უწ.- ნოლ.	(შე-)ვ/0-ატყ-ობ/-ოფ-დ-ი (შე-)ატყობ/-ოფ-დ-ი (შე-)ატყობ/-ოფ-დ-ა	(შე-)ვ/0-ატყ-ობ/-ოფ-დ-ი-თ (შე-)ატყობ/-ოფ-დ-ი-თ (შე-)ატყობ/-ოფ-დ-ნენ/-ენ
I კავ.	(შე-)ვ/0-ატყ-ობ/-ოფ-დ-ე (შე-)ატყ-ობ/-ოფ-დ-ე (შე-)ატყ-ობ/-ოფ-დ-ე-ს	(შე-)ვ/0-ატყ-ობ/-ოფ-დ-ე-თ (შე-)ატყობ/-ოფ-დ-ე-თ (შე-)ატყობ/-ოფ-დ-ნენ/-ენ
II სერია		
წკვ.	შე-/შა-/ში-ვ/0-იტყ(ვ)-ე შე-/შა-/ში-იტყ(ვ)-ე შე-/შა-/ში-იტყ-ო	შე-/შა-/ში-ვ/0-იტყ(ვ)-ე-თ შე-/შა-/ში-იტყ(ვ)-ე-თ შე-/შა-/ში-იტყ (ვ)-ეს
II კავ.	შე-/შა-/ში-ვ/0-იტყ(ვ)-ო შე-/შა-/ში-იტყ(ვ)-ო შე-/შა-/ში-იტყ(ვ)-ო-ს	შე-/შა-/ში-ვ/0-იტყ(ვ)-ო-თ შე-/შა-/ში-იტყ(ვ)-ო-თ შე-/შა-/ში-იტყ-ო-ნ
III სერია		
I თურ.	შე-/შა-/ში-მ-ი-ტყ(ვ)-ი-ა შე-/შა-/ში-გ-ი-ტყ(ვ)-ი-ა შე-/შა-/ში-ჟ-ტყ(ვ)-ი-ა	შე-/შა-/ში-გვ-ი-ტყ(ვ)-ი-ა შე-/შა-/ში-გ-ი-ტყ(ვ)-ი-ა-თ შე-/შა-/ში-ჟ-ტყ(ვ)-ი-ა-თ
II თურ.	შე-/შა-/ში-მ-ე-ტყ(ვ)-ო შე-/შა-/ში-გ-ე-ტყ(ვ)-ო შე-/შა-/ში-ე-ტყ(ვ)-ო	შე-/შა-/ში-გვ-ე-ტყ(ვ)-ო შე-/შა-/ში-გ-ე-ტყ(ვ)-ო-თ შე-/შა-/ში-ე-ტყ(ვ)-ო-თ
III კავ.	შე-/შა-/ში-მ-ე-ტყ(ვ)-ო-ს შე-/შა-/ში-გ-ე-ტყ(ვ)-ო-ს შე-/შა-/ში-ე-ტყ(ვ)-ო-ს	შე-/შა-/ში-გვ-ე-ტყ(ვ)-ო-ს შე-/შა-/ში-გ-ე-ტყ(ვ)-ო-თ შე-/შა-/ში-ე-ტყ(ვ)-ო-თ

**ვნებითი გვარის ზმნები
ინიანი ვნებითი**

I სერია		
აწ.- მე.	(გა/გე)-ვ/0-ი-ზრდ-ებ-ი (გა/გე)-ი-ზრდ-ებ-ი გა/გე-ი-ზრდ-ებ-ა	(გა/გე/და/დე)-ვ/0-ი-ზრდ-ებ-ი-თ (გა/გე/და/დე)-ი-ზრდ-ებ-ი-თ (გა/გე/და/დე)-ი-ზრდ-ებ-ი-ან

უწ.- ხლ.	(გა/გე)-ვ/0-ი-ზრდ-ებ-ოდ-ი (გა/გე)-ი-ზრდ-ებ-ოდ-ი (გა/გე)-ი-ზრდ-ებ-ოდ-ა	(გა/ გე/და/დე)-ვ/0-ი-ზრდ-ებ-ოდ-ი-თ (გა/გე/და/დე)-ი-ზრდ-ებ-ოდ-ი-თ (გა/გე/და/დე)-ი-ზრდ-ებ-ოდ-ნენ/-ენ
I კავ.	(გა/გე)-ვ/0-ი-ზრდ-ებ-ოდ-ე (გა/გე)-ი-ზრდ-ებ-ოდ-ე (გა/გე)-ი-ზრდ-ებ-ოდ-ეს	(გა/გე/და/დე)-ვ/0-ი-ზრდ-ებ-ოდ-ე-თ (გა/გე/და/დე)-ი-ზრდ-ებ-ოდ-ე-თ (გა/გე/და/დე)-ი-ზრდ-ებ-ოდ-ნენ/-ენ
II სერია		
წვ.	გა/გე-ვ/0-ი-ზარდ--ე გა/გე-ი-ზარდ--ე გა/გე-ი-ზარდ-ა	გა/გე/და/დე-ვ/0-ი-ზარდ-ენ-ი-თ გა/გე/და/დე-ი-ზარდ-ენ-ი-თ გა/გე/ და/დე-ი-ზარდ-ნენ/-ენ
II კავ.	გა/გე-ვ/0-ი-ზარდ--ო გა/გე-ი-ზარდ--ო გა/გე-ი-ზარდ-ო-ს	გა/გე/და/დე-ვ/0-ი-ზარდ-ნ-ე-თ/ო-თ გა/გე/და/დე-ი-ზარდ-ნ-ე-თ /ო-თ გა/გე/ და/დე-ი-ზარდ-ნ-ე-ნ/-ო-ნ
III სერია		
I თურ.	გა/გე-ვ/0-ზრდილ-ვარ გა/გე-ზრდილ-ხარ გა/გე-ზრდილ-ა	გა/გე/და/დე-ვ/0-ზრდილ-ვარ-თ გა/გე/და/დე-ზრდილ-ხარ-თ გა/გე/ და/დე-ზრილ-ან
II თურ.	გა/გე-ვ/0-ზრდილ-იყავ გა/გე-ზრდილ-იყავ გა/გე-ზრდილ-იყო	გა/გე/და/დე-ვ/0-ზრდილ-იყავ-ი-თ გა/გე/და/დე-ზრდილ-იყავ-ი-თ გა/გე/ და/დე-ზრილ-იყვ-ნენ/-ენ
III კავ.	გა/გე-ვ/0-ზრდილ-იყო გა/გე-ზრდილ-იყო გა/გე-ზრდილ-იყო-ს	გა/გე/და/დე-ვ/0-ზრდილ-იყო-თ გა/გე/და/დე-ზრდილ-იყო-თ გა/გე/ და/დე-ზრილ-იყვ-ნენ/-ენ

ენიანი ვნებითი

I სერია		
აწ.- მე.	(შე-)ვ/0-ე-ხვეწ-ებ-ი (შე-)ე-ხვეწ-ებ-ი (შე-)ე-ხვეწ-ებ-ა	(შე-)ვ/0-ე-ხვეწ-ებ-ი-თ (შე-)ე-ხვეწ-ებ-ი-თ (შე-)ე-ხვეწ-ებ-ი-ან
უწ.- ხლ.	(შე-)ვ/0-ე-ხვეწ-ებ-ოდ-ი (შე-)ე-ხვეწ-ებ-ოდ-ი (შე-)ე-ხვეწ-ებ-ოდ-ა	(შე-)ვ/0-ე-ხვეწ-ებ-ოდ-ი-თ (შე-)ე-ხვეწ-ებ-ოდ-ი-თ (შე-)ე-ხვეწ-ებ-ოდ-ნენ/-ენ
I კავ.	(შე-)ვ/0-ე-ხვეწ-ებ-ოდ-ე (შე-)ე-ხვეწ-ებ-ოდ-ე (შე-)ე-ხვეწ-ებ-ოდ-ეს	(შე-)ვ/0-ე-ხვეწ-ებ-ოდ-ე-თ (შე-)ე-ხვეწ-ებ-ოდ-ე-თ (შე-—ე-ხვეწ-ებ-ოდ-ნენ/-ენ

II სერია		
წყ.	შე-ვ/0-ე-ხვეწ-ე შე-ე-ხვეწ--ე შე-ე-ხვეწ--ა	შე-ვ/0-ე-ხვეწ--ენ-ი-თ შე-ე-ხვეწ--ენ-ი-თ შე-ე-ხვეწ--ენ/-ენ
II კავ.	შე-ვ/0-ე- ხვეწ-ო შე-ე-ხვეწ-ო შე-ე-ხვეწ-ო-ს	შე-ვ/0-ე-ხვეწ--ნ-ე-თ შე-ე-ხვეწ--ნ-ე-თ შე-ე-ნ-ნ-ე-ნ
III სერია		
I თურ.	შე-ვ/0-ხვეწნილ-ვარ შე-ვ/-ხვეწნილ-ხარ შე/-ხვიწნილ-ა	შე-ვ/0-ხვეწნილ-ვარ-თ შე-ხვეწნილ-ხარ-თ შე-ხვეწნილ-ან
II თურ.	შე-ვ/0-ხვეწნილ-იყავ შე-ხვეწნილ-იყავ შე-ხვეწნილ-იყო	შე-ვ/0-ხვეწნილ-იყავ-ი-თ შე-ხვეწნილ-იყავ-ი-თ შე-ხვეწნილ-იყვ-ნენ/-ენ
III კავ.	შე-ვ/0-ხვეწნილ-იყო შე-ხვეწნილ-იყო შე-ხვეწნილ-იყო-ს	შე-ვ/0-ხვეწნილ-იყო-თ შე-ხვეწნილ-იყო-თ შე-ხვეწნილ-იყვ-ნენ/-ენ

დონიანი ვნებითი

I სერია		
აწ.- მე.	(ა-)ვ/0-დულ-დ-ებ-ი (ა-)დულ-დ-ებ-ი (ა-)დულ-დ-ებ-ა	(ა-)ვ/0-დულ-დ-ებ-ი-თ (ა-)დულ-დ-ებ-ი-თ (ა-)დულ-დ-ებ-ი-ან
უწ.- ნოლ.	(ა-)ვ/0-დულ-დ-ებ-ოდ-ი (ა-)დულ-დ-ებ-ოდ-ი (ა-)დულ-დ-ებ-ოდ-ა	(ა-)ვ/0-დულ-დ-ებ-ოდ-ი-თ (ა-)დულ-დ-ებ-ოდ-ი-თ (ა-)დულ-დ-ებ-ოდ-ნენ/-ენ
I კავ.	(ა-)ვ/0-დულ-დ-ებ-ოდ-ე (ა-)დულ-დ-ებ-ოდ-ე (ა-)დულ-დ-ებ-ოდ-ე-ს	(ა-)ვ/0-დულ-დ-ებ-ოდ-ე-თ (ა-)დულ-დ-ებ-ოდ-ე-თ (ა-)დულ-დ-ებ-ოდ-ნენ/-ენ
II სერია		
წყ.	ა-ვ/0-დულ-დ-ი ა-დულ-დ-ი ა-დულ-დ-ა	ა-ვ/0-დულ-დ-ი-თ ა-დულ-დ-ი-თ ა-დულ-დ-ნენ/-ენ
II კავ.	ა-ვ/0-დულ-დ-ე ა-დულ-დ-ე ა-დულ-დ-ე-ს	ა-ვ/0-დულ-დ-ე-თ ა-დულ-დ-ე-თ ა-დულ-დ-ენ

III სერია		
I თურ.	ა-ვ/0-დუღებულ-ვარ ა-დუღებულ-ხარ ა-დუღებულ-ა//ა-დუღულ-ა	ა-ვ/0-დუღებულ-ვარ-თ ა-დუღებულ-ხარ-თ ა-დუღებულ-ა-ნ//ა-დუღულ-ა-ნ
II თურ.	ა-ვ/0-დუღებულ-იყავ ა-დუღებულ-იყავ ა-დუღებულ-იყო//ა-დუღულ-იყო	ა-ვ/0-დუღებულ-იყავი-თ ა-დუღებულ-იყავი-თ ა-დუღებულ-იყვ-ნენ/ენ//ა-დუღულ-იყო-ნ
III კავ.	ა-ვ/0-დუღებულ-იყო ა-დუღებულ-იყო ა-დუღებულ-იყო-ს//ა-დუღულ-იყო-ს	ა-ვ/0-დუღებულ-იყო-თ ა-დუღებულ-იყო-თ ა-დუღებულ-იყვ-ნენ/ენ//ა-დუღულ-იყვ-ნენ/ენ

უნიშნო ვნებითი

I სერია		
აწ.-მე.	(და-)ვ/0-ტკბ-ებ-ი (და-)ტკბ-ებ-ი (და-)ტკბ-ებ-ა	(და-)ვ/0-ტკბ-ებ-ი-თ (და-)ტკბ-ებ-ი (და-)ტკბ-ებ-ი-ან
უწ.-ხლ.	(და-)ვ/0-ტკბ-ებ-ოდ-ი (და-)ტკბ-ებ-ოდ-ი (და-)ტკბ-ებ-ოდ-ა	(და-)ვ/0-ტკბ-ებ-ოდ-ი-თ (და-)ტკბ-ებ-ოდ-ი-თ (და-)ტკბ-ებ-ოდ-ნენ/ენ
I კავ.	(და-)ვ/0-ტკბ-ებ-ოდ-ე (და-)ტკბ-ებ-ოდ-ე (და-)ტკბ-ებ-ოდ-ე-ს	და-)ვ/0-ტკბ-ებ-ოდ-ე-თ და-)ტკბ-ებ-ოდ-ე-თ და-)ტკბ-ებ-ოდ-ნენ/ენ
II სერია		
წე.	და-ვ/0-ტკბ-ი და-ტკბ-ი და-ტკბ-ა	და-ვ/0-ტკბ-ი-თ და-ტკბ-ი-თ და-ტკბ-ნენ/ენ
II კავ.	და-ვ/0-ტკბ-ე და-ტკბ-ე და-ტკბ-ე-ს	და-ვ/0-ტკბ-ე-თ და-ტკბ-ე-თ და-ტკბ-ნენ/ენ
III სერია		
I თურ.	და-ვ/0-მტკბარ-ვარ და-მტკბარ-ხარ და-მტკბარ-ა	და-ვ/0-მტკბარ-ვარ-თ და-მტკბარ-ხარ-თ და-მტკბარ-ან

II თურ.	და-ვ/0-მტკბარ-იყავ და-მტკბარ-იყავ და-მტკბარ-იყო	და-ვ/0-მტკბარ-იყავი-თ და-მტკბარ-იყავი-თ და-მტკბარ-იყვ-ნენ/-ენ
III კავ.	და-ვ/0-მტკბარ-იყო და-მტკბარ-იყო და-მტკბარ-იყო-ს	და-ვ/0-მტკბარ-იყო-თ და-მტკბარ-იყო-თ და-მტკბარ-იყო-ნ

სტატიკური ზმნები

I სერია		
აწ.- მე.	(ა-)მ-ქავ-ა//მ-ე-ქავ-ებ-ა (ა-)გ-ქავ-ა//გ-ე-ქავ-ებ-ა (ა-)პ-ქავ-ა//ე-ქავ-ებ-ა	(ა-)გვ-ქავ-ა//გვ-ე-ქავ-ებ-ა (ა-)გ-ქავ-ა-თ//გ-ე-ქავ-ებ-ა-თ (ა-)პ-ქავ-ა-თ//ე-ქავ-ებ-ა-თ
უწ.- ნოლ.	(ა-)მ-ქა(ვ)-ოდ-ა//მ-ე-ქავ-ებ-ოდ-ა (ა-)გ-ქა(ვ)-ოდ-ა//გ-ე-ქავ-ებ-ოდ-ა (ა-)პ-ქა(ვ)-ოდ-ა//ე-ქავ-ებ-ოდ-ა	(ა-)გვ-ქა(ვ)-ოდ-ა//გვ-ე-ქავ-ებ-ოდ-ა (ა-)გ-ქა(ვ)-ოდ-ა-თ//გ-ე-ქავ-ებ-ოდ-ა-თ (ა-)პ-ქა(ვ)-ოდ-ა-თ//ე-ქავ-ებ-ოდ-ა-თ
I კავ.	(ა-)მ-ქა(ვ)-ოდ-ე-ს//მ-ე-ქავ-ებ-ოდ-ე-ს (ა-)გ-ქა(ვ)-ოდ-ე-ს//გ-ე-ქავ-ებ-ოდ-ე-ს (ა-)პ-ქა(ვ)-ოდ-ე-ს//ე-ქავ-ებ-ოდ-ე-ს	(ა-)გვ-ქა(ვ)-ოდ-ე-ს//გვ-ე-ქავ-ებ-ოდ-ე-ს (ა-)გ-ქა(ვ)-ოდ-ე-თ//გ-ე-ქავ-ებ-ოდ-ე-თ (ა-)პ-ქა(ვ)-ოდ-ე-თ//ე-ქავ-ებ-ოდ-ე-თ
II სერია		
წავ.	ა-მ-ექავ-ა//ა-მ-ე-ქავლ-ა ა-გ-ექავ-ა//ა-გ-ე-ქავლ-ა ა-ექავ-ა//ა-ე-ქავლ-ა	ა-გვ-ექავ-ა//ა-გვ-ე-ქავლ-ა ა-გ-ექავ-ა-თ//ა-გ-ე-ქავლ-ა-თ ა-ექავ-ა-თ//ა-ე-ქავლ-ა-თ
II კავ.	ა-მ-ექა(ვ)-ო-ს//ა-მ-ე-ქავლ-ო-ს ა-გ-ექა(ვ)-ო-ს//ა-გ-ე-ქავლ-ო-ს ა-ექა(ვ)-ო-ს//ა-ე-ქავლ-ო-ს	ა-გვ-ექავ-ო-ს//ა-გვ-ე-ქავლ--ო-ს ა-გ-ექავ-ო-თ//ა-გ-ე-ქავლ-ო-თ ა-ექავ-ო-თ//ა-ე-ქავლ-ო-თ
III სერია		
I თურ.	ა-მ-ქავ-ებ-ი-ა//ა-მ-ქავლ-ებ-ი-ა ა-(გ)-ქავ-ებ-ი-ა//ა-(გ)-ქავლ-ებ-ი-ა ა-(პ)-ქავ-ებ-ი-ა//ა-(პ)-ქავლ-ებ-ი-ა	ა-გვ-ქავ-ებ-ი-ა//ა-გვ-ქავლ-ებ-ი-ა ა-(გ)-ქავ-ებ-ი-ა-თ//ა-(გ)-ქავლ-ებ-ი-ა-თ ა-(პ)-ქავ-ებ-ი-ა-თ//ა-(პ)-ქავლ-ებ-ი-ა-თ
II თურ.	ა-მ-ქავ-ებ-ოდ-ა//ა-მ-ქავლ-ებ-ოდ-ა ა-(გ)-ქავ-ებ-ოდ-ა//ა-(გ)-ქავლ-ებ-ოდ-ა ა-(პ)-ქავ-ებ-ოდ-ა//ა-(პ)-ქავლ-ებ-ოდ-ა	ა-გვ-ქავ-ებ-ოდ-ა//ა-გვ-ქავლ-ებ-ოდ-ა ა-(გ)-ქავ-ებ-ოდ-ა-თ//ა-(გ)-ქავლ-ებ-ოდ-ა-თ ა-(პ)-ქავ-ებ-ოდ-ა-თ//ა-(პ)-ქავლ-ებ-ოდ-ა-თ
III კავ.	ა-მ-ქავ-ებ-ოდ-ე-ს//ა-მ-ქავლ-ებ-ოდ-ე-ს ა-(გ)-ქავ-ებ-ოდ-ე-ს//ა-(გ)-ქავლ-ებ-ოდ-ე-ს ა-(პ)-ქავ-ებ-ოდ-ე-ს//ა-(პ)-ქავლ-ებ-ოდ-ე-ს	ა-გვ-ქავ-ებ-ოდ-ე-ს//ა-გვ-ქავლ-ებ-ოდ-ე-ს ა-(გ)-ქავ-ებ-ოდ-ე-ს//ა-(გ)-ქავლ-ებ-ოდ-ე-ს ა-(პ)-ქავ-ებ-ოდ-ე-ს//ა-(პ)-ქავლ-ებ-ოდ-ე-ს
I სერია		
აწ.	მ-ცალ-ი-ა გ-ცალ-ი-ა ცალ-ი-ა/-ან/	გვ-ცალ-ი-ა გ-ცალ-ი-ა-თ ცალ-ი-ა/-ან/-თ

უწ.	მ-ცალ-ოდ-ა გ-ცალ-ოდ-ა ცალ-ოდ-ა	გვ-ცალ-ოდ-ა გ-ცალ-ოდ-ა-თ ცალ-ოდ-ა-თ
აწ. კავ.	მ-ცალ-ოდ-ე-ს გ-ცალ-ოდ-ე-ს ცალ-ოდ-ე-ს	გვ-ცალ-ოდ-ე-ს გ-ცალ-ოდ-ე-თ ცალ-ოდ-ე-თ
მე.	მო/მა-ვ/0-ი-ცლ-ი მო/მა-ი-ცლ-ი მო/მა-ი-ცლ-ი-ს	მო/მა-ვ/0-ი-ცლ-ი-თ მო/მა-ი-ცლ-ი-თ მო/მა-ი-ცლ-ი-ან
ხოლ. შედ.	მო/მა-ვ/0-ი-ცლ-ოდ-ი მო/მა-ი-ცლ-ოდ-ი მო/მა-ი-ცლ-ოდ-ა	მო/მა-ვ/0-ი-ცლ-ოდ-ი-თ მო/მა-ი-ცლ-ოდ-ი-თ მო/მა-ი-ცლ-ოდ-ნენ/-ენ
მე. კავ.	მო/მა-ვ/0-ი-ცლ-ოდ-ე მო/მა-ი-ცლ-ოდ-ე მო/მა-ი-ცლ-ოდ-ე-ს	მო/მა-ვ/0-ი-ცლ-ოდ-ე-თ მო/მა-ი-ცლ-ოდ-ე-თ მო/მა-ი-ცლ-ოდ-ნენ/-ენ
II სერია		
წყ.	მო/მა-ვ/0-ი-ცალ-ე მო/მა-ი-ცალ-ე მო/მა-ი-ცალ-ა	მო/მა-ვ/0-ი-ცალ-ე-თ მო/მა-ი-ცალ-ე-თ მო/მა-ი-ცალ-ეს
II კავ.	მო/მა-ვ/0-ი-ცალ-ო მო/მა-ი-ცალ-ო მო/მა-ი-ცალ-ო-ს	მო/მა-ვ/0-ი-ცალ-ო-თ მო/მა-ი-ცალ-ო-თ მო/მა-ი-ცალ-ო-ნ
III სერია		
I თურ.	მო/მა-მ-ი-ცლ-ი-ა//მო/მა-მ-ცლ-ი-ა მო/მა-გ-ი-ცლ-ი-ა//მო/მა-გ-ცლ-ი-ა მო/მა-უ-ცლ-ი-ა//მო/მა-ცლ-ი-ა	მო/მა-გვ-ი-ცლ-ი-ა//მო/მა-გვ-ცლ-ი-ა მო/მა-გ-ი-ცლ-ი-ა-თ//მო/მა-გ-ცლ-ი-ა-თ მო/მა-უ-ცლ-ი-ა-თ//მო/მა-ცლ-ი-ა-თ
II თურ.	მო/მა-მ-ე-ცალ-ა//მო/მა-მ-ცლ-ოდ-ა მო/მა-გ-ე-ცალ-ა//მო/მა-გ-ცლ-ოდ-ა მო/მა-ე-ცალ-ა//მო/მა-ცლ-ოდ-ა	მო/მა-გვ-ე-ცალ-ა//მო/მა-გ-ცლ-ოდ-ა მო/მა-გ-ე-ცალ-ა-თ//მო/მა-გ-ცლ-ოდ-ა-თ მო/მა-ე-ცალ-ა-თ//მო/მა-ცლ-ოდ-ა-თ
III კავ.	მო/მა-მ-ე-ცალ-ო-ს//მო/მა-მ-ცლ-ოდ-ეს მო/მა-გ-ე-ცალ-ო-ს//მო/მა-გ-ცლ-ოდ-ეს მო/მა-ე-ცალ-ო-ს//მო/მა-ცლ-ოდ-ეს	მო/მა-გვ-ე-ცალ-ო-ს//მო/მა-გვ-ცლ-ოდ-ეს მო/მა-გ-ე-ცალ-ო-თ//მო/მა-გ-ცლ-ოდ-ეთ მო/მა-ე-ცალ-ო-თ//მო/მა-ცლ-ოდ-ეთ

შენიშვნა: ზოგ სტატიკურ ზმნას მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმაში წარმოდგენილი -ან სუფიქსი გადაჰყვება მრავლობით რიცხვშიაც. მაგ.: შეგიძლიან, სწადიან, სცალიან, უხარიანთ, ეშინიანთ (ლ. ნოზაძე).

საშუალო გვარის ზმნები

I სერია		
აწ.	ვ/-0-ბანცალ-ობ/ებ ბანცალ-ობ/ებ ბანცალ-ობ/ებ-ს	ვ/-0-ბანცალ-ობ/ებ-თ ბანცალ-ობ/ებ-თ ბანცალ-ობ/ებ-ენ
უწ.	ვ/-0-ბანცალ-ობ-დ-ი ბანცალ-ობ-დ-ი ბანცალ-ობ-დ-ა	ვ/-0-ბანცალ-ობ-დ-ი-თ ბანცალ-ობ-დ-ი-თ ბანცალ-ობ-დ-ენ/ენ
აწ. კავ.	ვ/-0-ბანცალ-ობ-დ-ე ბანცალ-ობ-დ-ე ბანცალ-ობ-დ-ე-ს	ვ/-0-ბანცალ-ობ-დ-ე-თ ბანცალ-ობ-დ-ე-თ ბანცალ-ობ-დ-ენ/ენ
მე.	ვ/-0-ი-ბანცალ-ებ ი-ბანცალ-ებ ი-ბანცალ-ებ-ს	ვ/-0-ი-ბანცალ-ებ-თ ი-ბანცალ-ებ-თ ი-ბანცალ-ებ-ენ
ხოლ. შედ.	ვ/-0-ი-ბანცალ-ებ-დ-ი ი-ბანცალ-ებ-დ-ი ი-ბანცალ-ებ/-ობ-დ-ა	ვ/-0-ი-ბანცალ-ებ--დ-ი ი-ბანცალ-ებ-დ-ი-თ ი-ბანცალ-ებ/-ობ-დ-ენ/ენ
მე. კავ.	ვ/-0-ი-ბანცალ-ებ-დ-ე ი-ბანცალ-ებ-დ-ე ი-ბანცალ-ებ-დ-ე	ვ/-0-ი-ბანცალ-ებ-დ-ე-თ ი-ბანცალ-ებ-დ-ე-თ ი-ბანცალ-ებ-დ-ენ/ენ
II სერია		
წყ.	ვ/-0-ი-ბანცალ-ე(ვ)ი ი-ბანცალ-ე(ვ)ი ი-ბანცალ-ა	ვ/-0-ი-ბანცალ-ე(ვ)ი-თ ი-ბანცალ-ე(ვ)ი-თ ი-ბანცალ-ეს
II კავ.	ვ/-0-ი-ბანცალ-ო ი-ბანცალ-ო ი-ბანცალ-ო-ს	ვ/-0-ი-ბანცალ-ო-თ ი-ბანცალ-ო-თ ი-ბანცალ-ო-ნ
III სერია		
I თურ.	მ-ი-ბანცალ-ი-ა გ-ი-ბანცალ-ი-ა უ-ბანცალ-ი-ა	გვ-ი-ბანცალ-ი-ა გ-ი-ბანცალ-ი-ა-თ უ-ბანცალ-ი-ა-თ
II თურ.	მ-ე-ბანცალ-ა გ-ე-ბანცალ-ა ე-ბანცალ-ა	გვ-ე-ბანცალ-ა გ-ე-ბანცალ-ა-თ ე-ბანცალ--ა-თ
III კავ.	მ-ე-ბანცალ-ო-ს გ-ე-ბანცალ-ო-ს ე-ბანცალ-ო-ს	გვ-ე-ბანცალ-ო-ს გ-ე-ბანცალ-ო-თ ე-ბანცალ-ო-ს

I სერია		
აწ.	ვ/0-ჩანვარ//ვ/0-ჩინვარ ჩანხარ//ჩინხარ ჩან-ს//ჩინ-ს	ვ/0-ჩანვარ-თ//ვ/0-ჩინვარ-თ ჩანხარ//ჩინხარ ჩან-ან//ჩინ-ან
უწ.	ვ/0-ჩან-დ-ი//ვ/0-ჩნ-ოდ-ი ჩან-დ-ი//ჩნ-ოდ-ი ჩან-დ-ა//ჩნ-ოდ-ა	ვ/0-ჩან-დ-ი-თ//ვ/0-ჩნ-ოდ-ი-თ ჩან-დ-ი-თ//ჩნ-ოდ-ი-თ ჩან-დ-ნენ/-ენ//ჩნ-ოდ-ნენ/-ენ
აწ. კავ.	ვ/0-ჩან-დ-ე//ვ/0-ჩნ-ოდ-ე ჩან-დ-ე//ჩნ-ოდ-ე ჩან-დ-ე-ს//ჩნ-ოდ-ე-ს	ვ/0-ჩან-დ-ე-თ//ვ/0-ჩნ-ოდ-ე-თ ჩან-დ-ე-თ//ჩნ-ოდ-ე-თ ჩან-დ-ნენ/-ენ//ჩნ-ოდ-ნენ/-ენ
მყ.	გამო-ვ/0-ჩნდ-ებ-ი გამო-ჩნდ-ებ-ი გამო-ჩნდ-ებ-ა	გამო-ვ/0-ჩნდ-ებ-ი-თ გამო-ჩნდ-ებ-ი-თ გამო-ჩნდ-ებ-ი-ან
ხოლ. შედ.	გამო-ვ/0-ჩნდ-ებ-ოდ-ი გამო-ჩნდ-ებ-ოდ-ი გამო-ჩნდ-ებ-ოდ-ა	გამო-ვ/0-ჩნდ-ებ-ოდ-ი-თ გამო-ჩნდ-ებ-ოდ-ი-თ გამო-ჩნდ-ებ-ოდ-ნენ/-ენ
მყ. კავ.	გამო-ვ/0-ჩნდ-ებ-ოდ-ე გამო-ჩნდ-ებ-ოდ-ე გამო-ჩნდ-ებ-ოდ-ე-ს	გამო-ვ/0-ჩნდ-ებ-ოდ-ე-თ გამო-ჩნდ-ებ-ოდ-ე-თ გამო-ჩნდ-ებ-ოდ-ნენ/-ენ
II სერია		
წყ.	გამო-ვ/0-ჩნდ-ი გამო-ჩნდ-ი გამო-ჩნდ-ა	გამო-ვ/0-ჩნდ-ი-თ გამო-ჩნდ-ი-თ გამო-ჩნდ-ნენ/-ენ
II კავ.	გამო-ვ/0-ჩნდ-ე გამო-ჩნდ-ე გამო-ჩნდ-ე-ს	გამო-ვ/0-ჩნდ-ე-თ გამო-ჩნდ-ე-თ გამო-ჩნდ-ე-ნ
III სერია		
I თურ.	გამო-ვ/0-ჩენილვარ გამო-ჩენილხარ გამო-ჩენილ-ა	გამო-ვ/0-ჩენილვარ-თ გამო-ჩენილხარ-თ გამო-ჩენილ-ან
II თურ.	გამო-ვ/0-ჩენილიყავ გამო-ჩენილიყავ გამო-ჩენილიყო	გამო-ვ/0-ჩენილიყავი-თ გამო-ჩენილიყავი-თ გამო-ჩენილიყვ-ნენ/-ენ
III კავ.	გამო-ვ/0-ჩენილიყო გამო-ჩენილიყო გამო-ჩენილიყო-ს	გამო-ვ/0-ჩენილიყო-თ გამო-ჩენილიყო-თ გამო-ჩენილიყო-ნ

შენიშვნა: ქსნის ხეობის მეტყველებაში ყარს და ჩანს საშუალო გვარის ზმნები უღვლილებისას აწმყოს წრის მწკრივებში ფუძისეულ ხმოვანს იკვეცენ და უწყვეტელსა და აწმყოს კავშირებითში სავრცობად დ-ს ნაცვლად ოდ-ს მიიღებენ (გყრივარ, ყრიხარ, ყრის, გყროდი, ყროდი, ყროდა; ვჩნივარ, ჩნიხარ, ჩნის, ვჩნოდი, ჩნოდი, ჩნოდა...) (ვ. სომხიშვილი). ქართულში ეს ზმნები ნაკლულ მწკრივებში იყენებენ ინიანი ვნებითის ფორმებს. მაგ.: **დაიყრება, დაიყრებოდა, დაიყრებოდე, დაიყარა...**

ძირითადი ლიტერატურა

- ბეროზაშვილი თ.,** ნიკო ლომოურის ენის თავისებურებანი (ფონეტიკა, მორფოლოგია, ლექსიკა); „მაცნე“, №3; თბ., 1965.
- გეგუჩაძე ლ.,** ქართლის ზოგიერთი თავისებურების შესახებ შიო არაგვისპირელის მოთხრობებში; XXI რესპ. დიალექტ. სეს., მასალ.; ბათუმი, 2001; გვ. 36; სტატია დაიბეჭდა: კრებული II, (ბათუმის უნივერსიტეტი); თბ., 2002 (რეზ. რუს. ენ.).
- გოგოლაძე თ.,** დიალექტიზმების საკითხისათვის ქართლში მოღვაწე თანამედროვე მწერალთა შემოქმედებაში; XXII რესპ. დიალექტ. სესია; მასალ., თბ., 2002.
- თაყაიშვილი ა.,** ქართლის თავისებურებანი (კასპის რაიონში შეკრებილი მასალების მიხედვით); თსუ სტუდ. სამეცნიერო შრომების კრებული №7, თბ., 1955.
- თოფურია ვ.,** ქართული; „არილი“; ტფილისის უნივერსიტეტის რექტორის პროფ. ივ. ჯავახიშვილისადმი მისი სამეცნიერო მოღვაწეობის 25 წლისთავზე (1900-1925) მიძღვნილი კრებული; ტფ., 1925.
- იალაშიძე გ.,** პირის ნიშნები ატენის ხეობის ქართულში; „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, №2; თბ., 1975.
- იმნაიშვილი გ.,** არაგვის ხეობის ქართული; იკვ, IV; თბ., 1953.
- იმნაიშვილი გ.,** ბორჯომის ხეობის ქართლის თავისებურებანი; იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VIII; თბ., 1956.
- იმნაიშვილი გრ.,** ქართული დიალექტი, I. გამოკვლევა; (ენათმეცნიერების ინსტიტუტი); „მეცნიერება“, თბ., 1974 (რეზ. რუს. ენ.).
- იმნაიშვილი გ.,** ქართული დიალექტიზმები XIX ს. მწერალთა ნაწერებში; იბერ. — კავკასიური ენათმეცნიერება, XVI, (რეზიუმე რუსულ ენაზე); თბ., 1968.
- იმნაიშვილი გ.,** ქართული დიალექტი, II, ტექსტები, თბ., 1974.
- იმნაიშვილი გ.,** ქართული დიალექტის ნაირსახეობანი; იკვ, IX-X; თბ., 1958.

- იმნაიშვილი გ.**, ქვემოქართლურის ზოგიერთი თავისებურებისათვის. „ქართვენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. II. (რეზიუმე რუსულ ენაზე); თბ., 1961.
- კახაძე ო.**, ატენისა და წედისის ხეობის ქართლური; იკე, ტ. IV; თბ., 1953.
- კიკნაძე ი.**, დიალექტიზმები ეკატერინე გაბაშვილის პროზაში (ფონეტიკურ და გრამატიკულ თავისებურებათა ფონზე); „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია) №1; თბ., 1974.
- კობერიძე მ.**, ზოგი ნაწილაკის ფუნქციისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში; საენათმეცნიერო ძიებანი, X; თბ., 2000 (რეზ. ინგლ. ენაზე).
- კობერიძე მ.**, პირთა მრავლობითობის აღნიშვნის საკითხისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში; ცხინვალის პედ. ინსტიტუტის VIII სესია; გორი, 1999.
- კობერიძე მ.**, სახელთა მრავლობითი რიცხვის აღნიშვნის საკითხისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში; საენათმეცნიერო ძიებანი, IX; თბ., 1999 (რეზ. ინგლ. ენაზე).
- მარტიროსოვი ა.**, მივლინება ფრონეს ხეობაში, ენიმკის მოამბე; IV₃; თბ., 1970.
- მარტიროსოვი ა.**, ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, თბ., 1972.
- ნოზაძე ლ.**, ქართლური დიალექტური მასალები; იკე, XVII; თბ., 1970.
- ოთინაშვილი ნ.**, ზემო ქართლის წარწერები დიალექტოლოგიურ ჭრილში; XXII რესპ. დიალექტ. სესია; მასალ.; თბ., 2002.
- ოთინაშვილი ნ.**, პატარა ლიახვის ხეობის მეტყველების ზოგიერთი თავისებურებანი; ცხინვალის პედ. ინსტ. VIII; გორი, 1999.
- სალარიძე თ.**, ალგეთის ხეობის ქართლური, თბ., 1978.
- სომხიშვილი გ.**, ასპეტის წარმოების ზოგიერთი თავისებურებებისათვის ლიახვისა და ქსნის ხეობათა ქართლურში; საენათმეცნიერო ძიებანი, VIII, თბ., 1999.
- სომხიშვილი გ.**, ზმნის უღვლილების ზოგი თავისებურებისათვის ლიახვისა და ქსნის ხეობათა ქართლურში; საენათმეცნიერო ძიებანი, XII 2002.
- სომხიშვილი გ.**, ზოგი ნაცვალსახელის თავისებურებისათვის ლიახვისა და ქსნის ხეობათა ქართლურში; საენათმეცნიერო ძიებანი, X, თბ., 2000.
- სომხიშვილი გ.**, ლიახვისა და ქსნის ხეობათა ქართლური; ავტორეფერატი, თბ., 2002.
- სომხიშვილი გ.**, ზოგიერთი კავშირისა და ნაწილაკის ხმარების თავისებურებისათვის ლიახვისა და ქსნის ხეობათა ქართლურში; საენათმეცნიერო ძიებანი, IX. თბ., 1999.
- სომხიშვილი გ.**, სიტყვაწარმოების ზოგი თავისებურებისათვის ლიახვისა და ქსნის ხეობათა ქართლურში; საენათმეცნიერო ძიებანი, X, თბ., 2000.
- სომხიშვილი გ.**, ქსნის ხეობის მეტყველება; „ირისტონ“; ცხინვალი, 1968;
- ღლონტი ა.**, ფილოლოგიის ჩანაწერები, თბ., 1980.

შალამბერიძე გ., დიალექტიზმები ს. მაგლობლიშვილის მოთხრობებში; იკე, ტ. IX-X; თბ., 1958.

ძიძიგური შ., ძივანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1956.

ჯიშიაშვილი ალ., ანგარიში 1938 წ. საზაფხულო მივლინებისა ხაშურის რაიონის სოფ. ქვენატკოცასა, ტკოცასა და ფცაში; ენიმკის მოამბე, IV₃; თბ., 1938.

ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, II, თბ., 1998.

მეტყველების ნიმუშები

1. კავთისხეველთა საუბრიდან

- ნათელად დაუძახე.
 - სუ ყურ მიგდებს, კაცო, ეგება ამოთქვად რამეიო.
 - სუ თითონ დადსთონის, დადსთესამს, დადჰბარამს, მორწყამს...
 - დაიცა, ერთი შამაუტიოდ სიცივემა!
 - კი არ მოდჰტყდა, მაგრამა მოდჰტყდებოდა.
 - რასაც გამოდჰწერამენ, გამოდჰწერამენ.
 - ბარზე გეეჭრა ფეხი და ველარ ჩეეღა წყალში, გაჭრილმა დააწუნა.
- გამომსძრომიყო სატერფული და დეერტყა ფეხი ბარზე.
- ლექსი მეეწონა იმას ძრიენა, მთხოვს გადაწერასა და ვერ გადაუწერევი.
 - ერთ ტრიქონ რო წაიკითხამს, სამ ტრიქონსა-მსტოვებს, — აბა წამიკითხეიო.
 - მოზვრები ხარები დაირდებიან.
 - დაწერა ლამაათ პირობეები, მერე გავშალეთ სუფრაი ლამაათა.
 - შენ არ შეგებმეინება, გაგიჟდება კამეჩი.
 - წუხელის რო მარსკვლავი მოდსწყდა, შენ ლენტსა-მგავდა.
 - ჩემი დიჰტელა იყო.
 - ნიქვთათ უნდა, საათათ კი არ უნდა.
 - გაუჯვარდი ეხლა ხარსა.
 - მინდორში ზოგი ხნამენ, ზოგი ტრაქტორ ამუშავებენ, ზოგი ლეწამენ.
- ზოგი მკიან, ზოგი სცელამს, ზოგი ჰფოცხამს, ზოგი საქონელ აძოებს, ზოგი წყალსა-მზიდამს, ზოგი სიმინდსა-მრწყამს. ზოგი ჭარხალსა-მრწყამს.
- სალდამჰტი ვნახევი, წაუკითხევი.
 - რო მოველი და ვიქეიფეთი, წაველი მერმე და დავიძინეი.
 - შენ უნდა დაგეწერნა და კარგა წაიკითხამდი.

2. ბრმა სოვდაგარი

ერთი ძალიან მდიდარი სოვდაგარი იყო. ადგა იმ სოვდაგარმა, ძალიან ავანტუროვობა დაიწყო, ძალიან დიდი იავანტუროვდა. დაბრმავდა ორთავ თვალე-ბითა. იყო რამტენიმე წელიწადი ეგრე ბრმა. ჰოდა, მერე მთელი, საცა კი დი-დი ექიმები იყვნენ, შააჯერა. ამოუჩნდა ერთი ექიმი, უთხრა იმ ექიმმა სოვდა-გარს: მე მოგარჩენო თვალეზიდანაო. წაიყვანა ის სოვდაგარი იმ ექიმმა და თავის მეორე ოთახში დააწვინა, ხელი დაადლო მოსარჩენათ.

ამააძრო ფისას თვალი და გაფხიკა ის თვლი, ჩაუსო სოვდაგარს. ერთი ავანტუროფი ყვანდა იმ ექიმს. მინამდისინ ის ავანტუროფი სულ დადღევდა, ერთი თვალი იმას ამააძრო, ამაილო და გაფხიკა, გაასუფთავა და ჩაუსო სოვდაგარს. გაანთავისუფლა ეს სოვდაგარი თვალეზიდან, მაარჩინა.

სოვდაგარი სახლში წამოიდა, შაკმაზა ერთი ცხენი, აუკიდა ერთი ხურ-ჯინი სამსე ოქროს ფულითა, უთხრა თავის მოჯამაგირეს: ეს კაცი უეჭველათ იპოვეო (გვარი, სახელი, სახლის ნუმერი ჩაუწერა ქალაქში).

სოვდაგარი რო წამოიდა, მაშინ უთხრა ექიმმა: თუ რამე შაატყე შენ თვალეფს უხეირობა, ისევ მოდი ჩემთანო.

მოჯამაგირე დაბრუნდა და შაახსენა: — კიდეც ვიპოვნეო, ფულიც მუუ-ტანეო.

ეხლა უთხრა თავის მოჯამაგირეფს სოვდაგარმა: — შამიბით „ლილეინ-კა“, უნდა გავიაროთო.

შაუბეს მოჯამაგირეებმა, საჭმელი ჩააწყეს, დასხდნენ და წავიდნენ. გა-ვიდნენ მინდორში. იმ მინდორში თავის სორუები იყო ბევრი. ის ერთი თვალი თავის სორუებისაკენ რჩებოდა, ერთი თვალით კი კარგათ ხედამდა. მივიდნენ ერთ გრილოში. გამაილეს თავიანთი საჭმელი, დასხდნენ და სადილი ჭამეს.

ჯავრათ ჩაყვა ის ერთი თვალი სოვდაგარს. წავიდნენ იმ ექიმთან. მოვიდ-ნენ და უთხრა ექიმსა: — ამ ერთი თვალიდანაო კარგათ ვხედამო, ეს ერთი თვალიო თავის სორუებისკენ მიმირბისო.

მერე ექიმმა უთხრა: — ეგ ერთი თვალი მე ჩავისვიო კატისაო. როცა მინდორში წახვიდეო, მაარიდეო ეგ ერთი თვალი თავგსაო. ხო იცი, რო კატას თავეები უყვარსო.

დასხდნენ და კაი (// კარგი) პური ჭამეს. გამაისტუმრა მაგ სიტყვით იმ ექიმმა. დადყაბულდა ის სოვდაგარი.

3. ილიას განაჩენი

ილია სუდათ იყო დუშეთში. ერთმა კაცმა ფული ასესხა მეორესა, მეო-რემ აღარ მისცა: როდის მომეციო, არ მოგიციაო.

იჩივლა ილიათან: — მინდორში მუხად ქვეშ მივეცი ფულიო და აღარ მაძლევსო.

ილიამ უთხრა ფული მიმცემსა: — წადი და იმ მუხი ტოტი მაიტანე, რომელთანაც ფული მიეცითო (წინ-წინ ნათქომი ჰქონდა: შინ წადი და აღარ მოხვიდეთ). ფულის წამლები ალოდინა, მერე უთხრა: — ამდენ ხანს იქიდან, სადაც ფული მოქცა, ვერ მოგვიდოდლო?

— კი, ბატონო, ორჯერაც უნდა მოსულიყო აქამდეთ.

იმით გატეხა, მოწამე არა-მყოლია და არაფერი უთხრა: — ფული მიეცითო, იმ კაც ჩაბარეთო, თორემ ციხეში ჩაჯდება და ფულსაც გადაიხდითო.

ი კაცმა მისცა ის ფული, გადაიხადა. მეტი გზა აღარა-მქონდა. გაიგო ილიამ, რო ტყუოდა, ემართა კია და არ აძლევდა.

4. მოჯამაგირობა

პატარა ვიყავი, მამაჩემ გავებუტე და გავექეცი. ავდექი, წაველი კახეთში, გზაც არ ვიცოდი, სხვას გავჰყევი. მიველ ერთ სოფელში. მითხრეს, რომა:

— ბიჭო, სადაური ხარ, რას დადიხარ?

— ობოლი ვარ, აქ გადმოსული ვარ, მოჯამაგირეთ უნა დავდგე.

მითხრეს: — ღვდელსაო მოჯამაგირე უნდაო.

ავდექი მეცა და მიველი ღვდელთანა. აგრე რომა ერთი კვირა, ორი კვირა იმასთან დავრჩი. იმის მეზობლები ტყეში მიდიოდნენ. ღვდელსაც ერთი ვირი და ერთი აქლემი ჰყვანდა. მეზობლებს უთხრა, რომა: რომ წახვიდეთო, შემატყობინეთო, მოჯამაგირე უნდა გაგაყოლოთო. როცა რომ მამალმა იყივლა, მაშინ მეზობლებმა დავგიძახეს. ღვდელმა მითხრა: ეგ ვირი და ეგ აქლემი წაიყვანეთ და მეზობლებს გაჰყევით, შეშა მოიტანეთ. მინამდი მე ავდექი და სემას ვქენი, ამხანაგებმა გამასწრეს. გაველი კარქა გზაზე, ვნახე, რომა ნაჯახიც შინ დამრჩომოდა. ვთქვი: „ეხლა რა ვქნა?“ ჩავარდი საფიქრებელში. დავაწვინე ეს აქლემი, ვირიც ზედ დავაბი, მე გამოვიქეცი შინა, ნაჯახი უნდა წავილო. მინამ მოველი აქლემთან და ვირთან, ვნახე, რომ აქლემი ამდგარიყო, ვირიც ზედ ჩამომხრჩვალყო. ეხლა ვთქვი: „ეხლა რა ვქნა? ღვდელთან ხო ვეღარ წავალ, წავიდე სადმე“.

იქიდან წამოველი. ვირსაც, ისემესა, აქლემსა, თავი გავანებე. მოველ ერთ სოფელში. ერთი მოურავი იყო უშვილო, იმასთან მიველი. იმ ან მითხრა: „შენ ჩემთან იყავი, როგორც რომ შვილი, ისრე შევინახო“. დავრჩი რამთენი ხანი იმასთან. მოურავი დაჰპატიჟეს მეზობლებმა. ადგნენ, მეემზადნენ ცოლი და ის მოურავი. მე მითხრეს, რომა: შენაო სახლზე თვალი დაიჭირეთ და ერთი ქათამი (კრუხები, წიწილები ჰყვანდა იმასა). ამ წიწილებზე ცალი თვალი დაიჭირეთო.

ადგნენ ისინი, ემ წიწილებზე თვალი მიჭირამ, წვრილი ჩემი ტოლი ბიჭები თამაშოდნენ. მე გული მამივიდა: „მეც წავალ, პატარა ხანი იქ ვითამაშამ“. ერთი ბაწარი ვიპოვე, წიწილები ერთმანეთზე გადავაბი, რომ არსად წავიდნენ-მეთქი. წამოვიდა ზევით[გ]ან ერთი ძერა, დაავლო ერთსა ბჭყალელები (// ბჭყალელები), როგორც ჩანჩუხა (ასხმული), ისრე წაილო. ეხლა დავიწყე ტირილი. ვთქვი: „ეხლა მოვა, ეხლა მომკლამს ის მოურავი. მოდი, მე წავიდე ისევ

შინა, თორე აქ მოჯამაგრობას მე ვერ გავსწევ“. გამოვიქცევი იქიდანა და პირდაპირ მოველი აქ, შინ.

5. ხალხური და ხალხურ-რელიგიური წეს-ჩვეულებანი

რო მოკვდება ადამიანი, იმას გადაუხდით ჯერ პირველათ ორმოცს, მერე წლისთავს. ორმოცამდინ მუდამ შაფათ, ჩვენ ვიცით წანდილის დარიგება, მერე ვიცით ჩვენა კორკოტი; კორკოტ მიუხარშამთ ჩვენა წყალკურთხევას (ახალწლის კვირის სწორზე) (კორკოტობა), — დავარიგებთ. მერე ყველიერში ვიცით თევდორობა. თევდორობის შაფათი რო დადგება, მაშინ დამარხვდება. იმ ღამეს (თევდ. შაფ.) სანთლებ ავანთებთ, საკმელ მოვაკმევთ, კორკოტ შევდგამთ, მთელი ღამე უნდა იხარშოს (უნდა გაინაღბოს); მეორე დილას ადრე ვარიგებთ, კენტი უნდა დარიგდეს (საერთოთ კვდარზე ყველაფერი კენტი უნდა იყოს; კენტი ცომი მაიზილება...; პატარა ბიჭის ორმოცზე 13 ცომი მოზილეს). ნათქვამიაო, რომაო, ბავები მიბავ-მობავეთო, მარცვალი მომინახეთო და კორკოტი მამიხარშეთო (მითომ მიცვალეზულს უთქვია); მითომ მადლიაო ეგ ყველაზე (უფრო); მერე ის (თევდორობის) მარხვა 7 კვირით იქნება თუ 9 კვირით (კენტი უნდა იყოს!), — გვიხსნილდება; ორშაფათიდან დაიწყება ხსნილი: შვიდი ფიცარიო, შვიდათ შეკრულიო, ან ღვდელი გახსნის, ან დიაკვანიო (მითომ წინათ ხო საყდარში ხსნილობდნენ). მარხვის მეშვიდე კვირას, დიდ ხუთშაფათს, ვიცით ჭიაკოკონობა, უნძრახობა, უნძრახი წყლის მოტანა; მეორე დღეს წითელი პარასკებია (ხმიადობა), შაფათი არაფერი და კვირას აღდგომაა. აღდგომა დღეს ხსნილდება.

სოფ. ფარცხისი

მიცვალეზულს ჯერ გადაუხდიან შვიდს (გარდაცვალეზიდან ითვლება); ხალხს დუძახებთ, საკლავი ვიცით, ცხვარს დაკვლამთ, საფლავზე იციან (გასვლა); მერე ორმოცს გადაუხდიან: საკლავი მეტია, ხარჯი მეტია; წლისთავზე კიდევ უფრო მეტი ხარჯია (იმიტომ, რო ყველაფერს იშორებს, მიცვალეზულის წესს: ყველა პატივი სცა, შავს იხდის).

კორკოტობა მოდის წელიწადში ორჯელ: ერთი წყალკურთხევას, მეორე — ყველიერში. ახალწლის კვირის სწორზე წყალკურთხევაა. წყალკურთხევიდან იწყება აღება: ზოგი წელია, — 7 კვირით არის აღება, ზოგ წელიწადს, — 9 კვირით. აღება რო მორჩება, მერე ყველიერი იწყება; ყველიერში ვიცით ქადები, საქანლების ჩამობმა, ლიხნები იცოდნენ, ჭიდაობა არი სპეციალური ყველიერისა; ერთი კვირა გრძელდება; კვირა სადამოს, ყველიერი რო დამთავრდება, აღებლამე ვიცით: სამი-ოთხი კომლი ახლო ნათესავები ერთმანეთს დაძჰპატიყებენ რომელიმე ოჯახში, იმ ღამეს კარგათ იქეიფებენ.

სოფ. საღრაშენი

6. ყეინობა

აღებლამის შემდეგ, ორშაფათი რო გათენდება, ყეინობა ვიცით: სოფელში დაივლიან უფრო მოთავე ახალგაზრდები, გამოჩინებული ხალხი. მოჰკრეფამენ ლობიოს, კარტოფილს, სისირს, ხახვს, სამარხოს და ვისიმე ეზოში სადმე სასოფლოთ („მთელი ხალხი“) იქეიფებენ. არ შეიძლებოდა, რო ყეინობას არ ექეიფათ. დასვამდნენ ყეინს, სოფელში ვინც უფრო ხელგამრჯე, ხელბარაქიანი იყო, რო იმ წელიწადს კარგი მოსავალი მოსულიყო. დილით, საცა საქეიფო ადგილი იყო, იქ უნდა დევსვათ ყეინი, გალიბანდი უნდა დაეხურათ და გარეშამო ბუმბულები გაეკეთებინათ. უნდა მჯდარიყო იქამდინ ის ყეინი, მინამ ახალგაზრდობა მოკრეფამდნენ მოსაკრეფს. ნაწილი იმის გასაკეთებლად დარჩებოდა ხალხი, რო სადილი დაემზადებინათ და ნაწილს კიდე უნდა წაეყვანათ ის ყეინი წყალზე და ჩაეგდოთ მდინარეში, უნდა ებანაგებინათ ისევე ტანისამოსიანათ; ახალგაზრდებიც ბანაობენ ხოლმე; ვინც არ იბანაგებდა, გამოჩენილი ახალგაზრდები, იმას გამოეკიდებოდნენ და უნდა ჩეეგდოთ წყალში, შენ რატო არ იბანაგეო, — იმ დროს ხო ციოდა! ის ბანაობა რო დამთავრდებოდა, დაბრუნდებოდნენ იმ ამოჩენილ ადგილას, საცა უნდა ექეიფნათ, დასხდებოდნენ სოფლიურათ და კაი დროს გაატარებდნენ იმ ღამით. იმ დღიდან იწყობა მარხვა. იმ დღეს ჯამ-ჭურჭელი უნდა დაირეცხოს ადუღებულ ნაცარწყალში, რო მთელი ცხიმი გამოსულიყო. სამშაფათიდან უკვე სუფთა მარხვა იწყებოდა 7 კვირის განმავლობაში. მერე დიდხუთშაფათი (მერე წითელი პარასკევი) და მერე აღდგომა.

სოფ. საღრაშენი

7. ძველი ამბავი

ეს მომხდარა ძველათ.

ერთი ბებერი კაცი მოსულა მამაჩემთან ქვაბების მკალავი, სახელათ ერქო ალია. ჰოდა, ერთ დროს გაუხდია პერანგი; მამაჩემს შეეხედნა უკანიდან ბეჭეფში. კისრიდან დაწყობილი კუდისუნამდე დაკერებული ჰქონია. შეეკითხა მამაჩემი:

— ალი, რათა გაქ ეგ დაკერებული ბეჭეზხოფ

— დაჯექი, პაპილო, გაიმბო! — უთხრა მან მამაჩემს და განაგძო: — ამუედი სოფელ წიწამურაში დავლის ასაღებათა, თანა მყვანდა ორი ვაჟიშვილი; ველოდით მგზავრსა, რო დაგვეჭირნა და ტყვეთ წაგვეყვანა. შავხედეთ და ზემოდან მოდის ერთი ბიჭი ცხენითა. ორლობეში რო მოიდა, გადმოხტა ცხენიდან, თოფსა და დამბაჩას საპირიწამლე გამოუცვალა, ხმალი ამიღო და ფხა უნახა. შეჯდა ცხენზე და წამოიდა ქალაქისაკენ. მე უთხარი ჩემ შვილებსა: „ეტყობა, რო ეგ ისეთი ვაჟკაცია, ცოცხლევს არ გაგვიშვეფს და დავანებოთ

თავი!“ გაუშვით, წავიდა. მეორე დღეს ამიარა ისევ, გაუშინჯა თოფსა და დამბაჩას საპირიწამლე წიწამურაში. რო ამიარა, შვილებმა მითხრეს: „ჩვენ სამნი ვართ, ეგ მარტოა, რაც იქნება, იქნება, უნდა გადავიდეთ!“ დაუხვდით წინა და დავიჭირეთ ცხენი. მაიხსნა თოფი, ჯერ ერთ შვილ დამცა, მამიკლა; მეორეს დამბაჩა დაახალა; ორივენი დამიხოცა. მე გავიქეცი და გამომიდგა ხმალდახმალ. მუხლი რო მომეჭრა, ბლუნვით შევუდექი აღმართს. მაშინ გამო-მკრა ხმალი გამოსმით კისრიდან კუდისუნამდე და გამიჭრა. მერე დამიჭირა და მოკვლას მიპირებდა. მე შევეხვეწე: „შვილები დამიხოცე და შენი ვაჟაკობის ამბავი ვილამ გადაიტანოს?!“ ადგა და ცალი ყური მამაჭრა. — ნიშნათ ეგ იყოსო.

იმაზე ჰქონდა დაკერებული ბეჭები.

იმათ ქვეყანაში თურმე არა ყოფილა წესი, რო უთხრას, რასაც მოუკლავენ. უნდა გათალოს, რამდენსაც მოუკლავენ, იმდენი ჯოხი, მიიტანოს და გადუყაროს კალთაში. იმით გაიგებენ, რამდენი ზარალი მიაყენეს.

იმან ორი თხილი ჯოხი მიიტანა და ცოლს გადაუყარა კალთაში. ცოლმა შამდრიალა: დამიღუპე შვილები განაო?!

სოფ. წინამძღვრიანთკარი (მცხეთის რ.)

8. ილიასთან

II თურ.	(და)-ვ-შლილ-იყავ-რ (და)-შლილ-იყავ-რ (და)-შლილ-იყვ-(ა)	(და)-ვ-შლილ-იყვ-ენ-ი-თ (და)-შლილ-იყვ-ენ-ი-თ (და)-შლილ-იყვ-ენ-ეს
III ნოლ.	(და)-ვ-შლილ-იყვ-ი-დ-რ (და)-შლილ-იყვ-ი-დ-რ (და)-შლილ-იყვ-ი-ს	(და)-ვ-შლილ-იყვ-ენ-ი-დ-ი-თ (და)-შლილ-იყვ-ენ-ი-დ-ი-თ (და)-შლილ-იყვ-ენ-ი-ან
III კავ.	(და)-ვ-შლილ-იყვ-(ა) (და)-შლილ-იყვ-(ა) (და)-შლილ-იყვ-ა-ს	(და)-ვ-შლილ-იყვ-ენ-ა-თ (და)-შლილ-იყვ-ენ-ა-თ (და)-შლილ-იყვ-ენ-ა-ნ

* დასტურდება როგორც -ა, ისე -ას დაბოლოება.

ძირითადი ლიტერატურა

- არაბული ავთ.**, მახვილი ხევსურულ დიალექტში; ქესს, V; თბ., 1981; გვ. 118-124.
- არაბული ავთ.**, მესამე ხოლმეობითი ხევსურულში; „ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები“, თბ., 1978.
- არაბული ავთ.**, S_2O_3 პირის ნიშანთა ჩვენებისათვის ხევსურულში ისტორიულ მონაცემებთან მიმართებით; ბ. ჯორბენაძის საზოგადოების V სამეცნიერო კონფ.; მასალ., 1999.
- არდოტელი ნ.**, კვლავ ორობითი რიცხვის შესახებ ხევსურულში; XXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესია, თელავი, მასალ., 2003.
- გოგოლაშვილი გ.**, მეორე კავშირებითის წარმოება ხევსურულში და მასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი; XX რესპ. დიალექტ. სესია; მასალ.; თბ., 2000.
- კიკნაძე ლ.**, ობიექტის მრავლობითობის გამოხატვა ზმნაში ხევსურულში; თსუ ძვ. ქართული ენის კათედრის შრომები, 27; თბ., 1988.
- მაკალათია ფ.**, სიტყვათწარმოება ხევსურულში; თსუ სტუდ. XIX სამეცნ. კონფ.; თეზ.; თბ., 1957, 16/IV - 22/ IV.
- როგავა მ., მეტრეველი თ.**, ახალი მასალები ორობითი რიცხვის საკითხისათვის ხევსურულში, თსუ ძვ. ქართ. ენის კათედრის შრომები, ტ. 19, თბ., 1976.
- შანიძე ა.**, ქართული კილოები მთაში. — პეტროგრადის უნივერსიტეტის „ქართული სამეცნიერო წრის კრებული“, თბ., 1915.
- შანიძე ა.**, (ბესარიონ გაბუურის) ხევსურული მასალის გამო (რედაქტორისაგან); ქართული საენათ. საზ.-ის „წელიწდეული“, I-II, ტფ., 1923-1924.
- შანიძე ა.**, ორობითი რიცხვის საკითხისათვის ხევსურულში, თსუ ფილოლ. ფაკ. სამეც. სესია, თეზისები, 1967 წ. აპრილი.
- ჭინჭარაული აღ.**, სამეტყველო კოდების შერევის ზოგი საკითხი ხევსურულ დიალექტში; ქართვ. მემკვ., III, ქუთაისი, 1999.
- ჭინჭარაული აღ.**, ხევსურული დიალექტი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში; „ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული“, თსუ; თბ., 1966.
- ჭინჭარაული აღ.**, ხევსურულის თავისებურებანი (ტექსტებითა და ინდექსით); (ენათმეცნიერების ინსტიტუტი; საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა); თბ., 1960;
- ჯორბენაძე ბ.**, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

მეტყველების ნიმუშები

1. ხეცსურული ფრაზები (ა.ჭ. 341)

- ძველებ ამბებ რა გეცოდინების, გოთუავ, ვერას მიაამბობა?
- აღარა მანსონსა-ლ, გადაყამყრული კაცრ-ორ. დაბერებული... თვალთა ყოფილ კაცისა გონიც...
- ვითაის წლისა იქნებ ეხლა?
- ვერ ვიცნ, სამოცდაათისარ-ორა, დიდ რაი(თ) ვიქნებ კიდევაც.
- ჯავმატელთაზე არა იყვა საქებ, ძველებურ სიმღერე?
- არა მგონდების, სრუყველა დამცილდ... სრუ გადამცილდ ეხლა, არა-ფერს არ ვგონულობ, არც ფშაურსა და არც ჯეცსურულს... ქოოც იმკების ეხლა ბარში ყანები?
- მაშა! გაილეწ კიდევაც.
- სეტყვა, ისეებ ხო არცად-რა იყვ?
- არ, ჩემ იქ ყოფაჩი კი არცად-რა ყოფილ.
- სად ვხყრიორთ, სად? რას ვაკეთებთ აქ?

სოფ. ჯავმატი

2. ბერუაიშვილ გაგა (ა.ჭ. 372-373)

მშაველ-ჯეცსურთ ჯარ წასულ ტერელოს ჯოჯიდ-ტებულოსას. მაშინ ისეთ წეს ხქონიარის, რომა დედისერთა არ უშობავის თარეში. აქ ჩვენებურ ყოფილ ბერუაიშვილ გაგა. ის დედისერთა ყოფილ. ისიც წასულ, მაგრემა მაშინ წესად ხქონივ: დროშან უყუდებიან ერცხვისადა და აი(მ) დროშათ ძირზე უშობავ თარეში. აწუნტას რო შამჯდარან, იქ დაუყუდებიან დროშანი და ერთ მშაველ გამძვრალ წინ-წინაზედა და გაქცეულ პირ-თავქე ქვიშათას. მაშინ თარეში წინ-წინ ჯელ-მუჯლიან ხალხ უშობავ: იმათ ცხვარ-საქონ უნდა ამებრუნა-და მემრ მივიდოდ სხვა ლაშქარიც...

იმას ვამბობდი... „გაიქცავ აი(ს) მშაველივ, მალნაწინწლდავ აი(მ) ქვიშათაო' ყველამ გაიკვირავ. ბერუაიშვილ გემშადავ დროშათ ძირჩი გასაძრომადავ — არ გაუშვესავ, კიდევ გემშადავ — არ გაუშვესავ: „არ შაიძლებავ, შენავ დედისერთა ხარივ“. მესამედ რო გემშადაო' არ გაუშვესავ, ზედ გადახფრინდავ აი(მ) დროშათავ. „აი, მამაძაღლო ბერუაის შვილო, — თქვესავ მშაველებმავ. — გაქებდესაო-და ყოფილხარიცავ“: „ისივ აი(მ) მშაველზე უფრო ჩქარა გაიქცავ“ — იმით მასწონებევ.

მაშინა მაუკლავ ი ბერუაიშვილრ. იმაზე სიმღერენიც არიანა-და ჯმითნატირალიც-ა, ცოლის ნატირალრ. წინას მატირალს უტირებავ:

ბრალია, შენმა არ სიკვდილმაო...

მემრ ცოლს უტირებავ:

მაკვდა, ქვე რალა „არ სიკვდილმაო?“

მე გავზდი მამიდაიშვილსაო:
 დადგება შენსა ნადგომჩიო,
 აისხამს შენთა იარაღთაო.
 დედა ვაცხონე ვაჟისაიო
 შენდა ლიშნისა დამდებისიო.
 არ-გასამარჯვებს აჩარელსაო
 თოფის ლიშნჩი ამასვლიყვაო;
 ტყვიასა გასაოჯრებელსაო
 ყაწიმი ორივ გეეგლიჯაო...
 მაგვწყინდა შენი მალოდინიო, —
 თოლმ დაიჭირა ხიდოტანიო...

სიმღერენიც არიან ბერუაიშვილის სიკვდილზე ნათქვამნი:
 ხახაბოს რა ამბავია? იხევა მიწა პყარია,
 იხოშებთან დედანი, ქალებმ დაიჭრნეს თმანია.
 აღარ მავიდა გაგაი, ჩამლას რო იყვა ჯარია.
 გაწირა ბერი ბიძაი, არ ხქონდა ომის ჯანია...
 ახლებსა ხახაიებსა რად უნდა საუბარია?
 იკიავ, შენა-ვ გაუძველ, შენა-ვ გიხედვენ სხვანია.
 შამადის ხიდოტანზედა ქორ-შავარდნების ჯარია,
 შამაჯდეს აწუნტაზედა, ხთისა აჯსენეს ძალია: —
 ჯერა ე(ს) თავის ხთიშვილი, მემრე ლაშარის ჯვარია:
 „რაჯელიც გაგვემარჯვება, აისთა მაგვეც დარია“.
 დასხდეს, დაგროვდეს მთაზედა, დიდ ხქონდა საუბარია:
 ზოგებმ თქვეს: „ჩამლას წავიდათ, აიქ გვიკიდავ ვალია“,
 ზოგებმ თქვეს: — „ქაჩუ-ქერიგოს, აიქ უფრო დის მგზავრია“.
 ადგნესავ, გვემართნესავ, არხუს დაუკრნეს გზანია.
 მაუვა საქანისტელი, ირემმ მაიღნა რქანია.
 ეუბნებიან ერთურთსა: „ყოფილა შასადარია,
 ამაგას ნულარ გაუტევეთ, თორე დაგვ(გ)მობენ სხვანია“...
 შილინდ იქნ არხუს ჭალასა, ხვიოდა მთა და ბარია,
 ქისტმ სიტყვა შამაუქცია: „ვისა მეკიდა ვალია?“
 იკია ეუბნებოდა: „აღარ დავიდვათ ბრალია,
 მე ენით ავეკიდები, თქვენა-ლ აართვით მჯარია“.
 ბრალია იკურაისად — თოფმ დაუმტვრია ტალია.
 ლაგაზმა მანგიათამა ქორმა დაშალნა მჯარნია.
 სამუკა შიშნიათაი არწივრ მემომარია,
 ჯელი გაიკრა ხანჯარსა, არ მიუსწრობენ სხვანია.
 მაბრუნდეს ნასახელარნი, ფეჯსქვეთ გაიგეს მკვდარია.
 ყომასტოს ყორნებ აძრახდა, დაბლა დაუშვნეს მჯარნია,
 ჯერ კი ჩაითვრნეს სისხლითა, მემრე ცომა ხრეს ძვალთა.

დალოცეს თოფის დამკრავი, მემრ — მზირთა წინამძღვარია.
 მადიან საშინაოდა, მაუხარიან გზანია;
 მაუყვანავის გაგაი, საფეხნოს იჯდა ჯარია,
 აწიეს თემი, სოფელი, საკარგემო დაკლეს ცხვარია.

სოფ. ხახაბო

3. აკვანთან სამღერი ლექსები (ა.ჭ. 417-418)

* * *

ეყე, ნანო ქალასაო (// ვაჟასაო)
 სამკალთ გაჩენილასაო,
 ეკლის მშვილდ-ისარათაო,
 ბამბის თხორის გულასაო.
 ტრედნი ციხეს ღულუნებენ:
 „ანგელოზნი ქალასაო (// ვაჟასაო)!“

სოფ. შატილი

* * *

ბაბაარეო, ბაბაარეო,
 შენ რო ცხენი მამპაარეო,
 ქალაქ წამაგიყვანავის,
 გაბარგული მამგვარეო.

სოფ. შატილი

* * *

აჩო, აჩო, ცხენო,
 წყალსა გაგვასხენო.
 თუა გაგვასხენო,
 ოქროთ გაგლესვენო.
 თუ არ გაგვასხენო,
 ოჯრად დაგარჩენო.

აჩო, აჩო, ცხენო,
 წყალსა გაგვასხენო,
 ალაზანი დიდია,
 შიგ ბებერი ხყუდია,
 პური ვსთხოვთ, არ გვაჭმია,
 ჩვენი ცოდვამც ხკიდია.

სოფ. ბარისავო

* * *

ჩიტი ჩამატიროდა
 ჩიკრიკისა მთაზედა:

„ვაი ჩემთა ბუდეთა,
თიბა-სამკლობისათა,
შიგ მამჩალთა წიწილთა,
სამის კვირაისათა!“

სოფ. შატილი

* * *

ჩიტი იძახს: „წიო,
კალოს პირჩი ვძიო,
მარცვალაებს ვკრეფო,
კუჭმეჭაჩი ვყრიო.
წისვქილ მივალ, წისქვილს ვფქავა,
მაგილება, ვცრიო,
ქალაებსა ქვე ვაჭმევა,
ვაქებს კარჩი ვყრიო“.

სოფ. შატილი

4. ხმით ნატირლები (ა.ჭ. 423, 425)

აპარეკაო, მამეწონეო,
გავანცდი, გავაზარენ კაცნიო.
გამაგარჩიე სასიძოდაო.
დას მაგცემ, არ მაიყვანაეო
საყურიანსა, ვერცხლიანსაო?
შენ თვალთ ენაცვლას საძილაიო!
მთაჩი ჩივილით არ შახვდათაო,
მთის ქოჩნი „ამინ“-ს დაგიცემენტო.
რად ენდობოდით ურიათაო,
ქისტისპირელთა, ბუსურბანთაო?

სოფ. გიორწმიდა

შატილიონთამც ვენაცვლებიო
ლეგათ ჩოჯათა, წყემსის ქუდთაო,
ფარაგჩი ჩხირჩამაგდებულთაო.
სიკვდილო, დაგერღვივნეს გზანიო,
როსიდგ ეტოლე ფეხვნის გვერდსაო,
ვაქების თვალთ საჭერლადაო,
ნარჩევ-ნარჩევის საჯოცლადაო?
ზოგ მზორს ზიდავდეს ალაქოთაო,
ზოგსა ჭანთეთით, ტერელოთაო,
იქავ ყველაის სალანძღავთაო...

სოფ. შატილი

5. ცოცხლის დატირება (ა.ჭ. 429-431)

ორნ ყოფილან: ერთ კოკოთა ყოფილ, ჯავახა ხქვივნებივ, მეორე ბადურ-რიკათა ყოფილ, ამა(გ) ქვენათა ქვე ყოფილ, აძიკათ რო ეძახდეს, მაგათა, რაირა ექვივინ, ის კი არ მავსონს. ლაშქარ დასცემივ შატისს, მუშას დასცემია, არ ვიცნ, ზულაეს კი დასცემი ლაშქარნ. ი კოკოთა ჯავახანი' ბადურრიკათ კაც ორნივ კეებ ვაშკაცებ ყოფილანა' ერთურთს დაღმუქრებიან: „მია-ღ'-მე გაჯობნე-ბავ ლაშქროაჩიავ“.

კოკოთ კაცს ჯარათეს გასტყდომი ვმა, იქით გამაქცეულ. ბადურრიკათ კაც კი არ ვიც, საით გაქცეულ. ღუბის-თავ ვისა-მ მაუკლავ ერთ ქისტნ, გამარიკა ხქვივნებნ; არ ვი(ც), ვის მაუკლავ. ი კოკოთ კაცი' ბადურრიკათ კაც დაქცეულან ერცხვის მემჯობიას, მაკლულის ასაკაფავად. ბადურრიკათ კაცმ თქვაევ მემრავ: „ჩამავალ ვმალ ჩემიო' ამამავალ ჯავახანისაივ ერთა(ღ) შაიყარნესავ, იმოდნით მიმისწვრავ“.

კოკოთ კაცს უცავ ვმლითა' გამაქცეულ. ბადურრიკათა ცოტაად შავგვიანებულ. „სისხლიან ვმალ წამაუწმედავავ ბალახთადავ — ქვე იცოდის ჩემ ძმამ მიხამა' — მაში(ნ) დავგვიანებულავ ცოტადავ“. აიმ დროს დაუკრავ ქისტებს ზურგჩი თოფი. მიბრუნვილ ჯავახანი' მაუკიდებავ ზურგთა(ღ) დაჭრილი' გამაუქცევაევ. გამაზღვომიან უკენ ქისტებნ. ჯავახას დაუსმავ ამხანიგი' მიუთოფიან. კიდევ გამაუქცევაევ, ახლა კლო მიუთოფიანა' გამაუხწევაევ.

შინ რო მაუყვანავ, ძალიე(ნ) მარჯე(ღ) ყოფილ, სულის-ჭირვეულ ყოფილ ისნ. კა ვმითმატირალ ყოფილ ჩიათ თამარნ, ის მისულ მასავლელად. დაუწყავ ხვეწნა [დაჭრილს]: „მე ხო ვკვდებიო' ევხლა მიტირევ, მკვდარს ხო აღარა მამე-ღინებისავ. რას მიტირებავ, მინდავ, რო გავიგონავ“. უტირავ ჩიათ თამარს:

საყურრიკათით მადის გმინიო,
წუხად ხყავ კმარუაის შვილიო,
ურჩო უჭირსა სატკივარიო,
მოკლიას ამაუდის სულიო.
მდევართ წინ რად მიღმეტღებოდიო?
„დედისერთა ვარ“ — რად არ სთქვიდიო?
მეშველაობით ვინ იძახდაო?
ქალ-ზალიც არ მიუდიოდაო.
მე გიყავ ძალღმა, კუდიანმაო,
მე გაგაღვიძე მძინარეიო.

იმად ნათქვამნ, რო: „იმასაც არვინ იძახდავ, „მიშველეთავ“, ქალ-ზალიც არავის მიუდიოდავ ტყვედავ, რაად მიზღვედივ ლაშქართავ?“

მემრ მამკვდარ ი კოკოთაიცი — თათართ ჯავახა. ისიც უტირავ, აიმ ჩიათ თამარსა-ვ უტირავა თუ სხვას ვის უტირავ, ის კი არ ვიცნ:

აღე, შე თათართ ჯავახაო,
მე შენი უფრო მამდის გულსაო.

ჳმა რო გაგიტყდა ჳარათესაო,
 ჳულაის წვერი გადიარეო,
 გადაიზინკლე ლუბის-თავაო,
 ნასახელარი ამალბრუნდიო.
 ვენაცვლე შენთა სათავგვეთაო,
 ჳედა ნაკრავთა სამკლავვეთაო,
 გამარიკაის ამკაფავთაო.

სოფ. შატილი

6. ხოგაის მინდის ამბავნი (ქართ. დიალ. 16-18)

ხოგაის მინდი არხოტიონ ყოფილას, ამლიონი. იმათ ნასახლარებ ეხლადაც ას საბეკურისკართ. ერთხან ლეკებს წაუყვანავ ტყვედ.

— წინ-წინავ — თქვისავ ხოგაის მინდიმავ — თვალნ ამიხვიენესავ: გზა არ ნახასავ. მავლიესავ აისეთაივ. მეცხრეს მთას რო გარდავვიეთავ, ამაში მამჳსნესავ სახვიელივ. სოფელში მიმიყვანესავ. ჩემსავით ტყვეებ ხყვანიყვავ იქაცავ. ქრისტიანების ჳორცს შჳამდესავ. ჳელებჳედაო-დ' თავჳედავ დაბ შამავგაკრიანავ იმის გასავგოდავ, თუ ვითას მავიმატებდილითავ. ერთ ქალ რაიმ ხყვანდავ. ისრ გეესუქავ, რომავ აი დაბივ ქოლიოდ ჩამჳდარიყვავ ჳორცშიავ. წავგასხნიანავ მთაჳედაო-დ' გველებს გვაჳერივებდიანავ. მემრავ აიმეებისას წამლებს რასამ აკეთებდიანავ. ერთხანისაევ მიაც წავვედივ, ერთ გველ დავიჳირეთავ. ყელჳედავ თეთრ კრაველ ესხავ. შინ რო მავედითავ, აი მსუქან ქალ ჩამეეკიდავ ჳერჩიაო-დ' ძირ-შიით ვარცლებ მიედგავ. ხკრნიანავ საორცხალნიო-დ' გაასხისავ სისხლივ. ისრ შამჳულდავ სიცოცხლიო-დ' სმა-ჳამაივ, რო თავის მაკვლა გადავსწყვიტევ.

ამდგარას ეს ხოგაის მინდიო-დ' შასულას ხაზაინის ცოლსთან, რომენიც გველებისგან წამლებს ამზადებდ. კრავლიან გველ დეეკლა-დ' სისხლის წვეთებ დაცემულიყვ ქაზდარზედ.

— შამატყვავ, — თქვისავ ხოგაის მინდიმავ, — რომავ სისხლის შალოკვა მინდოდავ. გამაიარაო-დ' ფეჳ წაუსვავ ი სისხლის წვეთებსავ. ერთ წვეთ იყვისავ იქითი დაცემულიო-დ' ის კი ვერ ნახავ. გავიდავ კარჩიაო-დ' შავლოკევ მიაცავ.

იმის შალოკვაი-დ' სიცხის მიცემა ერთ ყოფილას. შამასულ დიაცი-დ' უნახავ ხოგაის მინდი. გაუგავ, რაიც ქნა.

— მეცხრე ლოგინჳე რო დამაწვინესავ, გონ ამჳდაო-დ' აღარას ვიგებდი-დივ. გონთ რო მავედივ, ილლიაის ძირნ ჩამამსივებიყვნესავ. გავიჳერიო-დ' ტილ გადმაიშალავ. კაცსავ ტილ ყოფილამ ამძიმებსავ. ისრ დავზუბუქდივ, რომავ რახანისა ჳიდჳე გავვდიდივ, ჩოჳის კალთაჩი ქვებ ჩავისხიდივ, — წყალში არ გადამავდასავ ქარმავ.

სრუყველაის ენა მიზდენივ. გაპარვა გადაუწყვეტავა-დ' გაქცეულ. გაზდევნებვიანა-დ' დაუჳერავ.

— ისრ მცესავ, რო ტყავ გამაძვრინესავ.

მეორედ გაქცეულ.

— ჯიღზე რო მივედივ, ნაცარ დეეყარავ ზედავ. გავიგვივ, რო ჩემდ იყავ დაცრილივ. კოჭუკულმ გავიარე: იქით მასულ რო ვინ ღგონებოყავ, იმადავ. დილათენების ხან იყავ, რო ტყეჩი მივედივ. ერთ ტყეთ ძირჩი დავიმაღე. მიძევიდინავ. ჯიღსთანამდი მახვიანავ კვალსაო-დ' მემრ დაიკარგისავ.

უვლავა-დ' ერთ სოფელჩი რაშიამ მისულას.

— თითის სიგძიებ კაცებ იყვნესავ. ჩემ ნახვაზე მაიქცნესავ დაშინებულეზივ. მემრ მავიდესავ, მამართვესავ საჭმელ რაიმავ. წუხრიხან დაიწყესავ ნაფოტებისაიო-დ' წიწკების ზიდვაივ. აგებდინავ რასამავ.

— რას შჩადითავ მაგასავ? — უკითხავ ხოგაის მინდის.

— დღესწუხრ ლაშქარ დავვეცემისავ სვავებისაივ, კაჭკაჭებისაივ, ჭკეები-საივ, წეროებისაიო-დ' სხვებისაივ.

— აბა, ნუ გეშინისთავ! — უთქომ ხოგაის მინდის.

დაუკეთებიან მშვილდ-ისარნი-დ' დამჯდარას. შალამდავ კიაო-დ' მავიდავ ფრინველივ. გაუბრუნებავ ხოგაის მინდის სრუყველაი, ისრ რო ერთივ არვინ მაუკვლევა.

— მამეხვიენესავ, დამიწყესავ კოცნაივ: — შენ ხარავ ჩვენ ღმერთივ! — მეუბნებოდინავ.

ერთა კანდლაკაცუა იყვისავ, თვალგამათხრილაივ: — ვერ მიცნობაევ, მი-ნდიო? — მითხრა.

— ვერავ, — უთხარივ.

— აღარ გავსონსავ, თვალ რო გამამთხარე საბეკურისკარავ? მიავ გუგუტა (= გუგული) ორავ, ჩვენავ ყველან გუგუტეებ ორთავ, აგერაილევ მთა რო ჩინსავ, იმის იქითი ჩიტებად ვიქცევითაო-დ' აქათი კაცებადავ.

— აბალევ, — უთხარივ, — თუ ამლა იცივ, სად ასავ, წამიყვანევ!

გახყოლივ ე გუგუტაი. მთასთან რო მისულან, უთქომ, რომავ:

— ეეს მთა ნაცრისარ-ასავ. მთხილა იარევ, თორე ჩეეშჭობივ. მიავ ჩიტად ვიქცევიო-დ' ჯმაზე მამყვიდივ.

რაველც იქნებოდ, გადაუვლავ მთაი-დ' მიუყვანავ გუგუტას ამლას.

ხოგაის მინდი დედისერთა ყოფილ. ცოლივ მაუყვანავ. სრუყველაის ენა მისდიოდისავ.

— ნეტაინავ, — თქვისავ, — გაგავგონათავ, რას ამბობენავ ბალახნივ, როსაც დავდითავ: რაად მამიჯებავ ფეწსავ, მიაც ხო ახალგაზდარ — ორავ, განა მე არ მინდავ სიცოცხლეივ?! ყანის პირშიავ რო ბალახ ესწებისავ, აისივ ქვი-თინებსავ: მიაც მამეკითავ, ზამთარ მამისწრობსავ, დამაზრობსავ, ნუ გამწირავ-თავ. ხეებს რო ვშჭრითავ, რაველ საყურებიავ, დაიწყებენავ ქვითინსავ: რაად მჭრიავ, მტკიავ, რად არ გებრალეზივ, რაველ გულრ-გაქეთავ კაცთავ? ქვას რო ვისრეეთავ ყანაჩიითავ, დაიწყებსავ წივილსავ: ქვეც დავვეცემიო-დ' მეტკივნები-სავ. რაად მისრეევა? ახლა სხვებ დაიწყებენავ: მე მამხვდებისავ. საქონს რო დავხკარავთაო-დ' დაიზმუვლებსავ, ამაში ამბობსავ, ტირისავ.

— ბალახნივ თაო ამბობენავ: მიავ ეემის წამალრ-ორავ, ეემას მავარჩენავ, გამამიყენევ. გველ რო გამაგიდგებისთავ, სწორზე უნდა გაექცათავ, აღმაზე-

დაო-დ' დაღმაზედავ ისარსავით მიდისავ. წყალს უნდა გახტათაო-დ' ველარ გაიგებსავ გზასავ, იმადავ რო თქვენ მნახავ წყალ ქვე ჩაივლისაო-დ' სხვა იმას ეტყვისავ: არვინ მინახავავ.

არც მკიდავ, არც შეშას შჭრიდავ, იყვავ ევგრავ ღარიბადავ. დიაც ასტეხივავ, რომავ არას აკეთებავ. სძეხარავ შინავ ტყუილადავ. შაუცდენავაო-დ' მინდისავ შეშა მაუჭრავავ. ამაში კი დახკარგვივავ გაგებავ ბალახთ ენისავ, ყოფილავ საცოდავადავ. მემრ ჯარში წაუყვანავის ძალად. მინდის ველარა გაუგავ, გამამხტარ ციხეშიითა-დ' მამკვდარ.

7. ანდაზები, აფორიზმები (ა.ჭ. 436-437)

- — ალაღივ არამთ საფარივ.
- არ დაავდებს გვარი გვარსა, წყალი — თავის ნამდინარსა.
- „არა ვიცი“ სთქვიდიო' გასვენებით ჟღიდივ.
- არმინდამა არ ჭამაო, —
ცხრა ხინკალი შაჭამაო.
- არაყს უთქვამ: „მეჩქარისადავ ჯელ გამამბიეთაო' მემრავ მე ვიცევ!“
- აქით დავსციდი მთიბელთაო,
იქით მესადილეთაო.
- აჩქარებულ წყალივ წყალს გაცდომიავ.
- ახალზალსავ ავღრიან დღეივ დილა ეგონისავ.

- ბურმის ქვეყანაჩიავ ცინთვალსავ ორთვალად ხედავდიანავ.
- ბერო კაცო, ნუ ახყევი ყმაწვილების ხუმარასა,
ძალღებია ყმაწვილები, ჩამაგაცმენ ტუმარასა.
- გაგამ თქვაევ: „კა ქალ მინდავ!“
კა ქალმ თქვაევ: „გაგა არ მინდავ!“
- გამასავალ წიწილაივ კვერცხჩიავ იწივლებსავ.
- გველის ნაკბენსავ იმო წამალივ,
იმოს ნაკბენსავ — მიწა წამალივ.

- დაღევის წელსავ ჯინჯველასავ მჯარნ გამეემბნიანავ.
- დამავ დასავ საცერ აუფარავ: „რაველც შენ მხედავავ, აისრ მიავ“.
- დაჩვეულ მელაივ აიმ კვალზედა-ვ ჩარბოდისავ.
- დედის წინ მავალ კიცვსავ ფეჟ მასტეხიავ.
- დიაც-ყმაწვილის გაზდილივ საჯარე ჯბოიცი არ ვარგავ.
- დიდ სვენებაივ დიდ ვირის ბარგაივ.

- ერთ კაცობდავ, — სხვა გაცოფდავ.
- ერთმ რო გითხრასავ, — არაიავ, ორმ რო გითხრასავ, — თვალთავ
ჯელ აიფარევ.

- ეტყოდინ ქალასაო,
ასმენდიან ზალასაო.
- ეშამავ ეშმას უთხრავ: — „კოჭუკუღმართო!“ „— რაად მითხარი?“
„— წინ დამასწრობდივ“.

- ვაის გავეჭეცივ, უის შავეჭეცივ.
- ვინც ლოცავ, — იმან კოცნავ.
- ვინც ქალშიავ, — ის ვმალშიავ.
- ვინც ჭამდავ, — ჭაბუკობდავ.
- ვირმა ნარნი დათხარნაო,
იქავ თავად დაჭამნაო.
- ვისაც უფროსისა არ ესმისავ, იმის ვენავს არ ესხმისავ.
- ზედ-მიმტანესავ სუდარივ ჯიბაჩი უნდა ედვასავ.

ტექსტები გადმობეჭდილია: 6 — ქართული დიალექტოლოგია, I, 1961; 1-4, 5, 7 — ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, 1960

ზეზვა ქავთარაძე

ფშაური კილო
ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები
ს ა ხ ე ლ ი ს ბ რ უ ნ ე ბ ა
თანხმოვანფუძიანი

	ფუძეკუმშვადი		
სახ.	მგელ-Ø ი	მგლ-ებ-Ø ი	მგელ-ნ-Ø ი
მოთხ.	მგელ-მ მა მან	მგლ-ებ-მ მა *მან	მგელ-თ
მიც.	მგელ-ს სა	მგლ-ებ-ს სა	მგელ-თ
ნათ.	მგლ-ის ისა ისი	მგლ-ებ-ის ისა ისი	მგელ-თ(ი)
მოქმ.	მგლ-ით ითა	მგლ-ებ-ით ითა	—
ვით.	მგლ-ად ადა	მგლ-ებ-ად ადა	—
წოდ.	მგელ-ო	მგლ-ებ-ო	მგელ-ნ-ო

	ინმარება მხ. რ.-ის მნიშვნელობით	
სახ.	არაყა-ნ-Ø ი	წყალ-ნ-Ø ი
მოთხ.	არაყა-თ	წყალ-თ
მიც.	არაყ-თ	წყალ-თ
ნათ.	არაყ-თ(ი)	წყალ-თ(ი)
მოქმ.	—	—
ვით.	—	—
წოდ.	არაყა-ნ-ო	წყალ-ნ-ო

სახ.	ტიალ-Ø ი	ტივლ-ებ-Ø ი
მოთხ.	ტიალ-მ მა	ტივლ-ებ-მ მა
მიც.	ტიალ-ს სა	ტივლ-ებ-ს სა
ნათ.	ტიალ- } ის ისა ისი ტივლ- }	ტივლ-ებ-ის ისა ისი
მოქმ.	ტიალ- } ით ითა ტივლ- }	ტივლ-ებ-ით ითა
ვით.	ტიალ- } ად ადა ტივლ- }	ტივლ-ებ-ად ადა
წოდ.	ტიალ-ო	ტივლ-ებ-ო

	ძველი მრავლ. რ.	მხ. რ.-ის მნიშვნელობით იხმარება
სახ.	ბალახ-ნ-ი	ხურჯინ-ნ-ი
მოთხ.	ბალახ-თ	ხურჯინ-თ
მიც.	ბალახ-თ	ხურჯინ-თ
ნათ.	ბალახ-თ(ი)	ხურჯინ-თ(ი)
მოქმ.	—	—
ვით.	—	—
წოდ.	ბალახ-ნ-ო	ხურჯინ-ნ-ო

ფუძეუკუმშველი

სახ.	ზაფხულ-Ø ი	ზაფხულ-ებ-Ø ი
მოთხ.	ზაფხულ-მ მა	ზაფხულ-ებ-მ მა
მიც.	ზაფხულ-Ø სა ს	ზაფხულ-ებ-ს სა
ნათ.	ზაფხულ-ის ისა ისი	ზაფხულ-ებ-ის ისა ისი
მოქმ.	ზაფხულ-ით ითა	ზაფხულ-ებ-ით ითა
ვით.	ზაფხულ-ად ადა	ზაფხულ-ებ-ად ადა
წოდ.	ზაფხულ-ო	ზაფხულ-ებ-ო

ხმოვანფუძიანი

	კვეცადი (-ა ფუძიანი)	
სახ.	მამა-ი	მამ-ებ-Ø ი
მოთხ.	მამა-მ მა მან	მამ-ებ-მ მა *მან
მიც.	მამა-ს სა	მამ-ებ-ს სა
ნათ.	მამა-ის ისა ისი	მამ-ებ-ის ისა ისი
მოქმ.	მამა-ით ითა	მამ-ებ-ით- ითა
ვით.	მამა-დ ად ადა	მამ-ებ-ად ადა
წოდ.	მამა-ვ ო	მამ-ებ-ო
	კვეცადი (-ე ფუძიანი)	
სახ.	ტყვე-Ø ი	ტყვე-ებ-Ø ი
მოთხ.	ტყვე-მ მა	ტყვე-ებ-მ მა
მიც.	ტყვე-ს სა	ტყვე-ებ-ს სა
ნათ.	ტყვე-ის ისა ისი	ტყვე-ებ-ის ისა ისი
მოქმ.	ტყვე-ით ითა	ტყვე-ებ-ით ითა
ვით.	ტყვე-დ და	ტყვე-ებ-ად ადა
წოდ.	ტყვე-ო ვ	ტყვე-ებ-ო

ინმარება მხ. რიცხვის მნიშვნელობით		ინმარება მხ. რიცხვის მნიშვნელობით	
სახ.	ღოვ-ნ-ი	სახ.	აბჯარ-ნ-ი
მოთხ.	ღოვ-თ	მოთხ.	აბჯარ-თ
მიც.	ღოვ-თ	მიც.	აბჯარ-თ
ნათ.	ღოვ-თ(ი)	ნათ.	აბჯარ-თ(ი)
მოქმ.	—	მოქმ.	—
ვით.	—	ვით.	—
წოდ.	ღოვ-ნ-ო	წოდ.	აბჯარ-ნ-ო

უკვეცელი (-ო ფუძიანი)		
სახ.	ორმო-Ø ი	ორმო-ებ-Ø ი
მოთხ.	ორმო-მ მა	ორმო-ებ-მ მა
მიც.	ორმო-ს სა	ორმო-ებ-ს სა
ნათ.	ორმო-სი	ორმო-ებ-ის ისა ისი
მოქმ.	ორმო-თი	ორმო-ებ-ით ითა
ვით.	ორმო-დ და	ორმო-ებ-ად ადა
წოდ.	ორმო-ვ	ორმო-ებ-ო

უკვეცელი (-უ ფუძიანი)		
სახ.	ბუ(ვ)-Ø ი	ბუ(ვ)-ებ-Ø ი
მოთხ.	ბუ(ვ)-მ მა	ბუ(ვ)-ებ-მ მა
მიც.	ბუ(ვ)-ს სა	ბუ(ვ)-ებ-ს სა
ნათ.	ბუ(ვ)-ის ისა ისი	ბუ(ვ)-ებ-ის ისა ისი
მოქმ.	ბუ(ვ)-ით ითა	ბუ(ვ)-ებ-ით ითა
ვით.	ბუ(ვ)-ად ადა	ბუ(ვ)-ებ-ად ადა
წოდ.	ბუ(ვ)-ო	ბუ(ვ)-ებ-ო

კუმშვად-კვეცადი		
სახ.	ქვეყანა-Ø ი	ქვეყნ-ებ-Ø ი
მოთხ.	ქვეყანა-მ მა	ქვეყნ-ებ-მ მა
მიც.	ქვეყანა-ს სა	ქვეყნ-ებ-ს სა
ნათ.	ქვეყნ-ის ისა ისი	ქვეყნ-ებ-ის ისა ისი
მოქმ.	ქვეყნ-ით ითა ითი	ქვეყნ-ებ-ით ითა ითი
ვით.	ქვეყნ-ად ადა	ქვეყნ-ებ-ად ადა
წოდ.	ქვეყანა-ვ	ქვეყნ-ებ-ო

საკუთარი სახელები

თანხმოვანფუძიანი		
სახ.	გოგოთურ-Ø ი	კახეთ-Ø ი
მოთხ.	გოგოთურ-მ მა	კახეთ-მ მა
მიც.	გოგოთურ-ს სა	კახეთ-Ø ს
ნათ.	გოგოთურ-ის ისა ისი	კახეთ-ის ისა ისი
მოქმ.	გოგოთურ-ით ითა ითი	კახეთ-ით ითა
ვით.	გოგოთურ-ად ადა	კახეთ-ად ადა
წოდ.	გოგოთურ-ო	კახეთ-ო

ხმოვანფუძიანი			
			იკვეცება
სახ.	ბახა-Ø ი	ჭიჩო-Ø ი	ცაბაურთა-Ø ი
მოთხ.	ბახა-მ მა	ჭიჩო-მ მა	ცაბაურთა-მ მა
მიც.	ბახა-ს სა	ჭიჩო-ს სა	ცაბაურთა-ს სა
ნათ.	ბახა-ის ისა ისი	ჭიჩო-სი	ცაბაურთ-ის ისა ისი
მოქმ.	ბახა-ით ითა	ჭიჩო-თ თა თი	ცაბაურთ-ით ითა
ვით.	ბახა-დ ად ადა	ჭიჩო-დ და	ცაბაურთა-დ ად ადა
წოდ.	ბახა-ვ ო	ჭიჩო-ვ ო	ცაბაურთა-ვ ო

მსაზღვრელ-საზღვრული		
სახ.	ჩემ შვილ-Ø ი	ჩემ შვილ-ებ-Ø ი
მოთხ.	ჩემ შვილ-მ მა	ჩემ შვილ-ებ-მ მა
მიც.	ჩემ შვილ-ს სა	ჩემ შვილ-ებ-ს სა
ნათ.	ჩემØ -ის შვილ-ის ისა ისი	ჩემ შვილ-ებ-ის ისა ისი
მოქმ.	ჩემ შვილ-ით ითა	ჩემ შვილ-ებ-ით ითა
ვით.	ჩემ შვილ-ად ადა	ჩემ შვილ-ებ-ად ადა
წოდ.	ჩემ-ო შვილ-ო	ჩემ-ო შვილ-ებ-ო
სახ.	ფრიალო კლდე-Ø	ფრიალო კლდე-ებ-Ø ი
მოთხ.	ფრიალო კლდე-მ მა	ფრიალო კლდე-ებ-მ მა
მიც.	ფრიალო-ს კლდე-ს სა	ფრიალო-ს კლდე-ებ-ს სა
ნათ.	ფრიალო-ს კლდე-ის ისა ისი	ფრიალო-ს კლდე-ებ-ის ისა ისი
მოქმ.	ფრიალო-ს კლდე-ით ითა	ფრიალო-ს კლდე-ებ-ით ითა
ვით.	ფრიალო კლდე-დ და	ფრიალო კლდე-ებ-ად ადა
წოდ.	ფრიალო კლდე-ო ვ	ფრიალო კლდე-ებ-ო

ზმნის უღლება

I სერია

1. აწმყო — რასა ვშვრები?
2. უწყვეტელი — რასა ვშვრებოდი?
3. I ხოლმეობითი — რასა ვშვრებოდი?
4. აწმყოს კავშირებითი — რასა ვშვრებოდე?
5. მოფადი — რას ვიქამ?
6. ხოლმეობით-შედევგობითი — რას ვიქამდი?
7. მყოფადის კავშირებითი — რას ვიქამდე?

II სერია

8. წყვეტილი — რა ვქენ?
9. II ხოლმეობითი — რა ვქნოდი?
10. II კავშირებითი — რა ვქნა?

III სერია

11. I თურმეობითი — რა მიქნავ(ის)?
12. II თურმეობითი — რა მექნა?
13. III კავშირებითი — რა მექნას?

-ი თემის ნიშნაანი		
I სერია		
აწ.- მყ.	(მო-)ვვლი (მო-)აპვლი (მო-)აპვლის	(მო-)ვვლით (მო-)აპვლით (მო-)აპვლიან
უწ.- ხოლ.	(მო-)ვვლიდი (მო-)აპვლიდი (მო-)აპვლიდა	(მო-)ვვლიდით (მო-)აპვლიდით (მო-)აპვლიდენ
I ხოლ.	(მო-)ვვლიდოდი (მო-)აპვლიდოდი (მო-)აპვლიდის	(მო-)ვვლიდოდი (მო-)აპვლიდოდი (მო-)აპვლიდიან
I კავ.	(მო-)ვვლიდე (მო-)აპვლიდე (მო-)აპვლიდეს	(მო-)ვვლიდეთ (მო-)აპვლიდეთ (მო-)აპვლიდენ
II სერია		
წყ.	მოვვადე მააპვადე მააპვადა	მოვვადეთ მააპვადეთ მააპვადეს

II სოლ.	მოვწადოდი მაძწადოდი მაძწადის	მოვწადოდი მაძწადოდი მაძწადიან
II კავ.	მოვწადო მაძწადო მაძწადოს	მოვწადოთ მაძწადოთ მაძწადონ
III სერია		
I თურ.	მამიწდავ(ის) მოგიწდავ(ის) მაუწდავ(ის)	მოგვიწდავ(ის) მოგიწდავ(ის)თ მაუწდავ(ის)თ
II თურ.	მამეწადა მოგეწადა მეეწადა	მოგვეწადა მოგეწადათ მეეწადათ
III კავ.	მამეწადოს მოგეწადოს მეეწადოს	მოგვეწადოს მოგეწადოთ მეეწადოთ
-ავ თემის ნიშნაანი		
I სერია		
აწ.- მე.	(და-)ვ(პ)კლავ (და-)ძკლავ (და-)ძკლავს	(და-)ვ(პ)კლავთ (და-)ძკლავთ (და-)ძკლვენ ძკლავენ
უწ.- სოლ.	(და-)ვ(პ)კლავდი (და-)ძკლავდი (და-)ძკლავდა	(და-)ვ(პ)კლავდით (და-)ძკლავდით (და-)ძკლავდენ
I სოლ.	(და-)ვ(პ)კლავდოდი (და-)ძკლავდოდი (და-)ძკლავდის	(და-)ვ(პ)კლავდოდი (და-)ძკლავდოდი (და-)ძკლავდიან
I კავ.	(და-)ვ(პ)კლავდე (და-)ძკლავდე (და-)ძკლავდეს	(და-)ვ(პ)კლავდეთ (და-)ძკლავდეთ (და-)ძკლავდენ
II სერია		
წე.	დავ(პ)კალ დაძკალ დაკლა	დავ(პ)კალით დაძკალით დაკლეს
II სოლ.	დავ(პ)კლოდი დაძკლოდი დაკლის	დავ(პ)კლოდით დაძკლოდით დაკლიან

II კავ.	დავ(ჰ)კლა დაიჰკლა დაკლას	დავ(ჰ)კლათ დაიჰკლათ დაკლან
III სერია		
I თურ.	დამიკლავ(ის) დაგიკლავ(ის) დაუკლავ(ის)	დაგვიკლავ(ის) დაგიკლავ(ის)თ დაუკლავ(ის)თ
II თურ.	დამეკლა დაგეკლა დეეკლა	დაგვეკლა დაგეკლათ დეეკლათ
III კავ.	დამეკლას დაგეკლას დეეკლას	დაგვეკლას დაგეკლათ დეეკლათ
-ებ თემის ნიშნიანი I სერია		
აწ.- მე.	(და-)ვაკეთებ (და-)აკეთებ (და-)აკეთებს	(და-)ვაკეთებთ (და-)აკეთებთ (და-)აკეთებენ
უწ.- ნოლ.	(და-)ვაკეთებდი (და-)აკეთებდი (და-)აკეთებდა	(და-)ვაკეთებდით (და-)აკეთებდით (და-)აკეთებდენ
I ნოლ.	(და-)ვაკეთებდოდი (და-)აკეთებდოდი (და-)აკეთებდის	(და-)ვაკეთებდოდით (და-)აკეთებდოდით (და-)აკეთებდიან
I კავ.	(და-)ვაკეთებდე (და-)აკეთებდე (და-)აკეთებდეს	(და-)ვაკეთებდეთ (და-)აკეთებდეთ (და-)აკეთებდენ
II სერია		
წვ.	გავაკეთე გააკეთე გააკეთა	გავაკეთეთ გააკეთეთ გააკეთეს
II ნოლ.	გავაკეთოდი გააკეთოდი გააკეთის	გავაკეთოდით გააკეთოდით გააკეთიან
II კავ.	გავაკეთო გააკეთო გააკეთოს	გავაკეთოთ გააკეთოთ გააკეთონ

III სერია		
I თურ.	გამიკეთებავ(ის) გაგიკეთებავ(ის) გაუკეთებავ(ის)	გავგიკეთებავ(ის) გაგიკეთებავ(ის)თ გაუკეთებავ(ის)თ
II თურ.	გამეკეთა გაგიეკეთა გამეკეთა	გავგიეკეთა გაგიეკეთათ გამეკეთათ
III კავ.	გამეკეთოს გაგიეკეთოს გამეკეთოს	გავგიეკეთოს გაგიეკეთოთ გამეკეთოთ
სტატიკური წმნა		
I სერია		
აწ.	მცვავ(ის) მაცვავ(ის) გცვავ(ის) გაცვავ(ის) სცვავ(ის) აცვავ(ის)	გვცვავ(ის) გვაცვავ(ის) გცვავ(ის)თ გაცვავ(ის)თ სცვავ(ის)თ აცვავ(ის)თ
მე.	მეცმევა მეცმევის გეცმევა გეცმევის ეცმევა ეცმევის	გვეცმევა გვეცმევის გეცმევათ ეცმევათ
ხოლ. შედ.	მეცმეოლა გეცმეოლა ეცმეოლა	გვეცმეოლა გეცმეოლათ ეცმეოლათ
I კავ.	მეცმეოდეს გეცმეოდეს ეცმეოდეს	გვეცმეოდეს გეცმეოდეთ ეცმეოდეთ
II სერია		
წე.	მეცვის გეცვის ეცვის	გვეცვის გეცვისთ ეცვისთ
II კავ.	მეცოს გეცოს ეცოს	გვეცოს გეცოთ ეცოთ
III სერია		
I თურ.	მცმია გცმია მჰცმია	გვცმია გცმიათ მჰცმიათ

II თურ.	მცმიყო გცმიყო აჰცმიყო	გვცმიყო გცმიყოთ აჰცმიყოთ
III კავ.	მცმიყოს გცმიყოს აჰცმიყოს	გვცმიყოს გცმიყოთ აჰცმიყოთ
I სერია		
აწ.	მამაქვ(ის) მოგაქვ(ის) მამაქვ(ის)	მოგვაქვ(ის) მოგვაქ მოგაქვ(ის)თ მოგაქვთ მამაქვ(ის)თ მამაქვთ
უწ.	მამქონდის მოგქონდის მამაქონდის	მოგვქონდის მოგქონდისთ მამაქონდისთ
I ხოლ.	მამქონდოდის მოგქონდოდის მამაქონდის	მოგვქონდოდის მოგქონდოდისთ მამაქონდისთ
აწ. კავ.	მამქონდეს მოგქონდეს მამაქონდეს	მოგვქონდეს მოგქონდეთ მამაქონდეთ
მე.	მოიტან მაიტან მაიტანს	მოიტანათ მაიტანათ მაიტანენ
ხოლ. შედ.	მოიტანდი მაიტანდი მაიტანდა	მოიტანდით მაიტანდით მაიტანდენ
მე. კავ.	მოიტანდე მაიტანდე მაიტანდეს	მოიტანდეთ მაიტანდეთ მაიტანდენ
II სერია		
წე.	მოიტანე მაიტანე მაიტანა	მოიტანეთ მაიტანეთ მაიტანეს
II ხოლ.	მოიტანოდის მაიტანოდის მაიტანის	მოიტანოდით მაიტანოდით მაიტანიან

II კავ.	მოიტანო მაიტანო მაიტანოს	მოიტანოთ მაიტანოთ მაიტანონ
III სერია		
I თურ.	მამიტანავ(ის) მოგვიტანავ(ის) მაუტანავ(ის)	მოგვიტანავ(ის) მოგვიტანავ(ის)თ მაუტანავ(ის)თ
II თურ.	მამეტანა მოგეტანა მეეტანა	მოგვეტანა მოგეტანათ მეეტანათ
III კავ.	მამეტანოს მოგეტანოს მეეტანოს	მოგვეტანოს მოგეტანოთ მეეტანოთ
I სერია		
აწ. უწ.	(ა-)ვღებო (ა-)ღღებო (ა-)ღგება	(ა-)ვღებოთ (ა-)ღღებოთ (ა-)ღგებოან
უწ. ნოლ.	(ა-)ვღებოლი (ა-)ღღებოლი (ა-)ღგებოლა	(ა-)ვღებოლით (ა-)ღღებოლით (ა-)ღგებოლენ
I კავ.	(ა-)ვღებოლდე (ა-)ღღებოლდე (ა-)ღგებოლდეს	(ა-)ვღებოლდეთ (ა-)ღღებოლდეთ (ა-)ღგებოლდენ
II სერია		
წე.	ავღეგ აღღეგ აღგა	ავღეგით აღღეგით აღგენ
II ნოლ.	ავღგი ავღგოლი აღღგი აღღგოლი აღგის	ავღგით ავღგოლით აღღგით აღღგოლით აღგოან
II კავ.	ავღგე აღღგე აღგეს	ავღგეთ აღღგეთ აღგენ
III სერია		
I თურ.	ავმღგარვარ ავმღგარხარ ავმღგარა	ავმღგარვართ ავმღგარხართ ავმღგარან

I თურ.	ავმდგარიყავ ამმდგარიყავ ამდგარიყო	ავმდგარიყავით ამმდგარიყავით ამდგარიყვნენ
III კავ.	ავმდგარიყო ამმდგარიყო ამდგარიყოს	ავმდგარიყოთ ამმდგარიყოთ ამდგარიყონ
I სერია		
აწ.	მქვიან გქვიან აჰქვიან	გვქვიან გქვიანთ აჰქვიანთ
უწვეტილი		
I ხოლმეობითი		
აწმყოს კავშირებითი		
მყ.	მექვივნების გემქვივნების ემქვივნების	გვექვივნების გემქვივნებისთ ემქვივნებისთ
ხოლმეობით-შედეგობითი		
მყოფადის კავშირებითი		
II სერია		
წყ.	მექვივნა გემქვივნა ემქვივნა	გვექვივნა გემქვივნათ ემქვივნათ
II ხოლ.	მექვივნის გემქვივნის ემქვივნის	გვექვივნის გემქვივნისთ ემქვივნისთ
II კავ.	მექვივნოს გემქვივნოს ემქვივნოს	გვექვივნოს გემქვივნოთ ემქვივნოთ
III სერია		
I თურ.	მქვივნებია გქვივნებია აჰქვივნებია ემქვივნილა	გვქვივნებია გქვივნებიათ აჰქვივნებიათ
I თურ.	მქვივნებიყო გქვივნებიყო ემქვივნებიყო	გვქვივნებიყო გქვივნებიყოთ ემქვივნებიყოთ
III კავ.	მქვივნებიყოს გქვივნებიყოს ემქვივნებიყოს	გვქვივნებიყოს გქვივნებიყოთ ემქვივნებიყოთ

ზმნა „თხოულობს“		
I სერია		
აწ.	ვთხოვ/ვთხოილობ აპთხოვ/აპთხოილობ თხოვს/თხოილობს	ვთხოვთ/ვთხოილობთ აპთხოვთ/აპთხოილობთ თხოვენ/თხოილობენ
უწ.	ვთხოვდი/ვთხოილობდი აპთხოვდი/აპთხოილობდი თხოვდა/თხოილობდა	ვთხოვდით/ვთხოილობდით აპთხოვდით/აპთხოილობდით თხოვდენ/თხოილობდენ
აწ. კავ.	ვთხოვდე/ვთხოილობდე აპთხოვდე/აპთხოილობდე თხოვდეს/თხოილობდეს	ვთხოვდეთ/ვითხოილებთ აპთხოვდეთ/აპთხოილებთ თხოვდენ/თხოილებენ
მე.	ვითხოვ/ვითხოილებ ითხოვ/ითხოილებ ითხოვს/ითხოილებს	ვითხოვთ/ვითხოილებთ ითხოვთ/ითხოილებთ ითხოვენ/ითხოილებენ
ხოლ. შედ.	ვითხოვბდი/ვითხოილებდი ითხოვბდი/ითხოილებდი ითხოვბდა/ითხოილებდა	ვითხოვბდით/ვითხოილებდით ითხოვბდით/ითხოილებდით ითხოვბდენ/ითხოილებდენ
მე. კავ.	ვითხოვბდე/ვითხოილებდე ითხოვბდე/ითხოილებდე ითხოვბდეს/ითხოილებდეს	ვითხოვბდეთ/ვითხოილებდეთ ითხოვბდეთ/ითხოილებდეთ ითხოვბდენ/ითხოილებდენ
II სერია		
წე.	ვითხოვ/ვითხოილე ითხოვ/ითხოილე ითხოა/ითხოილა	ვითხოვთ/ვითხოილეთ ითხოვთ/ითხოილეთ ითხოეს/ითხოილეს
II ხოლ.	ვითხოვდი/ვითხოილდი ითხოვდი/ითხოილდი ითხოის/ითხოილდის	ვითხოვდით/ვითხოილდით ითხოვდით/ითხოილდით ითხოიან/ითხოილდიან
II კავ.	ვითხოვ/ვითხოილო ითხოვ/ითხოილო ითხოოს/ითხოილოს	ვითხოვთ/ითხოილოთ ითხოვთ/ითხოილოთ ითხოონ/ითხოილონ
III სერია		
I თურ.	მითხოვავ(ის)/მითხოილებავ(ის) გითხოვავ(ის)/გითხოილებავ(ის) უთხოვავ(ის)/უთხოილებავ(ის)	გვითხოვავ(ის)/გვითხოილებავ(ის) გითხოვავ(ის)თ/გითხოილებავ(ის)თ უთხოვავ(ის)თ/უთხოილებავ(ის)თ
I თურ.	მეთხოვა/მეთხოილა გეთხოვა/გეთხოილა ეთხოვა/ეთხოილა	გვეთხოვა/გვეთხოილა გეთხოვათ/გეთხოილათ ეთხოვათ/ეთხოილათ

III კავ.	მეთხოოს/მეთხოილოს გეთხოოს/გეთხოილოს ეთხოოს/ეთხოილოს	გვეთხოოს/გვეთხოილოს გეთხოოთ/გეთხოილოთ ეთხოოსთ/ეთხოილოთ
ზმნა „უჯავრდება“ I სერია		
აწ.	(ვ)უჯავრობ უჯავრობ უჯავრობს	(ვ)უჯავრობთ უჯავრობთ უჯავრობენ
უწ.	(ვ)უჯავრობდი უჯავრობდი უჯავრობდა	(ვ)უჯავრობდით უჯავრობდით უჯავრობდენ
აწ. კავ.	(ვ)უჯავრობდე უჯავრობდე უჯავრობდეს	(ვ)უჯავრობდეთ უჯავრობდეთ უჯავრობდენ
მე.	გა(ვ)უჯავრდები გაუჯავრდები გაუჯავრდება	გა(ვ)უჯავრდებით გაუჯავრდებით გაუჯავრდებიან
ხოლ. შედ.	გა(ვ)უჯავრდებოდი გაუჯავრდებოდი გაუჯავრდებოდა	გა(ვ)უჯავრდებოდით გაუჯავრდებოდით გაუჯავრდებოდენ
მე. კავ.	გა(ვ)უჯავრდებოდე გაუჯავრდებოდე გაუჯავრდებოდეს	გა(ვ)უჯავრდებოდეთ გაუჯავრდებოდეთ გაუჯავრდებოდენ
II სერია		
წე.	გა(ვ)უჯავრდი გაუჯავრდი გაუჯავრდა	გა(ვ)უჯავრდით გაუჯავრდით გაუჯავრდენ
II ხოლ.	გა(ვ)უჯავრდოდი გაუჯავრდოდი გაუჯავრდის	გა(ვ)უჯავრდოდით გაუჯავრდოდით გაუჯავრდიან
II კავ.	გა(ვ)უჯავრდე გაუჯავრდე გაუჯავრდეს	გა(ვ)უჯავრდეთ გაუჯავრდეთ გაუჯავრდენ
III სერია		
I თურ.	გავჯავრდომივარ გამჯავრდომიხარ გამჯავრდომია	გავჯავრდომივართ გამჯავრდომიხართ გამჯავრდომიან

II თურ.	გავჯავრდომიყავ გამჯავრდომიყავ გამჯავრდომიყო	გავჯავრდომიყავით გამჯავრდომიყავით გამჯავრდომიყვნენ
III კავ.	გავჯავრდომიყო გამჯავრდომიყო გამჯავრდომიყოს	გავჯავრდომიყოთ გამჯავრდომიყოთ გამჯავრდომიყონ
I სერია		
აწ.	მინდა მინდარის გინდა გინდარის უნდა უნდარის	გვინდა გვინდარის გინდათ გინდარისთ უნდათ უნდარისთ
უწ.	მინდოდის გინდოდის უნდოდის	გვინდოდის გინდოდისთ უნდოდისთ
I სოლმეობითი		
აწ. კავ.	მინდოდეს გინდოდეს უნდოდეს	გვინდოდეს გინდოდეთ უნდოდეთ
მე.	მამინდების მოგინდების მაუნდების	მოგვინდების მოგინდებისთ მაუნდებისთ
სოლ. შედ.	მამინდებოდის მოგინდებოდის მაუნდებოდის	მოგვინდებოდის მოგინდებოდისთ მაუნდებოდისთ
მე. კავ.	მამინდებოდეს მოგინდებოდეს მაუნდებოდეს	მოგვინდებოდეს მოგინდებოდეთ მაუნდებოდეთ
II სერია		
წე.	მამინდა მოგინდა მაუნდა	მოგვინდა მოგინდათ მაუნდათ
II სოლ.	მამინდის მოგინდის მაუნდის	მოგვინდის მოგინდისთ მაუნდისთ
II კავ.	მამინდეს მოგინდეს მაუნდეს	მოგვინდეს მოგინდესთ მაუნდესთ

III სერია		
I თურ.	მამნდომებია მოგნდომებია მამნდომებია	მოგვნდომებია მოგნდომებიათ მამნდომებიათ
II თურ.	მამნდომებიყო მოგნდომებიყო მამნდომებიყო	მოგვნდომებიყო მოგნდომებიყოთ მამნდომებიყოთ
III კავ.	მამნდომებიყოს მოგნდომებიყოს მამნდომებიყოს	მოგვნდომებიყოს მოგნდომებიყოთ მამნდომებიყოთ

ძირითადი ლიტერატურა

- გიგინეიშვილი ივ.,** ფშაური და ვაჟა-ფშაველა; საქ. მეცნ. აკად. ნ. მარის სახ. ენის ინსტ.-ის II სამეცნ. სესიის თეზისები; თბ., 1945, 27-28. XI.
- გოგატიშვილი გ.,** მეორე სერიის ზოგიერთი ფორმის აგებულებისათვის ფშაურში; ქართ. ენა და ლიტ. სკ., №4; თბ., 1973.
- გოგატიშვილი გ.,** ფორმათწარმოების ზოგიერთი სტრუქტურული თავისებურებისათვის ფშაურში; საქ. სსრ პედ. ინსტიტუტების შრომები, ტ. I; თბ., 1974.
- გოგოლაური თ.,** ფშაური კილოს თავისებურებანი; „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), №3; თბ., 1978.
- გუგუშვილი კ.,** ზოგიერთი დიალექტიზმი ვაჟა-ფშაველას ენაში (დასკვნითი დებულებები); გორის პედ. ინსტ. შრომები, ტ. XIII; თბ., 1970.
- ქეშიკაშვილი ივ.,** კნინობითი სახელების წარმოება ფშაურში; თსუ, ფილოლოგია, I, სამეცნ. კონფ.; მასალ.; თბ., 1975.
- ქეშიკაშვილი ივ.,** ქართული ენის ფშაური დიალექტი (დაკვირვება თელავის რაიონის სოფ. თეთრწყლებში მცხოვრებ ფშაველების მეტყველებაზე); თელავის პედ. ინსტ. სტუდ. XIV სამეცნ. კონფ., თეზ.; თელავი, 1957.
- ცოცანიძე გ.,** დიალექტიზმების საკითხისათვის ვაჟა-ფშაველას ლირიკაში; ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნ. სამეცნიერო კონფერენცია; მასალ.; თელავი, 1993.
- ცოცანიძე გ.,** სუბიექტურ და ობიექტურ პრეფიქსთა განაწილება ფშაურში; ენათმეცნ. ინსტ. ასპ. და ახ. მეცნ. მუშ. სამეცნ. კონფ.; თეზ.; თბ., 1972.
- ცოცანიძე გ.,** ფშაური დიალექტი (ენათმეცნიერების ინსტიტუტი); „მეცნიერება“; თბ., 1978.

ცოცანიძე გ., ფშაური პრევერბების თავისებურებანი და მათი სიძველის საკითხი (ტექსტი პარალელურად რუს. ენაზე); „ჭინვალის ექსპედიცია“ (პირველი სამეცნ. სესიის მოკლე ანგარიშები); თბ., 1975.

ჭანტურია მ., დიალექტიზმის მხატვრული ფუნქცია ვაჟა-ფშაველას პოეზიაში; თსუ ფილოლ. ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნ. შრომები, წ. 5; თბ., 2001.

ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

მეტყველების ნიმუშები

1. ჩარგლელ ფშაველთა საუბრიდან

— აი ექ რო ლექსი თქვიან ბიჭებმა, ის დაიჭირის და დაწერის იმან, ჩაწერის, რომენიც კაი ლექსი იყვის.

— რარიგადა ხართ, ფშაველებო? — ყინჩად ვართ, არა გვიჭირს.

— დასიცილი იციან უკვენა ფშავეში აქიურ სიტყვებზე.

— ნეტავი ერთხელ კიდენაო იმ ფშავე-ვესურეთის კლდეებისთვისა შამახენდებინაო და მჟავე წყალი დამალეინაო [— ვაჟამ თქვა სიკვდილის წინო]. — ჩემი შვილის მამნათლავი იყო ვაჟა, ძალიან მიჩნეული ვიყვენით ერთმანეთში.

— ამ ზამთარ ოცი ფური ებარა. ცხრამეტ ჰბო გაზარდა, ერთი ფური დარჩა უჭბოო. დააჯილდუეს, იმად დააჯილდუეს.

— დაღვარე, დაღვარე, წყალის მეტი რა გვაქვ.

— ერთხელ ვიყავით ჟოლობ, აი გუშისწინ. გუშინ მარიამაი და გოგი წამოიდენ, ვედარ მექველა. კი იცია შალშავი? ისეთი ლამაზი ყვითელი ჩაი დადგის შალშავისი, რო...

— ხვალე გადმუა, არ ვიცი, ხვალ სალამოსთვი მეუბნებოდა — გადმუალო.

— ხვალ არ მამიწერჯდა და ხვალზეით აქ ვიქნები მზემოსვლისთვი.

— ემას ქვიან პირიმზე და იმას ქვიან კიდენ, სხვა ძროხას, მრავალაი, მესამესა — ბიბინაი, ბატარასაცა-მქვიან ჯიელაი.

— აი, გივიაი გამსთიბს და აძხვეტოდი. — წავიდი, ავხვეტოდი და თივა ავაგოდი.

— ჩვენ მომკით, მუა თოვლი, საით გავლევოთ? მეორე წელსა ვლევავ-ლოდით, ვერ მუასწრობდით.

— არ შამიძლავ არარიგად ან წინდა მოვქსუო, ან ქსელი მოვქსუო.

— ეგ აკლავ კიდენ მაგას, მერე წავიკითხავ.

— არც არა გამიგონავ, არც შამივლავ.

— ჩემ დისწულის შვილი გამოლუშავის ციხეშიითა და მე იმან გამახარა.

— ქარი იცის, ქარი გლეჯს იქობას, აყრეინებს ყოილს, დათესილებს ისე გადადგვის, რო თხლად მოდის ზოკანა.

- საისაკე მისდით? — უკვენა ფშავისაკე მივდით.
- დედაშემ უნდა ჩამაიაროს მთაშიითა. — კიოთ ჩამაილის.
- ემზადებოდენ კია და კიოთ მოვლენ (რო სადმე უნდოდეს წასვლა და ვერ იცოდეს, ნამდვილად წავა თუ არა, იტყვის: კიოთ წავალო).
- დამიწყვიტნა ცხენმა ეს ძუის ბაწარანი.

2. მწევინარის საუბარი

- ა ისეებ რამთვენის ხნისეებ იქნებოდეს... აის, ამ ზამთარ რო დაი-ჯოცნეს, ქალო, გომეწარსა.
- შენის ხნისებო-დ' ეხლა ისეებ იყვენს და ეხლა აღარ ვიცი, ველარ ვიცი კიდენ ვინამ არიანა ჩემის ხნისა.
- ხო, რამაზათ დათიკო... პატარია კი იყო დათიკო.
- ჩემზე უარესი მოარულილა არი ისიც.
- ჩემ შვილია, ჩემ ქალი, ხო.
- უმცროსია ისი.
- ვერც კი ვიცნობ, აბა რა ვიცრ, ვინ იქნება.
- ეხლა მეორე წელია აქა ვარ. მე სუ ვერ ვიცნობ მაღაროვლებს.
- ჰო, სუ გომეწარში ვიყავრ.
- მენა? არა, დამავიწყდა ქმარი, რავი, როდის მამიკვდა, სადლა მყავ.
- ავად გაჯდა და მოკვდა.
- არა, დი-დიდებ იყვენს.
- ეხლა მატყლ უნდა გავრეცხოთ, გავაშროთ და მემრე დავჩეჩოთ, მემრე, ფარტენას ვეძახით, ფარტენა გავაკეთოთ და ტარი და ვასთავთ, ვაბრუნებთ ტარსა, ჩავასთავთ, ამოვხვსნით მემრე იმასა, დავძახთ,... თხორი, თხორი ჰქვია... ორწვერას ამოვცნით, სამწვერასა, დავძახთ, მემრე წინდას მოვჰქსოვთ.
- ბატენისა ჰაი, ჰაი, რო სჯობია, კრაველი.
- არ ვიცი, ეხლა ველარ ვიცი. აღარ მაგონდება.
- პირველად გამოჩეჩილი, მეორედ დაჩეჩვა, მესამედ ფარტენად დავჰჩეჩთ.
- ხოკერში... ხეს ავჰყრით ნაქერქალსა დაჰ... შავჰკერავთ, იმაში ჩავა-წყობთ.
- საგრეხელას ვეძახით, აი ემოდენი ხეა და თვალი აქვ ამოჭრილი-დ' იმაში ვაბრუნებთ ი ტარსა.
- ჯარა არი გაკეთებული, ვაბრუნებთ, დიდ ტარი აქვ, ი ტარზე დავახ-ვევთ, ვაბრუნებთ... ჯარის ტარი აი ემოდენია.
- აბა რავი, რალა მჰქვიან, არ ვიცი.
- ლამბი, ლამბი, ამ ალაგას უბია ი ლამბი და, აქ საწინდიაია დახვეუ-ლი და ბრუნავს ჯარა და იძახება და ვიხვევთ იმ ჰელით კიდენ, გამოვცსნით.
- ლვილებს ვეძახით, ისეები აქვთ გაკეთებული თავ-ბოლოში. ჩამოა-ბამთ იმაზე იმასა და... რითაცა ვქსოვთ, იმას ბეჭი ჰქვიან. ბეჭს ვეძახით.

— ის ცხემლაია კიდენ, იმას საზედაოს ვედახით, იმას გავახვევთ, გავაძვრენთ, ავიყვანთ გარას, გავაძვრენთ ი ცხემლასა, გავბეჭავთ, ახლა მოიყვანთ გარასა, გავაძვრენთ ი ცხემლაითა საზედაოსავა, ჩავბეჭდავთ, აი ესრე ვქსოვთ.

— კაკაჩუნა, გარაის საყვანელა.

— იმას გარას ვედახით. ი ქსელს მალღ აქვ გავდებული, რაითაც ავაგლევთ-ჩავავლევთ.

— შალი. ტოლს ვედახით.

— ჩოჯასა, შარვალსა, პალტოსა, სუყველა შაიკერებ.

— ორშიანი ქსელიც ვიცით, ორ საშევარს ჩაუღებდით წალმ-უკუღმართად დავდახდით, ნახევარს წალმართად დავდახდით, ნახევარს უკუღმართადად' იმას თითო თხორობით ჩამობამდით ჳშირად... წალმ-უკუღმართა ქსელ მოვქსოავ.

— ფარდაგს... გამოჩეჩვა უნდა. ჩასთვა უნდა, დაძახვა, დაფერადვა. ჩამომბა ისრ იმასაც ყდაზედა და მოქსოვა ისრევ, როგორც ქსელსა და... ფერადისა... ფერადისა ფარდაგი.

— ჳელითაც იქსოება ისი, ცხემლაითაც, ისითაია ფარდაგები.

— არი ჰოდ ის ჳელით იქსოება ი ჳრელი რაც არი.

— ფარდაგები ჰქვიან, რავი, რალა მჰქვიან.

— არა, მე არა მინახავ ისეები, არცა არა გამამიხატავ და არც მინახავ.

3. შვილის ამბავი

— ის კიდენ მალღ-მალღ კაცი იყო, საშუალო ხნის კაც იქნებოდა, გოგია მქვიანო, თქვა, თბილისელი ვარო. რო შამოიდა კარებში, გაჩერდა დაჟ იქით, სურათს დაუწყო ყურება. დადგა, კარგა ხანი დააშტერდა, დააკვირდა და მკითხა, რო ეს სურათებო თქვენი ოჯახისა არიანო თუ ვილაც ნათესავებო, ვინ არიანო.

— შვილებია ჩემო, უთხარ, ეგენო.

— სად არიან ამჟამადაო.

— აღარცად არ არიანო, უთხარ, ფრონტზე იყვნენ და აღარ არიანო.

— როგორ გაიგეთ ამბავო.

— აი ესე, ესე, ესე, ესე.

— რამდენი ხანიაო, რო გაიგეთო.

— აი ემა-დ' ემ თვეში, ემა-დ' ემ თვეში, ჩამაუთვალე ყველაფერი.

— მაშო, ეხლაო სინამდვილე იცითო, რო ეგრე მფიქრობთო, რო აღარცად არ არიანო. იქნებ ან პლენში არიანო, ან რალაცაო.

— არაო, უთხარ, არაო. ისე გავიგეთ ამბავი ყველაფერიო. დებეშებითაცაო, ისეო, სუ ყველაფერი სინამდვილეო და ხარჯებიც გადაჯილი გვაქო. არც ველოდებით არაფერი და ამ კაცმა ერთი უცბად მაუშვა ცრემლები და ამაილო ცხვირსაცოცი და წაიწმიდა ცრემლები. დავაკვირდი და დედიო, მი-თხრა, მე იმიტო გავიფრთხილდიო, რო იქნება არაფერი იციანო და ისე

ელოდებოდენ შვილებსაო. იქნებ არაფერი იცოდენო, მენ იმიტო გაგიფრთხილდო და არ გითხარო, თორო ამ სურათს რო შავხედო, აი ესე დამიდგა, ესე დამიდგა ამის სახეო. ეს ჩემთან იყოო, დედო, მითხრა, ჩემთანო. დაბანაკებულე ვიყავითო და ისეთ დროს მალლიდან დაგვარტყესო. მე მძიმედ დაჭრილ დავრჩიო, ძალიან მძიმედაო, რო არცა მქონდა ჩემი თავის იმედო, თუ მე სიკვდილს გადავრჩებოდიო. თბილისელი ვარო, თბილისშია ვცხოვრობო, გოგია მქვიანო და გვარი დამავიწყდა და არ დავიწერე არც მაშინ, მე ბეჩაგმა და ვერე კი დამავიწყდა, სახელ კი დამაჯსონდა. ესაო ჩემთან დაიღუპაო, მაშინ დაიღუპაო, როცა მალლიდან დაგვარტყესო და იქ დაიღუპაო და უფროსმა უთხრა ლიოტიკისაო, რო ესეო წაიღეთ და დასაფლავეთო, ამის ვერე დარჩენა არ შეიძლებაო. წაიღეთო და რაღაც ადგილი თქვა, იქ დასაფლავეთო, ესეო ნუ დატოვებთო ვერეო, არ შეიძლება ვერე დატოვებთო, გმირულად მებრძოლიაო, ცოდვა არიო, ვერე ნუ დატოვებთო. წაიღო ლიოტიკამო და რა ვიციო, აბაო.

ისე ცრემლებ წაიწმიდა. იმოდენა იტირა, იმოდენა იტირა, ღმერთმა დიდი ღლე მისცეს. მთაში მიდიოდა, ზოტეხნიკი ვარო.

აი ვერე იყო, იმ კაცმა მილაპარაკა. მაინც ხო სინამდვილე ვიცოდით, მაინცა, მაგრამ იმან კიდევ მილაპარაკა, რო აი ესე იყო, ესე იყო. ვიბრძოდითო, ძალიან დიდ უბედურებაში გავიარეთო, მოკლეთ ვერე დარჩა მსხვერპლი იქაო, როგორც ივრის რიყეზე ქვა არიო. აი, ბოლოს ვერე დაგვემართაო, რო ის დაიღუპაო და მე დავრჩიო. როგორი გულკეთილი იყოო, ცოლ-შვილი გამიწყდესო, თუ მე ის დამავიწყდეს ჩემ სიცოცხლის მანძილზედაო. რამდენჯერ შესანდობარიც დამიღვეიაო. გვეტყოდაო, ბრძოლაში რო ვიქნებოდითო, ნუ გეშინიანთ, ბიჭებო, ნუ გეშინიანთო. ვიბრძოლოთ სისხლის წვეთამდეო. მე ფშაველი ვარ, არ მეშინიანო. ნუ გეშინიანთ, ნუ გეშინიანთ, ნუ გაგიტყდებათ გულიო. ვიბრძოლოთ, ჩვენი სამშობლოსათვის ვიბრძოლოთო, გვეტყოდაო. როგორი გულკეთილი იყოო, როგორი კაცთმოყვარე იყოო, მე ის არ დამავიწყდებაო. იტირა, იტირა, ღმერთმა აცოცხლოს თავისი ცოლ-შვილით.

— თუ არ მიუბნავ შენთვი, ქალო, რუსულანმ აკითხვინა, ჩემ რძალმა, ციგანასა. ეხლაო, ეთქო, მე ყველაფერს დაწვრილებით ვერ გეტყვიო და გოგია მოდისო, გოგიაო. აი, გოგია მოდისო, ჯარში ნამყოფიო და ყველაფერს გილაპარაკებს იმის ამბავსაო. მე ვერ გეტყვი ყველაფერს დაწვრილებითაო. აი, გოგია მოდისო და ის გეტყვისო. ქალო, ვაიმე დედავ, ემაგან გამაცეტა კიდევ. იმ კაცმა რო ლაპარაკ დამიწყვა და სახელი კვითხე, გოგია მქვიანო მითხრა, გავცეტდი, ქალო, გადავირიე. გოგია მოდისო, აი გოგიაო, ჯარში ნამყოფიო და გილაპარაკებს იმის ამბავსაო, აი ამ ბიჭის ამბავსაო, სურათი ძჰქონდა რუსულანსა და...

— იმისმა ამოწყვეტამაო, მე კიდევ უთხარ. გოგია... რა გოგია, რის გოგიაო. ქალო, სადა, როდის, მერამდენე წელსა. მკითხავებისა არაი მწამ. შენ კარგა იცი, მე მკითხავთან არც კი ვყოფილვარ და ემაგან კი გამაცეტა, იმ სიტყვამ, რო იმ კაცმ თქვა, გოგია მქვიანონ.

არტანი

4. მარიამის საუბარი

— ვის მაძქონდა და ვინც დადიოდენ. აი იქ რო ჰყვანდა ყარაულად ხალხი, იმეებს მაძქონდა ის ამბავი. აი, ის ჩემ კაციც ნამყოფ იყო, იქა, კაცო. ხო, კაცო, ესეც იქ ნამყოფ იყო. მოკლვით არავინ მაუკლავ, რა ვიცი მენა. ერთი ჯარიც გაიტაცეს ერთხელა, გასტაცეს ჩვენ მეზობელსა. დაავდებინეს ისრივ ისი, მთაშიითი. აი სამთოდ რო დადიოდა ხალხი, იქიდან გაიტაცეს.

— ერთი, ერთი, აი ბასილთ რო ვიტყვით, იმის ჯარ წაიყვანეს.

— არა, არა, ლეკიანთ ბასილი, ბეჟანის შვილი. იმა... ვანოს ძმისი. გააშვებინებს ისრივა, სანამდე წაიყვანდენ შორადა.

— ხალხმა, ხალხმა გააშვებინა. სოფელი გაიქცა და გააშვებინეს. ჯმა დავარდა, აბა ჯარი წაიყვანეს, გაიტაცესო.

— არ ვიცი, აბა რა ვიცი მენა. კაცო, რამთენი წელია, განა კი მაჯსონ.

— არა, კაცო, არა, რა გათხოილ. ეს კი მაჯსონ კარგადა, რომ ის... ნიადაგ, კაცო, რას არ იქნება.

— ოცდასამ წლისა ქმართან ვიყავ მენა, კაცო. ოცდასამ წლისას იქ რალა მეღვა. აი, ცამეტ-თოთხმეტის წლისი-ოთ რა ვიყავ, მაშინა, როცა ის ამბებ იყო.

— იქიური... იმ ჯეობაზე იღვა ის სოფელიცა, კაცო, იქიურია, მა რა, ახლოსა.

— აბა კიდევა მკითხეთ, რალასა მკითხავთ, ეხლა თუ რა ვიცი გეტყვით, თუ არა და, აბა, რალა უნდა გითხრათ.

— კაცო, როცა არა ვიცი... ტყუილად რა გიამბოთ, რა გილაპარაკოთ, როცა არაფერ ვიცი.

— აი ფშაურ ლექსები რამე უთხარი, ისენ უნდა ამათ, აი, წიგნებ რო იყო აქა, ი ფშავლების დაწერილი, ისენ არაფერ იცი?

— არა ვიცი. აბა, ჩემ გაკეთებულ საჭმელს არავინ არა სჭამდა. აბა, რად მინდა რო ვილაპარაკო ისი.

— ჰო, ისენ კი შჭამდენ, მა რას იქმოდენ. აბა კარგს ვინ გაუკეთებდა. ხაჭოერბოს გავაკეთებდი, კვერცხ-ერბოს გავაკეთებდი.

— ჯერ ხაჭოს დავსთლიდით, აი დამბალ ხაჭოსა. მემრე ერბოს ჩავდებდი, იმ ერბოს გავადნობდი, მემრე ხაჭოს ჩავყრიდი და იმას წამოადლულებდი და ხაჭოერბო გაკეთდებოდა. კვერცხებსაც ისრე უქმოდი: დავსტენდი კვერცხებსა, ერბოში ჩავასხამდი და წამოადლულებდი და კვერცხ-ერბო იყო... ზაფხულშია და ზამთარში კიდენ ჯორცი, ან ცხვარს დავხკლავდით, ან ძროხას დავხკლავდითო და ისი გვქონდა.

— ჰო, მაშა, კაცო.

— ვაკეთებთ ეხლაცა, თუ კი გვექნება, მაგრამ აღარ გვაქვ. აბა რას ვაკეთებთ.

— ყვავის, იმთვენ... მაგრამ იმთვენ არა ყვავ, რო დავჰკლათ.

— თუ რას ვამზადებთ, აი ეშმაკებს ვაჭმევთ ეხლა.

— აი ეგეთ ჭრელ კაბებს ვიყიდით, როგორიც შენ გაცვავ, ჩვენცა და ცოტას მოვპეწიანდებით, აბა, რად გვინდა.

— ჰო, მარაულებშიაცა და ი ლახატო კი იცი? ჰო, აი იქით წამოსულე-ბი ვართ, აი. მაშ ი ხალხიც გეცნობა, ბიჭო, ვისი რა შვილია, ნეტარ, ესე, კაცო. რაუცხო ჩვენებურ ვინ არი ესე და მე არ ვიცი ვინ არი ეხლა ესე.

— ჰოდა ვის შვილი ხარ, სადიურ შვილი ხარ, ვისი?

— მე ვთქვი, ალბათ, იქიურ ვინამ არი და...

— ისე, გაზდილი სუ ზემო შარავევშია ვარ მენა. აი სუ თავშია ვარ გაზდილი, რო იმის ზემოთ სოფელი აღარ არი. შარავევი, ზემო შარავევი და მემრე ლახატოში ვიყავ, იქ ჩამოედ.

— ის ჩვენ პირდაპირ იყო, იმ ლახატოს პირდაპირ იყო ისი. ეგრე ჩვენ ვიყვენით, ეგრე და ეგრე გაღმა ის იყო, გასახედნები.

— მე საცა გაზდილი ვარ, იმას შარავევი ძქვიან, და იმის გვერდზეა, ერთი სოფელი, იმას — ბუჭყინტა. აბა რო ჩამოაყოლო ეხლა ემ ამემდინ მი-ნდა გამოსვლა, თვალივამდენა და მე სად ვიარო და ვთვალო ისეები, ბიჭო, მე თქვენ გულ არა მაქვ, ვამე!

— არ მავსონ, არა, აღარ მავსონ იმეების სახელები, არა. სად რა არი.

— მე ვიც მე, მე შვილო.

— ერთსა ძქვიან ღარალიანნ, ღარალანის გორი, სუ მაღალი გორია. იმის გამოღმა არი კიდევა შხამაიანნ. ჰო სასაოძვრე ის არი, სათიბი კიდევ ის არი, ის ღარალიანი, წყაროთავი, რავი... ვერხვთრუვი, იმდენა სახელები ჰქვიან იქ ადგილებსა. ახალმთა, გამოყოლება ქისტა წყალთ გორი, ზენამჯრულ წყალთ თავი, ათასი რაიმნ, ათასნ, იმის გადმოყოლებით კიდევ აი... რალა ექვივინა, კაცო, იქ რალა ექვივინა... ფიქრიანი, ჰო, ჩამოყოლება ი ზენამჯართ იქით მარაულები, ჩამოა იქით, გაღმა გამოალის, იქ ვედრაულები ცხოვრობდენ. აბა ი მამულების სახელებ კი ნიადაგ თავ-თავად სახელებია. საცა ძწნავდენ თავ-თავისთვი ძწნავდენ თავ-თავის გუთნით. იქ ავოსგორიო, ფშინანის რუვიო, იქ ამე, კიდევა, უჰ, ვეღარ მოიგონე იმის სახელი. ...აი ზეით კიდე საქურეები, რა ვიცი ათასკან, ათასკან და სად მოვთვალო, ერთი იმათი პატრონიც გათავ-დეს, რაში მინდა ისეები.

— ცუდი ადგილი, ცუდ, ცუდ, ცუდი რო...

— საწნავი იყო, იყო. საწნავ როგორ არ იყო, მა რითა ცხოვრობდა ი ხალხი.

— იმით იყო ცუდი, რო ფევის ადგილი არ იყო, აქ რო მანქანეებ და-დის, აქ რო მანქანით მიაქვ-მიაქვ სუ ყველაფერი, შენი ჭირიმე, იქ არ შავც-ლო შენა რო... სუ ტვირთის ქვეშ ვიყვენით, აი სუ ტვირთის ქვეშ. მთელი წლის მოსავალი სუ ტვირთით მოგვექონდა, ბიჭო, თივა, ჩალა, რავი, ძნა, ხო, აბა, ჩალა... განა ჩალას დაუწყობდით.

— მამულებიდანა, შვილო, რო ვწნავდით.

— მამულებიდანა, რომ მაძწნავდენ, მოილოდა, მოვმკიდით იმას ნამგლი-

თა, ავაგებდით იქავ ადგილზედა. მემრე ტვირთით... დავიწყობდით იქავ ტვირთზე და წავიღებდით და მივიტანდით სახში.

— კაცებიც, ქალები, მა რა. მე ტვირთისაგან ვარ მოკლული, მა რაისაგანა ვარ ქსრე [ესრე], სუ ტვირთი, სუ ტვირთი, სუ ტვირთი, სრულ, სრულ, სრულ.

— ჰო, სანამ გავთხოვდებოდი. ჰო, ესრე ვიმუშავე რაც... იქინდა, საიდანაც შევძლე მე მუშაობა.

— არა, არავინ. იქ აღარავინ აღარ არი, არა, სუ თავ განებდა იმ ადგილებს.

— რა ვიცი მე. ზოგი თიანეთში გადავიდა, ზოგი აქ წამოიდა, ზოგი სხვაკან გადავიდა, რა ვიცი მე.

— აბა, ჩაიქცეოდა, რა ვიცი მენა. ოცდაორი წელია, რაც ჩვენ აქა ვართ, ოცდაორი წელი.

— არა, ლახატოში გავთხოვდი.

— ჰო, მთიული, მთიულის შვილია.

— იმ ადგილის სახელს ვეღარ მოიგონებ ეხლა, ბიჭო.

— ძაღლმა... იმათ დედ-მამასა, რა ვიცი, რამდენი შვილიშვილი მყავ, ქალო, რა ვიცი მენა.

— ომე, ვენაცვლე, აბა, ის აქ არ არი, რომენიც უფრო ძალიან მიყვარს.

— დაგვაქუჩეს, ქალო, იტყვის ეხლა კაცი... წავლენ, ეხლა რამდენას იცინებენ, ჩვენ ლაპარაკსა, ჩვენს ამეს, ყოფაქცევას, რამდენას გაიცინებენ და ამით, დაგვაქუჩეს ჩვენ.

— იმიტო, რო აბა, არ გაგიგონავთ ესეთა ლაპარაკი, როგორაც ჩვენა ვლაპარაკობთ. თქვენ სუ სხვანაირ ყოფაქცევა გაქვთ, შვილო, სხვანაირ ლაპარაკი.

— ჰოდა, ეგ როგორც შენა ძლაპარაკობ, ეგეთა ლაპარაკ უნდა ეხლა.

— ვამე, საქმე არცად არა მაქვ მენა.

— აბა, მე ლექსებისად ვინ მამაცლიდა, გათენდებოდა კი არა, ქათამი რო შადყვივლებდა, აბა, ცხვრები, აბა, ძროხები, აი ეგრე.

— არც დღეობებში დავხყვანდით ჩვენა.

— მეზობლის სახლის კარებ არ ვიცოდით, რა დღეობებში. ჩვენ დღეობა ტყეში იყო, ჩვენ დღეობა ცხვრებში იყო, ძროხებში.

— არა, ა ათაში ერთხელ, სამი-ოთხ წელში ერთხელ თუ წავიდოდით, შეიძლებოდა, ისიც...

— აქითაც გავაგონებთ, კაცო, აქითაცა, რად გინდათ სკამს რო მიდგამთ. გან აქით ვერ გაიგონებთ. ჩვენ დიდი ლაპარაკი ვიცით, რო ა მთას იქით გავაგონებთ კაცსა.

— ჰო და ჰო, ეგრე უნდა, რო გაიგონოს კაცმა.

— აბა, რა ვიცით ჩვენა ლექსებისი, ვინ გვასწავლიდა ჩვენა ლექსებსა.

— ერბო ქვონდა, იმოდენა ერბო ქონდა, რო მეორ-მესამე წელიწადს კი-

დენა კმაობდა ის ერბო. ჰო, ისეთა ცხოვრება ქონდა ჩვენა, საითაც მე წამოვდ, ქალ სანამ ვიყავ, თორო მემრე კი, რო გავთხოვდი, აღარა მაქვ ჯანი. ჯერ ომიანობის დროს ბრუცელიოზი მქონდა, იმან შამჭამა. მემრე, ეს მარილების დაგროვება... ხო, რავი სუყველა გადამეფანტა, გადამეკარგა, ესენ საითლა დავაგროვე, რა ვიცი, რად მინდოდა მარილები. ხან ჯელები დამისივდება, ხან მუჭლები. ისე მტკივა, შვილო, რო ადგომა და დაჯდომა ჩემთვი დიდი ომია. თუ ე მაღალ სკამზე დავჯექ, ვეღარც ავდგები. რა ვი, ამის წამალ ვერ გამააჩინეს და კიბოსი, არც კიბოზე ნაკლები ესა ყოფილა.

ქვემო ქელი

5. კობალას ქვა

კობალა და ე შუაფხოს ხატი იაჯსარი — იტყვიან — ძმებიანო. საცა დღეობა იციან, ციხეგორი ჰქვიან. იმითა ჰქვიან ციხეგორი, რო ციხე ჰქონია იქ დევებსა, კობალა ჰყოლია ი დევებს მოჯამაგირედა. ჯორცივლადა ყოფილა მაშინ ი კობალა. თურმე აღონებენ ე დევები, ეხვეწება უფალსა: — მამეც მე ძალა, რო ამ დევებს მეერიო!

მიეცა კობალას ძალა. უთხრა ი კობალამა დევებსა: — აიყარენით აქითაო!

მემრედა კობალას კი არაფრად ავდებენ, მისცეს ერთ მურგვალ რკინა, ერთიც ცულის ნაჯაჭი: — აბაო, თუ დაამტვრევო ე რკინასაო!

ჰოდა დაანაფოტა ისი აიმ ცულის ნაჯაჭითა. მემრე ერთმანეთს შახედნეს ამ დევებმა: — ხვთისი კი არ იყოს ესეო! მემრე უთქომ აი დევებსა: — ირემთკალს შავჯდეთ, იქით ქვებ გამოვჰკრათო, რომენიც გადმოვაცილებთო ამ გორასაო, იმას დაგვრჩებაო ე ციხეგორიო.

წამოიდეს და, მანდა რო შამოჯდეს მთაზედა, აწონეს ი ქვები. სიბ ჩაუყრაავ, ისენ მიწაჩი ჩაეფლობოდენ. ჩაყარეს ის სიბი, დაიბარეს ქვენათ დევები კიდენა, ფალავნები.

— ეგრე მოჰკვალავდენო მიწასაო, როგორც ჩვენ თოვლს მოვჰკვალავთო. შავშინდიო ძალიანაო, — უთქომ კობალასა, — ისევაო გულ შავიმაგროდიო.

ეხლა ი დევებს ქაჯები დაყენებული ჰყოლია: — ი ჩვენებ ქვები კობალასას გადააცილეო, არ გვაჯობოს კობალამაო!

დებღრიგნეს ის მაცილები, გადააცილეს გორსა, წამაიდეს ი ქვა, მაგრამ ი კობალასი გაკრულ ქვას დეეჯირა, ვეღარ წამაიდეს მაცილებმა, აჯობა კობალამა.

ჰოდა აიყარნეს ი დევები იქითა, დარჩა სალოცავად ი ციხეგორი. პირველად მანდით გაიმარჯვა კობალამ. მემრე მიჰყვა, ისენი სუ დალივა, ის დევები. მანდით მიჰყოლია მემრე, გაულახტიან ისეები, იაჯსარიც დაძშველებია.

ი კობალასი ქვა რო არის გზაზედა, ნაბილჩრები ეტყობაო იმასაო: ი დევებს მაუბარავის ი ქვა, იქ გაუგდებინებავის კობალასა. ჰოდა იმად ეძახიან კობალასი ქვასა.

6. კაფია

— ჩარგალს რა გედვა მაყრადაო,
 თუ მთაში გედვა ქერებო,
 გიორგობისთვე მაძჯარდაო,
 დაგჰმეს ეგ ორნივ ჴელებო.
 — დავჰკვებავ იორღებსაო,
 შენ აღარ მოგეფერებო,
 ისეთებ სარებ ავაგოო,
 რო აღარ უჩნდეს წვერებო.

ხარანაული გიორგი ტანკოს ძე
 (თიკუნი — ხვლეპულა), 78 წლის.

7. ცოცხალთა მჯობი მკვდარია...

მეც მიყვარს ჩარგლის მიდამო, მანდაურ მიწა-წყალიაო
 ჩარგალში არი შაჭრილი ვაჟაის მამა-გვარიაო
 სალოცავია მეტადა, როგორც ლაშარის ჴვარიაო
 გავიდა სამძღვარს გარეთა ვაჟაის ნაუბარიაო.
 ჩარგლიდან ბევრჯელ ვაჟაი, ბარისაჯოსაკ რებულიო,
 შუალამისას მოიდის, რო ჴალაფთ გამოგდებულიო,
 მოიდეს წვერჭირხლიანი, ბერდენკაგადადებულიო,
 თვალზე ქუღჩამოხურვილი, თმა-წვერი გამოშვებულიო.
 გადაიშორა ვაჟამა ხვეყნის სესხი და ვალიაო
 სამუდმო ბინას ჩადბარდა, როგორც ხვთის სამართალიაო
 გზა ჴსნილი მისცას ვაჟასა, ცოცხალთა მჯობი მკვდარიაო.

ავტორ-მთქმელი — ქიქილთ დავითო (წოწკოლაური).

ტექსტები გადმობეჭდილია: **1, 5** — ქართული დიალექტოლოგია, I, 1961; **2-4**
 — გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, 1980; **6-7** — თ. გოგოლაური, საუბრები ფშაურ
 კილოზე, 2005.

გიორგი ცოცანიძე

**თუშური კილო
ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები
სახელის ბრუნება
ხმოვანფუძიანი სახელები**

სახ.	გზა-(ა)	კდე-(ა)	ორმო-(ა)	კოდალაყ-(რ)
მოთხ.	გზა-მ	კდე-მ	ორმო-მ	კოდალაყ-მ
მიც.	გზა-ს	კდე-ს	ორმო-ს	კოდალაყ-ს
ნათ.	გზ-ის(აფ)	კდე-ის(აფ)	ორმო-ს(აფ)	კოდალაყ-ის(აფ)
მოქმ.	გზ-ით	კდე-ით	ორმო-თ	კოდალაყ-ით
ვით.	გზა-დ	კდე-დ	ორმო-დ	კოდალაყ-ად
წოდ.	გზა-ო/ვ	კდე-ო/ვ	ორმო-ვ	კოდალაყ-ვ

ფუძის ბოლოკიდური ყველა -უ- დაირთავს ვ თანხმოვანს: ყრუვწ, ბლუვწ, გლუვწ... ასე რომ თუშურში უ ბოლოხმოვანი სახელები არ არსებობს.

სახ.	გზ-ებ-(რ)	კდე-ებ-(რ)	ორმო-ებ-(რ)	კოდალაყ-ებ-(რ)
მოთხ.	გზ-ებ-თ	კდე-ებ-თ	ორმო-ებ-თ	კოდალაყ-ებ-თ
მიც.	გზ-ებ-ს	კდე-ებ-ს	ორმო-ებ-ს	კოდალაყ-ებ-ს
ნათ.	გზ-ებ-ის(აფ)	კდე-ებ-ის(აფ)	ორმო-ებ-ს(აფ)	კოდალაყ-ებ-ის(აფ)
მოქმ.	გზ-ებ-ით	კდე-ებ-ით	ორმო-ებ-ით	კოდალაყ-ებ-ით
ვით.	გზ-ებ-ად	კდე-ებ-ად	ორმო-ებ-ად	კოდალაყ-ებ-ად
წოდ.	გზ-ებ-ო	კდე-ებ-ო	ორმო-ებ-ო	კოდალაყ-ებ-ვ

თანხმოვანფუძიანი სახელები

	უკუმწველი	კუმწვალი
სახ.	ცხენ-(რ)	გოდორ-(რ)
მოთხ.	ცხენ-მ	გოდორ-მ
მიც.	ცხენ-ს	გოდორ-ს
ნათ.	ცხენ-ის(აფ)	გოდორ-ის(აფ)
მოქმ.	ცხენ-ით	გოდორ-ით

ვით.	ცხენ-ად	გოდრ-ად
წოდ.	ცხენ-ო/ჲ	გოდორო-ო/ჲ
სახ.	ცხენ-ებ-(რ)	გოდრ-ებ-(რ)
მოთხ.	ცხენ-ებ-თ	გოდრ-ებ-თ
მიც.	ცხენ-ებ-ს	გოდრ-ებ-ს
ნათ.	ცხენ-ებ-ის(აფ)	გოდრ-ებ-ის(აფ)
მოქმ.	ცხენ-ებ-ით	გოდრ-ებ-ით
ვით.	ცხენ-ებ-ად	გოდრ-ებ-ად
წოდ.	ცხენ-ებ-ო/ჲ	გოდრ-ებ-ო/ჲ

საკუთარი სახელები

სახ.	როსტომ-(რ)	როსტომაც-(რ)
მოთხ.	როსტომ-მ(ან)	როსტომაც-მ(ან)
მიც.	როსტომ-ს	როსტომაც-ს
ნათ.	როსტომ-ის(აფ)	როსტომაც-ის(აფ)
მოქმ.	როსტომ-ით	როსტომაც-ით
ვით.	როსტომ-ად	როსტომაც-ად
წოდ.	როსტომ-ო/ჲ	როსტომაც-ო/ჲ

გვარები, გვარ-სახელები ერთად

	გვარები		გვარები გვარ-სახელები ერთად
სახ.	განაანრ	ჭოლიკნ	ჭოლიკთ პანტო(ფ)
მოთხ.	განაანთ	ჭოლიკთ	ჭოლიკთ პანტო-მ(ან)
მიც.	განაანთ	ჭოლიკთ	ჭოლიკთ პანტო-ს
ნათ.	განაანთაფ	ჭოლიკთაფ	ჭოლიკთ პანტო-ს(აფ)
მოქმ.	—	—	ჭოლიკთ პანტო-თ
ვით.	—	—	ჭოლიკთ პანტო-დ
წოდ.	განაანო/ჲ	ჭოლიკნო/ჲ	ჭოლიკთ პანტო/ჲ

ზ მ ნ ი ს უ ლ ლ ე ბ ა
ზმნის ტიპი სტატიკური, ობიექტური
ჩვენ ჩირიკში ყოფილა მეფე ერეკლე, როცა თათრები შამაესიგნენ საქართველოს, გამოერიდა და ჩირიკში ჩასახლდა. სანამ ის ბრძოლა დამთავრდა, იქ ნამყოფილა. მღვდლიანთას უცხოვრია. როცა თურმე დამშვიდდა და დაწყნარდა ხალხი, მემრე რო წასულაო, მეფემ უთხრა ჩირიკელებს: „რა გინდათ, რით დაგასაჩუქროთ“-ო? მამულები შასთავაზა და ჩონ ხალხსა უარი უთქვამს: „აი, ეს სახელმწიფო გზა თბილისიდან კავკავამდეო თქვენს განკარგულებაში იყოსო, თქვენი გავლენის ქვეშო“. ჰოდა მაგათ გავლენის ქვეშ ყოფილა. ღვდლები ყვანდისკე მაგათ.

ბოლოს ჩირიკს ყველამ ზურგი აქცივა. ეხლა რამდენი კომლილა იქნება? ცოტადლა არის. სხო გვარი არ არის აქ. სუ კობაიძეებია.

ჩ ი რ ი კ ი

8. ***

- ჭონა-ჭონა უნდა დავიაროთ.
- შენი მამამთილი მთიულეთის ფასი იყო, შენი დედამთილი იმაზე გადამეტი.
- ერთი მოვიდა — მაყბედა, მეორე მოვიდა — მაყბედა, გახარდა კაცი.
- ეჰ ჩემო მარო, ეს სისნეულისაა.
- ხვალ ნიშანი აქუთ ქურციკიანთ.

- ვასიკოს დაურჩინა ფული. 10 კილო თავად დაახმარა.
- მაიწადინა შენმა მამამთილმა: „დააგდე შენი სავაჭრო, თორემ არ ვიცი რას გიზმენ. მოლალე ყველა და მოილაპარაკეთო“; გულზე სუ კანი მაკრავს.
- წყალი ჩხრინათ მიდის.
- შენი ყალანი ხომ არ მაზის, რას ჩამომეკიდე? შენ სუ გარიგარ დადღიხარ.
- ძველად ითქმის. მანდ ლომისა ყოფილა და მემრე რა ვნცი, თქმულებაა ისეთი, რომ მანდედან გაფრენილა, წვერზე დაბანებულა, ისე ნაშენები კი არი.
- დედის მულაბანა აქუს.
- ქორობანაა: ვითომ ერთი დედაა, კრუხი და წიწილები ჰყავ და მგელი მოუვარდა და, რო ვერაფერს გაჯდება, მაიტაცებს ქორი და წაიდებს. შემდეგ ისევ დაუბრუნებს.
- ახლოშია, განა შორს არის.
- ვარდისფერი ადგილი აქუ და ცისფერი ყვავილები.
- ჯალაბობიანად დაგვპატრეყს.
- სად მიდიხარ, შე ბაითალმანო.
- ადექი, მრავალანი ამოსულა.

კ ა ი შ ა უ რ ე ბ ი

9. ***

ზამთარი ამ ბოლო წლებში მაისუსტებს. მენ თოვლი მინახავს სამი მეტრი სიმაღლე, ეხლა აღარ; ჰაერი გამოიცვალა.

— ის ამ კუთხისია, ვინც ეს დადწერა, ხალხს საქმეს უჩენს, თუ გააკეთეს, ბნელი კუთხეა ესა; უნდა იმ კაცმა აქაც რამე გააჩნოს, თოვლები აუხნლოს ხალხსა.

— როგორც ფარტენა, ისე ბარდნის, მსხვილებია ისინი. მეორე არის თოვნი კიდან ისეთი, როგორც ფეტვი, გოროხი საფანელივით, ეს გამოიდარებსო. ცოტას რო თოვლს იქარსლება, ეგაა ქარსლი. როცა არზანი თოვლია, ნაკლები ყინვა არი, თუ ცოტა თოვლია, მეტი ყინვა არი.

— ეს ყოჩი ვერა და ვერ გაძღა. ადამიანიც ვერე იქნება — ბედენაა, როგორც ადამიანი, ისე საქონელი. ზოგი სულ სჭამს დაწყებიდან დამთავრებამდე. ეს მემძროხეა, შვილია ჩემი. ეგ მეერიდა ბალახს ისივა. თქვენზე ვინ რას რეყვის?

კ ა ი შ ა უ რ ე ბ ი

10. ***

ნიკალავ, ციხელაშვილო,
ანგელოზი ხარ ცისაო,
წამოგიყვანეს სალდათში,
მასკვლავი მოდწყდა ცისაო.

უკან გამოგყვა შენ დედა,
 თვალიდამ ღვრიდა ცრემლსაო.
 „ნულარა სტირი, დედაო,
 ნულარ ამრავლებ ჭირსაო.
 იქნება უკან დავბრუნდე,
 იმედი მაქუ ღვთისაო“.
 შორი გზა გამოგვავლიეს,
 შორი გზა გრანიცისაო,
 ახლა გვიწყობენ სწავლასა,
 წესია სალდათისაო.
 მივიღე უნტრაფიცრობა,
 წესია სალდათისაო.
 ეგე ვასწავლი სალდათებს,
 როგორც რო მამა შვილსაო.
 ეს ომი გამოგვიცხადეს
 ომია მანჯურისაო.
 არ იქნება, უნდა წავიდე,
 წესია სალდათისაო.
 მანჯურიაში ჩავედით,
 ელვა რამ ატყდა ცისაო,
 ეგრე გადმოდის ტყვიაი,
 როგორც რომ წვიმა ცისაო.
 ერთი ნიკალს დაგვირტყეს,
 „ვა დედას“ დასძახისაო;
 როცა მეორე დაარტყეს,
 ნიკალა წაიქცისაო.
 ნულარა სტირი, დედაო,
 ნულარ იმრავლებ ჭირსაო.
 ემაგ შაირის მათქვამი
 ქართლის დუქანში ზისაო,
 წინ უდგა ნახევარ თუნგი,
 შასანდობარსა სმისაო.

ქიმბარიანი

მაია კობიაშვილი

მოხეური კილო

**ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები
ს ა ნ ე ლ ის ბ რ უ ნ ე ბ ა**

სახ.	სკამი შკამი	სკმები შკმები	
მოთხ.	სკამმა შკამმა	სკმებმა შკმებმა	
მიც.	სკამს შკამს	სკმებს შკმებს	
ნათ.	სკმის შკმის	სკმების შკმების	
მოქმ.	სკმით შკმით	სკმებით შკმებით	
ვით.	სკმად შკმად	სკმებად შკმებად	
წოდ.	სკამო შკამო	სკმებო შკმებო	
სახ.	ხბო	ხბები	
მოთხ.	ხბომ	ხბებმა	
მიც.	ხბოს	ხბებს	
ნათ.	ხბის	ხბების	
მოქმ.	ხბით	ხბებით	
ვით.	ხბოდ	ხბებად	
წოდ.	ხბოვ	ხბებო	
სახ.	რუ(ვი)	რუვები	
მოთხ.	რუვმა	რუვებმა	
მიც.	რუვს	რუვებს	
ნათ.	რუვის	რუვების	
მოქმ.	რუვით	რუვებით	
ვით.	რუვად	რუვებად	
წოდ.	რუვ	რუვებო	
სახ.	კაც-ი	კაც-ებ-ი	კაცა-ფ
მოთხ.	კაც-მა	კაც-ებ-მა	კაცა-მ-ა
მიც.	კაც-ს(ა)	კაც-ებ-ს(ა)	კაცა-ს(ა)
ნათ.	კაც-ის(ა//ი)	კაც-ებ-ის(ა//ი)	კაცა-ის(ა//ი)
მოქმ.	კაც-ით(ა)	კაც-ებ-ით(ა)	კაცა-ით(ა)

ვით.	კაც-ად	კაც-ებ-ად(ა)	კაცა-დ(ა)
წოდ.	კაც-ო	კაც-ებ-ო	კაცა-ვ
სახ.	მამა(დ)	მამ-ებ-ი	
მოთხ.	მამა-მ(ა)	მამ-ებ-მ(-ა)	
მიც.	მამა-ს(ა)	მამ-ებ-ს(ა)	
ნათ.	მამა-ის-(ა) მამა-ის(ა ი)	მამ-ებ-ის(ა ი)	
მოკმ.	მამ-ით(ა) მამა-ით(ა)	მამ-ებ-ით(ა ი)	
ვით.	მამა-დ(ა)	მამ-ებ-ად(ა)	
წოდ.	მამა-ვ	მამ-ებ-ო	
სახ.	ქვეყანა-დ	ქვეყნ-ებ-ი	
მოთხ.	ქვეყანა-მ(ა)	ქვეყნ-ებ-მა	
მიც.	ქვეყანა-ს(ა)	ქვეყნ-ებ-ს(ა)	
ნათ.	ქვეყანა-ის(ა ი) ქვეყანა- დს(ი)	ქვეყნ-ებ-ის(ა ი)	
მოკმ.	ქვეყანა-დთ(ა)	ქვეყნ-ებ-ით(ა)	
ვით.	ქვეყანა-ად	ქვეყნ-ებ-ად(ა)	
წოდ.	ქვეყანა-ვ	ქვეყნ-ებ-ო	
სახ.	პატარაი ქალაი		
მოთხ.	პატარამ ქალამა		
მიც.	პატარას ქალასა		
ნათ.	პატარაის ქალაისი		
მოკმ.	პატარაით ქალაით		
ვით.	პატარა ქალად(ა)		
წოდ.	პატარა ქალავ		

ზ მ ნ ის უ ლ ლ ე ბ ა
-ამ თემისნიშნისანი გარდამავალი ზმნა

I სერია		
აწ.- მე.	(ჩა-)ვიცომ (ჩა-)იცომ (ჩა-)იცომს	(ჩა-)ვიცომთ (ჩა-)იცომთ (ჩა-)იცმენ
უწ.- ნოლ.	(ჩა-)ვიცომდი (ჩა-)იცომდი (ჩა-)იცომდა//იცმიდა	(ჩა-)ვიცომდით (ჩა-)იცომდით (ჩა-)იცომდეს//იცმიდეს

I სოლ.	(ჩა-)ვიცომდი (ჩა-)იცომდი (ჩა-)იცომდის//იცმიდის	(ჩა-)ვიცომდით (ჩა-)იცომდით (ჩა-)იცომდიან//იცმიდიან
I კავ.	(ჩა-)ვიცომდე (ჩა-)იცომდე (ჩა-)იცომდეს	(ჩა-)ვიცომდეთ (ჩა-)იცომდეთ (ჩა-)იცომდენ
II სერია		
წე.	ჩავიცვი ჩაიცვი ჩაიცო	ჩავიცვით ჩაიცვით ჩაიცვეს
II კავ.	ჩავიცო ჩაიცო ჩაიცოს	ჩავიცოთ ჩაიცოთ ჩაიცონ
III სერია		
I თურ.	ჩამიცმია ჩავიცმია ჩაუცმია	ჩავიცმიათ ჩავიცმიათ ჩაუცმიათ
II თურ.	ჩემეცო ჩევეცო ჩეეცო	ჩევეცოთ ჩევეცოთ ჩეეცოთ
III კავ.	ჩემეცოს ჩევეცოს ჩეეცოს	ჩევეცოსთ ჩევეცოსთ ჩეეცოსთ

გარდაუვალი ზმნები -ებ თემის ნიშნით

I სერია		
აწ.- მე.	(და-)ვიღლები (და-)იღლები (და-)იღლება(-კე)	(და-)ვიღლებით (და-)იღლებით (და-)იღლებიან(-კე)
უწ.- სოლ.	(და-)ვიღლებოდი (და-)იღლებოდი (და-)იღლებოდა	(და-)ვიღლებოდით (და-)იღლებოდით (და-)იღლებოდეს
I სოლ.	(და-)ვიღლებოდი (და-)იღლებოდი (და-)იღლებოდის(კე)	(და-)ვიღლებოდით (და-)იღლებოდით (და-)იღლებოდიან(კე)
I კავ.	(და-)ვიღლებოდე (და-)იღლებოდე (და-)იღლებოდეს	(და-)ვიღლებოდეთ (და-)იღლებოდეთ (და-)იღლებოდენ

II სერია		
წყ.	დავიღალე დაიღალე დაიღალა	დავიღალეთ//დავიღალენით დაიღალეთ//დაიღალენით დაიღალეს//დაიღალნეს
II სოლ.	დავიღალი(-კე) დაიღალი(-კე) დაიღალის(-კე)	დავიღალით დაიღალით დაიღალნიან (-კე)
II კავ.	დავიღალა დაიღალა დაიღალას	დავიღალათ//დავიღალანათ დაიღალათ//დაიღალანათ დაიღალან//დაიღალნან
III სერია		
I თურ.	დავღლიღვარ დაღლიღხარ დაღლიღა	დავღლიღვართ დაღლიღხართ დაღლიღან
II თურ.	დავღლიღიყავ დაღლიღიყავ დაღლიღიყო	დავღლიღიყავით დაღლიღიყავით დაღლიღიყვენეს
III კავ.	დავღლიღიყო დაღლიღიყო დაღლიღიყოს	დავღლიღიყოთ//დავღლიღიყვენეთ დაღლიღიყოთ//დაღლიღიყვენეს დაღლიღიყონ//დაღლიღიყვენენ
I სერია		
აწ.- მე.	(და-)ვჯღები ვწვები (და-)ზღები სწვები (და-)ჯღება წვება	(და-)ვჯღებით ვწვებით (და-)ზღებით სწვებით (და-)ჯღებიან წვებიან
უწ.- სოლ.	(და-)ვჯღებოდი ვწვებოდი (და-)სჯღებოდი სწვებოდი (და-)ჯღებოდა წვებოდა	(და-)ვჯღებოდით ვწვებოდით (და-)სჯღებოდით სწვებოდით (და-)ჯღებოდეს წვებოდეს
I სოლ.	(და-)ვჯღებოდი (და)სწვებოდი (და-)ზღებოდი (და)ვწვებოდი (და-)ჯღებოდის (და)წვებოდის	(და-)ვჯღებოდით (და-)ვწვებოდით (და-)ზღებოდით (და-)სწვებოდით (და-)ჯღებოდიან (და-)წვებოდიან
I კავ.	(და-)ვჯღებოდე ვწვებოდე (და-)სჯღებოდე სწვებოდე (და-)ჯღებოდეს წვებოდეს	(და-)ვჯღებოდეთ ვწვებოდეთ (და-)სჯღებოდეთ სწვებოდეთ (და-)ჯღებოდენ წვებოდენ
II სერია		
წყ.	დავჯექი დავწექი დასჯექი დასწექი დაჯდა დაწვა	დავჯექით დავწექით დასჯექით დასწექით დაჯდენ დაწვენ

II ხოლ.	დავჯდი დავწვი(კე) დასჯდი დასწვი(კე) დაჯდის დაწვის(კე)	დავჯდით(კე) დავწვით(კე) დასჯდით(კე) დასწვით(კე) დაჯდიან(კე) დაწვიან(კე)
II კავ.	დავჯდე დავწვე დასჯდე დასწვე დაჯდეს დაწვეს	დავჯდეთ დავწვეთ (დავწვენეთ) დასჯდეთ დასწვეთ (დასწვენეთ) დაჯდნენ დაწვენენ
III სერია		
I თურ.	დავმჯდარვარ დავწვალღვარ დამჯდარხარ დასწვალღხარ დამჯდარა დაწვალღლა	დავმჯდარვართ დავწვალღვართ დამჯდარხართ დასწვალღხართ დამჯდარან დაწვალღლან
II თურ.	დავმჯდარიყავ დავწვალღიყავ დამჯდარიყავ დასწვალღიყავ დამჯდარიყო დაწვალღიყო	დავმჯდარიყავით დავწვალღიყავით დამჯდარიყავით დასწვალღიყავით დამჯდარიყვენ დაწვალღიყვენ
III კავ.	დავმჯდარიყო დავწვალღიყო დამჯდარიყო დასწვალღიყო დამჯდარიყოს დაწვალღიყოს	დავმჯდარიყოთ დავწვალღიყოთ დამჯდარიყოთ დასწვალღიყოთ დამჯდარიყვენ დაწვალღიყვენ

გარდაუვალი -ობ თემისნიშნისანი ზმნა

I სერია		
აწ.	ვფიქრობ ხფიქრობ ფიქრობს	ვფიქრობთ ხფიქრობთ ფიქრობენ
უწ.	ვფიქრობდი ხფიქრობდი ფიქრობდა	ვფიქრობდით ხფიქრობდით ფიქრობდეს
I ხოლ.	ვფიქრობდი ჰფიქრობდი ფიქრობდის	ვფიქრობდით ჰფიქრობდით ფიქრობდიან
აწ. კავ.	ვფიქრობდე ჰფიქრობდე ფიქრობდეს	ვფიქრობდეთ ჰფიქრობდეთ ფიქრობდნენ
მე.	ვიფიქრებ იფიქრებ იფიქრებს	ვიფიქრებთ იფიქრებთ იფიქრებენ
ხოლ. უედ.	ვიფიქრებდი იფიქრებდი იფიქრებდა	ვიფიქრებდით იფიქრებდით იფიქრებდ

I ხოლ.	ვიფიქრებდი იფიქრებდი იფიქრებდის	ვიფიქრებდით იფიქრებდით იფიქრებდიან
მე. კავ.	ვიფიქრებდე იფიქრებდე იფიქრებდეს	ვიფიქრებდეთ იფიქრებდეთ იფიქრებდნენ
II სერია		
წყ.	ვიფიქრე იფიქრე იფიქრა	ვიფიქრეთ იფიქრეთ იფიქრეს
II ხოლ.	ვიფიქრი(კე) იფიქრი(კე) იფიქრის(კე)	ვიფიქრით(კე) იფიქრით(კე) იფიქრიან(კე)
II კავ.	ვიფიქრა იფიქრა იფიქრას	ვიფიქრათ იფიქრათ იფიქრან
III სერია		
I თურ.	მიფიქრია გიფიქრია უფიქრია	გვიფიქრია გიფიქრიათ უფიქრიათ
II თურ.	მეფიქრა გეფიქრა ეფიქრა	გვეფიქრა გეფიქრათ ეფიქრათ
III კავ.	მეფიქრას გეფიქრას ეფიქრას	გვეფიქრას გეფიქრასთ ეფიქრასთ
I სერია		
აწ.	ვამბობ ამბობ ამბობს	ვამბობთ ამბობთ ამბობენ
უწ.	ვამბობდი ამბობდი ამბობდა	ვამბობდით ამბობდით ამბობდეს
I ხოლ.	ვამბობდი(კე) ამბობდი(კე) ამბობდის(კე)	ვამბობდით(კე) ამბობდით(კე) ამბობდიან(კე)
აწ. კავ.	ვამბობდე ამბობდე ამბობდეს	ვამბობდეთ ამბობდეთ ამბობდნენ

მე.	ვიტყვი იტყვი იტყვის	ვიტყვით იტყვით იტყვიან
ნოლ. შედ.	ვიტყოდი იტყოდი იტყოდა	ვიტყოდით იტყოდით იტყოდეს
I ნოლ.	ვიტყოდი იტყოდი იტყოდის	ვიტყოდით იტყოდით იტყოდიან
მე. კავ.	ვიტყოდე იტყოდე იტყოდეს	ვიტყოდეთ იტყოდეთ იტყოდენ
II სერია		
წე.	ვთქვი(კე) სთქვი(კე) თქო(კე)	ვთქვით(კე) სთქვით(კე) თქვეს(კე)
II ნოლ.	ვთქვი თქვი თქვის	ვთქვით სთქვით თქვიან
II კავ.	ვთქო სთქო თქოს	ვთქოთ სთქოთ თქონ//თქვან
III სერია		
I თურ.	მითქმია გითქმია უთქმია	გვითქმია გითქმიათ უთქომთ
II თურ.	მეთქო გეთქო ეთქო	გვეთქო გეთქოთ ეთქოთ
III კავ.	მეთქოს გეთქოს ეთქოს	გვეთქოს გეთქოსთ ეთქოსთ

სმოვანმონაცვლე ზმნები

I სერია		
აწ.- მე.	(და-)ვკრეფ (და-)ხკრეფ (და-)კრეფს	(და-)ვკრეფთ (და-)ხკრეფთ (და-)კრეფენ

უწ.- ხოლ.	(და-)ვკრეფდი (და-)ხკრეფდი (და-)კრეფდა	(და-)ვკრეთდით (და-)ხკრეფდით (და-)კრეფდეს
I ხოლ.	(და-)ვკრეფდი (და-)ხკრეფდი (და-)კრეფდის	(და-)ვკრეფდით (და-)ხკრეფდით (და-)კრეფდიან
I კავ.	(და-)ვკრეფდე (და-)ხკრეფდე (და-)კრეფდეს	(და-)ვკრეფდეთ (და-)ხკრეფდეთ (და-)კრეფდნენ
II სერია		
წყ.	დავკრიფე დაჰკრიფე დაკრიფა	დავკრიფეთ დაჰკრიფეთ დაკრიფეს
II ხოლ.	დავკრიფი(კე) დახკრიფი(კე) დაკრიფის(კე)	დავკრიფით(კე) დახკრიფით(კე) დაკრიფიან(კე)
II კავ.	დავკრიფა და(ხ)კრიფა დაკრიფას	დავკრიფათ დახკრიფათ დაკრიფან
III სერია		
I თურ.	დამიკრეფია დაგიკრეფია დაუკრეფია	დაგვიკრეფია დაგიკრეფიათ დაუკრეფიათ
II თურ.	დემეკრიფა დეგეკრიფა დეეკრიფა	დეგვეკრიფა დეგეკრიფათ დეეკრიფათ
III კავ.	დემეკრიფას დეგეკრიფას დეეკრიფას	დეგვეკრიფას დეგეკრიფასთ დეეკრიფასთ
I სერია		
აწ.	ვზივარ ზიხარ ზის	ვზივართ ზიხართ ზიან
მყ.	ვიჯდები იჯდები იჯდება	ვიჯდებით იჯდებით იჯდებიან
ხოლ. შედ.	ვიჯდებოდი იჯდებოდი იჯდებოდა	ვიჯდებოდით იჯდებოდით იჯდებოდეს

მე. კავ.	ვიჯდებოდე იჯდებოდე იჯდებოდეს	ვიჯდებოდეთ იჯდებოდეთ იჯდებოდენ
II სერია		
წე.	ვიჯექ (// ვიჯე) იჯექ (// იჯე) იჯდა	ვიჯექით იჯექით იჯდეს
II კავ.	ვიჯდე იჯდე იჯდეს	ვიჯდეთ იჯდეთ იჯდენ
I სერია		
აწ.	ვიწევარ სწეევხარ წევს	ვიწევართ სწეევხართ წევანან
მე.	ვიწვები იწვები იწვება	ვიწვებით იწვებით იწვებიან
ხოლ. შედ.	ვიწვებოდი იწვებოდი იწვებოდა(-ის)	ვიწვებოდით იწვებოდით იწვებოდეს
I ხოლ.	ვიწვებოდი იწვებოდი იწვებოდის	ვიწვებოდით იწვებოდით იწვებოდიან
მე. კავ.	ვიწვებოდე იწვებოდე იწვებოდეს	ვიწვებოდეთ იწვებოდეთ იწვებოდენ
II სერია		
წე.	ვიწექ იწექ იწვა	ვიწექით იწექით იწვნეს
II ხოლ.	ვიწვი(კე) იწვი(კე) იწვის(კე)	ვიწვი(ნ)ით(კე) იწვი(ნ)ით(კე) იწვი(ნ)იან(კე)
II კავ.	ვიწვე იწვე იწვეს	ვიწვეთ იწვეთ იწვენენ

III სერია		
I თურ.	ვწვალიღვარ სწვალიღხარ წვალილა	ვწვალიღვართ სწვალიღხართ წვალილან
II თურ.	ვწვალიღიყავ სწვალიღიყავ წვალიღიყო	ვწვალიღიყავით სწვალიღიყავით წვალიღიყვენ
III კავ.	ვწვალიღიყო სწვალიღიყო წვალიღიყოს	ვწვალიღიყოთ სწვალიღიყოთ წვალიღიყვენ

ზენა „თესვა“

I სერია		
აწ.- მე.	(და-)ვ(ს)-თეს (და-)სთეს (და-)(ს)თესს	(და-)ვ(ს)თესთ (და-)სთესთ (და-)(ს)თესვენ (//თესენ)
უწ.- ხოლ.	(და-)ვ(ს)თესდი (და-)სთესდი (და-)(ს)თესდა	(და-)ვ(ს)თესდით (და-)სთესდით (და-)(ს)თესდეს
I ხოლ.	(და-)ვ(ს)თესდი (და-)სთესდი (და)სთესდის(კე)	(და)ვთესდით (და)სთესდით (და)სთესდიან(კე)
I კავ.	(და-)ვ(ს)თესდე (და-)სთესდე (და-)(ს)თესდეს	(და-)ვ(ს)თესდეთ (და-)სთესდეთ (და-)(ს)თესდენ
II სერია		
წყ.	დავთესე დასთესე დასთესა	დავთესეთ დასთესეთ დასთესეს
II ხოლ.	დავთესი(კე) დასთესი(კე) დასთესის(კე)	დავთესით(კე) დასთესით(კე) დასთესიან(კე)
II კავ.	დავსთესა დასთესა დასთესას	დავსთესათ დასთესათ დასთესან
III სერია		
I თურ.	დაღმითესია დაღითესია დაუთესია	დაღვითესია დაღითესიათ დაუთესიათ

II თურ.	დემეტესა დგეტესა დეტესა	დგვეტესა დგეტესათ დეტესათ
II კავ.	დემეტესას დგეტესას დეტესას	დგვეტესას დგეტესასთ დეტესასთ

ზენა „რეკვა“

I სერია		
აწ.- მე.	(და-)ვრეკ (და-)ლრეკ (და-)რეკს	(და-)ვრეკთ (და-)ლრეკთ (და-)რეკენ
უწ.- ხოლ.	(და-)ვრეკლი (და-)ლრეკლი (და-)რეკლა	(და-)ვრეკლით (და-)ლრეკლით (და-)რეკდეს
I ხოლ.	(და-)ვრეკლი (და-)ლრეკლი (და-)ლრეკლის(კე)	(და-)ვრეკლით (და-)ლრეკლით (და-)ლრეკლიან
I კავ.	(და-)ვრეკდე (და-)ლრეკდე (და-)რეკდეს	(და-)ვრეკდეთ (და-)ლრეკდეთ (და-)რეკდეს
II სერია		
წე.	დავრეკე დალრეკე დარეკა	დავრეკეთ დალრეკეთ დარეკეს
II ხოლ.	დავრეკი(კე) დალრეკი(კე) დარეკის(კე)	დავრეკით(კე) დალრეკით(კე) დარეკიან(კე)
II კავ.	დავრეკა დალრეკა დარეკას	დავრეკათ დალრეკათ დარეკან
III სერია		
I თურ.	დამირეკია დაგირეკია დაურეკია	დაგვირეკია დაგირეკიათ დაურეკიათ
II თურ.	დემერეკა დგერეკა დეერეკა	დგვერეკა დგერეკათ დეერეკათ

III კავ.	დეგერეკას დეგერეკას დეერეკას	დეგვერეკას დეგერეკასთ დეერეკასთ
-----------------	------------------------------------	---------------------------------------

ზმნა „მალვა“

I სერია		
აწ.- მე.	(და-)ვმალავ (და-)ღმალავ (და-)მალავს	(და-)ვმალავთ (და-)ღმალავთ (და-)მალვენ
უწ.- ხოლ.	(და-)ვმალავდი (და-)ღმალავდი (და-)მალავდა (//მალვიდა)	(და-)ვმალავდით (და-)ღმალავდით (და-)მალავდეს
I ხოლ.	(და-)ვ(ღ)მალავდი//ვმალვიდი (და-)ღმალავდი//მალვიდი (და-)ღმალავდის(კე)//მალვიდის(კე)	(და-)ვმალავდით//ვმალვიდით (და-)ღმალავდით//მალვიდით (და-)ღმალავდიან//მალვიდიან
I კავ.	(და-)ვმალვიდე (და-)ღმალვიდე (და-)მალვიდეს	(და-)ვმალვიდეთ (და-)ღმალვიდეთ (და-)მალვიდეს
II სერია		
წყ.	დავმალე დაღმალე დამალა	დავმალეთ დაღმალეთ დამალეს
II ხოლ.	დავმალი(კე) დაღმალი(კე) დამალის(კე)	დავმალით(კე) დაღმალით(კე) დამალიან(კე)
II კავ.	დავმალა დაღმალა დამალას	დავმალათ დაღმალათ დამალან
III სერია		
I თურ.	დამიმალია დაგიმალია დაუმალია	დაგვიმალია დაგიმალათ დაუმალათ
II თურ.	დეემემალა დეგემალა დეემალა	დეგვემალა დეგემალათ დეემალათ
III კავ.	დეემემალას დეგემალას დეემალას	დეგვემალას დეგემალასთ დეემალასთ

ზმნა „ვტირი“

I სერია		
აწ.	ვტირი სტირი ტირის	ვტირით სტირით ტირიან
უწ.	ვტიროლი სტიროლი ტიროლა	ვტიროლით სტიროლით ტიროლეს
I სოლ.	ვტიროლი სტიროლი ტიროლის(კე)	ვტიროლით სტიროლით ტიროლიან(კე)
აწ. კავ.	ვტიროლდე სტიროლდე ტიროლდეს	ვტიროლდეთ სტიროლდეთ ტიროლდენ
მე.	ვიტირებ იტირებ იტირებს	ვიტირებთ იტირებთ იტირებენ
სოლ. უედ.	ვიტირებდი იტირებდი იტირებდა	ვიტირებდით იტირებდით იტირებდეს
I სოლ.	ვიტირებდი(კე) იტირებდი(კე) იტირებდის(კე)	ვიტირებდით(კე) იტირებდით(კე) იტირებდინ(კე)
მე. კავ.	ვიტირებდე იტირებდე იტირებდეს	ვიტირებდეთ იტირებდეთ იტირებდენ
II სერია		
წე.	ვიტირე იტირე იტირა	ვიტირეთ იტირეთ იტირეს
II სოლ.	ვიტირი იტირი იტირის(კე)	ვიტირით იტირით იტირიან(კე)
II კავ.	ვიტირა იტირა იტირას	ვიტირათ იტირათ იტირან

III სერია		
I თურ.	მიტირია გიტირია უტირია	გვიტირია გიტირიათ უტირიათ
II თურ.	მეტირა გეტირა ეტირა	გვეტირა გეტირნათ ეტირნათ
III კავ.	მეტირას გეტირას ეტირას	გვეტირას გეტირასთ ეტირასთ

ზმნა „ღრეკა“

I სერია		
აწ.- მე.	(და-)ვღრეკ (და-)სღრეკ (და-)ღრეკს	(და-)ვღრეკთ (და-)სღრეკთ (და-)ღრეკენ
უწ.- ხოლ.	(და-)ვღრეკდი (და-)სღრეკდი (და-)ღრეკდა	(და-)ვღრეკდით (და-)სღრეკდით (და-)ღრეკდეს
I ხოლ.	(და-)ვღრეკდი (და-)ღრეკდი (და-)ღრეკდის	(და-)ვღრეკდით (და-)ღრეკდით (და-)ღრეკდიან
I კავ.	(და-)ვღრეკდე (და-)სღრეკდე (და-)ღრეკდეს	(და-)ვღრეკდეთ (და-)სღრეკდეთ (და-)ღრეკდენ
II სერია		
წე.	დავღრიკე დასღრიკე დაღრიკა	დავღრიკეთ დასღრიკეთ დაღრიკეს
II ხოლ.	დავღრიკი დასღრიკი დაღრიკის	დავღრიკით დასღრიკით დაღრიკიან
II კავ.	დავღრიკა დასღრიკა დაღრიკას	დავღრიკათ დასღრიკათ დაღრიკან

III სერია		
I თურ.	დამიდრეკია დაგიდრეკია დაუდრეკია	დაგვიდრეკია დაგიდრეკიათ დაუდრეკიათ
II თურ.	დამედრიკა დაგედრიკა დაედრიკა	დაგვედრიკა დაგედრიკათ დაედრიკათ
III კავ.	დამედრიკას დაგედრიკას დაედრიკას	დაგვედრიკას დაგედრიკასთ დაედრიკასთ

ზმნა „ხატვა“

I სერია		
აწ.- მე.	(და-)ვხატავ (და-)ხატავ (და-)ხატავს	(და-)ვხატავთ (და-)ხატავთ (და-)ხატავენ
უწ.- ხოლ.	(და-)ვხატავდი (და-)ხატავდი (და-)ხატავდა//ხატვიდა	(და-)ვხატავდით (და-)ხატავდით (და-)ხატავდეს//ხატვიდეს
I ხოლ.	(და-)ვხატავდი (და-)ხატავდი (და-)ხატავდის//ხატვიდის	(და-)ვხატავდით (და-)ხატავდით (და-)ხატავდიან//ხატვიდიან
I კავ.	(და-)ვხატავდე (და-)ხატავდე (და-)ხატავდეს	(და-)ვხატავდეთ (და-)ხატავდეთ (და-)ხატავდნენ
II სერია		
წე.	დავხატე დახატე დახატა	დავხატეთ დახატეთ დახატეს
II ხოლ.	დავხატი(კე) დახატი(კე) დახატის(კე)	დავხატით(კე) დახატით(კე) დახატიან(კე)
II კავ.	დავხატა დახატა დახატას	დავხატათ დახატათ დახატან

III სერია		
I თურ.	დამინატია დაგინატია დაუნატია	დაგვინატია დაგინატიათ დაუნატიათ
II თურ.	დემენატა დეგენატა დეენატა	დეგვენატა დეგენატათ დეენატათ
III კავ.	დემენატას დეგენატას დეენატას	დეგვენატას დეგენატასთ დეენატასთ

ზენა „მიმაქვს“

I სერია		
აწ.	მიმაქვ მიგაქვ მიაქვ	მიგოქ მიგაქვთ მიაქვთ
უწ.	მიმქონდა მიგქონდა მიჰქონდა	მიგჟქონდა მიგქონდათ მიჰქონდათ
I ხოლ.	მიმქონდის(კე) მიგქონდის(კე) მიჰქონდის(კე)	მიგვქონდის(კე) მიგქონდისთ(კე) მიჰქონდით(კე)
აწ. კავ.	მიმქონდეს მიგქონდეს მიჰქონდეს	მიგვქონდეს მიგქონდესთ მიჰქონდესთ
მე.	წავიღებ წაიღებ წაიღებს	წავიღებთ წაიღებთ წაიღებენ
ხოლ. უედ.	წავიღებდი წაიღებდი წაიღებდა	წავიღებდით წაიღებდით წაიღებდეს
I ხოლ.	წავიღებდი წაიღებდი წაიღებდის	წავიღებდით წაიღებდით წაიღებდიან
მე. კავ.	წავიღებდე წაიღებდე წაიღებდეს	წავიღებდეთ წაიღებდეთ წაიღებდენ

II სერია		
წყ.	წავიღე წაიღე წაილა	წავიღეთ წაიღეთ წაიღეს
II ნოლ.	წავილი(კე) წაილი(კე) წაილის(კე)	წავილით(კე) წაილით(კე) წაილიან(კე)
II კავ.	წავილა წაილა წაილას	წავილათ წაილათ წაილან
III სერია		
I თურ.	წამილია წაგილია წაულია	წოგილია წაგილიათ წაულიათ
II თურ.	წემელა წეგელა წეელას	წეგველა წეგელათ წეელათ
III კავ.	წემელას წეგელას წეელას	წეგველას წეგელათ წეელასთ

ძირითადი ლიტერატურა

გუგუშვილი კ., ილია ჭავჭავაძე და მოხეური კილო (ლელთ ღუნისას ვინაობისა და მისი მეტყველების რაობის დადგენის ცდა); გორის პედ. ინსტ. V, სამეცნ. კონფ; გორი, 1960.

იმნაიშვილი გ., მოხეური დიალექტის შესწავლის ისტორიისათვის; XVII დიალექტოლოგიური სესია (თელავი, 24-25. X), თეზ., 1997.

კობიაშვილი ა., მოხეურის თავისებურებანი (სოფ. ყაზბეგში, გერგეთსა და სნოში შეკრებილი მასალის მიხედვით); თსუ სტუდ. XX. სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი საკ. ალკკ 40 წლისთავისადმი (17-24. IV), თეზ., თბ., 1958.

კობიაშვილი მ., მრავალგზისობის გამოხატვა მოხეურ დიალექტში; „საენათმეცნიერო ძიებანი“, VIII; თბ., 1999

კობიაშვილი მ., წარმომავლობის სახელთა წარმოება მოხეურში; „საენათმეცნიერო ძიებანი“, V; თბ.; 1996.

კობიაშვილი მ., ხოლმეობითის წარმოება მოხეურ დიალექტში; ბ. ჯორბენაძის საზოგადოების V კონფერენცია; მასალები; 1999.

ქავთარაძე ივ., მოხეური კილო ყაზბეგის ენაში; უნივ. შრ. XXXV ბ; თბ., 1949.

ქავთარაძე ივ., ქართული ენის მოხეური დიალექტი (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი); (ენათმეცნიერების ინსტიტუტი); „მეცნიერება“; თბ., 1985;

ქაჯაია თ. მ., მოხეური დიალექტი; სტალინირის პედ. ინსტ. შრომები, ტ. VII, სტალინირი; 1959.

ქაჯაია თ., მწკრივთა წარმოების ზოგიერთი თავისებურებისათვის მოხეურში; სტალინირის სახელმწ. პედ. ინსტიტუტების XV სამეცნ. სესია; თეზ.; 1954.

ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

მეტყველების ნიმუშები

1. მოხევეთა საუბრიდან

— ცდოს გახაა, ას ექვს წელჩია ახლა ისა. იმან არაფერი გაიმაბა? ცხო იქიველი კაცი არვინ ღნახე? [— ეკითხება ამ ამბის ჩამწერს].

— შკმები არა გაქჷ, გამაიტანე, დავჯდეთ.

— რატომ ჩაგრაგ შენ, კაცო, მაგ კაცს, მიეცი თავის ფიცარი! — მე არ გჩაგრი, მაგრამ ახლა არ მაქჷ.

— კოშისა რო გეგვა ნასყიდა მომდევსო, გეექცია და ნასყიდას ცხენი უკან გეწირა.

— ცხელს დღეს დაგაყენებენთ-მეთქი.

— მოხუცს შინ გული არ უდგების, ჯელი საქმეზე ერჩის.

— გაზაფხულზედა ცხორს ეს მთა აავლიან და მადლა არეკიან.

— წამაუსხმია ყისინა. პოვლე გოჩიეთს ეთქო: — მობძანოდე კიდევავო.

— ახალგაზრდამ თუ რაიმე მაიტანას, მოხუცმა მაიგმარას.

— აეხლა ამ ბატარა ლეოსაც ვემზრახე: ცხორს მოვლა, ყურის გდება უნდა.

ერთი ცხორი დოგოკლდა, თუ დაილუბა საით. ცხორი კარგს შამოსავალს გოდღევს, გადასაჯადსაც ჯდილობს, ზაფხულჩი ადვილას გამორჩების. ზამთრისთჷ აქ თუ ვერ სთიბენ საკმარსა, მაშინ ყიზლარში მაინც გუინდა გადადენა.

— მე შკოლაის თავჩი ვცხოვროფ. შიუკას, ბიძასჩემს, რო ადგილები გენაწილა, მაშინ იქა გუერც მეზობლად არვინ ხყვანია. ძალიან ყმა კი ყოფილა. ნასყიდას ქალზე ჯორი დაუწერია და შაურთია. ნასყიდა გერგეტით იყო.

2. ერობაში მოსმენილი საუბრები

1

— ეს ცხენი ვისია?

— არ ვიცი, ახალციხურია, მგონი.

— სიმონა, ეს კოტიას მისცოდე (კარკუჩა).

- წამაუსხმია ყისინაი. პოვლე გოჩიეთს ეთქო: მობზანდოდე კიდავაო.
- ეხლა რატო არ მემღერობთ?
- მემღერა რაია და — მომღერალი (გერგეტი).
- ცხელს დღეს მეთქი დაგაყენებნთ, თავრობაჩი ნუ მაჩივლებთ, თო-რო... (ყაზბეგი).
- ფილო, კოლაი რო არ არი მანდა? — საბჭოჩი უხაძიან.
- რაისთჲი სჩაგრავ, კაცო, მაგ ბაღლსა, მიეც თავის ფიცარი!
- მე არ ვსჩაგრი, მაგრამ ეხლა არა მაქუ.
- კოშიას რო გეევა, ნასყიდა მომდევისო, გეექცია და ნასყიდას ცხენი უკენ გეეწირა.
- შკმები არა გაქუ? გამაიტანე, დავჯდეთ.
- სიმიდი რო მაგპარა, მამრე არავისთჲი გითქმია? არ შაგიჩივლებია? სადამდე უნდა იფიქრა? (სნო).
- ის ყაზახები სულ სხენოსნები იყვნეს. თუ იმას ბაღლი ეყვალეზოდა, მაშინვე აძლევედეს საჩუქრადა ექუს დესეტინა მიწას.
- ქოითაჩი სამყოფოც გაამართვინა და ლამაზი ბოხრებიც დააკეთებინა. ზაით კი ვერ დეემთავრა, ისრი დეეგდა.
- ნუ გასთხტები, კაცო, რო ვუყოთ, ცხორი გექნება, ძროხა გექნება, რაიც გექნება, მისცემ და მაგეშუება (ყაზბეგი).
- მახყებოდეს და უნდა სუ დეეღევინა, ისრი არ შაიძლებოდა (სიონი).

2

- ეს ზამთარი გონჯი იყო.
- ჰო, თოვლი სიცივემ დააძრა. მამრე თბილქარაი დაიკრთა და ცხორს უბალახოზე გაუჭირდა.
- კაცო, საცა კი გაღხო, იქაც რაი გამოიდა. ლუსკუმად იქცა. მამრე ლუსკუმზე თოვლივე წახპერანგდა და გაზაფხულამდე ეგრე იყო.
- ჰო, გაზაფხულზე, საკაკბიაი რო არ გენახა, სულ ნაჩხატი ყინული იყო. მამრე როგორც კი ღხოზა დაიწყო, წყალღურებად იქცა.
- ესეთი მძიმე ზამთარი არ ყოფილა.
- თუ გახსონ, კარგალინგოჩი (ადგილია კრასნოდარის მხარეში) რო ვიდექით, მაშიც მძიმე ზამთარი იყო.
- მაში რო ცხრურებმა იზარალა, არა?
- არცარა ისრი, ცოტას გახკრა, ლოხი და ბებერი წამაარჩია.
- სათხეთი? ვერც ერთმა თიკანი ვერ გაზარდა. მელას რაილა მაზდიოდა?!
— მაშა, საკურელი იყო, მე და ჩემმა ღმერთმა! გაივლიდა კაცი და ქუდიის ძირჩი მელაი შაგხუდებოდა კბილებდაკრეჭილი!
- სარჩო აღარა ხქონდა რა და იმიტომა.
- ფრინველი რა იყო!
- იმასაც რაილა შეეძლა. ზამთარმა გატეხა, სიჩქარე დააკარგვინა და ველარას იჭერდა.

- არა, ეს ბოლო ხანები, თუ აკტრდები, სულ გონჯი ზამთრები მოდის.
- ეფრემერთი სწერია: უარესი იქნებაო.
- ომზე არა სწერია რა?
- მაშა, თავისნაირი ახსნა კი უნდა და იქ სწერია, რო ომი უნდა იყოს სამოცდაშუღლი. ისითი ომიც უნდა იქნას, რო გათავდება, კაცი კაცს რო შახტდება, უნდა გაკტრებულეებმა ხკითხან ერთმანერთსა: საით, როგორ, როგორ გადარჩიო! სულ თურმე ჩაილევა ქოყნიარება და რაიც დარჩება, იმათ სათავეჩი კი თურმე ქალი ჩადგება.
- ეგეთაი ცოლად მაინც შახტდეს კაცსა!
- რას დღეჩი ჩავარდება!
- ამ ზამთარს რას აპირობ, ჰა?
- აბა, რაი ვქნა, ვასილავ, ე ბალღებმა წელი მაიწყუტეს და ვერა თიბეს რა. ცხორჩი ვაპირობ წასულასა და ძროხებსაც თან მეთქი გავირეკ.
- დედაკაცი?
- დედაკაცი შინ დარჩება. რო გტინდა სახლიგათ ბოლი გავიდეს.
- ეგაც რო ქალაქს გეგეგზავნა, ისა შჯობდა.
- შჯობდა, შჯობდა, ვასილავ, მარა ვაი თუ გავსაწყლდეთ და რაილა მამრე ჩონი წამალი?
- ამბობენ, ი შენი ბალღი კარგა სწავლობსო, მართლაია?
- არ ვიცი, სულ წიგნებს კი ჩაშტერებია. რაი ვიცი. ერთი რამენაირად დამებინავა, აღარას ვიჯავრებდი.
- ჰო, პატრონი კი უნდა, უნდა...
- ახლა საითკე აპირობ?
- აი, ცხორათ გავხედავ, მამრე კი ერობაჩი ჩამოვივლი.

3. ტოლი

ცხორი იპარსებაკე ორჯელა. გაზაფხულზედა ნაქცი კარგი იცის, მატყლი სთვლობისააკე კარგი და არც გაზაფხულის-ა გონჯი. ეხლანის, ჭი ცხორი რო გაიპარსება, მატყლს გავდრეცხთ, გავაშრობთ მზეზედა, დავშჩქით საჩეჩელზედა და დავახუევთ რუდებადა. მამრე ამ რუნდებისაგა დავახუევთკე ჩონგებსა, ჭი ჩონგას გადავიცომთ კლავზე და დავიწყებთ იმის დასთვასა წიპტარაით ანდა, იფრო მეტად, ხის ტარზედა.

[ხის] ტარი არის მუცლიანი, თავჩი ყიპჭოი — ჩაჭდეული — აქტ, რომენზედაც ჩამაცმულია კტიშტავი. ამ ყიპჭოზე გამამბულია დასასთავი მატყლის ბოლოი. დედაკაცი ხის ტარს მუჯლზე დაბჟუალეებით შამაატრიალესკე და დასთავს. თუ მაგრა შამაატრიალა, წრინკე გამოვალის, ძრიალ დამახული, სუსტად გაბრუნებული მდორნე იქნება. ნასთი შაშტალი უნდა იყოს, თორე დაიწრიხება და გონჯა დაიჭერს ტანსა. ნასთი — ეგრე ორი ღოლი — ამახუევა და გტირგულად შაიხუევა.

ახლანის სატოლე მატყლი მატქ ორფერი: ზედა — გონჯია, მეორის ხა-

რისხის, საქოსოვლი — გრძელი ბეწვისა, ძვირფასი. მამრე დავიქსითკე გძლად, ამოვნოსკითკე ნოსკობა და ტოლი. დავიჭერ საქსოლს და ვასთავ. ეხლა რო დავიქსავ ი საქსოლსა, იქითკეც შკამი დვას, აქათკეცა. იქითკე ჩამოვაცომ უნოსკოდა. აქათკე ვაკეთებ ხიფხასა. ამ შკმით იმ შკამამდი დავიქსე ყი სატო-ლე. მამრე ყიმ ტოლს დავდმართავ, გავუკეთებ ცხო დედაკაცს ველზე ხიფხასა, გავსწყვეტ მარცოლს — თითო ღოლს (ის მარცოლი არის სამოცი, თითო მარცოლად ვთვლი ოთხ-ოთხ გალს), მე აქათკე ვზივარ საფაიქრო შკამჩი, მი-ჭერია შეები და სავარცხლები, ამოვსხითკე იმაჩი.

როცა მაიქსოვებოდა ტოლი, შკმებით თუნალაი იყვის გამართული, გავა-ბით წიწკებზე, იმაზე გადავანტევედითკე ტოლსა, პალოზე დაუჭერდით თავსა. მამრე ჩავსდვამდით ჭაღაჭაჩი, რო გეეტან-გემეეტანა. შეებსა საფეჯურები აქუ თოკისა, ზაით ქანდარაია გამბული, რომენზედაც ჩამაცმულია თოკები თითო-თითო შეებისა და სავარცხლისა. ერთს თოკს დასწევ, ერთი შეი ამაფრინდება; ცხოს დასწევ, ცხო ამაფრინდება. მამრე გავღებჭნითკე მაგრა, დავიჭერ მამრე და გავზმანი მკლავითა. სამოცი მკლავი მოვქსოვით, გავშჭრი დუქარდითა, მო-გვეც. ამავკერავ და შავთელავ.

ლასტი გუოქ. ტოლს დავასველებ თბილს წყალჩი, დავასტენთ ლასტზე და დედაკაცები კლავებწაკეცილები სთელვენ, ვიდრე შაითელება. მამრე გა-შრება, დავანტევეთ ჯონზე და შავკერთკე კაცისთჳი ჩოვა-ანალუხი, შალვარი; დედაკაცებისთჳი — კაბა, კაპოტი და როვი (= რა ვიცი), რაი გინდა.

თეთრს ტოლსა ვღებავდითკე ნიედავა. გუდამყრით გოდმოგუქონდა ლუჭაი, ჭორტლიანი სახლები იცოდინაკე იქა, ჭერთხალაის ძირებით მოვხარ-შითკე, იმაჩი ყვითელი გამავიდისკე, ფოლიცაა ყოილი მოლემნო, იმაჩი ვღებავ-დით, სმაგა მისციანკე, ძალა ჩაყვალთან, ზოგს მარილს ჩაყვრინაკე.

4. ათენგენობა

ათენგენობას ავიდოდეს ჯუთას. ხატები აბზანინაკე. მამრე აქ ჩამოვი-დოდინ კვირა საღამოზე. იმ ღამეს ღამის თიება გუქონდის, ორშაბათს შად-მაგობა (ადგილს ვეძახით შადამაგას). ისები იყვნეს ჭკვიანი კაცები: აქ ბევრი სტუმრები მოვალისო და დავგლანგენო. აქათით ართხმოჩი ავიდოდეს. იქიდან ხეთანას მთას ავდებოდეს, იქაც ღამის თევება იქნებოდა.

დილაზე წავიდოდა მხვეწარი დეკანოზებთან ლალანგურის წუნერზე¹. იქ ერთი დღე იქნებოდა ქეიფი. დეკანოზებთან სუყველაი მახვეწარი თითო მოკო-მური მიიტანდა ქადასა და სანთელსა. შახვეწილი მიიყვანდა ერთ საკლავს — ცხორს, კურტს, რაიც იქნებოდა, ერთს ბოთლს არაყს მიაყვალებდა. ის შახვე-წებდა ღმერთსა: ღმერთო, გაუმარჯვე ამ საკლავის მამყვანსაო, ლალანგურის წმინდა გივარგიო, შენ მაუმართე ჳელიო! გასჭრიდა ქადასა და ნახევარს და-ჭერდა თავათა. ტყავი და მჭარი საკლავისა დეკანოზისა იყო. ქეიფის შემდეგ გა-

ვდებოდა ჩხუბი, დეერეოდეს მოწვევები და ჯეგსურები ვმლითა და ხანჯლითა. ჩამავიდიან დეკანოზები, ჩამაიტანიან ხატები, ამწყალობნიდიან გასაშველებლათ. დაშველდიან და გათავთავადიან ცალკე მოწვევები და ცალკე ჯეგსურები.

5. ხატობა

წინათ ხატობაჩი დავდიოდით, ლამაზი საკლავები დავგოციოთკე. ავიყვანდით მღღელს და ეკლესიაჩი ილოცის. ლომისაჩი შუღლი იცოდეს. ამ ჯეველებმა არ იცოდინ ჩხუბი. არაყი ბევრი იყვის. დავითრობოდით, ერთურთს გკოცნიდით.

ნათლიმცემელჩი წავიდოდინ. წაიდიან თავის პურ-შაჭამადი და შამობ-რუნდიან შინ. შუღლი არ იცოდინ. სასმელი ბევრი იყვის. ფორი გააკეთიან. ჩაადგიან პურის ამე, მახუხს ეტყოდეს, და გამაწყანწყარდის. კარტოხაის არაყი არ გუიკეთებია.

ხატობაჩი ჯორციც ბევრი იყვის. პური გამააცხუიან. ჯარები დაასულ-დგმულიან და დახკლამდეს იმათა მესამე წელიწადს. სამლოთო ღორი არ მი-გვყოვდა, სახლჩიგა კი ვიჯმარებდით. მეგეცსენებათ, რო მაშინის მღღელი მარ-კოი იყო და აღთქმა გქონდა ეგეთი — ღორის ჯორცი არ გუეჭამა. წმინდა ბეთლემში ბერები რო ცხოვრობდეს, იქ ღორები თხრიდეს და ბერებმა თქვეს: ღორი აღარა გჭამათო.

ახლა, ეს რო გითხარი, თითო ლიტრი უნდა ჩაიღო ჯიბაჩი და დავლო-ცოდეთ ერთმანეთი. როსტომას ეგრე უთხროდე, ეს იმას დავათქმევიენე-თქო.

6. თხოვა-გათხოვება

წინავ მოვიდოდა მარჯეკალი და ეტყოდა: — შენს ქალს ეს ითხოვსო.

ქალს არ ჰკითხავდეს. ახლა ის ეტყოდა: — არა, გენაცვალე, მე იმას ქალს არ მივსცემ.

როსთენჯერ იტყოდეს, მერე მორიგდებოდეს. მიუტანდეს სასაგულესა, საჩუქარსა, ურვათსა (მაშინ ოცდახუთი მანეთი იყო), ზოგჯერ ჩოჯას, განა შა-კერილსა! — ტოლს მიუტანდეს, მანათს მისცემდეს ბეისა და ეტყოდეს: ამა და ამ დროს მზას იყოსო.

ჯორწილში წავიდოდეს მაყრები. დაიკლებოდა საკლავები. თუ არ მაეწო-ნებოდათ მიყვანილი საკლავები, უკენვე დააბრუნებდეს. ამისთჳინა კარგს აარ-ჩევედა დედუფლის წამყონი. შაშაწეგარი იყვის, შააწევედეს: დედის ძმაი თუმანსა. მაცხოვრებელი როგორი იყვის, ისე აწევედეს. ასე ორმოცამდი შაუდგებოდა ფუ-ლი. იქ სწერდეს და მერე პატრონს ჩააბარიან. მერე ზედმეტი უნდა შეგეწია.

ტაბლა იყვის, ტაბლის სწორი, ჩა შკამას ეძახოდეს, იმაზე დასხდებო-დეს. მეღვინეები თავს ადგეს ქილებითა და ყანწებით. ნადირის რქები რომ გინახია, იმითი ასხამდეს და იმითი ასვამდეს. იქ მოტყუება არ იქნებოდა, ჩა-სცქერდეს იმაჩი, წამაინრებოდა: დალიე ეგე, თუ არა, თავზე დაგასხამო. ღვი-ნოც იყო და არაყიცა, ვისაც როგორი შაძლება ჰქონდა, ჯობინებაზე იყო ჯორ-წილი. თუ შენ ესე ჰქენ, ის იმის მოცადეობას არის, რომ იმაზე მჯობინობი

ჯორჯილი ქნას. ღვინის სმა რიგით მოსდევდა და ისე ასომდეს. ორპირად ის-ხდის ხალხი, სათავით მახყვებოდეს: — შენ დალოი? ახლა შენ, ახლა იმან.

მეღვინემ თავ-თავის ამე იცოდის. შეჭკითხავდეს: — შენს ამეს დაალევიან?

— დავალევიან, მაშა!

მღერობდიანკე, იფრო ხშირად «დიდებას» იტყოდეს. მერე მოიგონებდეს, ვინც კარგი გააკეთა. [მაგალითად:]

ყაზბეგიანი გოტანდეს ძალასა. ერთხალ ცხენები ყანებში გეეშო, გავიდა ივანე და დავოცა ის ცხენები, რომ თავწასხმულ ყანებშიცა ცხენები დადიოდა. ერობაჩი ამოვიდა გივარგი და იკითხა: — ვინ დავოცა ცხენებში? — აბა, ვინ იტყვის, — არც ვინა. არც არავიზე კი ვეჭი ძქონდა. მერე ივანე წამოდგა და უთხრა: — მე დავოცეო. აბა, ჯორჯილში არ არის მასაჯსენებელი ივანე, ხალხის ყანები რომ გადაარჩინა?!

მამრე ჩამავლებდეს, ვინც ყვანდათ და აღარ არის, იმის შაშანდობარსა. სიმგურგვლით უვლიდეს ქალი და ბიჭი და ისე თამაშობდეს. თოფების ჯლა იყო. ზოგჯერ ჩხუბიც მოვდის. ვინც სტინდისიანი მეჩხუბარი იყვის, როცა შინათკე წამავილოდეს, მაშინ უზამდეს ჩხუბსა. ეგრე ეტყოდეს: აქ კი არ ვაუგემურათ, გარეთ რომ გავალით, მაშინის გამოვაჩინათ ერთურთით.

7. მკვდრის წესი

მოწვევებმა კარგი ტირილი და კარგი მკვდრის დაფასება იციან. მე მახსონ ყაზბეგიანთ სანდროს სიკუდილის დროს ტირილი.

ჩემი ბებიანი, ათერი გოდერძიშვილი, ყაზბეგიანთ დისწულისშვილი იყო. როცა გაიგა სანდროს სიკუდილი, ჩემი ბებიანი მაშინვე მეემზადა წამასასულელადა, — სანდრო უნდა ვიტირაო. ათერიანი ჩამოვიდა სტეფანწმინდასა და გავლავანჩი ისრი იტირა, რომ მთელი ჯევი გააკუთრა. ემ დროს ანდრიეთ ანდრიანი ყოფილიყო იქა და ისრი მასწონებოყო ათერიანის ტირილი, რომ ცოდვანი შააყარა: თუ შენზე ადრე მოვუკუდი, ჩემი ცოდვა გქონდეს, თუ არ მიტირაო. მართლაც, მას მამრე გავიდა რამდენიმე წელიწადი, ანდრიანი მართლაც ათერიანზე ადრე მაკუდა. ათერიანი ისრივ ჩამოვიდა სტეფანწმინდასა, ანდრიანი მამკუდარა და უნდა ვიტირა, ცოდვაშამაყრილი ვარო. მართლაც, ისრი იტირა, რომ ანდრიას რომ რაიმე გეეგა, ძრიალ ესამოვნებოდა.

თუ ჯევი კარგი ვაჟკაცი ფათერაკით დაილუბას, მაში ხალხი მას ცხონირად დააფასებს. სამი დღე და დამე იქნება გაუთავებელი ტირილი და, როცა დაიმარხება, მაში დაიკლება საპატივსაცემოდ მასული ხალხისთუი საკლავები, ზოგჯერ თორმეტი ან მეტი საკლავი მიუვაკე. დასაფლოვების დღეს დაიკლება ხუთი ან ექუსი. მესამე დღეს სამი ან ოთხი, მეამრე ცხუბები. ემ ვაჟკაცს დარჩება ჩასაცემელი, ცხენები, ძროხები, დეკეულები ან ისითი იარაღი და მორთულობა, რომ შინ შანახვა არ ვარგა; მაში მკვდრის პატრონმა უნდა გააჩუქას. გაჩუქება ჯდება მესამე დღესა, როცა თოფის ნიშანს გასტეხენ. თოფის ნიშანი უნდა გატეხან მესამე დღესა, მისმა სწორმა ახალგაზდობამა: დასდებენ

მკუდრის ჩასაცმელსა, ქუდსა, საათსა, კიდავ ძირფას რასმე, დააყენებენ ნიშანსა და, ვინც ნიშანჩი მახუდრებს, იმას მისცემენ, რაიც კარგია სახსოვრად, და ესრე დაარიგებენ ტანისამოსსა.

წელიწადი რო შასრულდება, დაინიშნება დოლი, დოღზე იქნება დაწესებული ცხურები, მაზურეი ან ცხენი. გამაიზომება ერთი სოფლის ცხენებით გამაქცევა მკუდრის საფლოვამდე; ვინც იქ პირველი მოვა, მაში იმას მისცემენ არა ნაკლებს 10, 12 ცხორსა. მეორეს კუიცსა, მესამეს მაზურესა და ეგრე დარიგდება ბოლომდე.

მკუდრის სახელზე უნდა დაიდგას შუიდი სიფრო. პირველად თხუთმეტი, მამრე ორმოცი: მამრე ხალარჯობა, მარიანობა, წყალკურთხევა, მკუდრების მარხვისა და წლისთავი. ემ შუიდივე სიფროზე გორის უფროსი უნდა იყოს, ეგრე სიფრო არ შაიძლება. გორის უფროსი თუ არა, გორის წლოვანებით უფროსი კაცი მაინც უნდა იყოს, რო პირველი შასანდობარი იმან დალიას და მას მამრე ოჯახს სუ ვორწილ-ნათლობა ულოცას.

8. მამის ანდერძი

იყო ერთი ჭკუიანი და ძრიალ მდიდარი კაცი. მარტო ერთი შვილი ხყვანდა. შვილი რო იზღებოდა, მამა ატყობდა, რომ უჭკო იყო და სახელს და სიმდიდრეს ვერ მაივნარებდა. ამისთუი ხშირად არიგებდა და ეხუეწებოდა, რო გონჯ ხალხთან მეგობრობას არ ახყვალყო, კარგ კაცთან ჩხუბი შჯობია გონჯასთან ქეიფობასაო.

სიკუდილისას მამამ შვილს უანდერძა: შვილო, აი, მთელი ჩემი ქონება, მთელი ავლადიდება წვითა და დაგვით ნაშოგნ-მონაგარი შენ გრჩება, ჭკუიანად მაიქეც და ტკბილად გაცხოვრებსო. თუ რო განგებამა საქმე იქამდე მიგიტანას, შაშჯამა მთელი ქონება, გასტება მამის ანდერძი და მაგწყინდეს ცხოვრება, მაში ა იქ, ჭერში, თოკი ჩამოვამბი და როცა სიკუდილი იფიქრა, მიდი და თავი აქვე ჩამაიხჩუეო.

მამა მაკუდა. შვილმა როცა დამარხა და გაბრუნდა, მაშინვე გატება მამის ანდერძი: დაუძახა ნაცნობ-მეგობრებსა და სულ ქეიფობდა, შჯამდა, სომდა.

რაკი ხედავდა ხალხი, რო დიდი ქონება ჰქონდა, ყუელადა იმას ეცდებოდა, რო ბეურს გამარჩომიყუნეს. ყუელა პირჩი აქებდა და პირს იქით კი აგინებდა. ზღვა წებით დაილევაო — ნათქომია ძუელთავანა. იმასაც გემეელია ქონება და დარჩა მშვიარი. რაკილა აღარა ჰქონდა რა, ნაცნობ-მეგობრებიც შემეელია და სუყელას ეჯავრებოდა.

ერთხალა, როცა იფრო ძრიალ შიგოდა, ერთს თავის მეგობართან შავიდა და უთხრა: მე მთელი ჩემი ქონება თქუენ შაგაჰმიეთ და ეხლა კი თქუენც მაჰმიეთ, მშვიარი ვარ. მეგობარმა გამაავდა და უთხრა — მე მათხოვარას ჩემთან არ ვუშობო. რაკილა საქმე ძრიალ გაუჭირდა, მასპინძელმა ცემაც დაუწყა და გამაავდა.

შასწუხდა ძრიალა. ვისთანაც მივიდა, ყუელამ სცა, აგინა და ისრი გაუ-

შო. შენ რო ჭკუიანი ხყოფილიყავ, მამის დეღევანს ქონებას ისრი ძაღლუმადურად არ გადაავლევიდო. ეხლა შენ თავისთუი აღარ ვარგიხარ და ჩუენ რა-ჩილა დოგჭირდებიო.

ეს კაცი როცა ძრიალ შააწუხა თრევამა და შიმშილმა, ბევრის ფიქრის შემდეგა გადასწყუთიტა თავის მაკლვა.

წავიდა და მამის სახლჩი შავიდა. როცა ჭერჩი ჩამამბული საბელი დაინახა, ეხლა კი მააგონდა მამის ანდერძი.

აღგა გაჯავრებული და თავი საბელი გაუყარა ჩამასახრჩობადა. როცა ჩემეეკიდა და ერთბაშად მასწყუდა საბელი ჭერჩიგა და თან ჩამაჰყვა ყუთი, საბელი ყუთზე თუ ყოფილიყო გამამბული. ამ კაცმა მაშინვე გახსნა ყუთი, დასცქირა და შიგ ოქროა. ესაც მამის იმისთუი დეეგდა, რო, როცა თავის მაკვლამდი მიუალს ჩემ შვილს საქმე, ის ჭკოზე მაშილა მოვალისო. რაკი ღნახავს სარჩოს, მამრე გონჯა აღარ მაიქცევა და კარგა იცხოვრებსო. იმიტომაც, რომა, აქნობამდე ყუელა მტერ-მოკეთე გაცნობილიც ექნებაო.

აჯდა მამის ნათქომი, აცხადდა. მამრე კი კაცი ძრიალ ჭკუიანაღლა ცხოვრობდა და თავის დამლუბველ მეგობრებს სათოფეზეც აღარ იყენებდა. აი, ესრე იქნება, ვინცა მამისა და უფროსის დარიგებას, ჭკუას მიჰყვება.

მთას ურემი ავიტანე,
წამოვიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით დამიბერდით,
საიქიოს — ცხონებითა.

ტექსტები გადმობჭდილია: **1, 3-6** — ქართული დიალექტოლოგია, I, 1961; **2, 7-8** ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, 1985.

მარინა ბერიძე

სამცხურ-ჯავახური ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები სახელის ბრუნება

(არსებით სახელისა და ცალკემდგომი ზედსართავის ბრუნებაში არსებითი განსხვავება არ არის, ამიტომ ცალკე არ გამოვეყოფთ)

ხმოვანფუძიანი სახელები

ა) ხმოვანფუძიანი საკუთარი და საკუთართან გაიგივებული სახელები, ხმოვანფუძიანი მიკროტოპონიმები

სახ.	პეტრე-ი/ე	თამრო-ი/ე
მოთხ.	პეტრე-ნ / პეტრე-მ-ა*	თამრო-ნ / თამრო-მ-ა*
მიც.	პეტრე-ს(ა)//ჰ//0	თამრო-ს(ა)//ჰ//0
ნათ.	პეტრე-ს(ი)	თამრო-ს(ი)
მოკმ.	პეტრე-თ(ი)	თამრო-თ(ი)
ვით.	პეტრე-თ(ა)	თამრო-თ(ა)
წოდ.	პეტრე	თამრო

*მოთხრობითის მ>ნ ცვლილება მავრცობი ხმოვნის წინ არ ხდება.

დედაი / დედა (დედაჩემი, დედაშენი — საკუთართან გაიგივებული),
ჭურაი / ჭურა (მიკროტოპონიმია სოფ. ერკოტაში)

სახ.	დედა-ი/ე	ჭურა-ი/ე
მოთხ.	დედა-ნ / დედა-მ-ა	ჭურა-ნ / ჭურა-მ-ა*
მიც.	დედა-ს(ა)//ჰ//0	ჭურა-ს(ა)//ჰ//0
ნათ.	დედა-ს(ი)	ჭურა-ს(ი)
მოკმ.	დედა-თ(ი)	ჭურა-თ(ი)
ვით.	დედა-თ(ა)	ჭურა-თ(ა)
წოდ.	დედა	ჭურა

ბ) ხმოვანფუძიანი ტოპონიმები

მხლოლობითი	
სახ.	ასპინძა
მოთხ.	ასპინძა-ნ / ასპინძა-მ-ა
მიც.	ასპინძა-ს(ა)//ჰ//0
ნათ.	ასპინძ-ის(ა)

მოქმ.	ასპინძ-ით(ა)
ვით.	ასპინძა-თ(ა)
წოდ.	ასპინძა

გ) ა-ზე დაბოლოებული ორ- და მეტმარცვლიანი საზოგადო სახელები — კვეცადი: **ყანა, დანა, ფარდა, კალთა, დედა, მამა...**

სახ.	ყანა	ყან-ებ-ი
მოთხ.	ყანა-ნ / ყანა-მ-ა	ყან-ებ-მა
მიც.	ყანა-ს(ა)//ჰ//0	ყან-ებ // ყან-ებ-ს(ა)
ნათ.	ყან-ის(ა)	ყან-ებ-ი(ჰ) //ყან-ებ-ის(ა)
მოქმ.	ყან-ით(ა)	ყან-ებ-ით(ა)
ვით.	ყანა-თ(ა)	ყან-ებ-ათ(ა)
წოდ.	ყანა	ყან-ებ-ო

დედა (საზოგადო მნიშვნელობით)

სახ.	დედა	დედ-ებ-ი
მოთხ.	დედა-ნ / დედა-მ-ა	დედ-ებ-მა
მიც.	დედა-ს(ა)//ჰ//0	დედებ // დედ-ებ-ს(ა)
ნათ.	დედ-ის(ა)	დედ-ებ-ი(ჰ) //დედ-ებ-ის(ა)
მოქმ.	დედ-ით(ა)	დედ-ებ-ით(ა)
ვით.	დედა-თ(ა)	დედ-ებ-ათ(ა)
წოდ.	დედა	დედ-ებ-ო

დ) ა-ზე დაბოლოებული ერთმარცვლიანი საზოგადო სახელები

სახ.	ძმა	ძმი-ებ-ი
მოთხ.	ძმა-ნ / ძმა-მ-ა	ძმი-ებ-მა
მიც.	ძმა-ს(ა)//ჰ//0	ძმიებ // ძმი-ებ-ს(ა)
ნათ.	ძმ-ის(ა)	ძმი-ებ-ი(ჰ) // ძმი-ებ-ის(ა)
მოქმ.	ძმ-ით(ა)	ძმი-ებ-ით(ა)
ვით.	ძმა-თ(ა)	ძმი-ებ-ათ(ა)
წოდ.	ძმა-ო	ძმი-ებ-ო

ა-ზე დაბოლოებული უკვეცელი ზედსართავები: შავთვალა, ცალყურა, მტირალა...¹

¹ ხმოვანფუძიანი ზედსართავი — ი/ა-ს სახ. ბრუნვაში დაირთავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის საკუთარ სახელთან არის გაიგივებული ან მემველზმნას დაირთავს: დიყურაჲ, პატარაჲ...).

სახ.	შავთვალა-ი/ღ	შავთვალ-ებ-ი
მოთხ.	შავთვალა-ნ/შავთვალა-მ-ა	შავთვალ-ებ-მა
მიც.	შავთვალა-ს(ა)//ჰ//0	შავთვალ-ებ // შავთვალ-ებ-ს(ა)
ნათ.	შავთვალა-ს(ა)	შავთვალ-ებ-ი(ჰ)//შავთვალ-ებ-ის(ა)
მოქმ.	შავთვალა-თი	შავთვალ-ებ-ით(ა)
ვით.	შავთვალა-თ(ა)	შავთვალ-ებ-ათ(ა)
წოდ.	შავთვალა	შავთვალ-ებ-ო

პატრა < პატარა

სახ.	პატრა-ი/ღ	პატრ-ებ-ი
მოთხ.	პატრა-ნ / პატრა-მ-ა	პატრ-ებ-მა
მიც.	პატრა-ს(ა)//ჰ//0	პატრ-ებ // პატრ-ებ-ს(ა)
ნათ.	პატრა-ს(ი)	პატრ-ებ-ი(ჰ) // პატრ-ებ-ის(ა)
მოქმ.	პატრა-თი	პატრ-ებ-ით(ა)
ვით.	პატრა-თ(ა)	პატრ-ებ-ათ(ა)
წოდ.	პატრა	პატრ-ებ-ო

ე) ე-ზე დაბოლოებული სახელები

სახ.	ხე	ხი-ებ-ი
მოთხ.	ხე-ნ / ხე-მ-ა	ხი-ებ-მა
მიც.	ხე-ს(ა)//ჰ//0	ხი-ებ // ხი-ებ-ს(ა)
ნათ.	ხი-ი(ჰ) // ხ-ის(ა)	ხი-ებ-ი(ჰ) // ხი-ებ-ის(ა)
მოქმ.	ხ-ით(ა)	ხი-ებ-ით(ა)
ვით.	ხე-თ(ა)	ხი-ებ-ათ(ა)
წოდ.	ხე	ხი-ებ-ო

მწვანე

სახ.	მწვანე	მწვანე-ებ-ი
მოთხ.	მწვანე-ნ / მწვანე-მ-ა	მწვანე-ებ-მა
მიც.	მწვანე-ს(ა)//ჰ//0	მწვანე-ებ // მწვანე-ებ-ს(ა)
ნათ.	მწვანე-ი(ჰ) // მწვანე-ის(ა)	მწვანე-ებ-ი(ჰ) // მწვანე-ებ-ის(ა)
მოქმ.	მწვანე-ით(ა)	მწვანე-ებ-ით(ა)
ვით.	მწვანე-თ(ა)	მწვანე-ებ-ათ(ა)
წოდ.	მწვანე	მწვანე-ებ-ო

ვ) ო-ზე დაბოლოებული სახელები

გოგო, ჯადო, კაბდო... (ოე > ვიე)

სახ.	გოგო	გოგვი-ებ-ი//გოგუ-ებ-ი
მოთხ.	გოგო-ნ/გოგო-მ-ა	გოგვი-ებ-მა//გოგუ-ებ-მა
მიც.	გოგო-ს(ა)//ჰ//0	გოგვი-ებ//გოგვი-ებ-ს(ა)// გოგუ-ებ-ს(ა)

ნათ.	გოგო-ს(ი)	გოგვი-ებ-ი(პ)//გოგვი-ებ-ის(ა)//გოგუ-ებ-ის(ა)
მოქმ.	გოგო-თი	გოგვი-ებ-ით(ა)//გოგუ-ებ-ით(ა)
ვით.	გოგო-თ	გოგვი-ებ-ათ(ა)//გოგუ-ებ-ათ(ა)
წოდ.	გოგო	გოგვი-ებ-ო//გოგუ-ებ-ო

ოქრო (სონორი + ო, ოე > ვიე : > მეტათეზისი რვავრ)

სახ.	ოქრო	ოქვრი-ებ-ი//ოქრუ-ებ-ი
მოთხ.	ოქრო-ნ/ოქრო-მ-ა	ოქვრი-ებ-მა//ოქრუ-ებ-მა
მიც.	ოქრო-ს(ა)//პ//0	ოქვრი-ებ//ოქვრი-ებ-ს(ა)//ოქრუ-ებ-ს(ა)
ნათ.	ოქრო-ს(ი)	ოქვრი-ებ-ი(პ)//ოქვრი-ებ-ის(ა)//ოქრუ-ებ-ის(ა)
მოქმ.	ოქრო-თი	ოქვრი-ებ-ით(ა)//ოქრუ-ებ-ით(ა)
ვით.	ოქრო-თ	ოქვრი-ებ-ათ(ა)//ოქრუ-ებ-ათ(ა)
წოდ.	ოქრო	ოქვრი-ებ-ო//ოქრუ-ებ-ო

პალო, კალო... (ოე>ვიე პროცესი შეზღუდულია *ლვ კომპლექსის თავიდან ასაცილებლად)

სახ.	პალო	პალი-ებ-ი // პალუ-ებ-ი
მოთხ.	პალო-ნ/პალო-მ-ა	პალი-ებ-მა // პალუ-ებ-მა
მიც.	პალო-ს(ა)//პ//0	პალი-ებ//პალი-ებ-ს(ა)//პალუ-ებ//პალუ-ებ-ს(ა)
ნათ.	პალო-ს(ი)	პალი-ებ-ი(პ)//პალი-ებ-ის(ა)//პალუ-ებ-ის(ა)
მოქმ.	პალო-თი	პალი-ებ-ით(ა)//პალუ-ებ-ით(ა)
ვით.	პალო-თ	პალი-ებ-ათ(ა)//პალუ-ებ-ათ(ა)
წოდ.	პალო	პალი-ებ-ო//პალუ-ებ-ო

ერბო, უშნო, დრო... (ოე> ვიე პროცესი შეზღუდულია *ბვ კომპლექსის თავიდან ასაცილებლად)

სახ.	ერბო	ერბი-ებ-ი//ერბუ-ებ-ი
მოთხ.	ერბო-ნ/ერბო-მ-ა	ერბი-ებ-მა//ერბუ-ებ-მა
მიც.	ერბო-ს(ა)//პ//0	ერბი-ებ//ერბი-ებ-ს(ა)//ერბუ-ებ//ერბუ-ებ-ს(ა)
ნათ.	ერბო-ს(ი)	ერბი-ებ-ი(პ)//ერბი-ებ-ის(ა)//ერბუ-ებ-ი(პ)// ერბუ-ებ-ის(ა)
მოქმ.	ერბო-თი	ერბი-ებ-ით(ა)//ერბუ-ებ-ით(ა)
ვით.	ერბო-თ	ერბი-ებ-ათ(ა)//ერბუ-ებ-ათ(ა)
წოდ.	ერბო	ერბი-ებ-ო//ერბუ-ებ-ო

ზ) უ-ზე დაბოლოებული სახელები

ძუძუ

სახ.	ძუძუ	ძუძვი-ებ-ი
მოთხ.	ძუძუ-ნ / ძუძუ-მ-ა	ძუძვი-ებ-მა

მიც.	ძუძუ-ს(ა)//ჰ//0	ძუძვი-ებ // ძუძვი-ებ-ს(ა)
ნათ.	ძუძუ-ს(ი)	ძუძვი-ებ-ი(ჰ) //ძუძვი-ებ-ის (ა)
მოქმ.	ძუძუ-თი	ძუძვი-ებ-ით(ა)
ვით.	ძუძუ-თ	ძუძვი-ებ-ათ(ა)
წოდ.	ძუძუ	ძუძვი-ებ-ო

ყრუ, ბლუ... (სონორი +)

სახ.	ყრუ	*ყრუ-ებ-ი
მოთხ.	ყრუ-ნ / ყრუ-მ-ა	ყრუ-ებ-მა
მიც.	ყრუ-ს(ა)//ჰ//0	ყრუ-ებ // ყრუ-ებ-ს(ა)
ნათ.	ყრუ-ს(ი)	ყრუ-ებ-ი(ჰ) // ყრუ-ებ-ის (ა)
მოქმ.	ყრუ-თი	ყრუ-ებ-ით(ა)
ვით.	ყრუ-თ	ყრუ-ებ-ათ(ა)
წოდ.	ყრუ	ყრუ-ებ-ო

*იშვიათი (ძველი?) ფორმა: **ყვრი-ე-ბი**

***ბლუები, ბუები, კუები...** იბრუნვის სალიტერატურო ნორმით. უე > ვიე პროცესი შეზღუდულია ფონემატური წესებით.

თ) **ხბო**

სახ.	ხბო	ხბორ-ებ-ი
მოთხ.	ხბო-ნ / ძუძუ-მ-ა	ხბორ-ებ-მა
მიც.	ხბო-ს(ა)//ჰ//0	ხბორ-ებ // ხბორ-ებ-ს(ა)
ნათ.	ხბო-ს(ი)	ხბორ-ებ-ი(ჰ) // ხბორ-ებ-ის(ა)
მოქმ.	ხბო-თი	ხბორ-ებ-ით(ა)
ვით.	ხბო-თ	ხბორ-ებ-ათ(ა)
წოდ.	ხბო	ხბორ-ებ-ო

ი) **პეპელა**

სახ.	პეპელა	პეპლ-ებ-ი
მოთხ.	პეპელა-ნ / პეპელა-მ-ა	პეპლ-ებ-მა
მიც.	პეპელა-ს(ა)//ჰ//0	პეპლ-ებ-ს(ა)
ნათ.	პეპლ-ი(ჰ) // პეპლ-ის(ა)	პეპლ-ებ-ი(ჰ) // პეპლ-ებ-ის(ა)
მოქმ.	პეპლ-ით(ა)	პეპლ-ებ-ით(ა)
ვით.	პეპლა-თ(ა)	პეპლ-ებ-ათ(ა)
წოდ.	პეპელა	პეპლ-ებ-ო

თანმოვანფუძიანი სახელები

ა) თანმოვანფუძიანი საკუთარი სახელები*

სახ.	ახალქალაქ-ი
მოთხ.	ახალქალაქ-მა
მიც.	ახალქალაქ // ახალქალაქ-ს-ა
ნათ.	ახალქალაქ-ი(ჰ) // ახალქალაქ-ის(ა)
მოქმ.	ახალქალაქ-ით(ა)
ვით.	ახალქალაქ-ათ(ა)
წოდ.	ახალქალაქ-ო

*პირის სახელი თანმოვანფუძიანი არ გვხვდება: ნოდარაი, ეთერაი, ვახტანგაი...

ბ) უკუმშველი თანმოვანფუძიანი სახელები: **კაცო**

სახ.	კაც-ი	კაც-ებ-ი
მოთხ.	კაც-მა	კაც-ებ-მა
მიც.	კაც // კაც-ს-ა	კაც-ებ // კაც-ებ-ს-ა
ნათ.	კაც-ი(ჰ) // კაც-ის(ა)	კაც-ებ-ი(ჰ) // კაცებ-ის(ა)
მოქმ.	კაც-ით(ა)	კაც-ებ-ით(ა)
ვით.	კაც-ათ(ა)	კაც-ებ-ათ(ა)
წოდ.	კაც-ო	კაც-ებ-ო

გ) ორ-და მეტვამრცვლიანი კუმშვადი სახელები: **კედელი**, მარცვალი, ხორბალი, მაჭანკალი...

სახ.	კედელი-ი	კედლ-ებ-ი
მოთხ.	კედელ-მა	კედლ-ებ-მა
მიც.	კედელ//კედელ-ს-ა	კედლებ//კედლ-ებ-ს-ა
ნათ.	კედლ-ი(ჰ)//კედლ-ის(ა)	კედლ-ები(ჰ)//კედლ-ებ-ის(ა)
მოქმ.	კედლ-ით(ა)	კედლ-ებ-ით(ა)
ვით.	კედლ-ათ(ა)	კედლ-ებ-ათ(ა)
წოდ.	კედელ-ო	კედლ-ებ-ო

დ) **მინდორი**, პამიდორი...

სახ.	მინდორ-ი	მინდვრ-ებ-ი
მოთხ.	მინდორ-მა	მინდვრ-ებ-მა
მიც.	მინდორ//მინდორ-ს-ა	მინდვრ-ებ//მინდვრ-ებ-ს-ა
ნათ.	მინდვრ- ის(ა)	მინდვრ-ებ-ის(ა)

მოკმ.	მინდვრ-ით(ა)	მინდვრ-ებ-ით(ა)
ვით.	მინდვრ-ათ(ა)	მინდვრ-ებ-ათ(ა)
წოდ.	მინდვრ-ო	მინდვრ-ებ-ო

ე) ერთმარცვლიანი კუმშვადი ფუძის მქონე სახელები: **ცხვარი, რძალი, მკვდარი, ჯვალი, ცვარი, ძვალი...**

სახ.	ჯვალ-ი	ჯვლ-ი-ებ-ი
მოთხ.	ჯვალ-მა	ჯვლ-ი-ებ-მა
მიც.	ჯვალ // ჯვალსა	ჯვლ-ი-ებ // ჯვლი-ებ-სა
ნათ.	ჯვლ-ის(ა)	ჯვლ-ი-ებ-ის(ა)
მოკმ.	ჯვლ-ით(ა)	ჯვლ-ი-ებ-ით(ა)
ვით.	ჯვლ-ათ(ა)	ჯვლ-ი-ებ-ათ(ა)
წოდ.	ჯვალ--ო	ჯვლ-ი-ებ-ო

მკვდარი > კვდარი

სახ.	კვდარ-ი	კვდრ-ი-ებ-ი
მოთხ.	კვდარ-მა	კვდრ-ი-ებ-მა
მიც.	კვდარ // კვდარ-ს-ა	კვდრ-ი-ებ-ს-ა
ნათ.	კვდრ-ის(ა)	კვდრ-ი-ებ-ის (ა)
მოკმ.	კვდრ-ით(ა)	კვდრ-ი-ებ-ით(ა)
ვით.	კვდრ-ათ(ა)	კვდრ-ი-ებ-ათ(ა)
წოდ.	კვდარ-ო	კვდრ-ი-ებ-ო

ნაცვალსახელები

იეს = აი ეს

სახ.	იეს	იესენ-ი
მოთხ.	იემა-მ(ამ)	იემათ(ა) /იემათ-მა
მიც.	იემა-ს(ა)//ჰ//ო	იემათ(ა)
ნათ.	იემ-ი(ჰ) // იემ-ის(ა)	იემათი
მოკმ.	იემ-ით(ა)	
ვით.	იემ-ათ(ა)	
წოდ.		

ლა+ცა დართული განუსაზღვრელი ნაცვალსახელი

ვილანაც < ვინლაცა

სახ.	ვილანაც	*ვილე-ებ-ი-ც //ვილაცი-ებ-ი
მოთხ.	ვილამაც	ვილე-ებ-მა-ც //ვილაცი-ებ-მა

მიც.	ვილასაც	ვილე-ებ-ს-ა-ც // ვილაცი-ებ-ს
ნათ.	ვილასიც	ვილე-ებ-ის-ა-ც // ვილაცი-ებ-ის
მოქმ.	ვილაცით	ვილე-ებ-ითა-ც // ვილაცი-ებ-ით
ვით.	ვილაცათ	ვილე-ებ-ათ-ა-ც // ვილაცი-ებ-ათ
წოდ.	ვილაცა	ვილაცი-ებ-ო

*ეს ფორმები ახალგაზრდებს თითქმის არ ახსოვთ, ჩვენ ჩაწერილი გვაქვს რამდენიმე შემთხვევა და პარადიგმა 1982 წ.

რალანაც < რალაცა

სახ.	რალანაც	რალეებიც // რალაცი-ებ-ი
მოთხ.	რალამაც	რალეებმაც // რალაცი-ებ-მა
მიც.	რილასაც	რალეებ-ს-აც // რალაცი-ებ-ს-აც
ნათ.	რილასიც	რალე-ებ-ის-ა-ც // რალაცი-ებ-ის-აც
მოქმ.	რილაცით	რალეებ-ით-ა-ც // რალაცი-ებ-ით-ა-ც
ვით.	რალაცათ	რალე-ებ-ათ-ა-ც // რალაცი-ებ-ათ
წოდ.	რალაცა	რალაცი-ებ-ო

მსაზღრელ-საზღვრულის ბრუნება

ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი: **პატრა**

სახ.	პატრა ბიჭ-ი	პატრა ბიჭ-ებ-ი
მოთხ.	პატრა ბიჭ-მა	პატრა ბიჭ-ებ-მა
მიც.	პატრა ბიჭ // პატრა ბიჭ-ს-ა	პატრა ბიჭ-ებ // პატრა ბიჭებ-სა
ნათ.	პატრა ბიჭ-ი(ჰ) // პატრა ბიჭ-ის-ა	პატრა ბიჭ-ებ-ი(ჰ) // პატრა ბიჭებ-ის(ა)
მოქმ.	პატრა ბიჭ-ით	პატრა ბიჭ-ებ-ით
ვით.	პატრა ბიჭ-ათ	პატრა ბიჭ-ებ-ათ
წოდ.	პატრა ბიჭ-ო	პატრა ბიჭ-ებ-ო

თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი:

სახ.	დიდი ბიჭი	დიდ ბიჭ-ებ-ი
მოთხ.	დიდ ბიჭ-მა	დიდ ბიჭ-ებ-მა
მიც.	დიდ ბიჭ // პატრა ბიჭ-ს-ა	დიდ ბიჭ-ებ // დიდ ბიჭებ-სა
ნათ.	დიდ ბიჭ-ი(ჰ) // პატრა ბიჭ-ის-ა	დიდ ბიჭ-ებ-ი(ჰ) // დიდ ბიჭ-ებ-ის(ა)
მოქმ.	დიდ ბიჭ-ით	დიდ ბიჭ-ებ-ით
ვით.	დიდ ბიჭ-ათ	დიდ ბიჭ-ებ-ათ
წოდ.	დიდ ბიჭ-ო	დიდ ბიჭ-ებ-ო

ზ მ ნ ი ს უ ლ ლ ე ბ ა

I სერია		
აწ.	ვშვრები შვრები შვრება	ვშვრებით შვრებით შვრებიან
მე.	ვიზმონ იზმონ იზმონს	ვიზმონთ იზმონთ იზმონენ
უწ.	ვშვრებოდი შვრებოდი შვრებოდა	ვშვრებოდით შვრებოდით შვრებოდნენ
ხლ.	ვიზმოდი / ვიზმენდი იზმოდი / იზმენდი იზმოდა / იზმენდა	ვიზმოდით / ვიზმენდით იზმოდით / იზმენდით იზმოდნენ / იზმენდნენ
აწ. კავ.	ვშვრებოდე შვრებოდე შვრებოდეს	ვშვრებოდეთ შვრებოდეთ შვრებოდნენ
მე. კავ.	ვიზმოდე / ვიზმენდე იზმოდე / იზმენდე იზმოდეს / იზმენდეს	ვიზმოდეთ / ვიზმენდეთ იზმოდეთ / იზმენდეთ იზმოდეს / იზმენდნენ
II სერია		
წე.	ვქენე (ვი) ჰქენე (ვი) ქნა	ვქენე(ვი)თ ჰქენეთ(ვი) ქნეს
II კავ.	ვქნა ჰქნა ქნას	ვქნათ ჰქნათ ქნან
III სერია		
I თურ.	მიქნია გიქნია უქნია	გვიქნია გიქნიათ უქნიათ
II თურ.	მექნა გექნა ექნა	გვექნა გექნათ ექნათ
III კავ.	მექნას გექნას ექნას	გვექნას გექნათ ექნათ

I სერია		
აწ.	ვარ ხარ არი	ვართ ხართ არიან
მე.	ვიქნები იქნები იქნება	ვიქნები იქნებით იქნებიან
უწყვეტელი		
აწმყოს კავშირებითი		
მე. კავ.	ვიქნებოდე იქნებოდე იქნებოდეს	ვიქნებოდეთ იქნებოდეთ იქნებოდეთ
II სერია		
წყ.	ვიყავ(ი) იყავ(ი) იყო	ვიყავი იყავით იყვნენ
II კავ.	ვიქნებოდე იქნებოდე იქნებოდეს	ვიქნებოდეთ იქნებოდეთ იქნებოდნენ
III სერია		
I თურ.	ვყოფილვარ ყოფილხარ ყოფილა	ვყოფილვართ ყოფილხართ ყოფილან
II თურ.	ვყოფილიყავ(ი) ყოფილიყავ(ი) ყოფილიყო	ვყოფილიყავით ყოფილიყავით ყოფილიყვნენ
III კავ.	ვყოფილიყო ყოფილიყო ყოფილიყოს	ვყოფილიყოთ ყოფილიყოთ ყოფილიყონ

ერთთემიანი ზმნებიდან „ვჭამ“ ერთთემიანთა რიგშია დარჩენილი, მაგრამ, პირველ სერიაში ფუძისეული -ამ თემისნიშანთანაა გაიგივებული და -ან-ითაა ჩანაცვლებული: ვჭამ > ვჭან. ცვლილება არ ხდება მხოლოდ ამწყოსა და მყოფადის მესამე პირის მრავლობითში, სადაც ამისი ფონეტიკური პირობა არ არის ხმოვნისწინა პოზიციაში).

მეორე და მესამე სერიაში „ჭამ“ ფუძე ყველგან უცვლელია, რადგანაც ცვლილების პოზიცია (თანხმოვნისწინა) არ იქმნება.

I სერია		
აწ.- მე.	(შე)გჭან/(შე)გჭჭან/(შე)ტჭან (შე)სჭან/შჭან (შე)სჭანს/შჭანს	(შე)გჭანთ/(შე)გჭჭანთ/(შე)ტჭან (შე)სჭანთ/შჭანთ (შე)სჭამენ/შჭამენ
უწ.- ხლ.	(შე)გჭანდი/(შე)გჭჭანდი/(შე)ტჭანდი (შე)სჭანდი/(შე)შჭანდი (შე)სჭანს/შჭანს	(შე)გჭანდით/(შე)გჭჭანდით/(შე)ტჭანდით (შე)სჭანდით/(შე)შჭანდით (შე)სჭამენ/(შე)შჭამენ
I კავ.	(შე)გჭანდე/(შე)გჭჭანდე/(შე)ტჭანდე (შე)სჭანდე/(შე)შჭანდე (შე)სჭანდეს/(შე)შჭანდეს	(შე)გჭანდეთ/(შე)სჭანდეთ/(შე) (შე)სჭანდე/(შე)შჭანდე (შე)სჭანდენ/(შე)შჭანდენ
II სერია		
წე.	გჭამე(ვი)გჭჭამე(ვი)/ტჭამე(ვი) შჭამე(ვი) შჭამა	გჭამე(ვი)თ//გჭჭამე(ვი)თ/ტჭამე(ვი)თ შჭამე(ვი)თ შჭამეს
II კავ.	გჭამო/გჭჭამო/ტჭამო შჭამო შჭამოს	გჭამოთ/გჭჭამოთ/ტჭამოთ შჭამოთ შჭამონ
III სერია		
I თურ.	მიჭამია გიჭამია უჭამია	გვიჭამია გიჭამიათ უჭამიათ
II თურ.	მეჭამა გეჭამა ეჭამა	გვეჭამა ეჭამა ეჭამათ
III კავ.	მეჭამოს გეჭამოს ეჭამოს	გვეჭამოს გეჭამოთ ეჭამოთ

ერთთემიანი სხვა ზმნები -ან//-ამ თემისნიშანს დაირთავენ და ჩვეულებრივ იუღვლიან სხვა ორთემიანი ზმნების მსგავსად: წერანს/წერამს, ხვეტანს/ხვეტამს, ტეხანს/ტეხამს...

გვაქვს პარალელური წარმოება -ან და -ამ თემისნიშნით. თქმათა დონეზე განსხვავების ზუსტი საზღვრის გავლება ჭირს, რადგან პროცესი ძლიერადაა შერყეული სალიტერატურო ენის გავლენით. დომინანტური ჩანს -ან თემისნიშნის ფორმები. ამასთან -ან თემისნიშნის მონაცვლეობა -ენ-ით მყოფადის მწკრივებში უფრო სისტემური ჩანს, ვიდრე -ამ > -ემ.

I სერია		
აწ.- მე.	(და)ვ(ჟ)წერან/დავ(ჟ)წერამ (და)სწერან/დასწერამ (და)სწერანს/დასწერამს	(და)ვ(ჟ)წერანთ/დავ(ჟ)წერამთ (და)სწერანთ/დასწერამთ (და)სწერებენ/დასწერამენ
უწ.- ხლ.	(და)ვ(ჟ)წერენდი/ვ(ჟ)წერამდი (და)სწერენდი/სწერამდი (და)სწერენდა/სწერამდა	(და)ვ(ჟ)წერენდით/ვ(ჟ)წერამდით (და)სწერენდით/სწერამდით (და)სწერენდენ/სწერამდენ
I კავ.	(და)ვ(ჟ)წერენდე/და(ჟ)წერამდე (და)სწერენდე/სწერამდე (და)სწერენდეს/წერამდეს	(და)ვ(ჟ)წერენდეთ/(ჟ)წერამდეთ (და)სწერენდეთ/წერამდეთ (და)სწერენდენ/წერამდენ
II სერია		
წყ.	დავწერე დასწერე დასწერა	დავწერეთ დასწერეთ დასწერა
II კავ.	დავწერო დასწერო დასწეროს	დავწეროთ დასწეროთ დასწეროს
III სერია		
I თურ.	დამიწერია დაგიწერია დაუწერია	დაგვიწერია დაგიწერიათ დაუწერიათ
II თურ.	დამეწერა დაგეწერა დაეწერა	დაგვეწერა დაგეწერათ დაეწერათ
III კავ.	დამეწეროს დაგეწეროს დაეწეროს	დაგვეწეროს დაგეწეროთ დაეწეროთ

-ავ თემსინიშნიანი ზმნები: **ხატანს/ ხატამს, კლავს/კლამს, ხარ-
შავს/ ხარშამს...**

I სერია		
აწ.- მე.	(და)ვხატან/(და)ვხატან (და)ხატან/(და)ხატამ (და)ხატანს/(და)ხატამს	(და)ვხატანთ/(და)ვხატამთ (და)ხატანთ/(და)ხატამთ (და)ხატებენ/(და)ხატამენ
უწ.- ხლ.	(და)ვხატანდი/(და)ვხატამდი (და)ხატანდი/(და)ხატამდი (და)ხატანს/(და)ხატამს	(და)ვხატანთ/(და)ვხატამთ (და)ხატანთ/(და)ხატამთ (და)ხატებენ/(და)ხატამენ

I კავ.	(და)ვხატენდე/(და)ვხატემდე/ (და)ვხატამდე (და)ხატენდე/(და)ხატემდე/(და)- ხატამდე (და)ხატენდეს/(და)ხატემდეს/ (და)ხატამდეს	(და)ვხატენდეთ/(და)ვხატემდეთ/ (და)ვხატამდეთ (და)ხატენდეთ/(და)ხატემდეთ/ (და)ხატამდეთ (და)ხატენდნენ/(და)ხატემდნენ/ (და)ხატამდნენ
II სერია		
წვ.	დავხატე დანატე დანატა	დავხატეთ დანატეთ დანატეს
II კავ.	დავხატო დანატო დანატოს	დავხატოთ დანატოთ დანატონ
III სერია		
I თურ.	დამიხატია დაგიხატია დაუხატია	დაგვიხატია დაგიხატიათ დაუხატიათ
II თურ.	დემეხატა დეგეხატა დეეხატა	დეგვეხატა დეგეხატათ დეეხატათ
III კავ.	დემეხატოს დეგეხატოს დეეხატოს	დეგვეხატოს დეგეხატოს დეეხატოთ

-ებ > -ან / -ამ: აშენებს

I სერია		
აწ.- მე.	(გა)ვაკეთან/(გა)ვაკეთამ (გა)აკეთან/(გა)ვაკეთამ (გა)აკეთანს/(გა)აკეთამს	(გა)ვაკეთან/(გა)ვაკეთამ (გა)აკეთან/(გა)ვაკეთამ (გა)აკეთებენ/(გა)აკეთამენ
უწ.- ნოლ.	(გა)ვაკეთენდი/(გა)აკეთამდი/ (გა)ვაკეთემდი (გა)აკეთენდი/(გა)აკეთამდი/ (გა)აკეთემდი (გა)აკეთენდა/(გა)აკეთამდა/ (გა)აკეთემდა	(გა)ვაკეთენდით/(გა)აკეთამდით/ (გა)აკეთემდით (გა)აკეთენდით/(გა)აკეთამდით/ (გა)აკეთემდით (გა)აკეთებენ/(გა)აკეთამენ
I კავ.	(გა)ვაკეთენდე/(გა)აკეთამდე/ (გა)ვაკეთემდე (გა)აკეთენდე/(გა)აკეთამდე/ (გა)აკეთემდე (გა)აკეთენდეს/(გა)აკეთამდეს /(გა)აკეთემდეს	(გა)ვაკეთენდეთ/(გა)აკეთამდეთ/ (გა)აკეთემდეთ (გა)აკეთენდეთ/(გა)აკეთამდეთ/ (გა)აკეთემდეთ (გა)აკეთენდნენ/(გა)აკეთამდნენ

II სერია		
წვ.	გავაკეთე(ვი) გააკეთე(ვი) გააკეთა	გავაკეთე(ვი)თ გააკეთე(ვი)თ გააკეთეს
II კავ.	გავაკეთო გააკეთო გააკეთოს	გავაკეთოთ გააკეთოთ გააკეთონ
III სერია		
I თურ.	გამიკეთებია გაგიკეთებია გაუკეთებია	გაგვიკეთებია გაგიკეთებიათ გაუკეთებიათ
II თურ.	გაგვეკეთებინა გაგეკეთებინა გაეკეთებინა	გაგვეკეთებინა გაგეკეთებინათ გაეკეთებინათ
III კავ.	გამეკეთებინოს გაგეკეთებინოს გაეკეთებინოს	გაგვეკეთებინოს გაგეკეთებინოთ გაეკეთებინოთ

-ამ თემისნიშნისანი: იცვამს

I სერია		
აწ.- მე.	(ჩა)ვიცვან/ამ (ჩა)იცვან (ჩა)იცვანს	(ჩა)ვიცვანთ (ჩა)იცვანთ (ჩა)იცვებენ/ჩაიცვამენ
ნოლ.	(ჩა)ვიცვენდი/(ჩა)ვიცვემდი /(ჩა)ვიცვამდი (ჩა)იცვენდი/(ჩა)იცვემდი/ (ჩა)იცვამდი (ჩა)იცვენდა/(ჩა)იცვემდა/ (ჩა)იცვამდა	(ჩა)ვიცვენდით/(ჩა)ვიცვენდით/ (ჩა)ვიცვამდით (ჩა)იცვენდით/(ჩა)იცვენდით/ (ჩა)იცვამდით (ჩა)იცვენდენ/(ჩა)იცვემდენ/ (ჩა)იცვამდენ
ცხენი ყავდა კიდო, იმას ქვიოდა **მურადე**. ცხენი ბაბას დაყავდა, ველეები იყო, დიდვრანი ველეები და ამბამდა მამე ცხენს და სადამოიზა მოუკრეფდა ბალახს და წამეიღებდა და წამეიყვანდა ცხენს. საქონელს ჩვენ მოვდენდით. **სათრიელს** წამეიღებდა, შეშას წამეიღებდა, დოუმბამდა ხარეფს; ხოდა ორი ხარი უნდა შემბულიყო შითე სათრიელში (შეშაა, ახლა, აი სათრიელი). ორ ხარს შებამდა შითე და წამეიღებდა შეშას. ეი სათრიელი — ხეს მოჭრის, ბებია, ეისე ხეს, სტოლბა როა ეისე, გძელ ხეს მოჭრის, გამოფსხლავს, გაართუმს ბოლებს, ხოდა დოუმბამს ხარეფს, უღელს დაადგამს კისერზე, კანდრი აქ შვაზე ხარს; კანდრი — **ღვლეჭი**; ტყეში მოჭრის, წყავის ბოლო იყოს, გინდა თხილის ბოლო იყვეს, აგენს მოჭრის და **მოამწირახეფს** ასე, და გააკეთეფს ი უღელზე. მერე **რიკის** გოუკეთეფს, გოუყრის შითე, დოუმბამს ორ ხარს და წამეუა ხარები და მეტანს შეშას და დევიინთეფთ ცეცხლის. ასე იყო, ახლა, მამაჩემის და ჩვენი საქმე.

5. ქორწილი

მაშვინ იყო **შვაამლობა**. იქნებოდა გასათხვარი, ცოლსათხვარი, დოუდგებოდა იმას შვაამალი. და წვეიდოდა პატრონები. ახლა, გოგოის პატრონი წვეიდოდა და ბიჭის ოჯახს ნახავდა (ახლა არ იციენ ასე, კარა ქე იციენ ახლათაც). ნახავდენ ბიჭის ოჯახს; მაგალითად, თუ მეეწონებოდენ, ახლა, ე ბიჭის ოჯახი, მერეთ იგი ბიჭი წამევიდოდა და გოგოის ოჯახს ნახავდა. ჯერე ბიჭის ოჯახს ნახავდენ და გოგოის ოჯახსაც ნახავდენ (ვაი, შენი ჭირიმე, **მოფშუკული** ჯობია რო შექხვთება, თუ კაი?) ჰო, წრეი. წრეს ყველაზე უწინ იკითხავდენ. რეველი წრეი ყავს, თუა კაი წრეი, გლახა წრეი თუ არი, იწუნებდენ მაშვინ. ქალი მეეწონებოდენ, წრეს დეიწუნებდენ, თუ გლახა იყო წრეი, და დაანებებდენ თავს. გლახა წრეი ყავსო. თუ მივეითო და წრეი გვერჩი არ დაგვიყდა, არ ივარგაო, ქალი რათ მიწდაო. ასე იყო, ახლა, მაშვინ და **ყრუობა** იყო თუ რაი იყო, აი არ ვიცი. გაკეთდებოდა საქმე, თუ ორვე კაი და წრეი იმსაც კაი ეყოლებოდა და ამ გოგოსაც, გაკეთდებოდა საქმე და დათქვამდენ დანიშვნის დროს. მაშვინ კარ დანიშნავდა. ნახა, ახლა, ამან და მეეწონა, კაია. წავა, ახლა, ეი ბიჭი და

შამოთვლის იგი, რომე მე ამ და ამ დღეს მუალ ნიშნაზე. მუალ ამ და ამ დღეს და აი გოგოის პატრონი მეებზადება. ტყუილი და რამე არ შეილებოდა. მეებზადება გოგოის პატრონი, გაამზადებს პურ-მარილს. მის დროზე მოვა აი ბიჭი და დანიშნავს ქალს, იქეიფებენ იმ ღამეს და წავლიენ. ზოი, ვისაც ქონდა, კაი **სუმეირი** იყო, რაცხას ქე მოუტანდა ერ თავს და ახლა სამოცნაირს ყიდულობენ. ბეჭედი იცოდენ. ვისაც ქონდა რაცხა კალიცო ბეჭედს ერთ იყიდა იგი. თუ არა და არაფელს. ფული კი, კაცო, ფული იცოდენ. ფულს ბევრს მიიტანდენ.

მზითი, ზოი ქე თხოულობდა, რაც გინდა, იგი მიე შენ შეილსო, მე მაგას არ ვიტყვი რამდონი უნდა მომცეო, რაც გინდა, იი მიეციო. თუ ქონდა ბევრი შეძლება, ბევრს მიცემდი. თუ არ ქონდა შეძლება და სულ არ მიცემდი, იმ ქალს არ დატოვდა იგი, ქე წეიყვანდა იმას მაინც იგი.

მზითვში **ქვეშაგებელს** მიცემდენ და ქვაბი იცოდენ, ტაშტი იცოდენ, ამისანაობა იცოდენ, მიცემდენ გოგოს.

ქორწილს დანიშნავდენ, რო დანიშნავდა ქალს მერე. რო დანიშნავდენ, მერე იტყოდენ წაყვანას. წაყვანას მალე იტყოდენ. ამ და ამ დროს, ამ რიცხვში და ასე უნდა წევიყვანო და ხოვერ დოუდგები წინ; უნდა მეებზადო, ღარბი ხარ თუ დიდარე ხარ, უნდა მეებზადო. ქორწილი-სეფა, მაშვინ იგი სეფები, ახლა როა არ იცოდენ, — მიდორში იცოდენ. თუ ბევრი ქორწილს გადეიხდიდა ე კაცი, მიდორში, გაროუხურავ მიდორში, თვარა სახში ვინ დეეტეოდა. ახლა, ვის ქონდა მაშვინ იმისანა სახლები. ახლა კი აქვენ. ჯვარს იწერდენ ეკლესიაში.

საწყალი დედე კი იყო ჯვარდაწერილი. აქანე დეეწერა ჯვარი. ორ წელიწად არ დეეწერენ ჯვარი დედეზა, **უწლევანი** ყოფილიყო. ორ წელიწად მერე დეეწერენ ჯვარი.

პატარძალს — ახლა რო იცვამენ **ფოფიალებს**, სა იყო ამისანეები. რაცხას კაის ქე ჩააცუმდენ, აბა რას იზამდენ, თავზე არაფელი არ ქონდა. ახლა როა, იმისანე სა იყო მაშვინ. საწყალ ჩემ დას ქე ქონდა **შხლაკვა**. ისე იავავა რაცხა იყო. **შეწკვეტილი** უკან და ოქროსებურები სულ **შამოძეწკვილი**. მაღალი არ იყო. გაშლილი მერე იქით-აქეთე პეტერე და ამ წინ და უკან **ბეწეწვატი** ქუდებივით ქონდა. რო მოუტანა, ახლა, მაამთილმა და ივენმა ... კაი რამე მოუტანა ივენმა ჩემ დას, კაი რამე მოუტანენ. გულის ძეწკვი მოუტანენ, მაამთილმა, კაი ბეჭედი, სამი პკილი გამოუდა თელი პკილი ჩემ დას. კაი რამეები მოუტანენ ჩემ დას. ვინც იყო სუმეირი, კი ქონდა ივენს და შონილობდენ და, ვინც ღარბი იყო, ვერც ქე ყიდულობდა და არც ბეჭედი ქონდენ.

ნ. ყველის დამზადება (იმერული წესი – იმერული ყველი)

ჰო მოვწველიდით, ახლა, ძროხას, **ჩაკვეთავდით** იმას. იმას უნდა ღორის **კვეთი**. რო დავკლავდით ღორს, კვეთი აქ იმას. დავაყენებდით იმ კვეთს თეთრ ღვინოში, შევინახავდით იმას ბალონ ბოთში. ღორს აქ კვეთი, საქონელსაც კვეთი აქ, ყორიფელს კვეთი აქ საქონელს. ხოდა დავაყენებდით იმას ბალონში და დავასხამდით თეთრ ძმარს. რო მეიგებდა ახლა, ძროხა ხბოს და

ერთ თვეს არ გვამდით მის ნაწველს. მერეთ რო გაათაებდა ერ თვეს, იმ ერთ თვეს ხბოს ვაჭუმდით. მორჩებოდა ხბოს და მოვწველიდით, ხოდა საქონელს დავალევიებდით, ერ თვეს მერე გავწურავდით იმას საწურაში, კასრულაში (ხოდა მაშინ ქოთანი იყო). კასრულაში გავწურავდით და უზამთ ამას ერთი ნახევარ საღვინე ჭიქას, ხუთი ბოთლი რო იქნება რძეი. ნახევარ საღვინე ჭიქას უზამთ **დარწყულს**. დოურევთ მერე ჯოხს, დავდგამთ კუთხეში და ჩეიკევეთება მისით იგი. წვეილებთ მერე და დავდგამდით კერასინკაზე. რო დავდგამდით და, ჩოუყოფდით დაბანილ ხელს, ხოდა ამევიყვანდით. მერე იმ **წაქას** ნადულათ მოადულელებდით, ჩავასხამდით ქვაბში წაქას. ხოდა დავდგამდით ცეცხზე და ნელ-ნელა ცეცხლის უზამდით და მოადულელებდით ნადულას. მერე გავწურავდით, საწური ამოკერილი სუფთა. გავწურავდით იმ საწურაში და იმას დოურჩება მერე წაქა, ნადულის ნაწური, მერე იმას დორს დავალევიებდით, ხბოს დავალევიებდით. ხოდა ასე იყო საქონლის ნაწველი. მაწონს არ ვაკეთებდით. ერი წველა ყველი ზოი იქნებოდა ერკილოიანი, ზოი იქნებოდა ნახევარკილოიანი, ზოი ორკილოიანი, კაი ძროხები როცხა იყო. ასეთ იმასშობოთ.

7. ნათლობა

ნათვლა ქვონდა, ღვდელი იყო, მოგვნათლავდენ. მონათლული ვიყაით ყველე. ნათლიებს ეირჩევდა პატრონები, დედ-მამები; ხოდა წავგიყვანდენ ეკლესიაზე, ხოდა მოგვნათლავდენ. რო დეიბადებოდა, ე მაშინ ნათლავდენ. რო დეიბადებოდა, ჩაწერდენ, წვეიდოდენ ჯერე და საბჭოში ჩაწერდენ ბალანას, დეიწერდა იგენი რემელი რიცხვია, რემელ წელში დაბადებული, რემელ თვეში დაბადებულია, ჩეიწერდა ეი საბჭო, ხოდა მერე როცხა გინდოდა მონათლავდი. და ი ჩაწერა საჩქარო იყო. მერეთ გინდა ქე მონათლავდი და გინდა არ მონათლავდი, მარა მაშინდელი ხალხი მალე ნათლავდა ბოფუმებს. ნათლიე გინდა ერთი, გინდა ორი. ნათლიას უნდოდა პატივიცემა, თუ შეგეძლო პატივიცემა ადამიანს, ბარე ოთხის მოანათლიებდა ერ ბალანას, ორი ქალი, ორი კაცი. თვარა უცილობელია ერთი ქალი, ერთი კაცი, გინდა გოგო იყვეს, გინდა ბიჭი იყვეს. მაშინ ძღვენი მიქვონდა. ჩვენ ნათლიასან ჩვენ უნდა მივსულიყაით ჯერეთ. ნათრულები უნდა მისულიყო ნათლიასან ჯერე. რამდონი სული უნდა ყოფილიყო სახში, ყველეიზა ფეშქაში უნდა წეგველო. მერეთ იგი მევიდოდა. რავარც შენ მიიტანდი, ისე მეიტანდა იგეც. ვისაც პეტერე კაი **სუმა** ქონდა და იგი უმფრო რაცხას პეტერას გარააჭარბებდა და ბევრი არაფელი. რვაი შვილი ყავდა, ვიყაით ჩვენ, ყავდა ჩემ პატრონს და ყველასან დაჭვირთული მივიდოდა, ყველასან. ისე მოდიოდა ნათლიეებიც ჩვენთან. ასე იყო ეი ნათვლა.

8. შენახვდომის ლოცვა

სახელი სახელითა, ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმიდითა.

შენახვდომო დედიანო,

შენახვდომო მამიანო,

შენახვდომო დაიანო,

შენახვთომო ძმაიანო
ორშაფათს შეხვთენოდე,
სამშაფათს შეხვთენოდე,
ოთხშაფათს შეხვთენოდე,
ხუჩაფათს შეხვთენოდე,
პარასკებს შეხვთენოდე,
შაფათს შეხვედნოდე,
კვირეს შეხვთენოდე,
რა და რაფერს შეხვთენოდე,
იმდენფერათ გამეცალე,
გამოცილდი, თვარა
აქჭრი ალითა, მალითა
შავტარიანი დანითა,
ჩაგდეფთ ქვაბსა ლარისას,
მოგადნობ თვალსა წამისას,
შე უჟმსურო, შუ ურწმუნო,
შე ღვთისაგან დაწყევლილო,
რძე მაცვია, რძე მახურავს,
თავზე ზეწარი მახურავს.
ბადე მაქ ასი წყთაი, შვიდი ფხარი,
მიგცემ-მოგცემ წყალს,
მელახურს და პალიასტომს.
გოლუში, თვარა არ გაგიშოფ,
გოლუში, თვარა არ გაგიშოფ.
წადი!..

მოუსოფთ ნიგოზს. გავტეხავთ და გავარონიებდით საცერში და შოუსობლით სახსრებში. ოუცილებელია რო მოქმედობდა და ქვწამდა. მეც გამომივლია, გამომიციტია.

ჩემმა შვილმა ე იმ გორაზე ითხუა ქალი ეგერ, კაი მოსახლე იყო და წამეიყვანა. ახლა, მე, რო წევიდა, გაბრუნდა ცოლოურს, წამიყვანა და, ე, იმ გორაზე დევეცი (არ დამამიწყტება ჩემ დღეში). თურმე შემხვთა **უჟმური. ლილონკრელი** იყო და, შემხვთა უჟმური და მევედი სახში; არ მინდა არაფელი, მომჭრა მუხლები, მესხმის ბრუი, მუხლებზე ვერ ვდგები. აბა, რაი ვქნა, რაი ვქნა და ქალები იყო იქინე, თლა ძველი ქალი და იმ ქალებმა შემილოცა, მაიო შენახვდომი იქნებაო. შემილოცა და დილას ისე ავდექი, რომე როგორც მანემედი ვიყაი კარქათ. მწამს მე ივი.

(ვთქუა კიდო **მორე გზობა?** მორე გზობა ვთქუა?..)

9. ნათვალეზის ლოცვა

სახელი სახლითა, ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმიდითა, ლოცვითა

ალიანორი, მლიანორი

გამჩენო, შენ ღოუფსე თვალი და ყური

ვინაც ავი თვალით შეხედა.

შეხელდა, შეაზნოულა,

ამ ადამიანს (ან თუ საქონელს).

ეგერ მოა შავი წყალი,

მას მოყობა შავი გველი,

ქვა გჭებოდა, ქვა სკტებოდა,

ერთი ჯილიდან ნეფსი და მახათი

მის თვალეზს ასკტებოდა.

ღმერთო, ლოცვა ჩემი და

წაყენე საქონელია თუ ადამიანია, თუ რამე.

ღმერთო, ლოცვა ჩემია, ბძანებაა ღვთისა (3-ჯერ)

ეგობა თქვენ ა'გწამთ ღმერთი, მარა ძველად ასე იყო.

9. დამწვრის წამალი

დამწვრის წამალია (ბებია, სინამდვილე) კვერცხის ცილი რომა. იგი რო გავაკეთო მე ახლა აქანე შენც გაიკვირდება რომე, ამ კვერცხმა და ამ ზეთმა რაფერ... გასკელდება მალამო თეთრათ. ზეთი თუ იქნება, ზეთურ ზეთს ვეტყვით ჩვენ, აფთიაქში თუ იქნება იგი, უკეთესია, თვარა ჩვენ რო ზეთს ვხმაროფთ საჭმელიზა, მე იგი ვიცი, აბა სა დაგხედო იი. საჭმელი ზეთი და კვერცხის ცილი, გული არა, მარტო ცილი. ჩააგდეფ სტაქანში იმას და ურეფ, ურეფ, ოგლიმოგლი რო იციან გაკეთება ისე, და გასკელდება. სამი **კეკალი** კვერცხი, რაც უნდა მომწვარი ქონდეს ბარკალი ადამიანს, ცხრა მთას გარაღმა; სამი კეკალი კვერცხს ეკუთნის ერთი საღვინე ზეთი, ხოდა, რო დააცხებ, ბებია, გული იღძნობს, იმინუჩი უგრილებს. გასკელდება იგი, გაბაზბაზდება და მერე ქათმის ფხარით, ცხრა მთას გარაღმა იყვეს, შორს იყვეს, წოუსობ იმას ტკივანზე, წოუსობ ტკივანზე, ბებია, და თუკი არ შეიხოგს ადამიანი, უფრო კაია, ჰაერზე სამ წასობაზე საშოლებას მიცემს. აბა ჩვენ ექიმთან... რაი გქნათ, აბა სა დევიარებით. ასე რაცხა ძველი **პროტი** არის, მარა ჩვენ ხანდენანე ვიყენებთ.

10. ტყლიბის წამალი

ცხრა თას გარაღმა, მტერს რო დეებადოს ბაღანე, ტყლიბი ექნეს რამეზე. მარგალიტეს უმფროს გოგოს ქონდა, გადარევაზე იყვენ. თეთრი ბაღანე, კაი გოგო იყო. ხოდა ეგი ბალახი ვიცოდი ბებიედან (**რძია-რძია**, ხო). რო უთხარი მე მარგალიტას, აი წოუსვი, გო, და მოშინჯე-მეტქინ. როცხა ძუძუს

აჭუმდა, აი, ისრისავდა ხელში და უსობდა და არ ევიდა?! სად აქ ახლა!.. ძუ-ძუის ჭამაში თვარა, წარეაო, მარგალიტამ თქვა, მე ენა არ დამიწია.

რძია-რძიე ბალახია, რძე მოდის, რო მოწყვიტავ, ნამდვილი რძისნაირი მოდის.

11. აბრეშუმის ძაფის ამოღება; ყაჭი

დღეაჩემთან რო ვიყაი მე, მოგყობი ახლა მაგას მე. აბრეშუმი რო გვე-ყოლებოდა, ცახის ჩამევიტანდით. მანამდი ხო იცი (ნაორკანები, ნაწარბკანე-ბი, ნადიდკანები). ჩამევიტანდით ცახის, ბოფშები მოგჭრიდით ზეით, ჩვენთან არალი ცხილე და რამე, **გუმბრე** უნდა მოგეჭრა და **ცხილე**. ჩამევიტანდით, დავაგრობდით, დავახმობდით იმას და მერე წამავალი აბრეშუმს **ჩანცახავდა** დედე. რო მიდის აბრეშუმი, პარკს აკეთეფს. ჩოუღებდა ცახეფს. მერე ჩვენ ბოფშები ვიმაშობოდით, სამწყესურში დევიარებოით, იქით-აქითე. დედე ამას აკეთებდა და მერე პარკის რო იმასქნიდა, უნდა ამეგველო პარკი. ძაფი ხვარ იშონებოდა მაშინ. ზოქს ქე ჩააბარებდა თუ იყიდა ვინმე და... მევიტოვდით, ახლა, ჩვენ და... გააცხელებდა წყალს. ამოარჩევდით ამაში ჩვენ, ზოგი საყაჭეთ გვინდოდა. საყაჭეთ **დომფალიეები** უნდა ამოარჩიო. დომფალიე დიდვრან-დიდვრანი პარკია და ორ-ოლი იგია შითე, ოროლი **ბობოლეა** შითე. არ ამოა აქიდან ყაჭი, დუღარეში რო ჩავყრიდით, იგი წვრი-წვრილი პარკები, წელში **გამოწენწილი** პარკები კაი-კაი უნდა ეგვერჩია. აადუღებდა დედე წყალს, ჩაყრიდა შითე და სამოხელე მოზადებული უნდა ქვონოდა აგერ. იმის დასახო-ვი ჯოხი — **ორბოტიკე** ჯოხი იყო, ქვეშ ორბოტიკე ქონდა და ზეით ასე გოუ-ღებდა იმას და ახოვდა ზეთე, ზეით სტორი იყო. კაი სტორი თავი ქონდა, ამაზე დადებდი ამხელა ჯოხს, ხოდა, აქიდანაც და კარ დააჭედებდი იმას; რო გეიფსებოდა, ახლა, შევატყობდით ამას, გაკრავდი ამას ხელს, და გარავარდე-ბოდა ეი ზედე, ხოდა გამევიდოდა იი ამიხელა. გარეცხავდა ამას დედე, გაკი-ღებდა ეგერ. რაფერ ამოქვონდა და — რო მეიხარჩებოდა თუჯიაში პარკი, დუღარეში რო ჩაყრიდა, ჯოხს დოუტრევა, დოუტრევა ჯოხს და ამოყობოდა ძაფები პარკებიდან. მერე ამოყობა და ირლოვა იგი, რა კაი შესახედავია თუ იცი, ირლოვა და ირლოვა პარკები. ცანცალობენ პარკები შითე. დეირლოვა თლათ ისე, ისე, რომე დარჩება ჭიები შითე, მოხარჩული ჭიები.

ყაჭის ... გარმოადუღებენ ნაცრიძალს. ყაჭად უნა გააკეთო დომფალიეე-ბი. გარმოადუღებდა იმაში, ჩაყრიდა დომფალია პარკეფს. **ნაცრიძალი** — დუ-ღარეში ჩაყრი, წყალში, გაცრილ ნაცარს, **ტუტას** ცოტა, ახლა, იცოდა იგენმა. აადუღებდა იმას და მერე ჩაყრიდენ პარკს შითე, ამ დომფალიეებს და გამო-ხარჩავდენ მაგრათ, ხარჩავდენ, ხარჩავდენ და გამოყრიდა მერე. გარეცხავდა იგენს და დაყრიდა ეგერ, დააწყობდა. შითე ისე მეიხარჩებოდა იგი, თვითან ბობლეები, რომე აღარ იყო შითე, პეტერე იყო. მერე გაშრებოდა იგი, **გაბუნ-თულღებოდა**, დაკრავდი ასე ხელს, გამევიდოდა, ვწელავდით ასე, ირლოდა იგი ყაჭი, ვასტავდით მერე იმას. სქელი გამოდის იგი. ყაჭი ქვჭიროდა მერე. ბოფშები რო დეიბადებოდა, თოთო ბალანე, საყაჭური დაყობა ბალანას პირში,

საყაჭური. საყაჭური თეთრია და ლუკმის გარაყლაპვას უშლის, გამოთეთრებული აქ პირი. და ყაჭის უსობენ შითე ქალები. უსობდენ ყაჭის მერე, რამდონი შემინხედია: საყაჭური აქ ბალანას და ყაჭი მემე პეტერეო. მიცემდა დედე, ხოდა უსობდენ, მეც ქე მახსოფს, ჩემი უმცროსი დას რო უსობდა დედე პირში, ამისანეებიზა ჭიროდათ ყაჭი. მოსაქსოვათ არა, კაცო, ყაჭი ისე ვსტავდით, ყაჭის ძაფს. ძაფი იყო მაგარი და ვკერავდით იმითინ ტანსაცმელს, ხელით საკერავი ძაფი რო გვაქს ახლა ჩვენ, ე, ისე იყო. ვკერავდით იმას და ქე იყო კარქათ. ასე კეთდებოდა ყაჭი.

12. ქვანთახობა

ქვანთახობა ვიცით ჩვენ, როიცი იყო ქვანთახობა და აღდომის თუთხმეტია. აღდომა ხოა, ისე დადის იგეც. თუთხმეტია. მისი თუთხმეტი. ორშაფათია ქვანთახობა. უქმე კარა ე ქვანთახობა: ამ ქვანთახობას მამაჩემი შამოგვაბლობდა სამთელს, დავგაჩოქებდა ბოფშეფს, ხოდა შამოგვაბლობდა ყველას ჩვენ სამთელს. წვილებდა ამ სამთელს მერე და ქვანთახობის ეკლესიაზე შეწირავდა. **ურეშვილებშია** მაი ქვანთახობის ეკლესია. ძველათ ყოფილა, ახლა, იქინე, სულორში, ხოდა ამ დღეს წირავდენ ეგენი, ჩვენი ხალხი, იქინე, ქვანთახობის ეკლესიაზე. ქვანთახობა სულორში ვიცოით ჩვენ მარტო, აქანე გადიჩი გიორგობა იცოდენ. თავ-თავისი იგი იცის ყველამ. ამ ქვანთახობას, ახლა, ვიცოით, სტუმარი უნდა მოსულყო ძველი და ახალი ყველე, მევიდოდა იმისანე სტუმარი, რომე გამეგეცნობილებოდა მაშვინ. ასე მოყვარე ვარ შენო. ვიცხა, მამიდაშვილის შვილის რაცხა, გეიცნობდი მაშვინ. ბევერი სტუმარი მევიდოდა. იგი წევიდოდა, მამე, ჩვენ არა, დილას წევიდოდა, ჩამევიდოდა მერე სახში. სტუმარებს ველით, დავკლავთ, ხან უშობელს დავკლავთ, ხან თხას დავკლავთ, ინდოურებს ვზდიდით, ქათმებს, ყორფელს, ამიზა გვინდოდა ყორფელი. ნაეკლესიებია იქინე, დანგროულია ახლა იქინე, აღარა, მარა, წირავდენ მაინც. მამაჩემი სანამელი იყო, სულ წირავდა. ახლა აღარ ვწირავთ ჩვენ. ხოდა, მევიდოდენ სტუმრები, პეტერე კარ მევიდოდა, გო, ერთი ორმოცი-სამოცი კაცი მეიყრიდა თავს... ჩვენ ბოფშეფი საცხა... ვინ ჩიოდა, ახლა, ბალანას, ღამის გასათევათ კიდო. ღამე რჩებოდენ, ბეჩა იგი, სამ დღეს უნდა ექეიფა სტუმარს. ქეიფობდენ ხალხი. მერე მეზობლის სტუმარი მევიდოდა კიდო; შენი იქით გარავა, იგი უნდა მეიყვანო კიდო.

ტექსტები გადმობეჭდილია: **2, 3** — ქართული დიალექტოლოგია, I, 1961; **1, 4-12** — ნ. შარაშენიძე, საჩინოური ქართული, 2008

ნინო შარაშენიძე, გიორგი ჭაუჭიძე

**ზემოიმერულის კილოკავი
ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები
ს ა ხ ე ლ ი ს ბ რ უ ნ ე ბ ა**

საზოგადო, ხმოვანფუძიანი			
სახ.	დედაი	რიყეი	ლობიოი
მოთხ.	დედამა	რიყემა	ლობიომა
მიც.	დედასა	რიყესა	ლობიოსა
ნათ.	დედი(რძე) დედისი	რიყი(პირზე) რიყისი	ლობიო(ბარდი) ლობიოსი
მოქ.	დედითი	რიყითი	ლობიოთი
ვით.	დედათა	რიყეთ(ა)	ლობიოთ(ა)
წოდ.	დედა	რიყე	ლობიო
საზოგადო, თანხმოვანფუძიანი			
სახ.	ზლაპარი	დედამთილი	აბრეშუმი
მოთხ.	ზლაპარმა	დედამთილმა	აბრეშუმმა
მიც.	ზლაპარ ზლაპარსა	დედამთილ დედამთილსა	აბრეშუმ აბრეშუმსა
ნათ.	ზლაპარი ზლაპარისი	დედამთილი დედამთილისი	აბრეშუმი აბრეშუმისი
მოქ.	ზლაპართი ზლაპართა	დედამთილითი დედამთილითა	აბრეშუმი აბრეშუმი
ვით.	ზლაპრათ	დედამთილათ	აბრეშუმათ
წოდ.	ზლაპარო	დედამთილო	აბრეშუმო

შენიშვნები:

- ნათესაობითსა და მოქმედებითში ემფატიკური -ი ნიშან-დობლივია მთელი ზემოიმერულისთვის.

საზოგადო, თანხმოვანფუძიანი (უხუთური მეტყველება)			
სახ.	ქალი	დედაჩემი	ბოვში
მოთხ.	ქალმა	დედაჩემმა	ბოვშმა
მიც.	ქალის	დედაჩემის	ბოვში(ხმა) ბოვშის

ნათ.	ქალი	დედაჩემი	ბოვში
მოქ.	ქალითი	დედაჩემითი	ბოვშითი
ვით.	ქალათ	დედაჩემათ	ბოვშათ
წოდ.	ქალო	დედაჩემო	ბოვშო

	საკუთარი, სმვანფუძიანი			
სახ.	მარგალიტაი	ალექსანდრეი	ვასიკოი	ლუტუი
მოთხ.	მარგალიტამა	ალექსანდრემა	ვასიკომა	ლუტუმა
მიც.	მარგალიტასა	ალექსანდრესა	ვასიკოსა	ლუტუსა
ნათ.	მარგალიტასი	ალექსანდრესი	ვასიკოსი	ლუტუსი
მოქ.	მარგალიტათი	ალექსანდრეთი	ვასიკოთი	ლუტუთი
ვით.	მარგალიტათ(ა)	ალექსანდრეთ(ა)	ვასიკოთ	ლუტუთა
წოდ.	მარგალიტა	ალექსანდრე	ვასიკო	ლუტუ

	საკუთარი, სმოვანფუძიანი		
სახ.	ბაბილინე	ტატიანე	პოლინე
მოთხ.	ბაბილინემა	ტატიანემა	პოლინემა
მიც.	ბაბილინეს ბაბილინესა	ტატიანეს ტატიანესა	პოლინეს პოლინესა
ნათ.	ბაბილინესი	ტატიანესი	პოლინესი
მოქ.	ბაბილინეთი	ტატიანეთი	პოლინეთი
ვით.	ბაბილინეთა	ტატიანეთა	პოლინეთა
წოდ.	ბაბილინე	ტეტიანე	პოლინე

	საკუთარი, თანსმოვანფუძიანი		
სახ.	დავითი	როსტომა	ბიქტორი
მოთხ.	დავითიმ/დავითიმა	როსტომამა	ბიქტორმა
მიც.	დავითის	როსტომსა	ბიქტორსა
ნათ.	დავითისი	როსტომასი	ბიქტორისი
მოქ.	დავითითი	როსტომითი	ბიქტორითი
ვით.	დავითათ	როსტომათ	ბიქტორათ
წოდ.	დავითო/დავითი	როსტომო	ბიქტორო

	სმვანფუძიანი სახელების მრავლობითი		
სახ.	ახალგაზრდები	ბიძეები	სიტყვები
მოთხ.	ახალგაზრდებმა	ბიძეებმა	სიტყვებმა
მიც.	ახალგაზრდებსა	ბიძეებსა	სიტყვეფსა
ნათ.	ახალგაზრდებისი	ბიძეებისი	სიტყვებისი

მოქ.	ახალგაზრდებითი	ბიძეებითი	სიტყვებითი
ვით.	ახალგაზრდებათ(ა)	ბიძეებათ(ა)	სიტყვებათ(ა)
წოდ.	ახალგაზრდებო	ბიძეებო	სიტყვებო

ზ მ ნ ის უ ლ ლ ე ბ ა

-აგ თემისნიშნაანი გარდამავალი ზმნა
(ხნაგს/ვხნეველით; ვთიბაგ...)

I სერია		
აწ.- მე.	(მო-)ვთიბამ (მო-)თიბამ (მო-)თიბამს	(მო-)ვთიბამთ (მო-)თიბამთ (მო-)თიბამენ
უწ.- ნოდ.	(მო-)ვთიბამდი/(მო-)ვთიბემდი (მო-)თიბამდი/(მო-)თიბემდი (მო-)თიბამდა/(მო-)თიბემდა	(მო-)ვთიბამდით/(მო-)ვთიბემდით (მო-)თიბამდით/(მო-)თიბემდით (მო-)თიბამდენ/(მო-)თიბევდენ
I კავ.	(მო-)ვთიბამდე/(მო-)ვთიბემდე (მო-)თიბამდე/(მო-)თიბემდე (მო-)თიბამდეს/(მო-)თიბემდეს	(მო-)ვთიბამდეთ/(მო-)ვთიბემდეთ (მო-)თიბამდეთ/(მო-)თიბემდეთ (მო-)თიბამდენ/(მო-)თიბემდენ
II სერია		
წე.	მოვთიბე მოთიბე მოთიბა	მოვთიბეთ მოთიბეთ მოთიბეს
II კავ.	მოვთიბო მოთიბო მოთიბოს	მოვთიბოთ მოთიბოთ მოთიბონ
III სერია		
I თურ.	მამითიბ(ნ)ია მოგითიბ(ნ)ია მოუთიბ(ნ)ია/მოუთიბნია	მოგვითიბ(ნ)ია მოგითიბ(ნ)იათ მოუთიბ(ნ)იათ
II თურ.	მამეთიბნა მოგეთიბნა მეეთიბნა	მოგვეთიბნა მოგეთიბნათ მეეთიბნათ
III კავ.	მამეთიბ(ნ)ოს მოგეთიბ(ნ)ოს მეეთიბ(ნ)ოს	მოგვეთიბ(ნ)ოს მოგეთიბ(ნ)ოს მეეთიბ(ნ)ოთ

**გარდამავალი ძირმონაცვლე ზმნა
(ვამბობ, ვიტყვი, ვთქვი)**

I სერია		
აწ.	ვანბობ ანბობ ანბობს	ვანბობთ ანბობთ ანბობენ
უწ.	ვანბობდი ანბობდი ანბობდა	ვანბობდით ანბობდით ანბობდენ
აწ. კავ.	ვანბობდე ანბობდე ანბობდეს	ვანბობდეთ ანბობდეთ ანბობდენ
მყ.	ვიტყვი იტყვი იტყვის	ვიტყვით იტყვით იტყვიან
ხოლ.	ვიტყოდი იტყოდი იტყოდა	ვიტყოდით იტყოდით იტყოდენ
მყ. კავ.	ვიტყოდე იტყოდე იტყოდეს	ვიტყოდეთ იტყოდეთ იტყოდენ
II სერია		
წყ.	უთხარი უთხარი უთხრა	უთხარით უთხარით უთხრან
II კავ.	უთხრა უთხრა უთხრას	უთხრათ უთხრათ უთხრან
III სერია		
I თურ.	მითქვია გითქვია უთქვია	გვითქვია გითქვიათ უთქვიათ
II თურ.	მეთქვა გეთქვა ეთქვა	გვეთქვა გეთქვათ ეთქვათ
III კავ.	მეთქვას გეთქვას ეთქვას	გვეთქვას გეთქვათ ეთქვათ

„ნახვა“ ზმნა

I სერია		
აწ.	ვნახულობ ნახულობ ნახულობს	ვნახულობთ ნახულობთ ნახულობენ
უწ.	ვნახულობდი ნახულობდე ნახულობდეს	ვნახულობდით ნახულობდით ნახულობდენ
აწ. კავ.	ვნახულობდე ნახულობდე ნახულობდეს	ვნახულობდეთ ნახულობდეთ ნახულობდენ
მე.	ვნახამ // დევინახამ ნახამ ნახამს	ვნახამთ ნახამთ ნახამენ
ხოლ.	ვნახამდი/ვნახემდი ნახამდი ნახამდა	ვნახამდით ნახამდით ნახამდენ
მე. კავ.	ვნახამდი/ვნახემდი ნახამდი ნახამდა	ვნახამდით ნახამდით ნახამდენ
II სერია		
წვ.	ნავხე // დევინახე ნახე // დეინახე ნახა // დეინახა	ნავხეთ ნახეთ ნახეს/ნახენ
II კავ.	ნავხო ნახო ნახოს	ნავხოთ ნახოთ ნახონ
III სერია		
I თურ.	მინახ(ნ)ია გინახ(ნ)ია უნახ(ნ)ია	გვინახ(ნ)ია გინახ(ნ)იათ უნახ(ნ)იათ
II თურ.	მენახა/მენახანა გენახა ენახა	გვენახა გენახათ ენახათ
III კავ.	მენახ(ნ)ოს გენახ(ნ)ოს ენახ(ნ)ოს	გვენახ(ნ)ოს გენახ(ნ)ოთ ენახ(ნ)ოთ

-ავ > -ამ თემისნიშნისანი ზმნა

I სერია		
აწ.- მე.	(მო)ვბოჭამ (მო)ბოჭამ (მო)ბოჭამს	(მო)ვბოჭამთ (მო)ბოჭამთ (მო)ბოჭამენ
უწ.- ნოლ.	(მო)ვბოჭამდი/(მო)ვბოჭემდი (მო)ბოჭამდი (მო)ბოჭამდა	(მო)ვბოჭამდით/(მო)ვბოჭემდით (მო)ბოჭამდით (მო)ბოჭამდენ
I კავ.	(მო)ვბოჭამდე/(მო)ვბოჭემდე (მო)ბოჭამდე (მო)ბოჭამდეს	(მო)ვბოჭამდეთ/(მო)ვბოჭემდეთ (მო)ბოჭამდეთ (მო)ბოჭამდენ
II სერია		
წე.	მოვბოჭე მობოჭე მობოჭა	მოვბოჭეთ მობოჭეთ მობოჭეს
II კავ.	მოვბოჭო მობოჭო მობოჭოს	მოვბოჭოთ მობოჭოთ მობოჭონ
III სერია		
I თურ.	მამიბოჭ(ნ)ია მოგიბოჭ(ნ)ია მოუბოჭ(ნ)ია/მიუბოჭ(ნ)ია	მოგვიბოჭ(ნ)ია მოგიბოჭნ(ნ)იათ მოუბოჭ(ნ)იათ
II თურ.	მამებოჭა მოგებოჭა მეებოჭა	მეგვიბოჭა მეგებოჭათ მეებოჭ(ნ)ათ
III კავ.	მამებოჭოს მოგებოჭოს მეებოჭოს	მოგვიბოჭოს მეგებოჭოთ მეებოჭოთ

-ამ თემისნიშნისანი ზმნა (სმა)

I სერია		
აწ.- მე.	(შე)ვსვამ(ვ) (შე)სვამ (შე)სვამს/(შე)სვემს	(შე)ვსვამთ (შე)სვამთ (შე)სვამენ/(შე)სვემენ
უწ.- ნოლ.	(შე)ვსვამდი (შე)სვამდი (შე)სვამდა/(შე)სვემდა	(შე)ვსვამდით (შე)სვამდით (შე)სვამდენ/(შე)სვემდენ

I კავ.	(შე)ვსვამდე (შე)სვამდე (შე)სვამდეს/(შე)სვემდეს	(შე)ვსვამდეთ (შე)სვამდეთ (შე)სვამდენ/(შე)სვემდენ
II სერია		
წე.	შევსვი შესვი შესვა	შევსვით შესვით შესვეს/შესვენ
II კავ.	შევსვა შესვა შესვას	შევსვათ შესვათ შესვან
III სერია		
I თურ.	შემისვია შეგისვია შეუსვია	შეგვისვია შეგისვიათ შეუსვიათ
II თურ.	შემესვა შეგესვა შეესვა	შეგვესვა შეგესვათ შეესვათ
III კავ.	შემესვას შეგესვას შეესვას	შეგვესვას შეგესვათ შეესვათ

-ამ თემისნიშნაანი ზმნა

I სერია		
აწ.- მე.	(და)ვლემ (და)ლემ (და)ლემს	(და)ვლემთ (და)ლემთ (და)ლემენ
უწ.- ნოლ.	(და)ვლემდი (და)ლემდი (და)ლემდა	(და)ვლემდით (და)ლემდით (და)ლემდენ
I კავ.	(და)ვლემდე (და)ლემდე (და)ლემდეს	(და)ვლემდეთ (და)ლემდეთ (და)ლემდენ
II სერია		
წე.	დავლიე დალიე დალია	დავლიეთ დალიეთ დალიეს/დალიენ
II კავ.	დავლიო დალიო დალიოს	დავლიოთ დალიოთ დალიონ

III სერია		
I თურ.	დამილევ(ნ)ია დაგილევ(ნ)ია დოულევია	დაგვილევია დაგილევიათ დოულევიათ
II თურ.	დემელია დეგელია დეელია	დეგველია დეგელიათ დეელიათ
III კავ.	დემელიოს დეგელიოს დეელიოს	დეგველიოს დეგელიოთ დეელიოთ

-ავ თემისნიშნაანი ზმნა (თესვა)

I სერია		
აწ.- მე.	(და)ვთესამ/ვთესავ (და)თესამ (და)თესამს	(და)ვთესამთ (და)თესამთ (და)თესენ
უწ.- ნოლ.	(და)ვთესამდი/(და)ვთესემდი (და)თესამდი (და)თესამდა	(და)ვთესამდით/(და)ვთესამდით (და)თესამდით (და)თესამდენ
I კავ.	(და)ვთესამდე (და)თესამდე (და)თესამდეს	(და)ვთესამდეთ (და)თესამდეთ (და)თესამდენ
II სერია		
წე.	დავთესე დათესე დათესა	დავთესეთ დათესეთ დათესეს/დათესენ
II კავ.	დავთესო დათესო დათესოს	დავთესოთ დათესოთ დათესონ
III სერია		
I თურ.	დამითეს(ნ)ია დაგითეს(ნ)ია დოუთეს(ნ)ია	დგვითეს(ნ)ია დაგითეს(ნ)იათ დოუთეს(ნ)იათ
II თურ.	დემეთეს(ნ)ა დეგეთეს(ნ)ა დეეთეს(ნ)ა	დეგვეთეს(ნ)ა დეგეთეს(ნ)ათ დეეთეს(ნ)ათ

III კავ.	დემეტესოს	დეგვეტესოს
	დეგეტესოს	დეგეტესოთ
	დეეთესოს	დეეთესოთ

-ავ თემისნიშნაანი ზმნა (ხერხვა...)

I სერია		
აწ.- მე.	(და)ვხერხამ/(და)ვხერხავ (და)ხერხამ (და)ხერხამს	(და)ვხერხამთ (და)ხერხამთ (და)ხერხამენ
უწ.- ნოლ.	(და)ვხერხამდი/(და)ვხერხავდი (და)ხერხამდი (და)ხერხამდა	(და)ვხერხამდით/(და)ვხერხავ(და)დით (და)ხერხამდით (და)ხერხამდენ
აწ. კავ.	(და)ვხერხამდე/(და)ვხერხავდე (და)ხერხამდე (და)ხერხამდეს	(და)ვხერხამდეთ/(და)ვხერხავდეთ (და)ხერხამდეთ (და)ხერხამდენ
II სერია		
წვ.	დავხერხე დახერხე დახერხა	დავხერხეთ დახერხეთ დახერხეს
II კავ.	დავხერხო დახერხო დახერხოს	დავხერხოთ დახერხოთ დახერხონ
III სერია		
I თურ.	დამიხერხია დაგიხერხია დოუხერხია	დაგვიხერხია დაგიხერხიათ დოუხერხიათ
II თურ.	დემეხერხა დეგეხერხა დეეხერხა	დეგვეხერხა დეგეხერხათ დეეხერხათ
III კავ.	დემეხერხოს დეგეხერხოს დეეხერხოს	დეგვეხერხოს დეგეხერხოთ დეეხერხოთ

უთემისნიშნო ზმნა

I სერია		
აწ.- მე.	(და)ვჭრი (და)ჭრი (და)ჭრის	(და)ვჭრით (და)ჭრით (და)ჭრიან

უწ.- ხოლ.	(და)ვჭრიდი (და)ჭრიდი (და)ჭრიდა	(და)ვჭრიდით (და)ჭრიდით (და)ჭრიდენ
I კავ.	(და)ვჭრიდე (და)ჭრიდე (და)ჭრიდეს	(და)ვჭრიდეთ (და)ჭრიდეთ (და)ჭრიდენ
II სერია		
წყ.	დავჭერი დაჭერი დაჭრა	დავჭერით დაჭერით დაჭრეს/დაჭრენ
II კავ.	დავჭრა დაჭრა დაჭრას	დავჭრათ დაჭრათ დაჭრან
III სერია		
I თურ.	დამიჭრია დაგიჭრია ლოუჭრია	დაგვიჭრია დაგიჭრიათ ლოუჭრიათ
II თურ.	დემეჭრა დეგეჭრა დეეჭრა	დეგვეჭრა დეგეჭრათ დეეჭრათ
III კავ.	დემეჭრას დეგეჭრას დეეჭრას	დეგვეჭრას დეგეჭრათ დეეჭრათ

ხმოვანმონაცვლე ზმნა „ვკრეფ“

I სერია		
აწ.- მე.	(მო)ვკრიფამ (მო)კრიფამ (მო)კრიფამს	(მო)ვკრიფამ (მო)კრიფამ (მო)კრიფამენ
უწ.- ხოლ.	(მო)ვკრიფამდი (მო)კრიფამდი (მო)კრიფამდა	(მო)ვკრიფამდით (მო)კრიფამდით (მო)კრიფამდენ
I კავ.	(მო)ვკრიფამდე (მო)კრიფამდე (მო)კრიფამდეს	(მო)ვკრიფამდეთ (მო)კრიფამდეთ (მო)კრიფამდენ
II სერია		
წყ.	მოვკრიფე მოკრიფე მოკრიფა	მოვკრიფეთ მოკრიფეთ მოკრიფეს // მოკრიფენ

II კავ.	მოვკრიფო მოკრიფო მოკრიფოს	მოვკრიფოთ მოკრიფოთ მოკრიფონ
III სერია		
I თურ.	მამიკრეფია // დამიკრეფია მოგიკრეფია // დაგიკრეფია მოუკრეფია // დოუკრეფია	მოვგიკრეფია//დავგიკრეფია მოგიკრეფიათ//დაგიკრეფიათ მოუკრეფიათ//დოუკრეფიათ
II თურ.	მამეკრიფა // მემეკრიფა მოგეკრიფა მეეკრიფა	მეგვეკრიფა მეგეკრიფათ მეეკრიფათ
III კავ.	მამეკრიფოს // მემეკრიფოს მეგეკრიფოს მეეკრიფოს	მეგვეკრიფოს მეგეკრიფოთ მეეკრიფოთ

სტატეკური ზმნა

I სერია		
აწ.	ვწევარ წევ(მ)ხარ წევს/წვია/ღვია	ვწევართ წევ(მ)ხართ წევრან/წვანან
უწ.		
აწ.კავ.		
მე.	ვიწვები იწვები იწვება	ვიწვებით იწვებით იწვებიან
ხოლ.	ვიწვებოდი იწვებოდი იწვებოდა	ვიწვებოდით იწვებოდით იწვებოდენ
მე. კავ.	ვიწვებოდე იწვებოდე იწვებოდეს	ვიწვებოდეთ იწვებოდეთ იწვებოდენ
II სერია		
წვ.	ვიწეპი იწეპი იწვა	ვიწეპით იწეპით იწვენ
II კავ.	ვიწვე იწვე იწვეს	ვიწვეთ იწვეთ იწვენ

III სერია		
I თურ.	ვწოლილვარ წოლილხარ წოლილა	ვწოლილვართ წოლილხართ წოლილან
II თურ.	ვწოლილიყავი წოლილიყავი წოლილიყო	ვწოლილიყავით წოლილიყავით წოლილიყვენ
III კავ.	ვწოლილიყო წოლილიყო წოლილიყოს	ვწოლილიყოთ წოლილიყოთ წოლილიყვენ

ინვერსიული ზმნა „მაქვს“

I სერია		
აწ.	მაქ გაქ აქ	გვაქ გაქთ აქთ
უწ.	მქონ(დ)ა გქონ(დ)ა ქონ(დ)ა	გვქონ(დ)ა გქონ(დ)ათ ქონ(დ)ათ
აწ. კავ.	მქონდეს გქონდეს ქონდეს	გვქონდეს გქონდეთ ქონდეთ
მე.	მექნება გექნება ექნება	გვექნება გექნებათ ექნებათ
ხოლ.	მექნებოდა გექნებოდა ექნებოდა	გვექნებოდა გექნებოდათ ექნებოდათ
მე. კავ.	მექნებოდეს გექნებოდეს ექნებოდეს	გვექნებოდეს გექნებოდეთ ექნებოდეთ
II სერია		
წე.		
II კავ.		
III სერია		
I თურ.	მქონია გქონია ქონია	გვქონია გქონიათ ქონიათ

II თურ.	მქონოდა გქონოდა ქონოდა	გვქონოდა გქონოდათ ქონოდათ
III კავ.	მქონოდეს გქონოდეს ქონოდეს	გვქონოდეს გქონოდეთ ქონოდეთ

ინვერსიული ზმნა „მყავს“

I სერია		
აწ.	მყამს გყამს ყამს	გვყამს გყამთ ყამთ
უწ.	მყამდა გყამდა ყამდა	გვყამდა გყამდათ ყამდათ
აწ. კავ.	მყამდეს გყამდეს ყამდეს	გვყამდეს გყამდეთ ყამდეთ
მყ.	მეყოლება გეყოლება ეყოლება	გვეყოლება გეყოლებათ ეყოლებათ
ხოლ.	მეყოლებოდა გეყოლებოდა ეყოლებოდა	გვეყოლებოდა გეყოლებოდათ ეყოლებოდათ
მყ. კავ.	მეყოლებოდეს გეყოლებოდეს ეყოლებოდეს	გვეყოლებოდეს გეყოლებოდეთ ეყოლებოდეთ
II სერია		
წყ.	მეყოლა გეყოლა ეყოლა	გვეყოლა გეყოლათ ეყოლათ
II კავ.	მეყოლოს გეყოლოს ეყოლოს	გვეყოლოს გეყოლოთ ეყოლოთ
III სერია		
I თურ.	მყოლია გყოლია ყოლია	გვყოლია გყოლიათ ყოლიათ

II თურ.	მყოლოდა გყოლოდეს ყოლოდეს	გგყოლოდა გყოლოდათ ყოლოდათ
III კავ.	მყოლოდეს გყოლოდეს ყოლოდეს	გგყოლოდეს გყოლოდეთ ყოლოდეთ

ინვერსიული ზმნა „მინდა“

I სერია		
აწ.	მინა გინა უნა	გვინა გინათ უნათ
უწ.	მინოდა გინოდა უნოდა	გვინოდა გინოდათ უნოდათ
აწ. კავ.	მინოდეს გინოდეს უნოდეს	გვინოდეს გინოდეთ უნოდეთ
მე.	მენდომება გენდომება ენდომება	გვენდომება გენდომებათ ენდომებათ
ნოლ.	მენდომებოდა გენდომებოდა ენდომებოდა	გვენდომებოდა გენდომებოდათ ენდომებოდათ
მე. კავ.	მენდომებოდეს გენდომებოდეს ენდომებოდეს	გვენდომებოდეს გენდომებოდეთ ენდომებოდეთ
II სერია		
წე.		
II კავ.		
III სერია		
I თურ.	მდომია გდომია დომია	გვდომია გდომიათ დომიათ
II თურ.	მდომოდა გდომოდა დომოდა	გვდომოდა გდომოდათ დომოდათ

III კავ.	მდომოდეს გდომოდეს დომოდეს	გვდომოდეს გდომოდეთ დომოდეთ
---------------------	---------------------------------	----------------------------------

გარდაუვალი ძირმონაცვლე ზმნა „არის“

I სერია		
აწ.	ვარ ხარ არი	ვართ ხართ ართან
უწ.		
აწ.კავ.		
მე.	ვიქნები იქნები იქნება	ვიქნებით იქნებით იქნებიან
ხოლ.	ვიქნებოი იქნებოი იქნებოდა	ვიქნებოით იქნებოით იქნებოდენ
მე. კავ.	ვიქნებოდე იქნებოდე იქნებოდეს	ვიქნებოდეთ იქნებოდეთ იქნებოდენ
II სერია		
წყ.	ვიყავი იყავი იყო	ვიყავით იყავით იყვენ
II კავ.	ვიყო იყო იყოს	ვიყოთ იყოთ იყონ
III სერია		
I თურ.	ვყოფილვარ ყოფილხარ ყოფილა	ვყოფილვართ ყოფილხართ ყოფილან
II თურ.	ვყოფილიყავი ყოფილიყავი ყოფილიყო	ვყოფილიყავით ყოფილიყავით ყოფილიყვენ
III კავ.	ვყოფილიყო ყოფილიყო ყოფილიყოს	ვყოფილიყოთ ყოფილიყოთ ყოფილიყონ

„უვირის“ ზმნა

I სერია		
აწ.	ვყვირავარ ყვირახარ ყვირის	ვყვირავართ ყვირახართ ყვირიან
უწ.	ვყვიროდი ყვიროდი ყვიროდა	ვყვიროდით ყვიროდით ყვიროდენ
აწ. კავ.	ვყვიროდე ყვიროდე ყვიროდეს	ვყვიროდეთ ყვიროდეთ ყვიროდენ
მყ.	ღევიყვირეფ ღეყვირეფ ღეყვირეფს	ღევიყვირებთ ღეყვირებთ ღეყვირებენ
ხოლ.	ღევიყვირებდი ღეყვირებდი ღეყვირებდა	ღევიყვირებდით ღეყვირებდით ღეყვირებდენ
მყ. კავ.	ღევიყვირებდე ღეყვირებდე ღეყვირებდეს	ღევიყვირებდეთ ღეყვირებდეთ ღეყვირებდენ
II სერია		
წყ.	ღევიყვირე ღეყვირე ღეყვირა	ღევიყვირეთ ღეყვირეთ ღეყვირეს
II კავ.	ღევიყვირო ღეყვირო ღეყვიროს	ღევიყვიროთ ღეყვიროთ ღეყვირონ
III სერია		
I თურ.	ღამეყვირია ღაგეყვირია ღოუყვირია	ღავეყვირია ღაგეყვირიათ ღოუყვირიათ
II თურ.	ღემეყვირა ღეგეყვირა ღეეყვირა	ღემეყვირა ღეგეყვირათ ღეეყვირათ
III კავ.	ღემეყვიროს ღეგეყვიროს ღეეყვიროს	ღემეყვიროს ღეგეყვიროთ ღეეყვიროთ

ვნებითი გვარის ზმნა „ვეხმარები მე მას“

I სერია		
აწ.- მე.	(დე)ვეხმარები (დე)ეხმარები (დე)ეხმარება	(დე)ვეხმარებით (დე)ეხმარებით (დე)ეხმარებიან/(დე)ეხმარებიენ
უწ.- ნოლ.	(დე)ვეხმარებოდი (დე)ეხმარებოდი (დე)ეხმარებოდა	(დე)ვეხმარებოდით (დე)ეხმარებოდით (დე)ეხმარებოდენ
I კავ.	(დე)ვეხმარებოდე (დე)ეხმარებოდე (დე)ეხმარებოდეს	(დე)ვეხმარებოდეთ (დე)ეხმარებოდეთ (დე)ეხმარებოდენ
II სერია		
წე.	დევეხმარე დეეხმარე დეეხმარა	დევეხმარეთ დეეხმარეთ დეეხმარენ
II კავ.	დევეხმარო დეეხმარო დეეხმაროს	დევეხმაროთ დეეხმაროთ დეეხმარონ
III სერია		
I თურ.	დავხმარებივარ დანხმარებიხარ დანხმარები	დავხმარებივართ დანხმარებიხართ დანხმარებიან
II თურ.	დავხმარებოდი დანხმარებოდი დანხმარებოდა	დავხმარებოდით დანხმარებოდით დანხმარებოდენ
III კავ.	დავხმარებოდე დანხმარებოდე დანხმარებოდეს	დავხმარებოდეთ დანხმარებოდეთ დანხმარებოდენ

**ძირითადი ლიტერატურა იმერული
დიალექტისათვის**

(ზემო და ქვემო კილოკავებისათვის)

ალავიძე მ., იმერული კილოს კილოკავები; დიალექტოლოგიური კრებული, 1991, თბ., 1991.

ბაბუხაძია მ., ზემოიმერული კილოკავის ზოგიერთი ენობრივი თავისებურება (ზესტაფონურ-ხარაგაულური მეტყველება მაგალითებითურთ); XXI რესპ. დიალექტ, სესია; მასალ.; ბათუმი, 2001.

- ბეროზაშვილი თ.**, ზემო-იმერულის მორფოლოგიური თავისებურებანი (საჩხერის რ-ნის მეტყველების მიხედვით); თბილისის უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნ. ინსტიტუტების ასპირანტთა I სამეცნ. კონფერენცია; თეზ.; თბ.; 1949 წლის 21-23 თებერვალი.
- ბოჭორიშვილი ვ.**, სოფელ კურსების მცხოვრებთა მეტყველება; საქ. სსრ პედ. ინსტიტუტების სტუდ. VI სამეცნ. კონფ.; თეზ.; თელავი, 1954, 7-8-9 მაისი.
- ბუიძე დ.**, ქვემოიმერულისა და მეგრულის ბრუნებაში მორფონოლოგიურ ცვლილებათა ტიპოლოგიისათვის (მიცემითი ბრუნვა); XX რესპ. დიალექტოლ. სესია; მასალ.; თბ., 2000.
- გაჩიჩილაძე ბ.**, იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება; იკე, ტ. VIII, თბ., 1956.
- გვენეტაძე ლ.**, მრავლობითი რიცხვის სუფიქსებით ნაწარმოები სახელები (ოკრიბის ტოპონიმის მიხედვით); დიალექტ. კრებული, თბ., (1987); 1988.
- გოგოლაშვილი გ.**, ლაპარაკობს კლდიაშვილის პერსონაჟი (იმერიზმების შესახებ); ქართ. ენა და ლიტ. სკ., № 1; თბ., 1981.
- გოგოლაშვილი გ.**, ქვემოიმერული დიალექტის ჩვენების მნიშვნელობა სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა სისტემაში მომხდარი ცვლილებების ისტორიისათვის; VII რესპ. დიალექტ. სამეცნ. სესია, (ცხინვალი, 23-25. X. 1985); მასალ.; თბ., 1985.
- იმნაიშვილი გ.**, გურულისა და იმერულის ურთიერთმიმართების საკითხისათვის; ქესს, IV; თბ., 1974.
- კახაძე ო.**, -ა-ზე დასრულებული ზოგიერთი სახელის ბრუნებისათვის ქვემოიმერულში: იკე, V, თბ., 1953.
- კუბლაშვილი კ.**, გრამატიკული ობიექტის რიცხვის აღნიშვნისათვის ზმნაში ქვემოიმერული კილოკავის მიხედვით; თსუ შრომები, 174; თბ., 1976.
- კუბლაშვილი კ.**, ვნებითის წარმოებასთან დაკავშირებული ზოგი თავისებურების შესახებ ქვემოიმერულში; თსუ შრომები, ტ. 187; თბ., 1977.
- კუბლაშვილი კ.**, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი; თსუ გამომცემლობა; თბ., 1985; 208 გვ.
- კუბლაშვილი კ.**, ქვემოიმერულის ზოგი თავისებურების შესახებ; საქართველოს პედ. ინსტიტუტების შრომები. ისტორია-ფილოლოგიის სერია, II; თბ., 1976.
- ლევუაძა ლ.**, ზემოიმერულის მასალები ერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით [ტყემლოვანა]; იკე, ტ. IX-X, თბ., 1958.
- ლომთაძე თ.**, პირის გამოხატვა ზმნაში ქუთაისური მეტყველების მიხედვით; ქართვ. მემკვ., VI, ქუთაისი, 1999.
- ლომთაძე თ.**, სამეტყველო კოდების შერევის საკითხი ქუთაისური მეტყველების მიხედვით; ქართვ. მემკვ., V; სიმპ. მასალ.; ქუთაისი, 1998.

- ლომაძე თ.**, სახელთა წარმოქმნის ზოგი თავისებურება ქუთაისურ მეტყველებასში; საენათმ. ძიებანი, VIII, (რეზ. ინგლ. ენ.); თბ., 1999.
- ლორთქიფანიძე თ., -ავ** თემისნიშნისანი ზმნები ქვემოიმერულში; საენათმ. ძიებანი, VII, (რეზ. ინგლ. ენ.); თბ., 1998.
- ნოზაძე ლ.**, კავშირებითის ფორმათა წარმოებისათვის ზემო-იმერულში; იკვ, XXV; თბ., 1986.
- სურმავა ნ., -ყე (-კე)** ნაწილაკის ფუნქციისათვის ქვემოიმერულის ხონურ-სამტრედელისა და აბაშურ თქმებში; ქესს, VII, თბ., 1998.
- ქავთარაძე ივ.**, იმერული დიალექტის ისტორიისათვის.; „მაცნე“ (ელს), № 3, (რეზ. რუს. ენაზე); თბ., 1975.
- ქაცარავა მ.**, იდიოლექტის ერთი ნიმუში ქვემოიმერულში; ჯორბ. - IV; თბ., 1997.
- შარაშენიძე ნ.**, წვევე კავშირიანი ერთი თავისებურებური სახის წინადადებისათვის ქვემოიმერულში; საენათმეცნ. ძიებანი, IV; 1995.
- შარაშენიძე ნ.**, საჩინოური ქართული (ქვემოიმერული კილოკავი ერთი სოფლის მეტყველების მიხედვით), თბ., 2008
- ცხადაძე ბ.**, იმერულის თავისებურებანი თერჯოლისა და ზესტაფონის რაიონების მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით; კრებ.: „ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები“, თბ., 1978.
- ძიძიგური შ.**, იმერული დიალექტი. I. წულუკიძური მეტყველება; ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954.
- ძიძიგური შ.**, იმერული დიალექტი. II. თერჯოლური მეტყველება; ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954.
- ძოწენიძე ქ., -ვე** სუფიქსისათვის ზემოიმერულ კილოკავში (სოფ. პერევის მეტყველებაზე დაკვირვების მიხედვით); აღ. წულუკიძის პედ. ინსტ. შრომები, ტ. X, ქუთაისი, 1950-51.
- ძოწენიძე ქ.**, ზემოიმერული და ქვემოიმერულ კილოკავებთან მიმართებით შუაიმერულის საკითხისათვის; მაცნე (ელს), №3; თბ., 1967.
- ძოწენიძე ქ.**, ზემოიმერული კილოკავი (მეტყველების ნიმუშები); აღ. წულუკიძის პედ. ინსტ. შრომები, ტ. XI, ქუთაისი, 1952-53.
- ძოწენიძე ქ.**, ზემოიმერული კილოკავი (ზესტაფონის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით); ქუთაისის პედ. ინსტ. XXVII სამეცნ. სეს.; თეზ.; 1963.
- ძოწენიძე ქ.**, ზემოიმერული კილოკავი (ჭიათურის მიმდებარე სოფლების მეტყველების მიხედვით); ქუთაისის პედ. ინსტ. შრომები, ტ. XXIII, ქუთაისი, 1961.
- ძოწენიძე ქ.**, ზემოიმერული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი (ორჯონიკიძის რაიონის მეტყველების მიხედვით); აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. XVII, ქუთაისი, 1957.
- ძოწენიძე ქ.**, ზემოიმერული კილოკავი (ენობრივი მიმოხილვა და ტექსტები); [მეტყველების ნიმუშები]; თსუ გამომცემლობა; თბ., 1973.

- ძოწენიძე ქ.**, უნიფორმაციის ტენდენციის მოქმედების ერთი ნიმუში ზემოიმერულ კილოკავში; საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინსტ. და ქუთაისის პედ. ინსტ. ქართული ენის კათედრის გაერთიანებული სამეცნ. სესია, თეზ.; ქუთაისი, 1964.
- ძოწენიძე ქ.**, ქართული ენის იმერული კილო (ტექსტი პარალელურად ქართულ და რუსულ ენებზე); საკოორდინაციო თათბირი ქართველურ ენათა დიალექტოლოგიის საკითხების შესახებ, თეზ.; თბ., 1960.
- ძოწენიძე ქ.**, ქვემოიმერულის უხუთური მეტყველება (დართული აქვს ერთი ზღაპარი); აღ. წულუკიძის სახ. პედ. ინსტ. შრომები, VIII, ქუთაისი, 1948.
- ჯორბენაძე ბ.**, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

მეტყველების ნიმუშები

1. დილიკაურელთა საუბრიდან

- რითი რეკავ ნიგოზს?
- ჭოგრითი.
- რავარი ნებალო აქ?
- თეთრი ქახალდივით.
- კილო ხ'ვარ გინდა?
- კიე!
- ზოგმა რო იცის გადიდრაჯება, ისე კ'არ ყოფილხართ თქვენე. გუნარას უძახით? ეგერ დგარს. დოუძახეფ. სხვა ქალებიც ქე ჩამრენ, მოდენიან ცხვრეფს.
- ასე ცოტა წყალი რატო მოგაქ?
- მეტს ვერ ვზიდულოფ.
- პოლინე, თხები ჩამოდენე?
- კიე. იმათმა სა ნახეს ცხვრები?
- დობილოში იყვენ.
- მოდის ცხვრები?
- კიე.
- რალაი არ დეიკარქენ...
- გააგდე ხელიდანი ე კალათი. თხა დააბი!
- მამე კიტალე, გოზა, მამე კიტალე! ემის ხასიათს ვერ გეიგეფ.
- არც გეიციენეფს რაძახა...
- მოდი აქა! რას აგვიანეფ? ვაი, შენ არ გამოდი მაიდან! რო გეიქცევა ისევე ი თხა, მერე დოუწყე ძებილი.
- მაინდამიან ხვალ უნდა წახვიდო?
- ასე ვფიქრავ და რა ვიცი.

2. სანახშირელთა საუბრიდან

— ძველ დროს აქ ბევრი წაბლის ხეები ყოფილა და თურმე წვამდენ მაგენს ნახშირათ და დეერქვა **სანახშირე**. წაბლის ხეები კაია ნახშირათ.

— მაგ იყო სულე? რო თქვი, ბევრი ამბავები ვიციო?

— დევილალე, გოგო, მუშაობითი. რო ვჯღივარ ახლა აქანა, ვფიქრავ, რა გავაკეთო. სანამდი სული მიდგია, საქმე არი სულე.

— ღორები ხ'ვარ მოსულა?

— კიე.

— ჩამოდენეყე, ჩავამწყვირო.

— ეს აბრეშუმი ვერ ჭამდა ბევრს. ერთ ხანაზე ოთხ-ოთხი იჯრა ვაჭამე და უკეთესი პარკი არ აქთ. ყავსყე ორი ჭიბი და იძახიენ: არიქა, აბრეშუნი ქვეამს!

— ექანა მარიამის ბჟოლა რომ იყო, შენ ხო გადაჭერი? კუწუწოში ართმევენ კაი ფოთელს.

— წვედიეთ, რიყნალეფშია ბჟოლა! ბიკენტიის გოგომ ეკლარში მანანაიანი ბჟოლა კრიფა. დიდი ბოქმოტი გოგოა სწორეთ.

— გიორგი დღეს შეშას წიკავს?

— აპა! რას ვეტყოდი, თვრალი იყო. ვითამ ღვინო არ კმარიყო, ოტკაც დემატებია და ძლივ მობარბაცთა სახში.

— ეს გოგო ნინასია?

— კიე. ნინას გოგოები ერთმანეთს ძან გავრენ.

— მე ვინძახა სულ ძან უცხოები მეგონა.

— ათჯელ რო გავლახოყე დღეში, მაინც აქ არიან.

3. სავანელთა საუბრიდან

— რამდენი ფოხალი მოგივიდა ლობიოი?

— ფოხალ-ნახევარი.

— ლობიომ მე ქვე მიღალატა. ერთი კოდი უნდა ვიყიდო ლობიოი. ამან მიმტყუნა, თვარა ღვინო და ოტკაი რამდენიც უნდა ვსვა, ქვე მაქ. არ მწყენს. ღვინო რო მწყენდეს, ქვე მოვკვდები. წყალ ვერ ვსვამ. რო მოთომს, ოტკა თუ გამათფოფს, თვარამა რა მიშველის. თავი ოტკა თ'ვარ არი, არ დავლემ.

— ჯავრით დალეულა ეპისტინეი.

— სა ნახე შენე?

— ტაქს უცთიდა. ფული ქვე უსაგზლე ცოტ-ცოტარა.

— მისი ქმრის ადგილას ვინ დოუყენებიათ, ნეშტორო?

— არ ვიცი.

— ცოცხალი არი იპოლიტე და ანეტაი?

— არ ვიცი. სად ნავხემდი...

— ახლანდელი ახალგაზრდაები ზოგ-ზოგები დედ-მამისთვინ არ არიან.

— იმ ბებრეფს ახლა მოსახელავი ექნებოდათ ყოლიფერი. პატრონი არა ყამთ. ამდონი ხეხილი, ვენახი იმათი სახელავია სუყველიფერი. ადოყებულია

ყოლიფერი... მისთანა ეზო-გარემოს კაცი დატოვეფს?! ვაშლი გინდა, სხალი გინდა, რა არ ალი!

— ღმერთო, შენ მოსპევი ოხერი დედაკაცი!

4. ხეველთა საუბრიდან

— გასვენებაზე არადიათ მივდივართ, წამოხვალ, ნიკოლოზო, ჩვენთან?

— ვერა, ე ვანიჩკაც დამიტოვეთ მადა.

— ელენკო მიხტომია იმათა. გუდამდა თურმე ამ ქალსა. ერთათ დანავ-ლებულან.

— რატო გალახე, ქალოო?

— რავა არ გავლახთი, ქმარს მართემესო, ალანხვითური ქალია, რას ერჩის ამ ქალსა!

— ნინამა ი ბერკაციც გალახა. 18 წუთი კიდევაც გახთა, რო დაკარქა ხაბარი. სახლი მიცეს ნინასა?

— სახლი მიცა, ერთი ოთახი, მა?

— გრიგალაურის ქალზე იტყვი?

— აპალე! ნინას შვილი როგორ არი?

— კაათ არი ძიელა.

— ნახეთ სხვები? წუხელი ნამბული ამიდი იყო, ჩვენ ჭკუაზე ვსვემდით... იქიდან გადმომცა იმანა, ტოლუმბაშმა და თითო ჭიქაობით ვადღინძელე.

— რო გამოთქვამს ისა, მერე მე ვიტყვი.

— ხო გნახეი თვრალი? კიდე გნახამ...

— გულს ესიამუნა ღვინოი. უდარდავი იყო შარშანა მოსავალი. ყურძენიც კაათ იყო. ღვინოი კარგი დადგა.

— ორი დავლიეი. რო გადმომცეს იქიდამა, დავლიეი და გადავეც ხალხსა.

— ესე კმარიყოს! სუყოველთვინ ჭირი ხო არ ექნება ოჯახსა.

— საჭმელს იმტელს კარ ჭამს ადამიანი. ღვინო ანახევრეფს ჭამასა.

5. აკაკი წერეთელი

მ ო გ ო ნ ე ბ ა

მე აკაკისთან აღზდილი ვარ. 10 წლის რო ვიყავი, მას უკან იქ ვიყავი სულ. აკაკი და მისი რძალი — დავით წერეთლის ცოლი ცხოვრობდენ ცალკე. ვასიკო როა წერეთელი, მისი დედა ცხოვრობდა ცალკე.

მე ვიყავი დავით წერეთლის ცოლთან. ერთათ იყვენ სუყოველთვინ. მარიამი ქვიოდა აკაკის რძალს. პირველში ბოვშათ ვიყავი. დავდიოდი იმათ მამულში. აქ აბანოზე ვიყავი ხომე.

აკაკი მოვიდა ერთ მშვენიერ დღეს თავის რძალთან. დეიწყეს კარტის თამაში. მოუგო შვიდ-თუშან-ნახევარი მარიამს. მეტი ფული იმას აღარ ქონდა

და არც ეთამაშა ნისიათ. ერთი ღორი ქვეამდა გასაყიდელი. ვაფასებდით 3 თუმან-ნახევარს. აკაკიმ უთხრა: მეთამაშე მაგ ღორზეო. მოუგო ისიც. მერე დეიწყო სიცილი აკაკიმ: რა ჭყვილით წვეიყვან მაგ ღორსაო. გააბრაზა.

წვეიდა იმ ღამეს. მეორე დილას გამოუგზანია ბიჭი და დოუბარებია: აა-ჭყვილე იქა და გააბრაზე ჩემი რძალიო. თავად წამოსულა და, ახლოს ვენახი იყო, იქ დამჯდარა.

უყურეფს, როგორ აჭყვილეფს ბიჭი ღორს. აკაკი ჯის და იცინის. გამოუვარდა მარიამი ბიჭსა: რას აყვირეფ მაგ გოჭსაო! წაათრიეო! მაშინ გამოჩთა აკაკი და დაუძახა: მოდი, ახლა კუდალა ხარზე მეთამაშეო! აბრაზებდა ასე. მა-ლა კ'არ წაჩხუბებულან, მარა ახელებდა.

ერთ მშვენიერ დროს პატარა ბოვში ვიყავი და შევხედე, ჯიან აკაკი და მი-სი ძმა და რძალი ერთათ. მე ვიქნებოდი დაახლოვებით 8-9 წლის. აკაკის სახლამ-დინ იქნება 300 მეტრი. აკაკი მოუყვა: რაცხა ფრინველი დადის და ბოვშეფს იტაცეფსო. სამსონა, არ შეგეშინდეს შენეო. — მოვწყვიტამ თავს, ბატონო-თქო.

თან მზე ჩვეიდა. მეუბნება: წადი, სამსონო, გეიქეცი და ანასთან ჩადიო, წიგნი ჩამომიტანეო.

გასათხოვარი და ყამდა ანა, იქნებოდა 25 წლის. ეს რო მითხრა, რუსუ-ლათ უთხრა რაცხაი რძალმა, მერე ქართულათ: შე შეჩვენებულო, გედირევაო.

მიგრბივარ. გამოუტანებიათ შორი-ახლო ბიჭი. მიველი, უთხარი ანას: ესა და ეს წიგნი მამეცი-თქვა. ჩამოუტანე.

— არ შეგეშინდაო? — მკითხა და დეიწყო სიცილი.

აკაკის ყამდა ერთი ნაყმევი — თედორე სისვაძე, კორბოულელი. იმ თე-დორეს რასაც ეტყოდი, იმისთანა ლექს გამოგიტქვემდა, რო იქნებოდა კობიო შენი. რო ჩამოვიდოდა, შოუთვლიდა, ჩამოდიო, დააჯენდა, ალაპარაკებდა ლექ-სეფს. ძალიან პატივს ცემდა. სუყოველთვინ ყამდა, ქეიფობდენ და დროებას ატარებდენ.

1905 წელში გამოსვლები იყო. აკაკი წერეთელი დეესწრო აქ სწორეთ იმ დროს. გლენებმა მებატონეფს არაფერი აღარ მიცეს იმ წელიწათში. აკა-კის ყამდა გლენები.

დეიბარა, ასე ვიცი, კვერეთელები (ჩემი თვალით უყურე), და უთხრა: მოქცემთ ქალაღდს, რო მე მიღებული მაქ თქვენგან სუყველიფერიო. თვარა კაზაკები გაგატყავებენო, გაგლახევენო. არ ქნეს: გვატყუეფს რაძახასო. მერე დოუბარა თავის დას, რო: — თუ ამათ მოთხოვონ რამე, ერთი გამოაგზანენ ჩემთან, ჩამოვიდონ და დოუწერ, რო მიღებული მაქ მაგათგან სუყოლიფერიო.

მერე მართლა შეეხვეწენ. შეხვეწილი რათ უნდოდა. მიცა ხელწერილი.

აკაკი წერეთელს ყამდა რუსის ქალი. ძალიან დიდარი იყო მისი მოყვა-რე. შემდექ გაღარბდენ. იქიდან შამოუთვალეს, როგორც რო თავადი ყამდათ სიძე, ფული გვასესეო.

თავადეფს აქ რა ფული ქონდათ! ადგა და ელისაბედ წერეთლის მა-მამთილს დოუგირავა ეს თაი, გამოართვა ფული და გოუგზანა მოყვარეს. იმათ

ისე წოუვიდათ საქმე, რო დარჩენ ღარიბები და ამას რალა ფულს გამოუგზანდენ! ადგა აკაკის უნცროსი ძმა ილიკო და მოანგროვა ფული, რო ეს თა არ დეეკარქოს, და მიუტანა ელისაბედ წერეთლის მამამთილს და უთხრა: აი თქვენი ფული და ჩვენი თა უნდა დევიბრუნოთო. ილიკო ავით იყო ტუბერკულოზით. ადგა და უთხრა იმან: ეგ ფული წვილე შენე და წადი, იექიმე, როცა გინდა, მაშინ მამეციო.

ისიც წვევიდა და დაჩებზე იარა. ის ფული ქე შამეხარჯა. საბოლოოთ იმდენი იწვალეს კიდე, რო აღარ ქონდა აღარაფერი და წაათვეს ეს თა. დეირჩინა იმან.

გუნებიერათ რო დავჯდები, მოვიგონეფ ყველიფერს და შენც კარქათ დაწერამ.

სოფ. სხვიტორი

6. სამი ამოცანა

ერთ ხემწიფეს უთქვამს თავის ვეზირებისთვინ: სამ საკითხს გეტყვიყე, თუ ვერ ახსენით, თავები დაშორდება ტანს.

— ბძანეო, თუ ავხსენით, ავხსენით, თვარა კანონი ვიცით ჩვენცეო.

უთხარიყე აღმოსავლეთიდან დასავლეთამდი რამდენი ხნის სასიარულოა; ციდან დედამიწამდი რა სიმაღლეაო და მე რამდონ ვერცხლათ ვლირვარო.

მოთხოვა ვეზირმა სამი ღღის ვადაი. ვერსა ვერავინ ვერაფერი ვერ უთხრა, ხვალ უხთებათ ვადა. გადაასწორეს გზაი და მივიდენ ერთ დინარესთან, გაღმა ერთი მეჯოგეა. ხიდი არ არი. ბინდდება. ჯოგი მოუგროვებია. კითხეს, რაც უნდოდათ. უთხრაყე: რა ვიცი, როღის ვზომე მეო. უნდა ჩევიღონ წყალში. მიაძახა ერთმა: — სადოური, რამდონია სადნამდინა?

იმანაც დაუძახა: ათინიდან ათასია მკედამდინაო.

შეჩერდა. მე დოუძახე: სადოური ხარო, რამდენი ქყავს ე ჯოგიო და სადნამდი შამომწვდება ეს წყალიო?

იმან მამაძახა: მე ათინიდან ვარ, ასი სული მყავს და რო გამოხვიდო, მკერდამდი შამოგწვდება წყალიო.

გევიდნენ წყალში. რაშია თქვენი მოწყენილობაიო?

ხემწიფემ სამი საკითხი დავგისვა, ხვალ დილას მოქვჭრის თავსაო.

— მაგისტვინ რავა ხართ მოწყენილიო. ასე უთხარიყე, ყველაზე გლახა გვინდოდა გვეპოვა ჩვენ სახემწიფოში, თვარა მაგას რა ახსნა უნდაო. მოვალ და ავხსნოო.

წვევიდა. საქონლის ვაებაში არი გასვრილი, სამწყესო პარკი კიღია. გახთა ცხრა საათი. დოუძახა ვეზირეფს: რავა არის საქმეიო? მეიყვანეს გლახა.

— შენ ხსნი ჩემ ნათქვამ სიტყვეფს, შე გლახაო?

— მიძახე, რაცახა არი. თუ ავხსენი, ავხსენი, თვარა მამჭერი თავიო.

უთხრა: აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე რამდონი ხნის სასიარულოაო?

— ერთი ღღისო.

- რანაირათო?
- რო ამოვა მზეი, მიყევი და სალამოს, სადაც ჩავა, ჩაგიყვანს იქაო.
- ციდან დედამიწამდი რა სიმალლეაო?
- ამეილო აბრეშუმის გვრიჭა და უთხრა: გაზომილი მაქ, ამ სიმალლეა. გაზომე, თვარ არი ამ სიმალლე, დამიმტკიცე და მამჭერი მერე თავიო.
- მე რამდენ ვერცხლათ ვღირვარო?
- შენ ესო ქრისტე გჯობდა, ის ოცდაათ ვერცხლათ გაყიდეს და შენ უფრო ცოტა ეღირებო.
- არ გამოუშვა ესი. — მე ჩემი ჯოგი მყამს, ჩემთვის გამიშვიო. არ ქნა და ამოკუჭა თვალეზი. ისე სჯის საქმეს ე თვალეზამოკუჭული კაცი, რო უკეთესი სა იქნება. გეიგო ესე ქრისტემ და წამევიდა: ჩემზე უკეთესად რავა სჯისო? მოდის ჯორით. ხედამს, ქალს ხფო მიყამს დასამბელათ. ის ედაგება: ხფო სად არი, ქალო, ჩემმა ჯორმა რაში მეიგო.
- ჯორი არ გააჩერა. ქალი ვერ მიეწია და საჩივლელათ მევიდნენ თვალეზამოკუჭულ მოსამართლესთან. შეჩივლა ჯორიანმა.
- ბატონო, შორიდან გახლავარ და ჩემისანა ბედნიერი კაცი არსა არ მეგულეზოდა, ჩემა ჯორმა რაში მეიგო, გამოსულელებული დედაკაცი მომდემს, მომე ჩემი ხფოო, გთხომ მალე გამისტუმროო.
- მაცალე, კაცო, ხეზე წითელი თებზები მიდიანო, იმას უყურეფო.
- შე დალოცვილო, სა გაგიგონია, ხეზე წითელი თებზები შედიოდესო.
- აბა, შენ სად გაგიგონია, ჯორს ხფო მეეგოსო.
- მაშინ დარწმუნდა ამით ქრისტე, რო ის სწორი კაცი ყოფილა და ამას უკან არსებობს სიტყვა მართლმსაჯელი. აუხილა თვალეზი და გასწია სახლისაკენა.

სოფ. ხრეთი

7. მემინდე და მოხერხებული ბიჭი

ძან სიძვირე ყოფილა ერთ დროს. ერთი ბათფანი სიმილი ქონია ერთ კაცს და ერთი ბიჭი ყოლია. — დაეფქვავ ამ სიმინდსაო, — შვილს უთხრობია. — შენ ვერ დაფქვავო, — მამას უთხრობია, — ამასაც წაგართმევენო. — ვერ წამართმევენო.

წასულა ბოვში წისქვილში. მემინდე ყოფილა და ი ბოვში მარტვა, საჭმელი არ ქონიაყე.

— გავაკეთოთ ერთი კვერიო, — უთქვია მემინდეს. უნდა ბოვში მოტყულდეს. საფენელი იქნეს შენი თუ სანელებელი?

— საფენელი იქნეს ჩემიო, — ი ბიჭს უთხრობია.

— კარქიო.

ოუღუღებია მემინდეს წყალი. ჩოუყრია ბევრ წყალში ერთი მუჭი ფქვილი. ყრის და ყრის ახლა საფენელათ ამ ბიჭის ფქვილს. დახარჯა ამ ბიჭის ფქვილი თითქმის. გოუკეთებია დიდი ჭადი.

რო გამოცხვა, ბიჭს უთხრა: რომელიც უფრო დიდ ტყუილს ვიტყვით, იმას ქონდეს ე ჭადიო.

დეიწყო მემინდემ: მამაჩემს ყავდა ერთი სკაო, ყოვლ დილას გარეკაო, საღამოს 3 ფუთ თავფლს ჩაასხამდაო.

— მეტი არაფელიო, — ბოლოს თქვა.

ბიჭმა დეიწყო: ბევრი პური ქვქონდა დათესილი, ევიდოდენ, ნახთენ და იყო პური ჩაფენილი. გარეული ღორი იყო თურმე შიდა და უჭამია. ბაბუამ უთხრა მამაჩემს: წადი და ნახე, რავა არი ის პურიო.

— თლათ დოუფენია ძირს რაღაცასაო.

— უნდა წევიდეთ მოსამკელათო.

წევიდენ მოსამკელათ. 100 უღელი სკა ყავდა ბაბუასაო. რო მკიდენ, დე-ინახეს, რო შიგ იწვა ღორი. მოუქნიეს ნამგალი და წააჭრეს თავიო. დადვეს სამ უღელ სკაზე და მეიტანეს . დავამარილეთ და ორ ზამთარს გვეყო.

დაიკარგა ე მემინდეი. ამან მეტი ტყუილი ილაპარაკა რამდონი!

— რომელი მეტიაო? — ბიჭმა კითხა. თუ ჩემი მეტიაო, მაშინ პატარა ბიჭს კვერი და მემინდეს — პტვერიო.

წამოავლო გამომცხვარ ჭადს და თავის ქვილს ხელი და მეიტანა სახში.

სოფ. მეორე სვირი

8. ჩენი ეკლესია

ერისთავი გადმოსახლებული ყოფილიყო გორიდან.

თურმე ქვეყანა მისი ყოფილიყო — რაჭა, ქუთეისი.

ქონდა ცხოვრებაი ჭიათურაშიც. გოუჩთა ქალიშვილი, მერე ვაჟი. შეიყვანა თფილიში სასწავლებელში. სწავლა არ ქონდა გათავებული, მარამა მისთანა არავინ არ იყო აქანა. ყვავილბატონები შეხვთა და იმან მიირთვა. ადგა მერე და თქვა: ეკლესიაი უნდა გავაკეთო დიმიტრის სახელზედაო.

მე ავაშენებეი ის. კომიტატი ვიყავი ფულის ამღების. ჩემთვინ არ გადაუხტევინებია ფული. ჯერ თავის სახლის მახლობელათ ააშენა. თქვა: მე მამიცია თქვენთვინ ე ეკლესიაიო. ღვდელიც მეიყვანა.

ერთი ქალიშვილი ყამდა, ამილახვარმა შეირთო. სიძე ძალიან ავი კაცი იყო, არც გალახვის ცხვენოდა, სუყველიფერში უნამუსო იყო. ორთაშენში ცხოვრობდა, საქართველოში. ხალხს დეგვერია და გვაყიდვია, რაც მამული ქონდა. თავის ცოლსაც გალახათ ექცეოდა, ისეთი ჯანყი იყო. ოთხი სოფელი იყო აქანასა, თვალში რო ჩავარდნოდა ერისთავსა, ხელს არ ამეისობდა. იმან ის ღღე დავაყენა, აღარც სიდედრი და სიმამრი მეიხათრა. მერე წევიდენ ისინი. სიდეთ წევიდენ, არ ვიცი.

იმდენათ ნასწავლი არ იყო ამილახვარი. ერთი დაბალი კაცი იყო, მარა სუქანი. იმა ბიჭები და გოგოები ყამდა. უნდა იყოს ახლა ცოცხალიო, მარა არ ვიცი, სად არი, მას უკან რა მოუვიდა.

მერე მოქვეცეს ის ეკლესიაი და გადმევიტანეთ ეკლესიაი აქანას. ახლა ქვე დეგვენგრა.

ეფისკოფოსმა რო ნახა ეგე, გედირია — ამისანა პლანის ეკლესია სულ არ მინახამსო. გარშემო ჟესტი ქონდა და მერე შამოაძვრეს. კარების სწორა

ეწერა მარმარილოზე, რომელ წელში ააშენეს. 60-70 წელიწადი იქნება.

იმ ერისთავს ქონდა სულ ხიმით შამორაგული 200 ქცევა ეზოი. ცხენის ჯოგი რო მევიდოდა, შერეკდა შიდა. ჩვენ ბოვმეფს რო დეინახთა ცოლი, თავის ხელით ატატავებდა. ის ერისთავი რო წვეიდა, ბევრს დაწყტა გული.

ტყე მისთანა იყო მაგ ერისთავის ხელში, რო ჩვენე შორს არ გავდიოდით. — წადით და მოჭვრით აქანასაო. ისე ნუ წაახთენთ, რო იწუხთო მერეო. ხალხმა გაჩეხა. მალა უთაურები ვიყავით. ქარი სა მევიდოდა, ამ სერებზე მისთანა ტყეები იყო. ამ ეზოში მისთანა წიფლარი მახსომს, რომ თითო სახლი გამევიდოდა. ახლა ძალიან გაველაკებულია ყველიფერი, ხი ძირი აღარ იხედება და მოსავალი არ არის, მანემდი რო მოდიოდა.

ამისანა წვიმა ჩემ ნახსოვრობაში არ ყოფილა. წვიმა იყო თავის რიგზე. ლობიო წახთა და სიმიდიც ბევრს დააკლევს. ყურძენიც წახთა. მაშინ იყო ყურძენი, ერისთავი რო აქ დეესახლა. ბაბუაჩემა ერთი ძირი ვენახი მოჭრა და მუტუნა. იმ ერთ ძირზე ნახევარი ფუთი მაინ ჩამევიდოდა. ძველშავი, საფერე, ოცხანური... ახლა აღარსა არი. შავი ყურძენი იყო. ეგე უმალ იყო. მე ერთ წელიწადს 6 საპანე მომივიდა, მარტო ოცხანური. ნამყენი აგერ ახლა დეიწყეს, ვენახს რათ უნდოდა წამალი?! უნა გეგვეჩეხა ლერწი და შევიდოდით საკრეფათ. ღვინო? ვინ დაღემდა იმდენ ღვინოს? წყალს არ ვასხემდით ჭაჭაზე.

აქანა მე ბაბუაი მყამდა. ას საპანეს ასხემდა. დიდი ჭური ქონდა, მისთანა, რომ 15 საპანე უნდა ჩასულიყო შიდ. ახლა რაღა არი, მოგვა 2-3 ჩაფი! ვენახს რათ უნდოდა მორწყვაი, ოღონდ გასხლემდი. რაღა გავთოხნიდით და ერთხელვე მოუშვებდით, ლერწი სამი საჯენი იქნებოდა. ხეებზე იყო, მარამა ისიც გადაწყვა. ალაგ-ალაგ კიდე არი თბილ ადგილებზე ტარავლები.

მე ერთი ბიძა მყამდა და გემემეცალა, ცალკე წვეიდა. მამაჩემს არ შეეძლო მუშაობაი. მე ოთხი სასიმიდე 100-კოდიანი მაინ უნდა მამსვლოდა.

— მაშინ დიდი ტაროები იყო?

— ე! ცოტას დეიმუშავებდი, ბევრი მევიდოდა. ახლა გადარეცხა ეს ადგილი წყალმა თუ ავდარმა, ქვე გაფუჭტა ჩვენთინ, აპა! ამდენი ტალახი არ იყო მაშინ. ხის ნოშო ჩამევიდოდა. რო ადგემდი ბილათ ფეხს, არ იღალებოდი. წყალი სულ იყო ზაფხულზე. მოსავალი იმა მოყამდა. ახლა თუ გაავდარდა, წამოვა რეში და გედიტანს, სულ გადალეკამს. ამ ბოლოს მაინ მიწებიც გაბერა წვიმამა და მიწიანა წვეიდა. აღარაფერი აღარ მოვა.

ეს ეკლესია რო აკურთხეს, მაშინ გაბრიელ ეფისკოფოსი იყო. ხალხს უთხრა, რომეო, — აპა, შვილებო, ქართულ რჯულზე დადექითო! შამევიდა ამ სიმაღლე კაცი, რო უქადაგა ხალხს, გულის კარი გეხსნა.

ჩვენე თავარანგელოზობა ვიცოდით, შამოდგომაზეა. სტუმარი იმდენი მევიდოდა, რო ვერ დეითვლიდი. ილხინებდა და წვეილოდა. ღორს, ცხვარს, ძროხას დაგკლემდით, ვისაც შეეძლო. თვრებოდენ და იყვენ არეული. ცეცხლი ბევრი იყო. ხის ნაპობები აყუდებული იყო ბუხარშიდა და გაქონდა გუგუნი. საჯალაბო სახლი რო იყო, იმა ერდო ქონდა აშენებული. ძირს ლორწამი გამართული იყო. ლორწამი ის იყო, რო სახლი რო აშენებულია, ამაზე იყო სახლი აშენებული და იქ ფიცარი იყო შეკრული მალდა, კვამლი რო შეეკრა.

ბუხრის თავის სისხო იყო, როგორც სახლის საძირკველი, ისე გასკვნილი იყო. ჩელტზე დავყრიდით და შევდგემდით მაღლა, რაც გვინდოდა. სამი-ოთხი ღორი მაინც უნდა დეეკლა უძალო გლესს. ღორი ერდოში ეკიდა და იყო კვამლში გამურული. ახლა უფრო კაათ ეწყობა კაცი, იცვამს, იხურამს.

სოფ. წყალშავი

9. ლექსები

* * *

ვანოს რო ერთი ვაჟი ყამს, სახელათ ქვია შაშაო,
ის დააფასა თავრობამ, საჯდომათ მიცა ლაფშაო,
გონია გელმა შეჭამა, წუხელი გარეთ დარჩაო.
ღამე სულ მუდამ გარეთ ყამს, ამ ბორითის ჭალაზედა,
ცხენი ძალიან შეწუხთა, ძიელ ძუნწოფს ჭამაზედა.

* * *

თავჯდომარ-მონაგარიშემ ერთმანეთს მიცეს პირიო,
სიმიდის წიკვით მოუკლამთ ჩვენი ილიას ვირიო.
ღღე და ღამე სულ წიკემდენ, ღამით არ ქონდათ ძილიო.

* * *

დავბერდი, აღარ ვარგივარ, ველარ ვმუშაოფ ყანაში,
ორი კაცი ვერ მაჯობებს, თუ ვჯღივარ ძიელ ჭამაში.

* * *

შენ გენაცვალე, გუთანო,
მაგ შენი ბრუნდი ყელისა,
მინდვრები ბევრი მოგიხნამს,
მოყვანა იცი პურისა!

სოფ. ბორითი

* * *

კოლექტივის თავჯდომარეს ქვე შეეშალა ხელია,
ველარ ეილო ყანები, სიმიდი ყველგან ხმელია.

* * *

ზოგიერთი აგრონოი რისი მისადარია,
ხეხილს აჩეხს, მუხას დარგამს,
ამბობს: ქარსაფარია.
მშრომელია უცნაური, საქმეს არ დეიზარეფს,
ასი ძირი რო დაგიმენოს, ერთი არ გეიხარეფს.

რუსუდან ლანდია

რაჭული კილო (გლოლოური)

ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები

ს ა ხ ე ლ ი ს ბ რ უ ნ ე ბ ა

თანმშობანფუძიანი სახელები უკუმშველი		
სახ.	ლოგინი	ლოგინები / ლოგინეები
მოთხ.	ლოგინმა	ლოგინებმა / ლოგინეებმა
მიც.	ლოგინ(ს)	ლოგინებს / ლოგინეებს
ნათ.	ლოგინის(ა)	ლოგინების / ლოგინეების
მოქმ.	ლოგინით	ლოგინებით / ლოგინეებით
ვით.	ლოგინად(თ)	ლოგინებად(თ) / ლოგინეებად(თ)
წოდ.	ლოგინო	ლოგინებო / ლოგინეებო
კუმშვალი		
სახ.	ყავარი	ყავრები
მოთხ.	ყავარმა	ყავრებმა
მიც.	ყავარ(ს)	ყავრებ(ს)
ნათ.	ყავრის(ა)	ყავრების
მოქმ.	ყავრით	ყავრებით
ვით.	ყავრად(თ)	ყავრებად(თ)
წოდ.	ყავარო	ყავრებო
სახ.	ფიცარი	ფიცრები // ფიცარეები
მოთხ.	ფიცარმა	ფიცრებმა // ფიცარეებმა
მიც.	ფიცარს	ფიცრებს // ფიცარეებს
ნათ.	ფიცრის	ფიცრების // ფიცარეების
მოქმ.	ფიცრით	ფიცრებით // ფიცარეებით
ვით.	ფიცრად(თ)	ფიცრებად(თ) // ფიცარეებად(თ)
წოდ.	ფიცარო	ფიცრებო // ფიცარეებო
სახ.	ბეჟანი ბეჟან	
მოთხ.	ბეჟანმა ბეჟან	

მიც.	ბეჟანს ბეჟან	
ნათ.	ბეჟანის	
მოკმ.	ბეჟანით	
ვით.	ბეჟანად(თ)	
წოდ.	ბეჟანო	
სმოვანფუძიანი სახელები		
სახ.	ქალაი	ქალაები/ქალაებნი
მოთხ.	ქალამ(ა)	ქალაებმა
მიც.	ქალას	ქალაებს
ნათ.	ქალაის	ქალაების
მოკმ.	ქალაით	ქალაებით
ვით.	ქალად/თ	ქალაებად/თ
წოდ.	ქალავ	ქალაებო
სახ.	დედაი	დედაები/დედეები
მოთხ.	დედამ(ა)	დედაებმა/დედეებმა
მიც.	დედას	დედაებს/დედეებს
ნათ.	დედაის/დედის	დედაების/დედეების
მოკმ.	დედაით/დედით	დედაებით/დედეებით
ვით.	დედად/თ	დედაებად/დედეებად(თ)
წოდ.	დედავ/ო	დედაებო/დედეებო
სახ.	კლდეი	კლდეები
მოთხ.	კლდემ(ა)	კლდეებმა
მიც.	კლდეს	კლდეებს
ნათ.	კლდეის	კლდეების
მოკმ.	კლდით	კლდეებით
ვით.	კლდედ(თ)	კლდეებად/თ
წოდ.	კლდევ/კლდეო	კლდეებო
სახ.	ღუროი	ღუროები
მოთხ.	ღურომ	ღუროებმა
მიც.	ღუროს	ღუროებს
ნათ.	ღუროის	ღუროების
მოკმ.	ღუროით	ღუროებით

ვით.	დუროდ/თ	დუროებად/თ
წოდ.	დუროვ	დუროებო
სახ.	ხბოა	ხბოები/ხბორები
მოთხ.	ხბომ	ხბოებმა/ხბორებმა
მიც.	ხბოს	ხბოებს/ხბორებს
ნათ.	ხბოდას	ხბოების/ხბორების
მოქმ.	ხბოათ	ხბოებით/ხბორებით
ვით.	ხბოდ/თ	ხბოებად(თ)/ხბორებად(თ)
წოდ.	ხბოო	ხბოებო/ხბორებო
მსაზღვრელ-საზღვრული		
სახ.	ღრმა ჩოგანი	დიდი სახლი
მოთხ.	ღრმა ჩოგანმა	დიდმა სახლმა
მიც.	ღრმა ჩოგანს	დიდ სახლს
ნათ.	ღრმა ჩოგანის	დიდი სახლის
მოქმ.	ღრმა ჩოგანით	დიდი სახლით
ვით.	ღრმა ჩოგანად(თ)	დიდ სახლად(თ)
წოდ.	ღრმა ჩოგანო	დიდო სახლო
სახ.	ბიჭი(ს) მამა	
მოთხ.	ბიჭი(ს) მამა(ა)	
მიც.	ბიჭი(ს) მამას(ა)	
ნათ.	ბიჭი(ს) მამის	
მოქმ.	ბიჭი(ს) მამით	
ვით.	ბიჭი(ს) მამად(თ)	
წოდ.	ბიჭი(ს) მამავ	

ზ მ ნ ი ს უ ლ ლ ე ბ ა
მოქმედებითი გვარი

I სერია		
აწ.- მე.	(ა)ვაშენებ (ა)აშენებ (ა)აშენებს	(ა)ვაშენებთ (ა)აშენებთ (ა)აშენებენ
უწ.- ნოლ.	(ა)ვაშენებდი (ა)აშენებდი (ა)აშენებდა	(ა)ვაშენებდით (ა)აშენებდით (ა)აშენებდნენ/(ა)აშენებდეს
I კავ.	(ა)ვაშენებლე (ა)აშენებლე (ა)აშენებლეს	(ა)ვაშენებლეთ (ა)აშენებლეთ (ა)აშენებლენ
II სერია		
წე.	ავაშენე ააშენე ააშენა	ავაშენეთ ააშენეთ ააშენეს
II კავ.	ავაშენო ააშენო ააშენოს(ნ)	ავაშენოთ ააშენოთ ააშენონ
III სერია		
I თურ.	ამიშენებია აგიშენებია აუშენებია	ავგიშენებია ავგიშენებიათ აუშენებიათ
II თურ.	ამეშენებია აგეშენებია აეშენებია//აეშენებიოს	ავგეშენებია ავგეშენებიათ აეშენებიათ
III კავ.	ამეშენებიოს აგეშენებიოს აეშენებიოს(ნ)	ავგეშენებიოს ავგეშენებიოთ აეშენებიოთ
IV სერია		
III თურ.	— ნაშენებხარ ნაშენება	— ნაშენებხართ ნაშენებან
IV თურ.	— ნაშენებიყო ნაშენებიყო	— ნაშენებიყოთ ნაშენებიყონ

IV კავ.	— — ნაშენებიყოს(ნ)	— — ნაშენებიყონ
I სერია		
აწ.- მე.	(მო)ვ(ს)ჭრი (მო)სჭრი (მო)სჭრის	(მო)ვ(ს)ჭრით (მო)სჭრით (მო)სჭრიან
უწ.- ნოლ.	(მო)ვ(ს)ჭრილი (მო)სჭრილი (მო)სჭრიდა	(მო)ვ(ს)ჭრილით (მო)სჭრილით (მო)სჭრიდენ
I კავ.	(მო)ვ(ს)ჭრიდე (მო)სჭრიდე (მო)სჭრიდეს	(მო)ვ(ს)ჭრიდეთ (მო)სჭრიდეთ (მო)სჭრიდენ
II სერია		
წე.	მოვჭერი მოსჭერი მოსჭრა	მოვჭერით მოსჭერით მოსჭრეს
II კავ.	მოვ(ს)ჭრა მოსჭრა მოსჭრეს	მოვ(ს)ჭრათ მოსჭრათ მოსჭრან
III სერია		
I თურ.	მომიჭრია მოგიჭრია მოუჭრია	მოგვიჭრია მოგიჭრიათ მოუჭრიათ
II თურ.	მომეჭრა მოგეჭრა მოეჭრა	მოგვეჭრა მოგეჭრათ მოეჭრათ
III კავ.	მომეჭრას მოგეჭრას მოეჭრას	მოგვეჭრას მოგეჭრას მოეჭრათ
IV სერია		
III თურ.	— ნაჭრელხარ ნაჭრელა	— ნაჭრელხართ ნაჭრელან
IV თურ.	— ნაჭრელიყო ნაჭრელიყო	— ნაჭრელიყოთ ნაჭრელიყონ

IV	—	—
კავ.	—	—
	ნაჭრელიყოს(ნ)	ნაჭრელიყონ

გლოლურში II თურმეობითის ნაცვლად ხშირად III კავშირებითი გამოიყენება

I სერია		
აწ.- მე.	(მო)გკლავ (მო)კლავ (მო)კლავს	(მო)გკლავთ (მო)კლავთ (მო)კლავენ კვლენ
უნ.- ნოლ.	(მო)გკლავდი (მო)კლავდი (მო)კლავდა	(მო)გკლავდით (მო)კლავდით (მო)კლავდეს
I კავ.	(მო)გკლავდე (მო)კლავდე (მო)კლავდეს	(მო)გკლავდეთ (მო)კლავდეთ (მო)კლავდეს
II სერია		
წვ.	მოგკალი მოკალი მოკლა	მოგკალით მოკალით მოკლეს
II კავ.	მოგკლა მოკლა მოკლას(ნ)	მოგკლათ მოკლათ მოკლან
III სერია		
I თურ.	მომიკლავს მოგიკლავს მოუკლავს	მოგვიკლავს მოგიკლავთ მოუკლავთ
II თურ.	მომეკლა მოგეკლა მოეკლა	მოგვეკლა მოგეკლათ მოეკლათ
III კავ.	მომეკლას მოგეკლას მოეკლას(ნ)	მოგვეკლას მოგეკლათ მოეკლათ
IV სერია		
III თურ.	— ნაკლავხარ ნაკლავა	— ნაკლავხართ ნაკლავან

IV თურ.	— ნაკლავიყო ნაკლავიყო	— ნაკლავიყოთ ნაკლავიყონ
IV კავ.	— — ნაკლავიყოს	— — ნაკლავიყონ
I სერია		
აწ.- მე.	(მო)ვხარშავ (მო)ვხარშამ (მო)ხარშავ (მო)ხარშამ (მო)ხარშავს (მო)ხარშამს	(მო)ვხარშავთ (მო)ვხარშამთ (მო)ხარშავთ (მო)ხარშამთ (მო)ხარშავენ (მო)ხარშამენ (მო)ხარშვენ
უწ.- ხლ.	(მო)ვხარშავდი (მო)ვხარშამდი ევი (მო)ვხარშამდი (მო)ხარშავდი (მო)ხარშავდი (მო)ხარშამდი (მო)ხარშავდი (მო)ხარშავდი (მო)ხარშამდი (მო)ხარშავდა (მო)ხარშევდა (მო)ხარშამდა (მო)ხარშვიდა	(მო)ვხარშავდით (მო)ვხარშავდით (მო)ვხარშამდით (მო)ხარშავდით (მო)ხარშავდით (მო)ხარშამდით (მო)ხარშავდეს (მო)ხარშვიდეს (მო)ხარშამდეს (მო)ხარშვედეს
I კავ.	(მო)ვხარშავდე (მო)ვხარშამდე (მო)ხარშავდე (მო)ხარშამდე (მო)ხარშავდე (მო)ხარშამდე (მო)ხარშავდეს (მო)ხარშამდეს (მო)ხარშამდეს (მო)ხარშვიდეს	(მო)ვხარშავდეთ (მო)ვხარშავდეთ (მო)ვხარშამდეთ (მო)ხარშავდეთ (მო)ხარშავდეთ (მო)ხარშამდეთ (მო)ხარშავდეს ხარშვედეს ხარშამდეს ხარშვიდეს
II სერია		
წე.	მოვხარშე მოხარშე მოხარშა	მოვხარშეთ მოხარშეთ მოხარშეს
II კავ.	მოვხარშო მოხარშო მოხარშოს	მოვხარშოთ მოხარშოთ მოხარშონ
III სერია		
I თურ.	მომიხარშავს მოგიხარშავს მოუხარშავს	მოგიხარშავს მოგიხარშავთ მოუხარშავთ
II თურ.	მომეხარშა მოგიხარშა მოეხარშა	მოგივეხარშა მოგივეხარშათ მოეხარშათ

III კავ.	მომეხარშოს მოგეხარშოს მოეხარშოს მოეხარშონ	მოგვეხარშოს მოგეხარშოთ მოეხარშოთ
IV სერია		
III თურ.	— ნახარშაეხარ ნახარშავა	— ნახარშაეხართ ნახარშავან
IV თურ.	— ნახარშაეციო ნახარშაეციო	— ნახარშაეციოთ ნახარშაეციონ
IV კავ.	— — ნახარშაეციოს(ნ)	— — ნახარშაეციონ
I სერია		
აწ.- შე.	(გა)ვრეცხავ (გა)ვრეცხ (გა)რეცხავ (გა)რეცხ (გა)რეცხავს (გა)რეცხს	(გა)ვრეცხავთ (გა)ვრეცხთ (გა)რეცხავთ (გა)რეცხთ (გა)რეცხავენ (გა)რეცხენ
უწ.- ნოლ.	(გა)ვრეცხავდი (გა)ვრეცხევი (გა)ვრეცხდი (გა)რეცხავდი (გა)რეცხევი (გა)რეცხდი (გა)რეცხავდა (გა)რეცხევა (გა)რეცხდა	(გა)ვრეცხავდით (გა)ვრეცხევით (გა)ვრეცხდით (გა)რეცხავდით (გა)რეცხევით (გა)რეცხდით (გა)რეცხავდეს (გა)რეცხევდეს (გა)რეცხდეს
I კავ.	(გა)ვრეცხავდი (გა)ვრეცხევი (გა)ვრეცხდე (გა)რეცხავდი (გა)რეცხევი (გა)რეცხდე (გა)რეცხავდეს (გა)რეცხევდეს (გა)რეცხდეს	(გა)ვრეცხავდეთ (გა)ვრეცხევდეთ (გა)ვრეცხდეთ (გა)რეცხავდეთ (გა)რეცხევდეთ (გა)რეცხდეთ (გა)რეცხავდენ (გა)რეცხევდენ (გა)რეცხდენ
II სერია		
წე.	გავრეცხე გარეცხე გარეცხა	გავრეცხეთ გარეცხეთ გარეცხეს
II კავ.	გავრეცხო გარეცხო გარეცხოს გარეცხონ	გავრეცხოთ გარეცხოთ გარეცხონ

III სერია		
I თურ.	გამირეცხავს გამირეცხია გაგირეცხავს გაგირეცხია გაურეცხავს გაურეცხია	გაგვირეცხავს გაგვირეცხია გაგირეცხავთ გაგირეცხით გაურეცხავთ გაურეცხით
II თურ.	გამერეცხა გაგერეცხა გაერეცხა	გაგვერეცხა გაგერეცხათ გაერეცხათ
III კავ.	გამერეცხოს გაგერეცხოს გაერეცხოს გაერეცხონ	გაგვერეცხოს გაგერეცხოთ გაერეცხოთ
IV სერია		
III თურ.	— ნარეცხავხარ ნარეცხავა	— ნარეცხავხართ ნარეცხავან
IV თურ.	— ნარეცხავიყო ნარეცხავიყო	— ნარეცხავიყოთ ნარეცხავიყონ
IV კავ.	— — ნარეცხავიყოს	— — ნარეცხავიყონ

ამ ტიპის ზმნებში ჩვეულებრივია -ავ||-ევ||-ამ||-ემ

I სერია		
აწ.- მე.	(და)ვიმალები (და)ვიმალვი (და)იმალები (და)იმალვი (და)იმალება (და)იმალვის (პოეზ. იმალების)	(და)ვიმალებით (და)ვიმალვით (და)იმალებით (და)იმალვით (და)იმალებიან (და)იმალვიან
უწ.- ხოდ.	(და)ვიმალებოდი (და)ვიმალოდი (და)იმალებოდი (და)იმალოდი (და)იმალებოდა (და)იმალოდა	(და)ვიმალებოდით (და)ვიმალოდით (და)იმალებოდით (და)იმალოდით (და)იმალებოდენ (და)იმალოდენ
I კავ.	(და)ვიმალებოდე (და)ვიმალოდე (და)იმალებოდე (და)იმალოდე (და)იმალებოდეს (და)იმალოდეს	(და)ვიმალებოდეთ (და)ვიმალოდეთ (და)იმალებოდეთ (და)იმალოდეთ (და)იმალებოდენ (და)იმალოდენ
II სერია		
წე.	დავიმალე დაიმალე დაიმალა	დავიმალეთ დავიმალენით დაიმალეთ დაიმალენით დაიმალენ დაიმალნენ

II კავ.	დავიმლო დაიმილო დაიმილოს დაიმილონ	დავიმლოთ დაიმილოთ დაიმილონ
III სერია		
I თურ.	დავმალულვარ დამალულხარ დამალულა	დავმალულვართ დამალულხართ დამალულან
II თურ.	დავმალულიყავი დამალულიყავი დამალულიყო დამალულიყოს	დავმალულიყავით დამალულიყავით დამალულიყვენ
III კავ.	დავმალულიყო დამალულიყო დამალულიყოს(ნ)	დავმალულიყოთ დამალულიყოთ დამალულიყონ
IV სერია		
III თურ.	— ნამალავხარ ნამალავა	— ნამალავხართ ნამალავან
IV თურ.	— ნამალავიყო ნამალავიყო	— ნამალავიყოთ ნამალავიყონ
IV კავ.	— — ნამალავიყოს	— — ნამალავიყონ
I სერია		
აწ.	ვარ ხარ არის	ვართ ხართ არიან
უწ.		
აწ.კავ.		
მე.	ვიქნები იქნები იქნება იქნების	ვიქნებით იქნებით იქნებიან
ნოლ.	ვიქნებოდი იქნებოდი იქნებოდა	ვიქნებოდით იქნებოდით იქნებოდენ

მე. კავ.	ვიქნებოდე იქნებოდე იქნებოდეს	ვიქნებოდეთ იქნებოდეთ იქნებოდეს
II სერია		
წე.	ვიყავი იყავი იყო	ვიყავით იყავით იყვნენ იყვენ იქნენ
II კავ.	ვიყო ვიყვე იყო იყვე იყოს იყონ	ვიყვენით იყვენით იყონ
III სერია		
I თურ.	ვყოფილვარ ყოფილხარ ყოფილა	ვყოფილვართ ყოფილხართ ყოფილან
II თურ.	ვყოფილიყავი ყოფილიყავი ყოფილიყო	ვყოფილიყავით ყოფილიყავით ყოფილიყონ
III კავ.	ვყოფილიყო ყოფილიყო ყოფილიყოს ყოფილიყონ	ვყოფილიყოთ ყოფილიყოთ ყოფილიყვნეს
I სერია		
აწ.- მე.	(და)ვემალეხი (და)ემალეხი (და)ემალეხა (და)ემალეხის	(და)ვემალეხით (და)ემალეხით (და)ემალეხიან
უწ.- ნოლ.	(და)ვემალეხობდი (და)ემალეხობდი (და)ემალეხობდა	(და)ვემალეხობდით (და)ემალეხობდით (და)ემალეხობდენ
I კავ.	(და)ვემალეხობდე (და)ემალეხობდე (და)ემალეხობდეს(ნ)	(და)ვემალეხობდეთ (და)ემალეხობდეთ (და)ემალეხობდენ
II სერია		
წე.	დავემალე დაემალე დაემალა	დავემალეთ დავემალენით დაემალეთ დაემალენით დაემალეს დაემალნეს
II კავ.	დავემალო დაემალო დაემალოს(IIნ)	დავემალოთ დაემალოთ დაემალონ

III სერია		
I თურ.	დავმალივარ დამალიხარ დამალვია	დავმალივართ დამალიხართ დამალვიან
II თურ.	დავმალოდი დამალოდი დამალოდა	დავმალოდით დამალოდით დამალოდენ
III კავ.	დავმალოდე დამალოდე დამალოდეს	დავმალოდეთ დამალოდეთ დამალოდენ
I სერია		
აწ.	მივდივარ მიდიხარ მიდის	მივდივართ მიდიხართ მიდიან
უწ.	მივდიოდი მიდიხოდი მიდიოდა	მივდიოდით მიდიხოდით მიდიოდნენ მიდიოდენ
აწ. კავ.	მივდიოდე მიდი(ხ)ოდე მიდიოდეს	მივდიოდეთ მიდი(ხ)ოდეთ მიდიოდეს
მე.	მივალ მიხვალ მივა	მივალთ მიხვალთ მივლენ
ხლ.	მივიდოდი მიხვიდოდი მივიდოდეს(ხ)	მივიდოდით მიხვიდოდით მივიდოდ(ხ)ენ
მე. კავ.	მივიდოდე მიხვიდოდე მივიდოდეს	მივიდოდეთ მიხვიდოდეთ მივიდოდ(ხ)ენ
II სერია		
წე.	მივედი მიხვედი მივიდა	მივედით მიხვედით მივიდ(ხ)ენ
II კავ.	მივიდე მიხვიდე მივიდეს(ხ)	მივიდეთ მიხვიდეთ მივიდე(ხ)ენ

III სერია		
I თურ.	მივსულვარ მისულხარ მისულა	მივსულვართ მისულხართ მისულან
II თურ.	მივსულიყავი მისულიყავი მისულიყო მისულიყოს	მივსულიყავით მისულიყავით მისულიყვენ
III კავ.	მივსულიყო მისულიყო მისულიყოს (მისულიყონ)	მივსულიყოთ მისულიყოთ მისულიყვენს
IV სერია		
III თურ.	— მინავალხარ მინავალა	— მინავალხართ მინავალან
IV თურ.	— მინავალიყო მინავალიყო	— მინავალიყოთ მინავალიყონ
IV კავ.	— — მინავალიყოს	— — მინავალიყონ

ძირითადი ლიტერატურა

ასლამაზოვი ლ., მრავლობითობის -თ და -ყე სუფიქსების სინტაქსური ფუნქციებისათვის ზემო და მთარაჭულში; თსუ სტუდ. XXII სამეცნ. კონფერენცია, (თსუ 11516. IV, 1960) თბ., თეზ., 1960.

გამყრელიძე ლ., ამბროლაურის რაიონის სოფელ წესის მცხოვრებთა მეტყველება; საქ. სსრ პედ. ინსტიტუტების სტუდ. VI სამეცნ. კონფერენცია; თეზ.; თელავი, 1954.

თოფურია ვ., მთარაჭულის დახასიათებისათვის; „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“ II., თბ. 1961;

კობახიძე ალ., კინობითის წარმოება რაჭულში: იკე, ტ. XIII, თბილისი; 1962.

ლანდია რ., ზოგი მორფონოლოგიური პროცესისათვის მთარაჭულში ქართულთან მიმართებით; ენათმ. ინსტ.-ის ასპ. ასპ. და ახალგ. მეც. მუშ. სამეც. კონფ.; თეზ.; 1988.

ლანდია რ., სახელთა მორფონოლოგიური ცვლილებისათვის მთა-რაჭულში (ბრუნვათა ფორმები); VII რესპ. დიალექტოლ. სამეცნ. სესია (ცხინვალი, 23-25 X. 1985), თეზ.; თბ., 1985.

- ძიძიგური შ.**, კონიუნქტივის კატეგორია რაჭულში უძველესი ქართული მესამე პირის სუბ. სუფიქსის პრობლემასთან დაკავშირებით (რუს., ფრანგ. რეზ.); ენიმკის მოამბე, ტ. V-VI, თბ., 1940.
- ძიძიგური შ.**, რაჭული დიალექტი. II. ზემორაჭული; ძიბანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954.
- ძიძიგური შ.**, ქართული ენის მთარაჭული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი (რუს., ფრანგ. რეზ.); ენიმკის მოამბე, II, ტფ.; 1937.
- ჯანყარაშვილი ლ.**, რაჭული კილოს გლოლური მეტყველება; თსუ სტუდენტთა XXII სამეცნიერო კონფერენცია, თეზ.; თბ., 1960.
- ჯორბენაძე ბ.**, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

მეტყველების ნიმუშები

მ თ ა რ ა ჯ უ ლ ი

1. ღებელთა საუბრიდან

- რარ? არისგ? აქგ? გინახავს აი იქგ? არაფერია ზევიტგ? ეს არ იცი შენგ? დიდი სოფელი არა ვართგ? გადაწერილი არა გვაქგ?... გიწერიანა?
- რავა არა. მარლა (= მართლა). კდე. მღდელი.
- ხაჭვა. დაიდაშვილი. აზნური.
- ბოტანი, მებოტნე. ტუმარი. დატურა.
- აწავლეყე ბადვებს (= ბავშვებს). მაწავლა. მოდეგდაყე.
- დედლა (= ბიცოლა) არი. გვაქგ. გაქ.
- ხი ტაბიკები. ქმრი ბიძები. ხათრი გულითვინ. იმითანა. ამითანა ქოხები. დედ-მამი სული. გოგია ცოლი.
- ხარ გაასუქებდა. იმათანა ყოფილიყო.
- ამითანეები. სკამუკეები. ლოგინეები. გეხარაყე. დეეხოცნენ. გეწყვიტა.
- შეშა რო დაიწვის, ლაღარს ვეძახით. იტანჯვიან. გვეკითხვიან.
- ხნეგდა. ხედევი. იკითხვედენ... იცვემდა. ურტყემდა... ვხნემდი, ვთესემდი... კვებდა.
- ონში უნდა წავსულიყო, რომ საქმე გამეკეთებოდა.
- ჩემი და პატარუკა ამხელუკა იყო. ცხვარუკა გვინდაო, ძროხუკა არა მყავს. წყალუკა უნდა მოვიტანო. ბოშუკა. თოფუკეები. თასუკეები, ჯამუკეები. შეშუკეები მოვიტანე.
- კაცუნა. ქედუნა. ერთუნა, ცოტუნით.
- ბიჭუნია. ყველაკა.
- მოდი-თქვა, მე არ ვტყუი, ის ტყუა-თქვა.
- ქვე გვეშინოდა. ქვე შეგიწუხებიანაო... [ახალგაზრდები ხმარობენ ქენაწილაკს].
- ბიჭი დეედევნებთ მათ, იმან ამღერათ. იმათ ედგათ // იმათ ედგაყე. რა უნდაყე ამათ? ახალგაზრდებს გეხარაყე, იმათ ყავდენყე. სახლები აყვე. აყვე

სადგური. აყვენ. რო დავინახავყე კაცებს. წაიყვანდენყე ღორებს, მერე მიატო-
ვებდენყე და მგლები ჭამდენყე.

გეუნებოყე, შე კაცო, გაიყვანესყე. შვილი აჯობებსყე...

— თხები დაუჭამიან მგლებსაო. ორი ბიჭუნეკები მყავან. შვიდი შვილი
ქვე ყავან. გეოლოგები ყავან. ამხანაგები მყავდენ.

დიდ ღებში სახლობენ გვარები: ლობჯანიძე, გავაშელი // გავაშელიშვი-
ლი, გობეჯიშვილი, პატარა ღებში — გოგრიჭიანი.

[გვარები იყოფა მამა-პაპისგან წარმომდგარ ოჯახებად].

ლობჯანიძე: ხოშიტიანი, ნანუკიანი, ჯავახიანი, პაპულიკიანი; ალუკენი,
ზვიადენი, თანდილენი, ლაშხენი, სვანეები... ბელოენი, ჯაჯონი, გოგნიენი.

გობეჯიშვილი: გაბრიტიანი, კამბეჩიანი... გოგენი, დეტუენი, ერმილუე-
ნი, ზვიადუკენი და სხვ.

გოგრიჭიანი: მამუჩიანი; გოჩიენი, ლეჩხუმელენი, ჩხუტენი, საგიენი.

ეძახიან: პავლე აბრამეთი, ბიჭია კაცულეთი, ისმაილ ხოშიტიანთი, ნენა
შალიკიანთი, მაგრამ: აბრამე პავლე, კაცულე ბიჭია...

ან კიდევ: პეტრე სვანენთი, შალვა ლაშხენთი, გიორგი გოტონთი, მა-
გრამ: სვანენ პეტრე, ლაშხენ შალვა და სხვ.

2. გლოლელთა საუბრიდან

— მოდის ვაჟად, გიორგიე¹⁷ ვაჟად. ქალადც ამაზე იყო. დანუკად ეჭი-
რაო, ხმალუკად აქო.

— დილ¹⁸ადთ წავიდა, სალამოდთ მოვიდა.

— ვაჟადს შეუტყობინებია.

— ცივი აერია.

— ლაპარაკი იცის. ლაპარაკობენ.

— მოხვე მშვიდობით.

— მივე სახში. ამაზღამ წაე. მე წავე.

— მისთანე კაცები იყვნეს.

— მე მოვდიოდი, შენ მიდიხოდი.

— აკავანი — აკავნები, აპუარი — აპოვრები.

— უღელს აქვ კოტაები. მე მყავან ბიძაები. ჩიტაები სად არიანო? დანუ-
კაები ეყარა.

— გლოლაში ცხოვრობენ: ბელაენი (= ბელაშვილები), ბეთხოენი
(= ბეთხოშვილები), ბერიენი (= ბერიშვილები), ბიძიენი (= ბიძიშვილები), ბუბ-
აენი (= ბუბაშვილები), გეჩენი (= ბაკურაძეები), გოჩიენი (= ბალაშვილები),
ჯახოენი (= სულთანისშვილები), ბერიკენი, სვანაენი და კვესანენი (= ბიჭაშ-
ვილები), ბედანაენი, გიორგიენი და თედიენი (= გიორგაშვილები)...

მოდინ სვანაენი და თედიენი. წავიდეს გიორგიეთ ვაჟები, გრიგო-
ლეთ (// გრიგოლეთ) ქალები და სვანაე ბოშები. სულტანეთ (= სულთ/ტანიშვი-
ლების) ოჯახში იყო. ბუბაეთი კიდობანი წამოვიდა.

— ესე დაგეწერონ. სადღეგძელოს გაუმარჯონ, რამდენ ხანსაც სადღეგძელო არ გვეთქვან, იმდენ ხანს თქვენი თავი უცოცხლონ, გახარებული იყოს თქვენი ჯალაბი.

— სისხლი სდინდაო. ჰყოლოდა, ჰქონოდა.

— გადიარა. გაღუარა თავზე.

— გამოუშვამთო. გიცნოფო, გათხოფო.

— ამთენი ქალები წავიდოდეს და გასწმენდდეს. ზოგ-ზოგი ერეოდეს. კაი მუშანი იყვნეს, წერა-კითხვა არ იცოდეს.

— ქალები წამოვიდეს, თითო შვილები დაიჭირნეს, გაიქცეს და მას უკანა გადმოიხვეწნეს. ამას იტყოდეს და ზიდევდეს.

— ქალები დაგვტაცნეს, ზოგნი დაზოცნეს და ზოგნი ჩამოასხნა. ქალები დასტოვნეს. ხარები მოგვარნო. ისინი რო მენახნენ. თუ არიან, ჩვენ მოგვაკრენით.

— იქანა ნაცხოვრება. თორმეტი მანათი ნალირალა.

— მე უთხარ: შიო-თქვა, ძროხას პირი სტკივა-თქვა. მე უთხარ: სათიბი არა აქვ-თქვა, ბელელში პურია-თქვა. სახლები ავაგეთ ჩვენ-თქვა.

— ქვე რა იყო? ქვე ვიცი. ეგეო ქვე გადარჩებაო. ქვე დამთავრდა. ქვე დასწერე?

— შიუკა მოვიდა. სერგუნიკა იქანა იყო. ვალიკუნამ მოგიტანსო. კვერცხუკამ. ჩოინუკა მათხოვეო. კეტუნა.

— დია კარქნი იყვნეს. დია პური აქვ. ვაშლს დია ასხია (დია = ბევრი).

— სოფელში იყო სანახშო [= სამასლაასო, საბაასო ადგილი]. ლაპარაკი და ნახშობა ერთია. რას მენახშები — რას მელაპარაკები.

— მეც ამის თხრობა (= თქმა) მინდოდაო.

— სანამ წერი არ აყუდდებოდა ყანაში, მანამდინ ნივრის ამოღება არ შეიძლებოდა.

— უმალ დროში, როცა ცოტა ექნებოდა ან ხორბალი, ან ფქვილი, იტყოდეს: დია (= ბევრათა) გვაქო.

* * *

— უმალ დროში ცოლი ქმარს და ქმარი ცოლს სახელს არ დაუძახებდა, ეტყოდა: ე, მოიხედე აქეთო. თუ არ გაუგონებდა და არ მოხედავდა: შენ, მშვენიერო, მოიხედე, არ გეყურება? სახელს კიდე არ დაუნაცვლებდა. თუ შვილი დაუზვდებოდა შინა მამასა, ეტყოდა: დედაშენი სად არისო? თუ დაუზვდებოდა დედასა, მამინ: მამაშენი სად არისო? თუ სხვა ოჯახის წევრები დაუზვდებოდნენ, ეტყოდა: ი ერთიო სად არიო? (ცოლიც ეგრე ეტყოდა და ქმარცა).

3. ჯამათა

სვანი იყო ერთი კაცი, ჯამათა ერქვა.

„ჯამათა ავი კაციო მაგრა მტერობდა ღებსაო,

კარკარ დაუარაყე უშკულელ-ხიდემლებსაო,

— გორი ბოლოსა წავიდეთაო, ჩოხებს ვიშოვნით ბევრსაო“.

გადმოვიდოდნენ მთიდან კაცები და ექნებოდაყე იმათ ჩოხა-ნაბადი, გამოვარდებოდა ტყიდან ჯამათა თავისი ამხანაგებით, ტაცებდაყე ხელს და წაართვემდაყე, რაცა ქონდაყე ზურგზე მოკიდებული გასაყიდელი ჩოხა-ნაბადი. წამოვიდოდნენ ეს საწყალი ხალხი ცარიელა-ტარიელა, მოვიდოდნენ სოფელში: — რა ქენით და რა ამბავიაო? — ეტყოდესყე თავის ოჯახში მყოფელები.

— ჯამათა დაგვხვდაო გზაშიო, წაგვართვა ჩოხა-ნაბადი და გამოგვიშვა ცარიელაო.

ახლა სოფელმა კრება ქნა, დაკრეს ზარი და ხალხმა მოიყარა თავი, შეეკითხეს ერთმანეთს: — რა ამბავიაო?

— რა ამბავიაო და ჯამათა დაგვხვდა გორი ბოლოსაო, რაცა გვქონდა, სულ წაგვართვაო და დავრჩით ცარიელეები. შეგვექნა ფიქრი, ჩიმჩამი, რავა მოვიქცეთაო, სოფელო, ახლა რა ჯობიაო?

შეკრიფეს კარგი მაგარი ბიჭები, უმფროს-უმფროსი კაცები მეძირეთ დარჩნენ. მივიდნენ გორი ბოლოს. გელ-გელი¹ ბიჭები მეწვერეთ გაგზავნეს, უმფროს-უმფროსი კაცები ძირს გაჩერდნენ. ერთი გავაშელი იყო ღონიერი, დევლეთა თამაზიკიანთი. იმან უთხრაყე:

„თუ ჯამათა დავინახეო, —
ვერცხლის თოფს ისვამს ხელსაო, —
მე მოუსისხლავ გვერდსაო“.

გურგვლათ შემოერტყა ჯარი ჯამათას. ველარ დაკავდა ახლა ჯამათა, გამოვარდა, დევლეთამ მოისვა თოფს ხელი, ამოიღო ნიშანში და ესროლა, მოახვრენდა ფერდში, არ მოკვდა, ისე დარჩაყე ხელში. სამი სხვაეები ცოცხლები დაიჭირესყე. შეიკრიფნენ ღებელები და დიდი ალღუმი ქნეს:

„ეს იმიტომ, ჯამათაო,
დაგვხვდებოდი გორი ბოლოს,
წაგვართვემდი ჩოხა-ნაბადს,
დაგვადებდი ვალათაო,
არ გაგვიშვი მგზავრათაო“.

მოიყვანეს სოფელში ამ მახარეე კალოზე, დაადვეს ჩელტზე, რომელსაც თითი მოჭამა და ბეჭედი წაართვა, მოვიდა ის კაცი და უთხრა: ჯამათა, შენ არ იყავი, რომ თითი მომჭამე და ბეჭედი წამართვიო, რა მემართა შენო? დაუშინა ჩექმები გულზე და სული გააცხებია, მოკვდა, მოგიკვდა მტერი, დამარხეს ჩვე ჭალაზე. სვანები დამე მოვიდნენ და წაიდეს.

ახლა დევლეთას უნდა წასვლა სვანეთში. ოჯახში ეუნებიან: — მოკვლე-ნაო, ნუ წახვალაო!

— ხმალი მათიო და კისერი ჩემიო, — ამ დევლეთამ უთხრაყე, წავიდა პირდაპირ და გადავიდა სვანეთში. ერთი კაცი ყოფილა გადავარდნილი ყაჩაღათ, ციოყი. დახდომია ციოყი, წაუშვერია ასე კისერი: ხმალი შენო და კისერი ჩემიო.

¹ ზოგის შენიშვნით: ჯელ-ჯელი.

ძმიწული ყავს წაყვანილი დევლეთას, მას უთხრა: შენ არ შეგეშინოსაო, მობძანდეს ჩემთანაო, რასაც წაიღებსაო, დაინახავსაო. ციოყი გაბრუნდა, დაანება თავი. ჩავიდა სვანეთში, მტერების არ შეეშინდა დევლეთას. დაყიდა ქვაბები, მოისაქმა, რაც უნდოდა, და ქვე წამოვიდა. ოჯახი შიშობს: ვაითუ მოკლანაო დევლეთაო სვანებმაო! მოვიდა, ძალიან გახარდა ოჯახი, რომ სვანებმა ვერა დააკლეს რა.

ახალგაზრდათა შენიშვნაზე — ამდენი ქვაბები სად იქნებოდა, — მთხრობელმა მიუგო: — ქვაბები მეტი რა იყო, მოტანილი ქონდაყე, ქვე წაიღო და დაყიდა. თქვენი თანა ბიჭუნა კი არ იყო.

4. სამი დევი

იყო და არა იყო რა, ერთ კლდეში სამი დევი იყვნენ, თეთრი დევი, შავი დევი და წითელი. იმათა ყავდაყე ერთი ძიძა. ვერავინ შეუვიდოდაყე, თუ შეუვიდოდაყე, გადაყლაპევდენ.

ახლა ერთი გადავარდნილი კაცი წავიდა, წავიდა და, დევები წასრული არიან, მივიდა ამ ქალთან, საცადა ქონდაყე სადგური. ქალმა უთხრა: — რამ მოგიყვანაო?

— რავა რამ მომიყვანაო, მარიჯუნი გამერთოო (= დამეკარქაო).

— რაფერ გაგერთოო?

— ქაჯებმა მომტაცესაო. ასე გადიარაო და აქ ხომ არ შემოუყვანიაყეო?

— აქ ვინ შემოუშვებდაყეო. შენცა, არიქაო, ჩქარა წადი, აქ არ შემოგისწრონაო.

— თუ შეიძლებაო, დამალეო.

— არ შემიძლიაო, ვერ დავმაღავაო, ადამიანი სული ეცემიაყეო. რა გზით მოსულხარ, იმ გზით წადიო. დედაშვილობამაო, ძალიან მეცოდებიო, მოყვარული ცოლი რომ გაგართვიაო.

გამოსვლითანავე (// რავარც გამოვიდა) ეს კაცი, იმ კლდიდგან, შემოხვდენ ძმები დევები. შეიბნენ შავი დევი და ი კაცი. ამ შავ დევს დაკრა რხმალი და მოაცალა თავი. ახლა წითელი დევი შეება. ამასაც მოჭრა თავი და ძალიან დაიქანცა. ახლა თეთრი დევი შეება. შეება თეთრი დევი და თეთრი დევი ეუნება: სულ ნუ მომჭრი თავსაო. მოჭრა თავი და უთხრა დევმა: — მატლი მიზის თავშიო და ეგ არ მოკლაო.

— აპა რა უქნაო? — ამ კაცმა უთხრა.

— რა უქენიო და ჩვენი მოკვლა შეძელიო და მაგისი შეტანა არ შეგიძლიაო?!

ეს დევი მოკვდა. ამ უცოდარმა კაცმა აიღო ე მატლი, შეგვარა იმ ქალს, ვიცადა ყავდა ი ძიძა. შეტანამდინ გეეზარდა ე მატლი, ისევე დევათ წამოღდა. ძიძამ უთხრა, რომ შეგვარა: — შე უბედურო, რაღა მოგყავდა ესაო? ე ყველას გაწყვეტა შეძელიო და ეს ვეღარ მოკალიო?!

— დამავალაო, რომ შეგვარეო და შენ შემოგვგარეო.

— მე რომ შემომგვარეო, თქვენი მტერი გაიზღებაო.

აღვა ე კაცი და წამოვიდა თავი ცოლი საძებარათ. ქაჯებს ციხეში შეუყვანიაყე ი ქალი. უნდა, რომ შევიდეს და გატეხოს ქაჯების ციხე. გატეხა და შევიდა თავისი ძალით და რხმლით, რომ გაწყვიტოს ქაჯები. იომა ბევრი უმბრავლესი. კოშკში ყოლიაყე მალლა შეყვანილი, მიაწია ცოლამდინ, საცა იდგა ცოლი მისი, გააღეს ზეით კოშკი კარები, წამოვიდენ, წამოიყვანა, გადიხადა დიდი ქორწილი ნაომარმა კაცმა, დაწერა:

ლხინიც ბევრი ვნახეო და ჭირიცაო,

ქატო იქაო, ფქვილი აქაო.

გათავდა საქმე.

ქ ვ ე მ ო რ ა ჭ უ ლ ი

5. მელა საქათმეში

ქათმები მყამდენ და ერთ დილას საქმეს ვაკეთებდი და არა მქონდა ქათმების დარდი. კარქი დიდი საქათმე მქონდა, ზეით ფიცრები ეწყო, არსაიდან არსა იყო გასავალი, ყორე იყო მაგრა ამენებული.

ერთ დროს მელიას ჩოუხვრელამს სორო და ისთე შემძვრალა შიგ. ეს ქათამი კაკანობს და კაკანობს და მისჩერებია, კი არ იოცებს ქორივით. ახლა მე ვთქვი, ქათმებს ვაჭმევ-თქვა, გევიქეცი, რაღას ნახამ, ამდენაზე დგას ბუმბული, რო გოუბტყენია. შებმია მამალი. დაღლილი კი იყო, ამდენი ქათამი დოუბტყამს და დოუბტყენია. ადგა მერე ეს მელა თათებზე და ეძებს გასასვლელს. მივკეტე კარები და ვტაცე ხელი, ცხვირზე მოუჭირე ხელი, გამევედი და უძახი ბოშებს, ეს მელა მიკავია მაგრათ. ბოშები ქე გაღვინძებულან, მეიტანეს კეტი, გალახეს და მოკლეს. მერე კი მჯავრობდი, რაზე მოვკალი-თქვა, მარა ქვე რაღა დროს. ტყავმაც არ ივარგა, სცვიოდა ბალანი. ასე ამდენი ქათმები სულ დარუმბული გამოყვარე, ვერ მევიხმარე, ვერ დავკალი. მარტვა ერთი მამალი და დედალი გადარჩა, ამომიყუჟა ამდენი ქათმები. შიგნი რო შესულა, ქათმიანი ვეღარ გამევიდა, აღარ გამეიტია, ცარიელი აღარ გამევიდა, თვარა ცარიელი ხო გამეიტეოდა.

მორეთ მევიდა კიდო სხვა მელია. აგერ აქანა, მეც აქანა ვარ და ეიყვანა ეს ქათამი და აქავე ჩაფლა. დევინახე ახლა მე, რო მეიტაცა ქათამი და მირბის და მივრბივარ, მირბის და მივრბივარ და ჩემ წინ იქანავე მოკლა და წაყარა მიწა.

6. ალიხანოვი რაჭაში

ათას ცხრაას ხუთში რო ჩამევიდა ალიხანოვი რაჭაში, მე მაშინ გოუთხოვარი ვიყავი. მევიდა იქიდან ბძანება, ალიხანოვს უნდა გედეეწვა ბევრი გლეხები. ხოტევი გედეეწვა ორი და სინათლეში სამი გლეხი, მერე მევიდა ბძანება და წევიდა.

ჩვენ ნამეტანი შევშინდით და მთელი ცხოვრება ხალხმა გევიტანეთ ტყეებში, ზანდუკები, ნიქვით და წევედით, ველევსა და წკადისს შუა ერთი წყალი ჩადის, ველეულა, და იქანა გავათიეთ ღამე. ეს ამბავი იყო თებერვალში და

წყლის პირზე დიდი უბედურება გავწიეთ ყინვაში. მერე დაგვიძახეს, — მოდით, წვევიდაო, — და მევედით წიაქ-წიაქით.

ამ სოფლიდანი კილო წასულენ დასამალავათ უდაბნოში. აქანა ახლოს ერთი ადგილია უდაბნო, იქ იყო მონასტერი და იქანა დიდი გამოქვაბული იყო. ხალხი დასამალავათ იქ წვევიდა, დიდ კდეზე ღრუჭუმოსავით არი და იქანა დამალულან. მერე რო წვევიდა ალიხანოვი და წამოსულენ დიდი გახარებით.

ზ ე მ ო რ ა ჯ უ ლ ი

7. სადღეგძელოებიდან

— რამდენი დღე თქვენ ფეხი აქ არ შემოგიდგამთ, იმდენი დღე იქნა, შვილო, თქვენი თაუკაც კარქათ და ჩემი მონაგარიც. იმდენ დღეს იცოცხლეთ, რამდენ დღესაც თქვენ ჩვენთან არ იყავით. დედებმა გიცოცხლოსყე, გიცოცხლოსყე ძმებმა, ოთხმოცი წლის თქვენც გამხდარიყოთ, ქვეც გეკეროსყე, ქვეც გეწეროსყე...

ადღენგძელებე ქალიშვილები.

— კაი ქმები შეგხდომოდენყე, როგორ თქვენ გულ გახაროდესყე. მოგცესყე ჯანი მთელი, გული მხიარული. გაცოცხლოსყე, გამხნევოსყე დიდხან. მოიყარეთ ჩემხელათ, იყავით კარქათ.

— სახარებამ დალოცოს ეს ოჯახიც, ეს მგზავრებიც. სახარებამ გახარება მოგცესყე, კაი ბედი მოგცესყე ღმერთმა. აიღეთ, ბუჭუა, ჩვენი ბომუნები ხართა.

8. ხემწიფე და მისი ქალიშვილი

იყო ერთი ხემწიფე და ყავდა ერთი ძალიან ლამაზი ქალიშვილი. იმავ უფრო უმწვენიერესი მთელ ქვეყნიერობაზე არავინ გაივლიდა. აუშენა ცალკენ სასახლე თურმე იმ ქალიშვილსა და დააყენაყე მოსამსახურეები თავზე და თითონ იქ არა ცხოვრობს, ცალკენ აცხოვრებს. მივა კვირაში ერთხელ და თავის ქალიშვილს ნახულომდა.

ახლა ამ ქალიშვილის სასახლის წინ გაშემო ზღვა არი. იქანა ახლოს, ზღვი პირზეა ი კომკი აშენებული. ახლა ამ სასახლეში რო ლამაზი ქალია, ცათა ქვეშ ყველამ იცის, ფრინველმა და ქვეწარმავლებმა და ხალხმაც იციან, მარა ვერავინ ვერ უბედავს თხოვას. ხოლოთ ერთი უბრალო გლეხი ბიჭი დადის სათევზაოთ ი ზღვის პირზე, ნავალა. ახლა თევზაობს და დაიჭირა ბევრი თევზები და ამ კომკის მახლობლათ იქანა ძირს დაყარა თევზები და იმ გოგომ გადმოიხედა — კალათში ალაგებდა ის ბიჭი თევზებსა. დაინახა ამ გოგომ და მოეწონა, ძალიან შეუყვარდა ის ბიჭი. ახლა რა ქნას, რაფერ აცნობოს, მოსამსახურეებს ვერ ეტყვის, გაუგნებს, ეტყვიან მამას, და დაწერა წერილი, ქვაზე შემოახვია და ბაწარზე ჩაუკიდა ქვეით (წერილს ქვე გააქანემდა ქარი სამე). ახლა ჩაწერა იმ წერილში, რომაო, თუო შენ გიყვარვარაო, მეც ძალიან მიყვარხარაო და ცოლათ შეგერთვიო, მაცნობეო. ახლა ეს ბიჭი ფიქრობს: — რანაირათ, ვის წავატანო ეს წერილი, არ ვიციო, — ვერ გაუგზანა წერილი.

ახლა ელის ეს გოგო, მარა არაფერი პასუხი არ მიუღია და რამოდენიმე ხანს უკან ისევ მივიდა ის ბიჭი იქნა სათევზაოთ, სანადიროთ. გადმოუგდო ისევ წერილი და დაწერა: თუ გიყვარვარო, დამიწერეო და, თუ ვერ გამომიგზავნო, ამ ბაწარსავე მოაბიო და წამოატანეო და ავიტანო.

დაწერა ბიჭმა, რო: — თუ კი მიკადრემო ქმარათაო, რავა არ შეგირთამო, — თავის სიყვარულიც აუხსნა იმან. ახლა გეცხარა იმ გოგოს, რა თქმა უნდა, რაკი ის ნებას დაყვა და გადმოკიდა ის დიდი თოკები, დაიხმარა მოსამსახურეები, მოაბეს ღლიებში და აიყვანეს ეს ბიჭი კოშკში.

ახლა, როცა იყო და არ იყო, ეს ანბავი მოვიდა ხენწიფესთან და გაიგნო, რო თავი გოგოს შეყვარებია უბრალო მეთევზე. ადრე კი მივიდა მეფე, მარა დაუძალა. მასუკან მერე გაამხილეს მოსამსახურეებმა და აცნობეს ნამდვილი ნეფეს. ახლა რო გაიგნო, დანამდვილებით ეს ანბავია, მოკვლა დაუპირა თავის შვილს და — ეს ბიჭი ეხლავე უნდა დავხრიტო.

მამამ გაიმეტა შვილი მოსაკლავათ, მარა დედამ არ გაიმეტა. შემოეხვია: — ჯერ მე მამკალიო და ისაო, — არ ანებებს.

ახლა ამ ნეფემა თქვა, რომაო: — ესაო ჩემ ცოლს ვაპატივეო, შვილიო, ცოცხალს დავტოვეო, მარა ბიჭი უნდა მოვკლაო.

ახლა ამ გოგომ დაიწყო ტირილი: — თუ მაგას მოკლამთ, მეც მამკალითო, უმავისოთ ცხოვრება მე არ შემიძლიანო.

დაიწყო სარჩლობა. ახლა დედამ უთხრა: — ვაპატიოთო ბიჭსაო.

— არა, უნდა მოვკლაო! — ის მაინ გაიძახის: — ერთიო შვილიო ვაპატიეო, მარა ამას აღარ ვაპატიეო.

ახლა უნდა, რომ მოკლას ის ბიჭი, მარა ამ გოგომ უთხრა: — მამაჩემო, გთხოვ და გეხვეწებიო, ორი პატარა ოთახი გააკეთეო: ერთშიო ლომი დაამწყვდიეო და მეორე დატოვეო და, თუ ჩემი ბედის იქნებაო, ცარიელ ოთახში შევა, და თუ არ არი ჩემი ბედისაო, ი ლომთან შევაო და ის მოკლამს, დაფხლიწავსო.

არ უნდა მეფეს, მარა ცოლმა თხოვა და გააკეთეს ორი ოთახი და ერთში ლომი შეიყვანეს და მეორე ცარიელია, მარა ბოშმა და ბიჭმა არ იციან, რომელიძახაში ლომია და რომელი ცარიელია. ახლა გამოიყვანეს ე ბიჭი, ე გოგო თურმე ძიძგინაობს: რა ვქნა, რო მომიკლან შეყვარებულო! წუხსა და ერთ ჯავრში არი. ახლა დაუიმასაქნესეც დრო და უნდა მივიდეს ე ბიჭი და შევიდეს. ე ბიჭი დეეტაკა ცარიელ ოთახს, არ არგო ბედმა ლომთან სიკვდილი. გაშრა მეფე, მარა რას იზამდა.

რავარცალა არი ამისი იგავი და აღარ მახსოვს. — მე ეს კი არ მინდოდა ჩემი შვილითვინაო, — თქვა მეფემ, — მარა რომელიძახა შეხვდა, ის იყოსო.

კონსტანტინე კაკიტაძე

ლენინური კილო*

ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები

სახელის ბრუნება

ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნება

სახ.	ბუ-ვ-ი	კვაწაწიე	ბებიე	ხულუგო
მოთხ.	ბუ-ვ-მა	კვაწაწია-მ	ბებია-მ	ხულუგო-მ
მიც.	ბუ-ვ-ს	კვაწაწია-ს	ბებიე-ს	ხულუგო-ს
ნათ.	ბუ-ვ-ის	კვაწაწიე-ს(ი)	ბებიე-ს(ი)	ხულუგო-ს(ი)
მოქმ.	ბუ-ვ-ით	კვაწაწიე-თ(ი)	ბებიე-ით(ი)	ხულუგო-თ(ი)
ვით.	ბუ-ვ-ათ	კვაწაწიე-თ	ბებია-თ	ხულუგო-დ
წოდ.	ბუ-ვ-ო	კვაწაწიე	ბები-ა	ხულუგო

სახ.	ქვა-ი	ტომარე	სურო
მოთხ.	ქვა-მ	ტომარა-მ	სურო-მ
მიც.	ქვა-ს	რომარა-ს	სურო-ს
ნათ.	ქვა-ის	ტომარე-ის/ტომარე-ს	სურო-ის
მოქმ.	ქვა-ით	ტომარე-ით	სუროთ-ინ
ვით.	ქვა-თ	ტომარე-თ	სურო-თ
წოდ.	ქვა-ო	-----	-----

მრავლობითი რიცხვი

სახ.	ნემსე-ებ-ი	დან-ებ-ი
მოთხ.	ნემსე-ებ-მა	დან-ებ-მა
მიც.	ნემსე-ებ-ს	დან-ებ-ს
ნათ.	ნემსე-ებ-ის	დან-ებ-ის
მოქმ.	ნემსე-ებ-ით	დან-ებ-ით
ვით.	ნემსე-ებ-ად	დან-ებ-ად
წოდ.	ნემსე-ებ-ო	დან-ებ-ო

* სამწუხაროდ, კ. კაკიტაძემ პარადიგმების შედგენა ვერ დაასრულა, ეს არის „ჩანაწერები პარადიგმებისათვის“. ვფიქრობთ, გამოქვეყნება ამ სახითაც სასარგებლო იქნება...

სახ.	აბელ-ის-ა-ნ-ი	გოქაძ-ის-ა-ნ-ი	ჩიქვან-ის-(ა)-ნ-ებ-ი
მოთხ.	აბელ-ის-ა-ნ-მა	გოქაძ-ის-ა-ნ-მა	ჩიქვან-ის-(ა)-ნ-ებ-მა
მიც.	აბელ-ის-ა-ნ-ს	გოქაძ-ის-ა-ნ-ს	ჩიქვან-ის-(ა)-ნ-ებ-ს
ნათ.	აბელ-ის-ა-ნ-ის	გოქაძ-ის-ა-ნ-ის	ჩიქვან-ის-(ა)-ნ-ებ-ის
მოქმ.	აბელ-ის-ა-ნ-ით	გოქაძ-ის-ა-ნ-ით	ჩიქვან-ის-(ა)-ნ-ებ-ით
ვით.	აბელ-ის-ა-ნ-ათ	გოქაძ-ის-ა-ნ-ათ	ჩიქვან-ის-(ა)-ნ-ებ-ათ
წოდ.	აბელ-ის-ა-ნ-ო	გოქაძ-ის-ა-ნ-ო	ჩიქვან-ის-(ა)-ნ-ებ-ო

გვარები მრავლობითი რიცხვი		
სახ.	ჩაკვეტაძენ-ებ-ი	გუგავენ-ებ-ი
მოთხ.	ჩაკვეტაძენ-ებ-მა	გუგავენ-ებ-მა
მიც.	ჩაკვეტაძენ-ებ-ს	გუგავენ-ებ-ს
ნათ.	ჩაკვეტაძენ-ებ-ის	გუგავენ-ებ-ის
მოქმ.	ჩაკვეტაძენ-ებ-ით	გუგავენ-ებ-ით
ვით.	ჩაკვეტაძენ-ებ-ად	გუგავენ-ებ-ად
წოდ.	ჩაკვეტაძენ-ებ-ო	გუგავენ-ებ-ო

სახ.	ქაქუჩიელე	ვახტანგი	აკაკ-ი
მოთხ.	ქაქუჩიელამ	ვახტანგი-მ	აკაკ-მა
მიც.	ქაქუჩიელას	ვახტანგი-ს	აკაკ-ს
ნათ.	ქაქუჩიელეს/ქაუჩიელის	ვახტანგი-ს	აკაკ-ის
მოქმ.	ქაქუჩიელეთი	ვახტანგი-თ	აკაკ-ით
ვით.	ქაქუჩიელათ	ვახტანგი-ათ	აკაკ-ათ
წოდ.	ქაქუჩიელა	ვახტანგი-ო/ვახტანგი	აკაკ-ო

მსაზღვრულ-საზღვრული			
სახ.	ჯონოული ხიდ-ი	მეფი შვილ-ი	შავი ქვა
მოთხ.	ჯონოული ხიდ-მა	მეფი შვილ-მა	შავი ქვა-მ
მიც.	ჯონოული ხიდ-ს	მეფი შვილ-ს	შავი ქვა-ს
ნათ.	ჯონოული ხიდ-ის	მეფი შვილ-ის	შავი ქვა-ის
მოქმ.	ჯონოული ხიდ-ით	მეფი შვილ-ით	შავი ქვა-ით
ვით.	ჯონოული ხიდ-ად	მეფი შვილ-ად	შავი ქვა-ად
წოდ.	ჯონოული ხიდ-ო	მეფი შვილ-ო	შავი ქვა-ო

ზმნის უღლება

I სერია		
აწ.	მყავს / მხავს ქყავს / ხავს ყავს / ხავს	ქვეყავს / ქვხავს ქყავთ / ხავთ ყავენ / ხავენ
უწ.	მყავდა / მხავდა ქყავდა / ხავდა ყავდა / ხავდა	ქვეყავდა / ქვხავდა ქყავდათ / ხავდათ ყავდენ / ხავდენ
აწ. კავ.	მყავდეს / მხავდეს ქყავდეს / ხავდეს ყავდეს / ხავდეს	ქვეყავდეს / ქვხავდეს ქყავდეთ / ხავდეთ ყავდენ / ხავდენ
მე.	მეყოლება გეყოლება ეყოლება	გვეყოლება გეყოლებათ ეყოლებათ
ხოლ.	მეყოლებოდა გეყოლებოდა ეყოლებოდა	გვეყოლებოდა გეყოლებოდათ ეყოლებოდათ
მე. კავ.	მეყოლებოდეს გეყოლებოდეს ეყოლებოდეს	გვეყოლებოდეს გეყოლებოდეთ ეყოლებოდენ
II სერია		
წე.		
II კავ.		
III სერია		
I თურ.	მყოლებია კყოლებია ყოლებია	კვეყოლებია კყოლებიათ ყოლებიათ
II თურ.	მყოლებოდა ქყოლებოდა ყოლებოდა	ქვეყოლებოდა ქყოლებოდათ ყოლებოდათ
III კავ.	მყოლებოდეს ქყოლებოდეს ყოლებოდეს	ქვეყოლებოდეს ქყოლებოდეთ ყოლებოდენ

IV სერია		
III თურ.	მნაყოლება გნაყოლება ნაყოლება	გგნაყოლება გნაყოლებათ ნაყოლება
IV თურ.	მნაყოლებიყო გნაყოლებიყო ნაყოლებიყოს	გგნაყოლებიყო გნაყოლებიყოთ ნაყოლებიყო
I სერია		
აწ.	მაქ გაქ აქ	გვაქ გაქვენ აქვენ
უწ.	მქონდა ქონდა ქონდა	ქვონდა ქონდათ ქონდენ
აწ. კავ.	მქონდეს ქონდეს ქონდეს	ქვონდეს ქონდეთ ქონდენ
მყ.	მექნება გექნება ექნება	გვექნება გექნებათ ექნებათ
ხლ.	მექნებოდა გექნებოდა ექნებოდა	გვექნებოდა გექნებოდათ ექნებოდათ
მყ. კავ.	მექნებოდეს გექნებოდეს ექნებოდეს	გვექნებოდეს გექნებოდეთ ექნებოდეთ
II სერია		
წყ.		
II კავ.		
III სერია		
I თურ.	მქონებია ქქონებია ქონებია	ქვქონებია ქქონებიათ ქონებიათ

II თურ.	მქონებოდა ქქონებოდა ქონებოდა	ქვქონებოდა ქქონებოდათ ქონებოდათ	
III კავშირებითი			
III კავ.	მქონებოდეს ქქონებოდეს ქონებოდეს	ქვქონებოდეს ქქონებოდეთ ქონებოდენ	
IV სერია			
III თურ.	----- გნაქონება ნაქონება	----- გნაქონებათ ნაქონება	
IV თურ.	მნაქონებიყო გნაქონებიყო ნაქონებიყოს	გვნაქონებიყო გნაქონებიყოთ ნაქონებიყო	
I სერია			
	აწყო	უწვეტილი	აწმე. კავშირებითი
1.	ყოვა	ყოდა	ყოდეს
2.	ჩივა	ჩიოდა	ჩიოდეს
3.	კივა	კიოდა	კიოდეს

-ავ და -ამ თემისნიშნანები

ნამყო უსრულსა და ხოლმეობითში ზოგიერთი -ავ თემისნიშნანი ზმნა უთემისნიშნა.

მაგ.: ცეხვავს → მაგრამ ცეხვდენ და გაცეხვენ

(გა)ლახავს → გალახდა

ქერქავს → გავქერქდის

-ავ და -ამ-ის მონაცვლეობა ჩვეულებრივია

-ავ თემის ნიშანს ხშირად ენაცვლება -ებ: დავქსელვდით, ავძახვდით, ავცანცვდით, მოკლვდა (მოკლავდა) → ავქევ → ებ.

I სერია			
აწ- მე.	(გა-)ვცეხვავ (გა-)ცეხვავ (გა-)ცეხვავს	(გა-)ვქსელავ (გა-)ქსელავ (გა-)ქსელავს	(გა-)ვკეცამ (გა-)კეცამ (გა-)კეცამს
უწვ.- ნოლ.	(გა-)ვცეხვავდი (გა-)ვცეხვდი (გა-)ცეხვავდი (გა-)ცეხვდი (გა-)ცეხვავდა (გა-)ცეხვდა	(გა-)ვქსელავდი (გა-)ქსელავდი (გა-)ქსელავდა	(გა-)ვკეცამდი (გა-)კეცამდი (გა-)კეცამდა

I კავ.	(გა-)ვცეზვავდე (გა-)ვცეზვდე (გა-)ცეზვავდეს (გა-)ცეზვდე (გა-)ცეზვავდეს (გა-) (გა-)ცეზვდეს	(გა-)ვქსელავდე (გა-)ქსელავდე (გა-)ქსელავდეს	(გა-)ვკეცამდე (გა-)კეცამდე (გა-)კეცამდეს
II სერია			
წვ.	გავცეზვე გაცეზვე გაცეზვეს	დავქსელე დაქსელე დაქსელა	დავკეცე დაკეცე დაკეცოს
II კავ.	გავცეზვო გაცეზვო გაცეზვო	დავქსელო დაქსელო დაქსელოს	დავკეცო დაკეცო დაკეცოს
III სერია			
I თურ.	გამიცეზვია გაგიცეზვია გაუცეზვია	დამიქსელია დაგიქსელია დაუქსელია	დამიკეცამს დაგიკეცამს დაუკეცამს
II თურ.	გამეცეზვა გაგეცეზვა გაეცეზვა	დამექსელა დაგექსელა დაექსელა	დამეკეცა დაგეკეცა დეეკეცა
III კავ.	გამეცეზვოს გაგეცეზვოს გაეცეზვოს	დამექსელოს დაგექსელოს დაექსელოს	დამეკეცოს დაგეკეცოს დეეკეცოს
III თურ.	— — ნაცეზვავხარ ნაცეზვავა	— — ნაცეზვავხართ ნაცეზვავლარიენ	
IV თურ.	— — ნაცეზვავიყო ნაცეზვავიყოს	— — ნაცეზვავიყოთ ნაცეზვავლარიენ	
წვეტილი			
მოსპევი მოსპევი მოსპო	დავრთევი დართევი დართო	დაქფევი დავქფევი დაფქვა	
მრავლობითის თავისებური ფორმები			
მყავს	ავღია	ვსახლდებით	
მხავლარიენ გხავლარიენ ყავლარიენ	ვავღივართ ავღიხართ ავღილარიენ	დავსახლებულვართ დასახლებულხართ დასახლებულარიენ	

აწმყოს III პ. (მრ.)

უდილარიენ, ვარგილარიენ, დგილარიენ, მყვადარიენ.

ძირითადი ლიტერატურა

- ალავიძე მ.**, ლეჩხუმურის თავისებურებანი; ქუთაისის პედ. ინსტ. შრომ., II, ქტ., 1941.
- ასლანიკაშვილი ლ.**, ლეჩხუმურის თავისებურებანი სოფ. ლაჯანის მეტყველების მიხედვით; თსუ სტუდ. XIV სამეცნიერო კონფერენცია; (1952, 17-23.IV) თეზ., 1952.
- აკაიტაძე კ.**, აწმყოს ფუძის წარმოებისათვის ქართული ენის ლეჩხუმურ კილოში; „მაცნე“ (ელს), №1; თბ., 1987.
- აკაიტაძე კ.**, სახელთა ბრუნებისათვის ლეჩხუმურში ქვემოიმერულთან მიმართებით, ენათმ. ინსტ, ასპ. და ახალგ. მეც. მუშ. კონფ., თეზ., თბ., 1985.
- აკაიტაძე კ.**, სახელთა წარმოების ერთი თავისებურებისათვის ლეჩხუმურში; IX რესპ. დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია (გორი, 22-24. IX, 1987), თეზ.; 1987.
- ცერცვაძე ილ.**, ლეჩხუმურზე სამუშაოდ მივიღინების ანგარიში; თსუ სტუდ. III სამეცნ. კონფ.; თეზ.; 1941.
- ძიძიგური შ.**, ლეჩხუმური დიალექტი; ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954.
- ჯორბენაძე ბ.**, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

მეტყველების ნიმუშები

1. ლეჩხუმელთა საუბრიდან

- ახთენს. დითს (// დიდს) უნდა. მოკვტენ.
- სტავლა-განათლება. ნასტავლია ყველე. მასტავლებელი. მოუსტარი.
- ხწორი, ხწორა, ხწორეთ.
- ვინცხა იქნება. ვინცხას აქ. რაცხა ეშმაკურათ ათქმევიყე.
- პატრონი ხავს. არეინ ხავდა.
- მიხოზა. ნუ დახოზიო. გავხვებით. ქალს ძლაბი მოხვა. მე ჩავხვევი.
- სხვა ხონდა. ყოლიფერი ხონებოდა. მოხონდა.
- ვქითხე, ქითხე, ქითხა. ვქიდებ, მოვქიდე.
- მოფარა [= მოჰპარა].
- მევესტარი. დევეთხოვოთ. ჩეველით. წეველი. გამეზარდათ. დეეხსნა თავი. გადეესახლენ.
- გვილეწება. გვეიგე. გამეიარა დრომ. გამეიძიო. გამეირკვევენ.
- დეიხსნა თავი. თლათ დეიკარქა, დეიხოცენ. დევიდოდა. წევიდა.
- მევიდა დრო. მეიტანე-თქვა. მეიბამს...
- არეინ ხავდა მოსარებათ.

— გოუკეთებია. დოუცავს. დოუბრუნე. არ დოუხედავს იმიზა. თავდოუხსნელი ყმა იყო. შინოური, წოუყვანაყე. წოურთმევიათ. წოუკიდებენ.

— გადუუსახლებიათ. მუუტანდენ. მუუდგება [= მოუდგება, მიუდგება].

— გარახუნებული ქვეა. გარატანილი გვაქო. გარაბრუნდება. გარევიტანეთ. გარმოვაბიჯე.

— ნახე (მე ის), ნამხე (შენ მე). ვერ ნახულობ. ყიენა. მომბა.

— დახვერდება. ახვერდება. მოხვერებული.

— შტილი, დაშტილვა.

— პეტერე ხეთემოდა. პეტერას ქვე ისტავლიდა. პეტერა ხანს იყო. ბაბუეს მამა პაპაა.

შხოვია. ახოვს. უშობიან. მარტვე.

იგენს ხონდა. ყველიფერი მტკივა. ყოლიფერი ხონებოდა.

— ყველე ერთნაირათ არაა. ამდონი ადგილია.

იმისანე (// იმისთანე) ალაგი იყო.

— არ ყოფილ? არ გამორჩება რამე? არ წასულა ჯერე? მინახია თუ-ალრთ? რანიზა არ უნდოდა აგი?

— წვეილოთ [მოხუცთაგან განავონი].

— კაი მორება აძლებიფეს. წყალი დავგალევიეს. რო გამეზიარებია.

— პური ნასუქება მიწას. მინავალა. ის ნაპარავა — ისინი ნაპარავლარიან. ისინი ყოფილარიან. დანავალარიან. ნასახლობარიან. მონატანლარიან ღვი-ნოებს. ქალები მაცვალს ნაკრეკვლარიან და მურაბას ნაკეთებლარიან.

დადილარიან ან // დადილარიენ, — რავარც მოქვებება, ისე ვიტყვით [— შენიშნა მთხრობელმა სოფ. ჩქუმში].

— ჩვენ ამბავს გებულოფთ ჩვენი გულიზა. მომავლიზა იქნება. დაშვენე-ბიზა და საქმის გაკეთებიზა.

— ხალხისთვინ არი. ამითვინ უნდა. ბატონისთვინ ყმები ჩამოურთმოვია.

— მარტისკე, აპრილისკე. წყლი პირისკე.

— თავისუფალი იყო ბატონიდგან. შენდგან შემწეობა ექნება. გამიგონია ჩემი ძველიდგან. ბაბუეიდგან გამიგონია.

— ორშაფათამდი არ იქნება. აქნობამდი გაძლო.

მიწის გამოთ.

— იქინა, იქინე: იქინე არის. აქანე. აქანეც ასეა. აქიდგენეც.

ზერე. ქვერე.

მერეთ. შემდექ. ახლა // ეხლა. ასთე. ისთე.

მანამდი. აქნობამდი. როსაც რომე.

თლათ. კიდომ // კიდო // კიდე. რავარც იყო.

სანე „ქვე“ იციან, სანე „ყე“-ს დააყოლებენ. სანა = რომელიმე ადგილას.

სთურმე // სტუმრე // სთურე [= თურმე].

— ქვე ვიცი. ქვე გავყიდე. ქვე დაარიგეს. ქვე ქენიო. ჩვენ ქვე დავრჩით.

— დევეთხოვოთ-თქვა. მეიტანეთ-თქვა, აბა.

— ხავსყე. ხონდაყე. გაგებული აყვე. სახში მოხონდაყე. ვასტავლეყე და ვარებიფეყე. სახვერწლათ წოუყვანაყე. ხუობდენ, არ უნდაყე. ბრევილი ყველი აყვენ. მასტავლებლები სკოლაში დავტოვეყე.

— თესადდენ ხალხი. შვილებმა მიღალატა, დამეხოცენ.

* * *

ხწორეთ სიმართლე ჯობია, ამის უკეთესი დრო არც მოხუცს და არც ახალგაზრდას გზით, განათლებით და ყველაფერით არ მოსტრები. სტავლა-განათლება ამისთანე სად იყო სხუმის. გარდა ამისათ, ყოლიფრით მოსაწონელია, რომ იოლათ მუშაობენ კაი გამოწყობილი მანქანა-იარაღებით. ყველაზე კარქათ ესაა მოსაწონელი, რომ ყველასფერი მოგვდის სვერთოთ მშრომელებს. მამაჩემი თავდოუხსნელი გლეხი იყო, ბატონს ნადელს ვაძლევედით — ღვინოს, პურს.

2. მურის ციხე

ცავერიდგან რო ჩთილოეთისკე გეიხედავ, უწინ მურის ციხე მოგხვდება თვალში. ე ციხე უხსოვარ დროს არი აშენებული.

მურის ციხის ნახვა კაც გააკვირეფს. ის აშენებულია მიუვალ მწვერვალზედ უზარმაზარი ქვებით. შიგ არის განყოფილებები. ერთსალიკა ამორღმავეებულია კტე თექვსმეტი მეტრის სიმაღლეზე. იქ წყალ ამარაგებდენ.

ციხეს ახლავს ორი კოშკი. ერთი აღმოსავლეთით, მორე დასავლეთით. როგორც თავციხეს, ისე კოშკებს აყვე სახელები. თავციხეს ეწოდება „მარჯვეთ დახვთი“. აღმოსავლეთის კოშკი საყარაულოა და მას ჰქვია „წკა მაგას“. დასავლეთის კოშკ — „არ გოუმვა“.

საყარაულო კოშკი „წკა მაგას“, როგორც მტერი მიადგება, თავციხეს დოუძახეფს: მტერი მევიდა, მარჯვეთ დახვთიო! როცა დამარცხებული მტერი პირს გეიბრუნებდა, იმას დასავლეთის კოშკთან უნდა გეეარა. მაშინ ციხე „მარჯვეთ დახვთი“ დოუძახებდა დასავლეთის კოშკს „არ გოუმვას“: არ გოუმვაო!

მურის ციხეზედ არის ბევრი თქმულება.

ციხე პირველათ ეკუთნოდა ცხრა ძმა ჩარკვიანებს, რომლებიც ღალატით დახოცა გადადიანებულმა კაცია ჩიქვანმა. ამის მერე ლეჩხუმი და ე ციხეც ამ დადიანის ხელში გედევოდა.

საქართველოს დოუძინებელი მტერი ოსმალეთი ხშირათ თავს ესხმოდა მურის ციხეს, მარა ვერ იმარჯვებდა. ერთხელ, უკანასკნელათ, ოსმალეთის ჯარმა გამეილაშქრა საქართველოდგან რაჭაზედ. მოადგა ლაილაშ, ლაილაში ეილო, უსახელო გადმეირა და დეხვირის ციხესთან გამართა ომი. დიდი ხნის მერე დეხვირის ციხეც ეილეს და მურის ციხის აღებაც მეინდომეს. ჯარი ღამით მურის ახლოს — ჩხუტელში ლეკუნდრუმას დაბარგდენ, რომ დილას ადრე დასცემოდეს ციხეს.

მეციხვანებმა შენიშნეს ლეკუნდრუმას თათრების მიერ დამთებული ცე-

ცხლი, მიხვთენ, ეს სასიკეთო ამბავი არ იყო, დატენეს ზარბაზნები და დოჟ-მიზნეს ცეცხლფეს. იქ იყო ნიგვზი ხეები, ზარბაზნების მიერ დამტროულმა ტოტემა დიდი ზიანი მიაყენა თათრეფს, ჯარი სანახევროთ გაწყვიტა, გადარჩენილები გეიპარენ.

მორეთ მალე დაბრუნდენ თათრები. მურის ციხის აღება ვერ მოახერხეს. იფიქრეს: გზა შოუკრათ მეციხვანეფეს, საჭმელი დეეღევაყე და თავისთავათ დაგვენბდებიანო. მეციხვანეფეს ციხეში ნამარაგები კირი ხონდათ და ყოველ დღე იქიდგან თითო-ოროლა კასრ ყრიდენ. თათრებმა იფიქრეს: ქბილი იმდონი შოუნახავსყე, უფუჭდებაყე, ყრიანო.

ამ დროს ზამთრიც მოახლოვდა, მტრები უკან გაბრუნდენ. დაშჩათ მურის ციხე ოუღებელი.

მურის ციხეს ცუდი სამსახურიც გოუწევია მშრომელი ხალხისათვინ. ძველათ, ბატონყმობის დროს, აქ ბევრ ვაშკაცს ამოხთენია სული. ბატონის მიერ დაშჩილი გლენი ამ ციხეში უნდა ყოფილიყო რამდენიმე წელიწადი რკინი ჯაჭვით მიმბული და შებორკილი.

3. სიმიდის მოწევა

სიმინდის ხვნისათვის ვემზადებით მარტიდან (// მარტიდგან). კიდე უფრო ადრე შეიძლება, თუკი ამინდები იქნა. პირველათ მოვხნავთ ანეულს. რაოდენიმე ხნის შემდექ დევიწყეფთ თესვას. ვთესავთ წინმოზნევით. პირველათ მოხნულს დავნიხავთ, ესე იგი დავკვალავთ ოთი-ხუთი არშინის სიფართეზე, რომ დაუთესავი არ დარჩეს. კვალსა და კვალს შუა ქვია ნიხა. ხარდალლამდე რო ეყოს, იმდენ ნიხას მივათესავთ. რო მოვათავეფთ, მივახნავთ და თან დევისვენეფთ. შემდექ ხელახლა მოვთესავთ ნიხას, განვაგძოფთ მუშაობას. ახლა ვთესავთ მოზნევითაც, მარა გაუმჯობესების მხრივ ვთესავთ მწკრივში და ჯგუფობრივითაც.

ძველ დროში უფრო მეტათ ვხმარობდით თესლისათვის ხალთებს. ხალთას ცალ ფხარზე გადიკიდებდა, წინ თავს უზამდა, იღებდა კაკალს და თესდა (// თესავდა). ახლა ვხმაროფთ ტომარას და ვედრას.

ჩვენში ვთესავთ თეთრსა და ყვითელ გრანიცა სიმიდს, ადესა სიმიდს და შინოურ, ადგილობრივ ჯიშებს. გრანიცა და ადესა სიმიდი უფრო საგვიანოა, ტაროს უფრო დიდს იკეთეფს და კაკალს ფართეს. ადგილობრივ ჯიშებს უფრო პატარა ტარო აქვს და კაკალი წვრილი.

თუკი საშვალემა (დრო) გვექნება, დევიწყეფთ თოხნას სამი-ოთხი ფოთლის (// ყურის) შემდექ. პირველ თოხს ვეძახით პირადს, მერეთ ორი-სამი კვირე გავა, დევიწყეფთ მორე თოხნას, რომელსაც ვეძახით მორედს. პირადის დროს უმფრო სქელს ვტოვეფთ, მორედზე გამოვჩალავთ. თუ გული მოგცემს, არშინის სიფართეზე. უფრო ახლოს თუ დარჩება, ნაკლები ტარო იცის.

სიმიდი ძირს იკეთეფს. მიწაშია ფესვები, ზემოთ ღერო. ღეროს აქვს ფურ-

ცლები, თავში ქუჩუჩო (= თავს იყრის და ქვია ქუჩუჩო), შემდეგ გამეიღეს ტაროს. ტარო გეიკეთეს გარეთ ფუჩუჩის, შიგნით — ქუნჩალას და ულაშს. ულაში გარეთ გადმოდის. ტაროზე ცვინდება ქუჩუჩოს ტვერი და ტარო იკეთეს კაკლებს. კაკლები ასხია ქუნჩალას. სადაც სიმიდი იკვირეფს (იხეირეფს), ის გეიკეთეს მალლიდან გადასულ ხარალებს (ფესვებს), რომელიც თითქმის მიწას დასწვდება. ასევე გეიკეთეს ნაყარს, მარა არ ვტოვებთ (// არ გოუშოფთ).

ტარო პირველათ ჰყინტლია, თოთოა, იმას ქეც ვხარშავთ და ქეც ვწვავთ საჭმელათ. ახლა ასეთ სიმიდს ვასილოსებთ. ჰყინტლი სიმიდი შემდეგ დაბაზდება და ვეძახით დაბაზებულ სიმიდს, შემდეგ გახმება და უწოდებთ მწიფე სიმიდს. როცა სიმწიფეს მეითავეფს, ვიწვეთ. მოგტეხავთ ტაროს, დავგაროვებთ ერთ ადგილზე ხვავს, მევიტანთ სახში და გავარჩევთ. ჩალას მოვჭრით, ავკონავთ და დავდგამთ ზვინებათ. ტაროს ნარჩევს ფუჩუჩის გავახმოფთ მზეზე და შევინახავთ საბძელში. ტაროს გაანაწილებენ შრომადღებზე და დანარჩენს შევყრით ნალიებში.

4. ვაზი, ყურძენი

ჩვენ უბანშია ცოლოკოური, მწვანე, ციცქა, ცხვეტიანი თეთრა, ნაკუთნოული. მიწას უნდა გადაბრუნება არშინზე, მერე დეირგვება ნამყენი.

ნამყენი. წარე ლერწზე ვამყნოფთ გემრიელ ლერწს. წარე ლერწს ჰირი არ ეკარება, იმიზდა მეიგონეს იგი. მარტიდგან ვამყნოფთ და სითფო ალაგზე შევინახავთ. რო გათფება აპრილისკე, მაშინ დამყნილს გადაბრუნებულ მიწაში დავრგავთ ოროლს და შევხურავთ მიწით, ბღვერით, ის ამოჭრის, ამოკუტურდება. თუ გვეიდა ორივე, ერთს ამევილებთ (// ამოვაკლეფთ) და მორე ალაგს ჩავრგავთ. რომელსაც ბევრი ექნება დამყნილი და მიწა არ ოუვა გადაბრუნებული, ალაგი აქ, „პიტონიკს“ ვეძახით. იმაჩი ექნება ერთ წელიწადს, მორე წელიწადს ამეიღეფს და ფესვიან ლერწს დარგავს.

ვაზი, ყურძენი. რო ამოკუტურდება, ხარდანს (// ჰიგოს) დოუსოფთ. გეიზდება, ავახოვთ, ავაყოლეფთ, მიწაზე არ დავაგდეფთ. დიდი თუ გეიზარდა, თავს გადავჭრით, აბა შტოებს ჩამეიღებს ქვერე და დაშტილავს. გვერდებში ამეიღეფს ბუშებს (ნაყარს), უნდა ორჯენ დოუარო და შემოაცალო.

შტო ვაზია. ვაზი მეისხამს ყურძენს (ტევანს). ტევანი მიმბულია კინწით. კინწზე მარცვალია (ბიმილია). ყურძენი შეთვალდება, წიფობითვემდი დამწიფდება.

ყურძენს ვკრეფავთ ხელით. დანით მივაჭრით აქანე [ხელით მაჩვენებს] და სალასტოში ჩავყრით. მერე სამწნეხელში (ხორგოში) ჩავყრით და ფეხით გავზელთ. სამწნეხელში ვადუღეფთ, მერე გამოუშოფთ და ჰურებში ჩავასხამთ. ჰურში აღარ დუღს.

დარჩება ჰაჭა. ჰაჭას ამევიღეფთ და ჩავყრით საწბერავში (საწურავში). დავწურავთ და კაი ღვინო გამოვა. ჰაჭას ქვებში ჩავყრით და გამოვხდით ოტ-

კათ. ბევრი ჭაჭა ვინცხას აქ, ქვე დაასხამს წყალს, დარჩება ერთი ექვსი დღე. გამოუშოფს ღვინოთ და ჭაჭას გადაყრის. ეს იქნება შუა (შუათაგანი) ღვინო. საოჯახო ღვინოა, წყლი მაგივრათ ვიხმართ, წყალს მაინც ჯობია ზამთარში, ზაფხულში არ ვარგა.

ვწამლავთ მაშინით, რომელსაც შეუძლია და ექნება, ხუთჯენ უზამს წამალს (შაბიბანს და კირს შევამზადებთ და წამალია). წინათ წამლობა არ იყო. დაგუნძული იყო ყურძნით, მარა ფილაქსერა ქვიოდა და გაახმო. ე წამლობა რო დოუწყყეთ, ფილაქსერა მისსპო. მერე მეიგონეს ნამყენი და კეთდება იგი ახლა.

მაშინ იყო ალექსანდროული, შავი კაბისტონი, ნაკუთნოული. ძველ ლერწში, სინამდი იყო და არ გარახმა, ნაკუთნოული ჯობდა. გამოსვლა მეტი ხონდა. იგი ნამდვილ დაბალი, მბილი, მარა საჯანთელო ღვინო იყო. სიმაგრით ალექსანდროული ჯობია. ცოლოკოური და მწვანე სიმაგრით ყველას ჯობია.

ჭური. ჭური მიწაშია. ჭურს ვრეცხავთ სარცხით. არყი ქვია, წავალთ ტევრში და იქიდგან მევიტანთ. გავაკეთებთ ჯოხზე და იმითინ ვრეცხავთ. მერე ოფსილოს (ტილოა ჯოხზე წამომცობილი) დავაბრუნებთ ჭურში და ამეიწმიდება იგი და მერე ღვინოს ჩავასხამთ. მარგალითათ, მოუნდა სამჯენ ამორეცხა ჭურს, სამივეჯენ ამოვაოფსილოებთ და მერე ღვინოს ჩავასხამთ. ჭურს დავაფარებთ სარქვიელს, მერე მოზელილი აყალო მიწით დავგოზავთ და თავზე ბღვერს (დაფშვნილ მიწას) დავაყრით. ბღვერი აყალო მიწას დახეთქას არ ანებოფს. შემოგოზავთ, რომ სული არ ამევიდეს. სიმაგრე ამ სულშია.

თუ სახარჯოთ დაგვჭირდა, ჭურს მოვხდით (მოვხსნით) და ღვინოს ამევიდებთ ხრიკით. თუ ყველე არ დახარჯე, ისევე უნდა დაგოზო.

ხრიკა წარე კვახია. გამოვხარჩავ მდლუღარეში. გავწმედავ და ტარს დავაგეფ. ხრიკით ღვინოს ჩავასხამდით დოქში.

დასალევათ ძველათ კათხა იყო. ჩემსობას სტაქანი იყო.

ნიტრა ორჩარექიანია. დოქი — ოთხჩარექიანი, ხუთჩარექიანია, ჩაფი (კოკა) თორმეტ-თუთხმეტჩარექიანია (// თორმეტ-თუთხმეტი ლიტრი ჩადის). დორა ორჩაფიანია, ექვსთუნგიანია, გორო ორი დორაა, ოთხი ჩაფია. დოქი მერიქიფეს აქვს ღვინის მოსატანათ და დასასხმელათ. თუნგი საწყაო ხუთჩარექიანია (თუნგში ხუთი ბოთლია, ხუთი ჩარექა).

5. გურგენი

ქუთაისში იყო სტუმრე დასხალებუკლი ერთი კაცი გურგენი. სალდათში დოუძახეს და წეიყვანეს. იქ კაი ორი წელი დაყონოდა ჩხუფში. ქალი ხოლია მძიმეთ დატოვებული. ი ქალი დოუტოვებია მოურავისთვინ, რომელსაც ამ ქალისთვინ უნამუსო სიტყვები უთხრობია. ქალს ეგი უუკადრისებია და ამიტომ უბრძანებია მოურავს, რომ გადაადდეთ რიონში ე ქალიო. წამყვანს გოლუვია ეს ქალი, ოღონდ დაურიგებია, რომ არევის ეჩვინოვო.

წასრულა ქალი. საჭმელი რომ არ ხონია, ბალახბალახით წასრულა.

ასულა ხვამლის მთაზე. ეყოლა ამ ქალს ბოქში, მარა რაით ზარდოს. ქვაბუნ-
შია ე ქალი და ქვაბუნის წინედამ გამეიარა ირემმა. ამ ქალმა მიაწოვა ბოქში
ირემს. სთურე მიეჩვია ირემი და ყოველთვის მიდის და აწოვებს ბოქშს.

გურგენს გოუმარჯვია და დაბრუნებულა. ქალის შესახვე უთხრობიაცე
ეს ამბავი. წამოსულა ე კაცი შემთხვევით ხვამლზე სანადიროთ და დოუნახავს,
რო ქალი ქვაბში აწოვებს ირემს ბავშვს. გოუკვირდა და გამეიკითხა ამ ქალ-
თან ვინაობა და ქითხა, რო ვინ ხარო? ქარმა უამბო ყოლიფერი, უსაყვედუ-
რეს ერთქვანეთს. გურგენს ძალიან გოუხარდა. ნათქვამია, რო გურგენმა ააგო
წმინდა გიორგის ეკლესია. საუკეთესო იყო ე ეკლესია. მოოქროული. მისი ნა-
წილები ოყურემს გადმეიტანეს და მერე დეინგრაო.

6. ქაქუჩილე

ქაქუჩელას ხავდა ორი ბიჭი. მანებამდინ ბულთობის მეტი არაფელი
იყო. მიდვრათ იყვენ სულ და ბულთობდენ. ქაქუჩილეის ბოქშები დაყინედი-
ლებული იყვენ. რაცხა ამბავი მოუვიდათ და ორივე მოკვტენ.

ქაქუჩილე ჭურებს აკეთებდა თურე. წასრულა საცხა და უსტავლია. მე-
რეთე ასტავლა ბესიკელას. მერე დეიწყეს ზუფში ჭურების კეთება. შვილების
სიკვტილის მერე ქურა დაამგრია. ერთი ძღაბი ხავდა, ავათ იყო, არც კვენსო-
და და არც არაფელს.

აბრამულე იყო ერთი და იმის სტავლებით წევიდა ქაქუჩილე და მისი
ცოლი მარჩიელთან ამ ძღაბის ავანტყოფობის თაობაზე. საწყალი დედეე და
მეც წავხევი იმგენს.

ახლა რო განათლებულია ქვეყნიერობა, ისთე კი არ იყო მაშინ. ისთე
უნდა წასრულიყავი, ჯონოული ხიდზე მიხვიდოდი, მერე ზერე ოუხოვდი და
მიხვიდოდი ლაილაშ. მარჩიელი ახალი მოსული იყო. წინ ეზო ხალხით იყო
საფსე.

— არიქა, დეიწართო, — უთხრა მარჩიელმა ხალხს, — გულდაწყვეტი-
ლი კაცი მოდისო.

ელაპარეკა ქაქუჩილე ყოლიფერს, რაც მოუვიდა. მარჩიელმა უთხრა:
შვილი მოგირჩება, მარა უზაფთოთ დარჩებაო.

კი იცი, ქაქუჩილე მდიდარი იყო და ამეილო მანათი და მიცა. ყველა
კაცს ედვა ტილოს ქესა გროში ფულისათვის. მარჩიელი ტყულს ეუნებოდა.

7. ხათრიანი ქალი

ერთი მოხუცი ქალი და კაცი ყოფილა. ყოლიათ ერთი შვილი. უთხოვი-
ათ რძალი. ორი შვილი ხოლია იმ ქალს. ხმა არ ნაღება. ქმარს გადოუწყვეტია
მეორე ცოლის მოყვანა. მოუყვანია მეორე ცოლი.

ქორწილია. ახალი ქალი დაბრძანებულია, ძველი კი საქნარობს. ახალ

ქალს უთხრობია ძველი ქალისთვის, რომ: — ადრე გადასაგდები ყოფილხარ და გვიან გაგდებნო.

ქალმა უპასუხა:

— ვასილ, ბასილ ქვე გავზარდე,

იოვანეზე მიმეთა ვარო,

დედამთილის მორიდებით,

მამამთილის მორიდებით

ხმა არ ამომიღიაო.

მოხვალ, მოწიწინოფ

და წახვალ მდინარე წყალვითო.

ახტნა ე ახალი ქალი და ქე გეიქცა: — მე ვინ დამაყენებს აქანე, ამ ქალს ლაპარაკი სცოდნიაო! — იფიქრა.

ტექსტები გადმობეჭდილია: ქართული დიალექტოლოგია, I, 1961

გელა დგებუაძე

**გურული კილო
ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები
ს ა ხ ე ლ ი ს ბ რ უ ნ ე ბ ა
საზოგადო სახელი, ბოლოთანხმოვნიანი**

ფუძეუკუმშველი				
სახ.	გველ-ი	გველ-ებ-ი	ჯორ-ი	ჯორ-ებ-ი
მოთხ.	გველ-მა	გველ-ებ-მა	ჯორ-მა	ჯორ-ებ-მა
მიც.	გველ-ს	გველ-ებ-ს	ჯორ-ს	ჯორ-ებ-ს
ნათ.	გველ-ის	გველ-ებ-ის	ჯორ-ის	ჯორ-ებ-ის
მოქ.	გველ-ით	გველ-ებ-ით	ჯორ-ით	ჯორ-ებ-ით
ვით.	გველ-ათ	გველ-ებ-ათ	ჯორ-ათ	ჯორ-ებ-ათ
წოდ.	გველ-ო	გველ-ებ-ო	ჯორ-ო	ჯორ-ებ-ო

ფუძეკუმშვადები (რომლებიც გურულში არ იკუმშებიან)		
სახ.	ქმარ-ი	ქმარ-ებ-ი ქმრები (იშვიათად)
მოთხ.	ქმარ-მა	ქმარ-ებ-მა
მიც.	ქმარ-ს	ქმარ-ებ-ს
ნათ.	ქმარ-ის ქმრ-ის (იშვიათად)	ქმარ-ებ-ის
მოქ.	ქმარ-ით ქმრ-ით (იშვიათად)	ქმარ-ებ-ით
ვით.	ქმარ-ათ	ქმარ-ებ-ათ
წოდ.	ქმარ-ო	ქმარ-ებ-ო
სახ.	საჭმელ-ი	საჭმელ-ებ-ი
მოთხ.	საჭმელ-მა	საჭმელ-ებ-მა
მიც.	საჭმელ-ს	საჭმელ-ებ-ს
ნათ.	საჭმელ-ის საჭმლ-ის(იშვიათად)	საჭმელ-ებ-ის
მოქ.	საჭმელ-ით საჭმლ-ით (იშვიათად)	საჭმელ-ებ-ით
ვით.	საჭმელ-ათ	საჭმელ-ებ-ათ
წოდ.	საჭმელ-ო	საჭმელ-ებ-ო
სახ.	ჩაჩან-ი	ჩაჩნ-ებ-ი

მოთხ.	ჩაჩან-მა	ჩაჩნ-ებ-მა
მიც.	ჩაჩან-ს	ჩაჩნ-ებ-ს
ნათ.	ჩაჩან-ის ჩაჩნ-ის	ჩაჩნ-ებ-ის
მოქ.	ჩაჩან-ით ჩაჩნ-ით	ჩაჩნ-ებ-ით
ვით.	ჩაჩან-ათ ჩაჩნ-ათ/დ	ჩაჩნ-ებ-ათ
წოდ.	ჩაჩან-ო	ჩაჩნ-ებ-ო
სახ.	ნიგოზ-ი	ნიგოზ-ებ-ი//ნიგვზ-ებ-ი
მოთხ.	ნიგოზ-მა	ნიგოზ-ებ-მა//ნიგვზ-ებ-მა
მიც.	ნიგოზ-ს	ნიგოზ-ებ-ს//ნიგვზ-ებ-ს
ნათ.	ნიგოზ-ის	ნიგოზ-ებ-ის//ნიგვზ-ებ-ის
მოქ.	ნიგოზ-ით	ნიგოზ-ებ-ით//ნიგვზ-ებ-ით
ვით.	ნიგოზ-ათ	ნიგოზ-ებ-ათ//ნიგვზ-ებ-ათ
წოდ.	ნიგოზ-ო	ნიგოზ-ებ-ო//ნიგვზ-ებ-ო

საზოგადო სახელი ბოლომზონიანი

ფუძეუკვეცილი სახელები				
სახ.	ხფო-ი	ხფო-ებ-ი	ბუ-ი	ბუ-ებ-ი
მოთხ.	ხფო-მა	ხფო-ებ-მა	ბუ-მა	ბუ-ებ-მა
მიც.	ხფო-ს	ხფო-ებ-ს	ბუ-ს	ბუ-ებ-ს
ნათ.	ხფო-ის	ხფო-ებ-ის	ბუ-ის	ბუ-ებ-ის
მოქ.	ხფო-ით	ხფო-ებ-ით	ბუ-ით	ბუ-ებ-ით
ვით.	ხფო-თ	ხფო-ებ-ათ	ბუ-ათ	ბუ-ებ-ათ
წოდ.	ხფო	ხფო-ებ-ო	ბუ-ო	ბუ-ებ-ო
ფუძეკვეცადები (რომლებიც გურულში მხოლოდითში არ იკვეცებიან)				
სახ.	ძმა-ი	ძმ-ებ-ი ძმანებ-ი	რძე-ი	
მოთხ.	ძმა-მა	ძმ-ებ-მა	რძე-მა	
მიც.	ძმა-ს	ძმ-ებ-ს	რძე-ს	
ნათ.	ძმა-ის	ძმ-ებ-ის	რძე-ის	
მოქ.	ძმა-ით	ძმ-ებ-ით	რძე-ით	
ვით.	ძმა-თ	ძმ-ებ-ათ	რძე-თ	
წოდ.	ძმა-ო ძამა	ძმ-ებ-ო	რძე-ო	

ორ- და მეტმარცვლიანები სახ-ში ი-ს არ დაირთავენ				
სახ.	ღელე	ღელე-ები	კიბე	კიბე-ები
მოთხ.	ღელე-მ	ღელე-ებ-მა	კიბე-მ	კიბე-ებ-მა
მიც.	ღელე-ს	ღელე-ებ-ს	კიბე-ს	კიბე-ებ-ს
ნათ.	ღელე-ის	ღელე-ებ-ის	კიბე-ის	კიბე-ებ-ის
მოქ.	ღელე-ით	ღელე-ებ-ით	კიბე-ით	კიბე-ებ-ით
ვით.	ღელე-თ	ღელე-ებ-ათ	კიბე-თ	კიბე-ებ-ათ
წოდ.	ღელე	ღელე-ებ-ო	კიბე	კიბე-ებ-ო

ორ- და მეტმარცვლიანები, რომლებშიც -ა მქონებლობის ან კნინობითობის სუფიქსია

ქვემო გურულში სახელები დაირთავენ ი სუფიქსს სახელობითში				
სახ.	ბალანა-ი	ბალანა-ები	ციცა-ი	ციც-ები-ი ციცა-ები-ი
მოთხ.	ბალანა-მ ბალანა-იმ	ბალანა-ებ-მა	ციცა-მ ციცა-იმ	ციც-ებ-მა
მიც.	ბალანა-ს	ბალანა-ებ-ს	ციცა-ს	ციც-ებ-ს
ნათ.	ბალანა-ის	ბალანა-ებ-ის	ციცა-ის	ციც-ებ-ის
მოქ.	ბალანა-ით	ბალანა-ებ-ით	ციცა-ით	ციც-ებ-ით
ვით.	ბალანა-თ	ბალანა-ებ-ათ	ციცა-თ	ციც-ებ-ათ
წოდ.	ბალანა	ბალანა-ებ-ო	ციცა ცა	ციც-ებ-ო

ზემო გურულში ი-ს ენაცვლება ე სუფიქსი

სახ.	ბალანე	ბალანე-ები	ნაფოტე	ნაფოტე-ები
მოთხ.	ბალანა-მ ე-მ	ბალანე-ებ-მა	ნაფოტა-მ	ნაფოტე-ებ-მა
მიც.	ბალანა-ს	ბალანე-ებ-ს	ნაფოტა-ს	ნაფოტე-ებ-ს
ნათ.	ბალანე-ს	ბალანე-ებ-ის	ნაფოტე-ს	ნაფოტე-ებ-ის
მოქ.	ბალანე-თ	ბალანე-ებ-ით	ნაფოტე-თ	ნაფოტე-ებ-ით
ვით.	ბალან-ათ	ბალანე-ებ-ათ	ნაფოტ-ათ	ნაფოტე-ებ-ათ
წოდ.	ბალანა	ბალანე-ებ-ო	ნაფოტა	ნაფოტე-ებ-ო

ია-ზე დაბოლოებული სახელები

	ზემო გურულისათვის	ქვემო გურულისათვის	მრ. რ.
სახ.	ნათლიე	ნათლია-ი	ნათლი-ები-ი ნათლიან-ები-ი
მოთხ.	ნათლიე-მ	ნათლია-მ	ნათლი-ებ-მა
მიც.	ნათლიე-ს	ნათლია-ს	ნათლი-ებ-ს
ნათ.	ნათლი-ის	ნათლია-ის	ნათლი-ებ-ის

მოქ. ვით. წოდ.	ნათლი-ით ნათლია-თ ადა ნათლია	ნათლია-ით ნათლია-თ ნათლია	ნათლი-ებ-ით ნათლი-ებ-ათ ნათლი-ებ-ო
სახ. მოთხ. მიც. ნათ. მოქ. ვით. წოდ.	ლობი-ე ლობია-ი ლობია-მ ლობიე-მ ლობიაი-მ ლობია-ს ლობიე-ს ლობია-ის ლობიე-თ ლობია-ით ლობია-თ ლობია		
საკუთარი სახელები, ხმოვანფუძიანები ქვემო გურული			
სახ. მოთხ. მიც. ნათ. მოქ. ვით. წოდ.	გაბილა-ი გაბილა-მ გაბილაი-მ გაბილა-ს გაბილა-ის გაბილა-ით გაბილა-თ გაბილა	თამარა-ი თამარა-მ თამარაი-მ თამარა-ს თამარა-ის თამარა-ით თამარა-თ/დ თამარა	
ზემო გურული			
სახ. მოთხ. მიც. ნათ. მოქ. ვით. წოდ.	გაბილე გაბილა-მ გაბილე-მ გაბილა-ს გაბილე-ს გაბილე-თ გაბილა-თ გაბილე	თამარე თამარა-მ თამარე-მ თამარა-ს თამარე-ს თამარე-თ თამარა-თ თამარე	
ზემო გურული			
სახ. მოთხ. მიც. ნათ. მოქ. ვით. წოდ.	პავლია პავლიე პავლია-მ პავლიე-მ პავლია-ს პავლიე-ს პავლიე-თ პავლია-თ პავლია	დომენტიე დომენტია-მ დომენტიე-მ დომენტია-ს დომენტიე-ს დომენტიე-თ დომენტი-ათ დომენტია	

ქვემო გურული		
სახ.	პავლია-ი	დომენტა-ი
მოთხ.	პავლია-მ პავლიაი-მ	დომენტა-მ დომენტაი-მ
მიც.	პავლია-ს	დომენტა-ს
ნათ.	პავლია-ის	დომენტა-ის
მოქ.	პავლია-ით	დომენტა-ით
ვით.	პავლია-თ	დომენტა-თ
წოდ.	პავლია	დომენტაი
თანხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები		
სახ.	გაბრიელ-ი	სამსონ-ი სამსონა-ი
მოთხ.	გაბრიელ-მა	სამსონ-მა სამსონი-მ
მიც.	გაბრიელ-ს	სამსონ-ს
ნათ.	გაბრიელ-ის	სამსონ-ის
მოქ.	გაბრიელ-ით	სამსონ-ით
ვით.	გაბრიელ-ათ/დ	სამსონ-ათ/დ
წოდ.	გაბრიელ	სამსონ
სახ.	ეთერ-ი	ამირან-ი
მოთხ.	ეთერ-მა ეთერი-მ	ამირან-მა ამირანი-მ
მიც.	ეთერ-ს	ამირან-ს
ნათ.	ეთერ-ის	ამირან-ის
მოქ.	ეთერ-ით	ამირან-ით
ვით.	ეთერ-ათ/დ	ამირან-ათ/დ
წოდ.	ეთერი	ამირან

ზმნის უღლება

მოქმედებითი გვარი I სერია		
აწ.- მე.	(გა)ვ-რეცხ-ავ (გა)რეცხ-ავ (გა)რეცხ-ს	(გა)ვ-რეცხ-ავ-თ (გა)რეცხ-ავ-თ (გა)რეცხ-ენ
უწ.- ხოდ.	(გა)ვ-რეცხავდი (გა)რეცხავდი (გა)რეცხდი (გა)რეცხავდი-ა (გა)რეცხდი	(გა)ვ-რეცხავდი-თ (გა)რეცხავდი-თ (გა)რეცხდი-თ (გა)რეცხავდი-ენ (გა)რეცხდი-ენ
I კავ.	(გა)ვ-რეცხავდე (გა)რეცხავდე (გა)რეცხდე-ს	(გა)ვ-რეცხავდე-თ (გა)რეცხავდე-თ (გა)რეცხდე-ენ

II სერია		
წვ.	გა-ვ-რეცხე ვ-რეცხე გა-რეცხე რეცხე გა-რეცხ-ა რეცხ-ა	გა-ვ-რეცხე-თ ვრეცხე-თ გა-რეცხე-თ რეცხე-თ გა-რეცხ/რეცხ-ენ ეს
II კავ.	გა-ვ-რეცხ-ო ვ-რეცხ-ო გა-რეცხო რეცხო გა-რეცხო-ს რეცხო-ს	გა-ვ-რეცხო-თ ვ-რეცხო-თ გა-რეცხო-თ რეცხო-თ გა-რეცხო-ნ რეცხო-ნ
III სერია		
I თურ.	გა-მ-ირეცხია მ-ირეცხია გა-გ-ირეცხია გირეცხია გო-ურეცხი-ა გუ-ურეცხი-ა	გა-გვ-ირეცხია გა-გ-ირეცხია-თ გოურეცხი-ენ გუურეცხი-ენ თ
II თურ.	გა-მერეცხა მ-ერეცხა გა-გერეცხა გ-ერეცხა გეერეცხ-ა ერეცხ-ა	გა-გვ-ერეცხა გა-გ-ერეცხა-თ გეერეცხ-ენ ათ
III კავ.	გა-მ-ერეცხოს მ-ერეცხოს გა-გ-ერეცხოს გ-ერეცხოს გეერეცხოს ერეცხოს	გა-გვ-ერეცხოს გა-გ-ერეცხოთ გეერეცხო-ნ
I სერია		
აწ.- მე.	(შე)ვ-ჭამ (შე)ჭამ (შე)ჭამ-ს	(შე)ვ-ჭამ-თ (შე)ჭამ-თ (შე)ჭამებ-ენ
უწ.- ხოლ.	(შე)ვ-ჭამდი (შე)სჭამდი (შე)ჭამდა	(შე)ვ-ჭამდი-თ (შე)სჭამდი-თ (შე)ჭამდი-ენ -ნენ
I კავ.	(შე)ვ-ჭამდე (შე)ჭამდე (შე)ჭამდე-ს	(შე)ვ-ჭამდე-თ (შე)ჭამდე-თ (შე)ჭამდე-ს-ენ
II სერია		
წვ.	შე-ვ-ჭამე ვ-ჭამე შე-ჭამე ჭამე შე-ჭამა ჭამა	შე-ვ-ჭამე-თ ვ-ჭამე-თ შე-ჭამე-თ ჭამე-თ შე-ჭამ-/ჭამ-ენ ეს
II კავ.	შე-ვ-ჭამო ვჭამო შე-ჭამო ჭამო შე-ჭამო-ს ჭამო-ს	შე-ვ-ჭამო-თ ვჭამო-თ შე-ჭამო-თ ჭამო-თ შე-ჭამო-ნ ჭამო-ნ
III სერია		
I თურ.	შე-მ-იჭამია მიჭამია შე-გ-იჭამია შოუჭამია შუუჭამია	შე-გვ-იჭამია შე-გიჭამიათ შუუჭამი-ენ

II თურ.	შე-მ-ეჭამა მეჭამა შე-გ-ეჭამა შეეჭამა	შე-გვ-ეჭამა შე-გ-ეჭამა-თ შეეჭამა-თ
III კავ.	შე-მეჭამოს მ-ეჭამის შე-გ-ეჭამოს შე-ეჭამო-ს	შე-გვეჭამოს შე-გ-ეჭამო-თ შე-ეჭამო-ნ
I სერია		
აწ.- მე.	(შე)ვ-აჭმევ (შე)აჭმევ (შე)აჭუმ-ს	(შე)ვ-აჭმევ-თ (შე)აჭმევ-თ (შე)აჭუმ-ენ
უწ.- ნოლ.	(შე)ვ-აჭმევდი (შე)აჭმევდი (შე)აჭუმდა	(შე)ვ-აჭმევდი-თ (შე)აჭმევდი-თ (შე)აჭუმდ-ენ ნენ
II სერია		
წე.	ვ-აჭამე აჭამე აჭამა	ვ-აჭამე-თ აჭამე-თ აჭამ-ენ ეს
II კავ.	ვ-აჭამო აჭამო აჭამო-ს	ვ-აჭამო-თ აჭამო-თ აჭამო-ნ
III სერია		
I თურ.	მ-იჭმევია გ-იჭმევია უჭმევია	გვ-იჭმევია გ-იჭმევია-თ უჭმევია-თ
II თურ.	მ-ეჭმევია მ-ეჭმია გ-ეჭმევია ეჭმევია	გვ-ეჭმევია გ-ეჭმევია-თ ეჭმევია-თ
III კავ.	მ-ეჭმევით მ-ეჭმით გ-ეჭმევით ეჭმევით	გვ-ეჭმევით გ-ეჭმევით-თ ეჭმევით-ნ
I სერია		
აწ.	ვ-სროულოფ სროულოფ სროულოფ-ს	ვ-სროულოფ-თ სროულოფ-თ სროულოფ-ენ
უწ.	ვ-სროულოფდი სროულოფდი სროულოფდ-ა	ვ-სროულოფდი-თ სროულოფდი-თ სროულოფდ-ენ ნენ

აწ. კავ.	ვ-სროულოფდე სროულოფდე სროულოფდ-ეს	ვ-სროულოფდე-თ სროულოფდე-თ სროულოფდ-ენ
მე.	ვ-ისროლევ ისროლევ ისროლევ-ს	ვ-ისროლევ-თ ისროლევ-თ ისროლევ-ენ
I ხოლ.	ვ-ისროლევ/ბთი ისროლევ/დთი ისროლევდ-ა	ვ-ისროლევ/ბთი-თ ისროლევ/დთი-თ ისროლევდ-ენ
მე. კავ.	ვ-ისროლებდე ისროლებდე ისროლებდე-ს	ვ-ისროლებდე-თ ისროლებდე-თ ისროლებდ-ენ ნენ
II სერია		
წე.	ვ-ისროლე გევისროლე ისროლე გეისროლე ისროლა გეისროლა	ვ-ისროლე-თ გევისროლე-თ ისროლე-თ გეისროლე-თ ისროლ/გეისროლ-ენ ეს
II კავ.	ვ-ისროლო გევისროლო ისროლო გეისროლო ისროლო-ს გ-ეისროლოს	ვისროლო-თ გევისროლო-თ ისროლო გეისროლო-თ ისროლო-ნ გეისროლო-ნ
III სერია		
I თურ.	მ-ისროლია გ-ამისროლია გ-ისროლია გ-ავისროლია უსროლია გ-უუსროლია	გვ-ისროლია გ-ისროლია-თ უსროლია-თ
II თურ.	მესროლა გამესროლა გ-ესროლა გაგესროლა ესროლა გეესროლა	გვესროლა გ-ესროლა-თ ესროლა-თ
III კავ.	მ-ესროლის გამესროლის გ-ესროლის გაგესროლის ესროლის გეესროლის	გვ-ესროლის გ-ესროლი-თ ესროლი-ნ
I სერია		
აწ.- მე.	(და-)ვ-მაღავ (და-)მაღავ (და-)მაღავ-ს	(და-)ვ-მაღავ-თ (და-)მაღავ-თ (და-)მაღავ-ენ
უწ.- ხოლ.	(და-)ვ-მაღვიდი (და-)მაღვიდი (და-)მაღვიდ-ა	(და-)ვ-მაღვიდი-თ (და-)მაღვიდი-თ (და-)მაღვიდ-ენ

I კავ.	(ვ-მალავდე (და-)მალავდე (და-)მალავდე-ს	(და-)ვმალავდე-თ (და-)მალავდე-თ (და-)მალავდე-ნ -ნენ
II სერია		
წვ.	და-ვ-მალე დამალე დამალ-ა	და-ვ-მალე-თ და-მალე-თ და-მალ-ენ -ეს
II კავ.	და-ვ-მალო და-მალო და-მალო-ს	და-ვ-მალო-თ და-მალო-თ და-მალო-ნ
III სერია		
I თურ.	და-მიმალია და-გიმალია დო-უ-მალია დუუმალია	და-გვ-იმალია და-გიმალია-თ დოუმალი-ენ -ათ
II თურ.	და-მემალა და-გემალა დაემალ-ა დეემალა	და-გვ-ემალა და-გემალა-თ დაემალა-თ დეემალა-თ
III კავ.	და-მემალოს და-გემალოს დეემალო-ს	დაგვემალოს დაგემალო-თ დეემალო-ნ
ვნებითი გვარის ზმნები		
I სერია		
აწ.- მე.	(და დე)ვ-იმალებ-ი (და დე)იმალები (და დე)იმალებ-ა	(და დე)ვ-იმალებ-ი-თ (და დე)იმალები-თ (და დე)იმალებ-ა-ნ
უწ.- ნოლ.	(და დე)ვ-იმალებოდი (და დე)იმალებოდი (და დე)იმალებოდ-ა	(და დე)ვ-იმალებოდი-თ (და დე)იმალებოდი-თ (და დე)იმალებოდ-ენ ნენ
I კავ.	(და დე)ვ-იმალებოდე (და დე)იმალებოდე (და დე)იმალებოდე-ს	(და დე)ვ-იმალებოდე-თ (და დე)იმალებოდე-თ (და დე)იმალებოდ-ენ
II სერია		
წვ.	და დე-ვ-იმალე და დე-იმალე და დეიმალ-ა	და დე-ვ-იმალე-თ და დე-იმალე-თ და დეიმალ-ენ

II კავ.	და დე-ვიმალო და დევიმალო და დევიმალო-ს	და დე-ვიმალო-თ და დევიმალო-თ და-იმალო-ნ
III სერია		
I თურ.	და-ვ-მალულვარ და-მალულხარ და-მალულა	და-ვ-მალულვარ-თ და-მალულხარ-თ და-მალულენ დამალულარი-ენ
II თურ.	და-ვ-მალულიყავი და-მალულიყავი და-მალულიყო	და-ვ-მალულიყავი-თ და-მალულიყავი-თ და-მალულიყ-ენ ნენ
III კავ.	და-ვ-მალულიყო და-მალულიყო და-მალულიყოს	და-ვ-მალულიყო-თ და-მალულიყო-თ და-მალულიყო-ნ
I სერია		
აწ.- მე.	(და-)ვ-ბერდები (და-)ბერდები (და-)ბერდებ-ა	(და-)ვ-ბერდები-თ (და-)ბერდები-თ (და-)ბერდები-ან
უწ.- ნოლ.	(და-)ვ-ბერდებოდი (და-)ბერდებოდი (და-)ბერდებოდ-ა	(და-)ვ-ბერდებოდი-თ (და-)ბერდებოდი-თ (და-)ბერდებოდ-ენ ნენ
I კავ.	(და-)ვ-ბერდებოდე (და-)ბერდებოდე (და-)ბერდებოდე-ს	(და-)ვ-ბერდებოდე-თ (და-)ბერდებოდე-თ (და-)ბერდებოდ-ენ
II სერია		
წე.	და-ვ-ბერდი და-ბერდი და-ბერდ-ა	და-ვ-ბერდი-თ და-ბერდი-თ და-ბერდ-ენ
II კავ.	და-ვ-ბერდე და-ბერდე და-ბერდე-ს	და-ვ-ბერდე-თ და-ბერდე-თ და-ბერდეს-ენ
III სერია		
I თურ.	და-ვ-ბერებულვარ და-ბერებულხარ და-ბერებულა	და-ვ-ბერებულვარ-თ და-ბერებულხარ-თ და-ბერებულარიენ
II თურ.	და-ვ-ბერებულიყავი და-ბერებულიყავი და-ბერებულიყო	და-ვ-ბერებულიყავი-თ და-ბერებულიყავი-თ და-ბერებულიყ-ენ ნენ

III კავ.	და-ვ-ბერებულიყო და-ბერებულიყო და-ბერებულიყო-ს	და-ვ-ბერებულიყო-თ და-ბერებულიყო-თ და-ბერებულიყო-ნ
I სერია		
აწ.- მე.	(გა-)ვ-გვებ-ი (გა-)გვები (გა-)გვებ-ა	(გა-)ვ-გვებ-ი-თ (გა-)გვები-თ (გა-)გვები-ან
უწ.- ნოლ.	(გა-)ვ-გვებოდი (გა-)გვებოდი (გა-)გვებოდა	(გა-)ვ-გვებოდი-თ (გა-)გვებოდი-თ (გა-)გვებოდა-ენ ნენ
I კავ.	(გა-)ვ-გვებოდე (გა-)გვებოდე (გა-)გვებოდე-ს	(გა-)ვ-გვებოდე-თ (გა-)გვებოდე-თ (გა-)გვებოდე-ნ
II სერია		
წე.	გა-ვ-გვი-ი გა-გვი გა-გვი-ა	გა-ვ-გვი-თ გა-გვი-თ გა-გვი-ენ ნენ
II კავ.	გა-ვ-გვი-ე გა-გვი-ე გა-გვი-ეს	გა-ვ-გვი-ე-თ გა-გვი-ე-თ გა-გვი-ენ
III სერია		
I თურ.	გა-მ-გვალ-ვარ გა-მ-გვალ-ხარ გა-მ-გვალ-ა	გა-მ-გვალვარ-თ გა-მ-გვალხარ-თ გა-მ-გვალან გა-მ-გვალარი-ენ
II თურ.	გა-ვ-მგვალიყავი გა-მ-გვალიყავი გამგვალიყო	გა-ვ-მგვალიყავი-თ გა-მ-გვალიყავი-თ გა-მ-გვალიყ-ენ ნენ
III კავ.	გა-ვ-მგვალიყო გა-მ-გვალიყო გა-მ-გვალიყო-ს	გა-ვ-მგვალიყო-თ გა-მ-გვალიყო-თ გა-მ-გვალიყო-ნ
საშუალო გვარი		
I სერია		
აწ.	ვ-ტრუალ-ოფ ვტრიალოფ ტრუალ-ოფ ტრუალოფ-ს	ვ-ტრუალოფ-თ ვ-ტრიალოფ-თ ტრუალოფ-თ ტრუალოფ-ენ
უწ.	ვ-ტრუალ-ოფ-დი ვ-ტრიალ-ობდი ტრუალოფდი ტრუალოფდა	ვ-ტრუალოფდი-თ ვ-ტრიალოფდი-თ ტრუალოფდი-თ ტრუალოფდა-ენ ნენ

აწ. კავ.	ვ-ტრულოფდე ვ-ტრიალობდე ტრულოფდე ტრულოფდე-ს	ვ-ტრულოფდე-თ ვტრიალობდე-თ ტრულოფდე-თ ტრულოფდე-ენ
მე.	ვ-იტრუალეფ ვიტრიალებ/ფ იტრუალეფ იტრუალეფ-ს	ვ-იტრუალეფ-თ იტრუალეფ-თ იტრუალეფ-ენ
I ხოლ.	ვ-იტრუალეფდი ვიტრიალებდი იტრუალეფდი იტრუალეფდე-ა	ვ-იტრუალეფდი-თ იტრუალეფდი-თ იტრუალეფდე-ენ ნენ
მე. კავ.	ვ-იტრუალეფდე ვიტრიალებდე იტრუალეფდე იტრუალეფდე-ს	ვ-იტრუალეფდე-თ იტრუალეფდე-თ იტრუალეფდე-ენ
II სერია		
წე.	ვ-იტრუალე ვიტრიალე იტრუალე იტრუალ-ა	ვ-იტრუალე-თ ვიტრიალე-თ იტრუალე-თ იტრუალ-ენ
II კავ.	ვ-იტრუალო იტრუალო იტრუალო-ს	ვ-იტრუალო-თ იტრუალო-თ იტრუალო-ნ
III სერია		
I თურ ·	მი-ტრუალეებია მი-ტრიალებია გი-ტრიალებია უ-ტრიალებია	გვ-იტრიალებია გი-ტრიალებია-თ უ-ტრიალებია-ენ თ
II თურ ·	მე-ტრუალ-ებ-ია მე-ტრიალ-ებ-ია გ-ეტრუალეებია ეტრუალეებია	გვ-ეტრუალ-ებ-ია გეტრუალეებია-თ ეტრუალეებია-ენ თ
III კავ.	მე-ტრუალეებია მე-ტრიალებია გე-ტრუალეებია-ს ეტრუალეებია-ს	გვ-ეტრუალეებია-ს გ-ეტრუალეებია-თ ეტრუალეებია-ნ
I სერია		
აწ.	ვ-ფიქრ-ავ ფიქრ-ავ ფიქრავ-ს	ვ-ფიქრ-ავ-თ ფიქრ-ავ-თ ფიქრავ-ენ
უწ.	ვ-ფიქრ-ავ-დი ფიქრ-ავ-დი ფიქრ-ავ-და	ვ-ფიქრ-ავ-დი-თ ფიქრ-ავ-დი-თ ფიქრ-ავ-დე-ენ ნენ
აწ. კავ.	ვ-ფიქრ-ავ-დე ფიქრ-ავ-დე ფიქრ-ავ-დე-ს	ვ-ფიქრავდე-თ ფიქრ-ავ-დე-თ ფიქრავდე-ენ

მე.	ვ-იფიქრ-ავ ვიფიქრ-ევ/ზ იფიქრ-ავ იფიქრ-ავ-ს	ვიფიქრავ-თ ვიფიქრევ/ზ-თ იფიქრ-ავ-თ იფიქრ-ავ-ენ
I სლ.	ვ-იფიქრ-ავ-დი ვიფიქრეფთი იფიქრ-ავ-დი იფიქრ-ავ-და	ვ-იფიქრ-ავ-დი-თ ვიფიქრეფთი-თ იფიქრ-ავ-დი-თ იფიქრავდ-ენ -ნენ
მე. კავ.	ვ-იფიქრ-ავ-დღე ვიფიქრებდღე იფიქრ-ავ-დღე იფიქრ-ავ-დღე-ს	ვ-იფიქრავდღე-თ ვიფიქრებდღე-თ იფიქრავდღე-თ იფიქრავდღე-ენ
II სერია		
წე.	ვ-იფიქრე იფიქრე იფიქრ-ა	ვიფიქრე-თ იფიქრე-თ იფიქრ-ენ -ეს
II კავ.	ვ-იფიქრო იფიქრო იფიქრო-ს	-თ -თ -ნ
III სერია		
I თურ.	მ-იფიქრია გ-იფიქრია უფიქრია	გვ-იფიქრია გ-იფიქრია-თ უფიქრი-ენ -თ
II თურ.	მეფიქრა გეფიქრა ეფიქრა	გვ-ეფიქრა გეფიქრა-თ ეფიქრ-ენ -თ
III კავ.	მ-ეფიქროს გ-ეფიქროს ეფიქრო-ს	გვ-ეფიქროს გ-ეფიქრო-თ ეფიქრო-ნ
I სერია		
აწ.	ვ-იარები იარები იარებ-ა	ვიარები-თ იარები-თ იარები-ან -ენ
უწ.	ვ-იარებოდი იარებოდი იარებოდა	ვიარებოდი-თ იარებოდი-თ იარებოდ-ენ -ენ
აწ. კავ.	ვ-იარებოდე იარებოდე იარებოდე-ს	ვიარებოდე-თ იარებოდე-თ იარებოდ-ენ
მე.	ვ-ივლი ივლი ივლი-ს	ვივლი-თ ივლი-თ ივლი-ან -ენ

I სოლ.	ვ-ივლიდი ივლიდი ივლიდა	ვ-ივლიდი-თ ივლიდი-თ ივლიდ-ენ -ენ
მე. კავ.	ვ-ივლიდე ივლიდე ივლიდე-ს	ვ-ივლიდე-თ ივლიდე-თ ივლიდ-ენ
II სერია		
წე.	ვიარე იარე იარ-ა	ვიარე-თ იარე-თ იარ-ეს -ენ
II კავ.	ვ-იარო იარო იარო-ს	ვ-იარო-თ იარო-თ იარო-ნ
III სერია		
I თურ.	მ-იარია გ-იარია უარია	გვ-იარია გიარია-თ უარი-ენ უარია-თ
II თურ.	მ-ეარა გ-ეარა ეარა	გვ-ეარა გეარა-თ ეარ-ენ ეარათ
III კავ.	მ-ეაროს გ-ეაროს ეარო-ს	გვ-ეაროს გ-ეარო-თ ეარო -ნ -თ
I სერია		
აწ.	მი-მ-ყავს მი-გ-ყავს მი-ჭ-ხ-ავს მი-ყავ-ს	მი-გვ-ყავს მი-გ-ყავთ მი-ჭ-ხ-ავთ მი-ყავ-თ
უწ.	მი-მ-ყავდა მი-გ-ყავდა მი-ჭ-ხავდა-ა	მი-გვ-ყავდა მი-გ-ყავდა-თ მი-ჭ-ხავდათ
აწ. კავ.	მი-მ-ყავდეს მი-გ-ყავდეს მი-ჭ-ყავდეს	მი-გვ-ყავდეს მი-გ-ყავდეთ მი-ჭ-ყავდენ
მე.	წა წე-ვ-იყვან წა წე-იყვან წა წე-იყვან-ს	წა წე-ვ-იყვან-თ წა წე-იყვან-თ წა წე-იყვანებ-ენ

I ხოლ.	წა წე-ვ-იყვანდი წა წე-იყვანდი წა წე-იყვანდ-ა	წა წე-ვ-იყვანდი-თ წა წე-იყვანდი-თ -ენ -ნენ
მე. კავ.	წა წე-ვ-იყვანდე წა წე-იყვანდე წა წე-იყვანდე-ს	წა წე-ვ-იყვანდე-თ წა წე-იყვანდე-თ წა წე-იყვანდე-ს-ენ
II სერია		
წყ.	წა წე-ვ-იყვანე წა წე-იყვანე წა წე-იყვან-ა	წა წე-ვ-იყვანე-თ წა წე-იყვანე-თ წა წე-იყვან-ეს -ენ
II კავ.	წა წე-ვიყვანო წა წე-იყვანო წა წე-იყვანო-ს	წა წე-ვიყვანო-თ წა წე-იყვანო-თ წა წე-იყვანო -ნ
III სერია		
I თურ.	წა-მ-იყვანია წა-გ-იყვანია წო-უყვანია წუუყვანია	წა-გვ-იყვანია წა-გ-იყვანია-თ წუუყვანი-ენ
II თურ.	წა-მეყვანა წა-გ-ეყვანა წეეყვანა	წა-გვ-ეყვანა წა-გ-ეყვანა-თ წეეყვანა-თ
III კავ.	წა-მეყვანოს წა-გ-ეყვანოს წეეყვანოს	წა-გვ-ეყვანოს წა-გ-ეყვანო-თ წეეყვანო-ნ
I სერია		
აწ.	ვ-ჟღანვარ ჟღანხარ ჟღან-ა	ვ-ჟღანვარ-თ ჟღანხარ-თ ჟღანარი-ენ ჟილარი-ენ
უწ.	---	
აწ. კავ.	---	
მე.	ვ-იჟღებ ვ-იჯღებ-ი იჟღები იჟღებ-ა	ვ-იჟღები-თ ვ-იჯღები-თ იჟღები-თ იჟღები-ან -ენ
I ხოლ.	ვ-იჟღებოდი ვიჯღებოდი იჟღებოდი იჟღებოდ-ა	ვ-იჟღებოდი-თ ვიჯღებოდი-თ იჟღებოდი-თ იჟღებოდ-ენ -ნენ

მე. კავ.	ვ-იჟდებოდე ვ-იჯდებოდე იჟდებოდე იჟდებოდე-ს	ვ-იჟდებოდე-თ ვ-იჯდებოდე-თ იჟდებოდე-თ იჟდებოდე-ენ
II სერია		
წე.	ვ-იჟექი ვ-იჯექი იჟექი იჟდა	ვ-იჟექი-თ ვ-იჯექი-თ იჟექი-თ იჟდ-ენ -ნენ
II კავ.	ვ-იჟდე იჟდე იჟდე-ს	ვ-იჟდე-თ იჟდე-თ იჟდ-ენ
III სერია		
I თურ.	ვ-მჟდანვარ მჯდანვარ მჟდანხარ მჟდარა	ვ-მჟდანვარ-თ მჯდანვარ-თ მჟდანხარ-თ მჟდარ-ან მჟდალარი-ენ
II თურ.	ვ-ჟდომილვარ ჟდომ-ილ-ხარ ჟდომილ-ა	ვ-ჟდომილვარ-თ ჟდომ-ილ-ხარ-თ ჟდომილ -ან -ენ
	ვ-მჟდარიყავი ვ- მჯდარიყავი მჟდარიყავი მჟდარიყო	ვ-მჟდარიყავი-თ მჯდარიყავი-თ მჟდარიყავი-თ მჟდარიყენ
	ვ-ჟდომ-ილიყავი ჟდომ-ილიყავი ჟდომ-ილიყო	ვ-ჟდომ-ილიყავი-თ ჟდომ-ილიყავი-თ ჟდომ-ილიყო-ნ
III კავ.	ვ-მჟდარიყო მჯდარიყო მჟდარიყო მჟდარიყოს	ვ-მჟდარიყო-თ მჯდარიყო-თ მჟდარიყო-თ მჟდარიყო-ნ
	ვ-ჟდომ-ილ-იყო ჟდომ-ილ-იყო ჟდომ-ილ-იყო-ს	ვ-ჟდომ-ილ-იყო-თ ჟდომ-ილ-იყო-თ ჟდომ-ილ-იყო -ნ
სტატისკურ ზმნათა პარადიგმა გურულში		
I სერია		
აწ.	ვ-ჟდან-ვარ ჟდან-ხარ ჟდან-ა	ვ-ჟდან-ვარ-თ ჟდან-ხარ-თ ჟდანარი-ენ ჟილარი-ენ

უწ.	---	
აწ.	---	
კავ.		
მე.	ვ-იყდები იყდები იყდება	ვ-იყდები-თ იყდები-თ იყდები-ან -ენ
I ხოლ.	ვ-იყდებოდი იყდებოდი იყდებოდ-ა	ვ-იყდებოდი-თ იყდებოდი-თ იყდებოდ-ენ -ნენ
მე. კავ.	ვ-იყდებოდე იყდებოდე იყდებოდე-ს	ვ-იყდებოდე-თ იყდებოდე-თ იყდებოდ-ენ
II სერია		
წე.	ვ-იყექი ვ-იყექი იყექი იყლ-ა	ვ-იყექი-თ ვ-იყექი-თ იყექი-თ იყლ -ენ -ნენ
II კავ.	ვ-იყდე იყდე იყდეს	ვ-იყდე-თ იყდე-თ იყდ-ენ
III სერია		
I თურ.	ვ-ყდომილ-ვარ ვ-მყდან-ვარ მყდანვარ მყდან-ხარ მყდარ-ა	ვ-მყდან-ვარ-თ მყდანვარ-თ მყდან-ხარ-თ მყდარ-ან მყდალარიენ
II თურ.	ვ-ყდომილყავი ვ-მყდარიყავი ვ-მყდარიყავი მყდარიყავი მყდარიყ-ო	ვ-მყდარიყავი-თ ვ-მყდარიყავი-თ მყდარიყავი-თ მყდარიყ-ენ
III კავ.	ვ-მყდარიყო მყდარიყო მყდარიყო-ს	ვ-მყდარიყო-თ მყდარიყო-თ მყდარიყო-ნ
I სერია		
აწ.	ვ-წე-ვარ ვ-წენ-ვარ წევ-ხარ წენ-ა	ვ-წე-ვარ-თ ვ-წენ-ვარ-თ წევ-ხარ-თ წენან წენარი-ენ

მე.	ვ-იწვები იწვები იწვება	ვ-იწვები-თ იწვები-თ იწვებ-ან -ენ
I ხოლ.	ვ-იწვებოდი იწვებოდი იწვებოდ-ა	ვ-იწვებოდი-თ იწვებოდი-თ იწვებოდ-ენ -ნენ
მე. კავ.	ვ-იწვებოდე იწვებოდე იწვებოდე-ს	ვ-იწვებოდე-თ იწვებოდე-თ იწვებოდ-ენ
II სერია		
წე.	ვიწექი იწექი იწე-ა	ვიწექი-თ იწექი-თ იწე-ენ -ნენ
II კავ.	ვ-იწვე იწვე იწვე-ს	ვ-იწვე-თ იწვე-თ იწვე-ენ
III სერია		
I თურ.	ვ-წოლილ-ვარ წოლილ-ხარ წოლილ-ა	ვ-წოლილ-ვარ-თ წოლილ-ხარ-თ -ან წოლილარიენ
II თურ.	ვ-წოლილიყავი წოლილიყავი წოლილიყო	ვ-წოლილიყავი-თ წოლილიყავი-თ წოლილიყო-ენ
III კავ.	ვ-წოლილიყო წოლილიყო წოლილიყო-ს	ვ-წოლილიყო-თ წოლილიყო-თ წოლილიყო-ნ
I სერია		
აწ.	ვ-დგა-ვარ ვ-დგან-ვარ დგა-ხარ დგან-ა	ვ-დგა-ვარ-თ ვ-დგან-ვარ-თ დგა-ხარ-თ დგან-ან დგანარი-ენ
უწ.	---	
აწ. კავ.	---	
მე.	ვ-იდგები იდგები იდგებ-ა	ვ-იდგები-თ იდგები-თ იდგები-ან -ენ

I ხოლ.	ვ-იღებოდი იღებოდი იღებოდ-ა	ვ-იღებოდი-თ იღებოდი-თ იღებოდ-ენ -ნენ
მე. კავ.	ვ-იღებოდე იღებოდე იღებოდე-ს	ვ-იღებოდე-თ იღებოდე-თ იღებოდ-ენ
II სერია		
წე.	ვ-იღეი იღეი იღ-ა	ვ-იღეი-თ იღეი-თ იღ -ენ -ნენ
II კავ.	ვ-იღგე იღგე იღგე-ს	ვ-იღგე-თ იღგე-თ იღგ-ენ
III სერია		
I თურ.	ვ-მღგა-ვარ ვ-დგომილ-ვარ მღგა-ხარ მღგარ-ა	ვ-მღგა-ვარ-თ ვ-დგომილ-ვარ-თ მღგა-ხარ-თ მღგარ-ან მღგანარი-ენ
II თურ.	ვ-მღგარიყავი მღგარიყავი მღგარიყ-ო	ვ-მღგარიყავი-თ მღგარიყავი-თ მღგარიყ-ენ
III კავ.	ვ-მღგარიყო მღგარიყო მღგარიყო-ს	ვ-მღგარიყო-თ მღგარიყო-თ მღგარიყო-ნ
I სერია		
აწ.	მიჭერია მ-იჭირ-ავ-ს გ-იჭერია უ-ჭერია	გვ-იჭირ-ია გ-იჭერია-თ უჭერი-ენ -ათ
მე.	მ-ეჭირ-ება გ-ეჭირ-ება ეჭირებ-ა	გვ-ეჭირებ-ა გ-ეჭირებ-ა-თ ეჭირებ-ა-თ
I ხოლ.	მ-ეჭირებოდა გ-ეჭირებოდა ეჭირებოდა	გვ-ეჭირებოდა-ა გ-ეჭირებოდა-თ ეჭირებოდ-ენ -ათ
მე. კავ.	მ-ეჭირებოდეს გ-ეჭირებოდეს ეჭირებოდეს	გვ-ეჭირებოდ-ეს გ-ეჭირებოდ-ე-თ ეჭირებოდ-ენ -ათ

II სერია		
წე.	მ-ეჭირა გ-ეჭირა ეჭირა	გვ-ეჭირ-ა გეჭირა-თ ეჭირ-ენ -ათ
II კავ.	მ-ეჭიროს გ-ეჭიროს ეჭირო-ს	გვ-ეჭირო-ს გეჭირო-თ ეჭირო-ნ -ათ
III სერია		
I თურ.	მ-ჭირებია მჭერია გ-ჭირებია ჭირებია	გვ-ჭირებია გვ-ჭერია-ია გჭირებია-თ ჭირები-ენ -ათ
II თურ.	მ-ჭირებოდა მჭეროდა გ-ჭირებოდა ჭირებოდა	გვ-ჭირებოდა გვ-ჭეროდა-ა გჭირებოდა-თ ჭირებოდა-ენ -თ
III კავ.	მ-ჭირებოდეს მ-ჭეროდეს გ-ჭირებოდეს გ-ჭეროდეს ჭირებოდეს ჭეროდეს-ს	გვ-ჭირებოდეს გვ-ჭეროდეს-ეს გ-ჭირებოდეს-თ გ-ჭეროდეს-თ ჭირებოდა/ჭეროდა-ენ -ათ
I სერია		
აწ.	მ-ახურ-ია მ-ახურ-ავ-ს გ-ა-ხურ-ია ა-ხურ-ია	გვ-ახურ-ია გ-ა-ხურ-ია-თ ა-ხურ-ენ -ათ
მე.	მ-ეხურება გ-ეხურება ე-ხურება	გვ-ეხურება-ა გეხურება-თ ე-ხურება-თ
I ხოდ.	მ-ეხურებოდა გ-ეხურებოდა ეხურებოდა	გვ-ეხურებოდა-ა გეხურებოდა-თ ეხურებოდა-თ
მე. კავ.	მ-ეხურებოდეს გ-ეხურებოდეს ეხურებოდეს	გვ-ეხურებოდეს-ეს გ-ეხურებოდეს-თ ეხურებოდეს-თ
II სერია		
წევ.	მ-ეხურა გ-ეხურა ეხურა	გვ-ეხურა გეხურა-თ ეხურა-თ ეხურ-ენ
II კავ.	მ-ეხუროს გ-ეხუროს ეხუროს	გვ-ეხურო-ს გეხურო-თ ეხურო-ნ

III სერია		
I თურ.	მ-ხურებ-ია გ-ხურებ-ია ხურებ-ია	გვ-ხურებ-ია გხურებ-ია-თ ხურებ-ენ -ათ
II თურ.	მ-ხურებოდ-ა გ-ხურებოდ-ა ხურებოდ-ა	გვ-ხურებოდ-ა გხურებოდ-ა-თ ხურებოდ-ენ -თ
III კავ.	მ-ხურებოდ-ეს გ-ხურებოდ-ეს ხურებოდ-ეს	გვ-ხურებოდ-ეს გხურებოდ-ეს-თ ხურებოდ-ენ -ათ

ძირითადი ლიტერატურა

- იმნაიშვილი გ.**, გურულისა და იმერულის ურთიერთმიმართების საკითხისათვის; ქესს, IV; თბ., 1974.
- იმნაიშვილი გ.**, ქართული ენის გურული დიალექტის ზოგიერთი თავისებური მოვლენის შესახებ; „მაცნე“ №6; თბ., 1966.
- ლექვაა ლ.**, შენიშვნები ზემო სურების მეტყველებაზე; იკე, XIV, თბ., 1964.
- ლომთათიძე ქ.**, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში. თსუ შრომები, VI, თბილისი 1938.
- მეგრელიძე ი.**, მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის ობიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში. თსუ შრომები, VI, თბილისი, 1938.
- ჟღენტი ს.**, გურული კილო (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი); სსრკ, მეცნ. აკად. საქ. ფილ. გამომცემლობა; ტფ., 1936; 279 გვ.
- ჟღენტი ს.**, ზანიზმები გურულ ზმნებში; ენიმკის მოამბე, V-VI; თბ., 1940.
- ჟღენტი ს.**, ზანიზმები გურულ ზმნებში; „ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები“ (რჩეული შრომები); თბ., 1965.
- სარჯველაძე ზ.**, ზანიზმები გურულში; გორის პედ. ინსტ. შრომები, X, თბ., 1965.
- ტულუში ზ.**, კნინობითი სახელები გურულში; იკე, XXXI; თბ., 1992.
- ქერქაძე ირ.**, ზანიზმები გურულში; XX რესპ. დიალექტოლ. სეს.; მასალ.; თბ., 2000.
- ღამბაშიძე რ.**, გურული კილო ე. ნინოშვილის ნაწარმოებების მიხედვით; ბათუმის პედ. ინსტიტუტის XI სამეცნიერო სესია, თეზ.; ბათუმი, 1950.
- ღლონტი ალ.**, ორმაგი მრავლობითის შემთხვევები გურულში; ტფ. უნივერსიტეტის შრომები, I; თბ., 1936.
- ცერცვაძე ილ.**, ფუძედრეკადი ზმნები გურულში; თსუ სტუდ. II სამეცნ. კონფ.; თეზ.; 1940.

- ძიძიშვილი მ.**, გრამატიკულ მოვლენათა ტენდენციები გურულში; იკე, ტ. IX-X, თბ., 1958; გვ. 193-200
- ჯაჯანიძე პ.**, არქაული გრამატიკული მოვლენები გურულში; ქუთაისის პედ. ინსტიტუტის XXXIII სამეცნიერო სესია, თეზ.; ქუთაისი, 1969.
- ჯაჯანიძე პ.**, გურული კილო (ლანჩხუთის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით); ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწ. პედ. ინსტ. XXI სამეცნიერო სესია; თეზ.; 1957.
- ჯაჯანიძე პ.**, გურული კილო (მახარაძის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი); ქუთაისის პედ. ინსტ. XIX სამეცნიერო სესია, თეზ.; ქუთაისი, 1955.
- ჯაჯანიძე პ.**, გურული კილოს მორფოლოგიის საკითხები (ნაშრომი ეყრდნობა მახარაძისა და ჩოხატაურის რაიონების მცხოვრებთა მეტყველების მონაცემებს); ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედ. ინსტ. შრომები, ტ. XV, ქუთაისი, 1956.
- ჯაჯანიძე პ.**, ხოლმეობითის გადმონაშთისათვის გურულში (რეზიუმე რუსულად); ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედ. ინსტ. შრომები, ტ. XIII, ქუთაისი, 1955.
- ჯორბენაძე ბ.**, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

მეტყველების ნიმუშები

ქ ვ ე მ ო გ უ რ უ ლ ი

1. სურბლებთან საუბრიდან

— ჩვენ სადღენძელო ძალიანი კაი ვიციტ, მარა გვეშინია ამ პრაქტიკანტი გოგუების, იწერენ ყორისფელს, რავარც კი წამოგცთება ერი ღერი სიტყვა.

— აქით რომ ხალხი მუა, უხარიენ: კაი წყალიაო, კაი ხაიერიაო, ხალხიც კაიაო. არავის წასვლა არ უნდა და თქვენ რეიზა მიგეჩქარებინ, ნემეტარს მაინტერესებს. იი კ'არა, აქანე ყოველ წელს უნდა იარებოდეთ. სადაჩო ადგილია და, თქვენ რომ გამოგადგებათ, იმისანე სამუშიერიც ბრეველიც გექნებინ.

— რაცხა მელქისე და ილაკრიე დუუბარებინ.

— დამიბარენ კოლმეურნობის კრებაზე და მინდალი გამომცენ.

— ახლა ტყემალს რომ ჭამ შენ, ისთე მაციებს ტანში, რომ ბურძგებს მაყრის.

— ერთი კვირეა ტყემალი მორეკილი მაქ. უნდა წიელენ, ჩიებარიებინ. კაცი არ იყო წამლები და ისთე დემეპნა აი სინწრით მონაკარკლავი (= აკრეფილი) ტყემალი, რომ ვერაფლობამდი ვერ მუუყარე თავი.

— ეზოში კვატიე იკირკნებოდა რაცხას, რავარც იცის.

— ბალანას უთხრენ: გადენე კვატიეო. გეიქვა ბალანამ კვატიეს გასადენათ, მე დოუძახე: — გამოი, ბიჭო, აქით, დაგჭამს კვატიე-მეთქი. მორე ბალანამ დლუძახა: — ნუ გეშინიაო, თამრიკოვო, არაა კვატიე ჭამიეო.

— ჯერემ რავა გავთხოვდები, ჩემი უფროსვანები, მამიდანები და დანები, არ გამითხოვია. რავარც ივენს გავათხუებ, მერე მუა ჩემი ჯერი.

2. გუჟცინარი ხენწიფის ამბავი

გუჟცინარ ხენწიფეს სამი შვილი ხავდა. ამ გუჟცინარი ხენწიფის ახლოს იყო ბუღთის თამაშობა. გეიტანეს ბუღთი იმ სამჰა შვილმა. სეითაც მიდგენ, იქით გეიტანეს ლელო. ხალხმა იკითხა: — ვინ არის ამისანა ჯელი ყმაწვილებიო?

ერთიმეორეს უთხრეს: — მაგინი გუჟცინარი ხენწიფის შვილებიაო.

მაგი რომ გეიგონა იმ ბიჭებმა, დატრულდენ და სახში წვეიდენ მამასთან. მამას უთხრეს: — რაზე გვქვია ჩვენ გუჟცინარი ხენწიფის შვილებიო?

მამამ უთხრა: — მე რომ ვყოფილვარ, თუ იქინეი მიხვალ შენ, მაშინ გეიგეფო, თუ არა და რა, მერე მე გეტყვიო.

ახლა შვილებმა მეიფიქრეს წასვლის შესახებ. უმფროსმა შვილმა უთხრა: — მე გამიში და გეიგეფ ამბავსო.

გაატანა ხარჯი და გუჟშვა უმფროსი შვილი ცხენით. ერთი კვირა იარა და მივიდა ვერცხლის მადენზე. ეილო ვერცხლის მადენი პაწაი და წამეილო მამიზა საჩვენებლათ სახში. მამამ უთხრა: — შენ რომ ერი კვირე იარე, იქინეი მე საუზმის ჭამის დროზე მივიდოდო.

ახლა საშვალომ უთხრა: — მე წავალ, მამაჩემო, და მე გეიგეფ იმ ამბავსო.

თუთხმეტი დღეი რომ იარა, ოქროს მადანზე მივიდა საშვალმა შვილმა. ეილო ოქრუები და ჩაყარა ხურჯინში და მუუტანა მამას. მამამ უთხრა: — ვერცხლის მადანზე რომ საუზმეს ვჭამდი, ოქროს მადანზე სადილს ვჭამდიო. შენც, შვილო, ვერ გეიგეფ ამ ამბავსო.

ახლა უნცროსმა შვილმა დაფიქრდა და უთხრა: — მამაჩემო, რაცხაით შენ იყავი, იგი მითხარი და იმით შევიტყოფ ამ ამბავსო.

— შენ, შვილო, კი გეიგეფ მაგ ამბავს და გათხუეფ, მე რაცხაით ვიყავი, იმას, — უთხრა მამამ და მისა კილტე, გორში რაჟი ხოლია და იმის გამოსაყვანათ. — გამეიყვანე, შვილო, და წაიო, — უთხრა.

გამეიყვანა იი რაჟი გამოქვაბული გორიდან და წვეიდა. ვერცხლის მადანზე საუზმის დროს მივიდა და ისაუზმა იქინეი. მერე წვეიდა და ოქროს მადანზე ისადილა. საღამოს წვეიდა ზღვის პირათ და იქინეი დიდი სახლი დეინახა. ერთი ქალი ევიდა ამ სახლის პარმანზე. ამ ყმაწვილმა გაალო ჭიშქარი და ძვილათაი მივიდა იმ ქალთან. იმ ქალმა უთხრა: — ყმაწვილო, დევი სანადიროთაა წასული, რომ მუა, შეკჭამს მაშინათე და ახლავ წაიო. გეიხედე იმ მინდორში, რამდონი კაცი არის გაქვავებული იქინეიო.

ახლა მაგან, ყმაწვილმა, უთხრა ქალს: — დევი თუ მაგვერი შეძლებულია, მაშინ მას სული თან წატანებული არ ექნება. აქნაი იქნება საცხა შენახული და იგი შენ მე გამიგეო.

მერე ყმაწვილმა წვეიდა და გადიმალა მოორე დილამდი. დევი რომ მევიდა სალამოს შინ, ქალი მოწყენილათ შეხთა.

— რაზე ხარ მოწყენილი? — ქითხა დევმა.

— შენ სული თან არ ქქონებია, იი მე არ გამაგებე, სა გაქ, და ამიზავარ მოწყენილი.

გეიცინა დევმა და უთხრა, ძალლი იყო იქინეი და, — ამ ძალს აქ ჩემი სულიო.

ქალმა ძალლი ყვავილებით შევნიერათ აყვავებული დაახვედრა სალამოს დევს. მევიდა სალამოს დევმა და გეიცინა: ჰა-ჰა-ჰა, მაგ ძალს კ'არა აქ, აგერ მაგ სვეტშიაო.

მოორე დღეს შუუდგა იმ სვეტის გამშენიერებას და გაამშენიერა იი სვეტი სულ ყვავილებით. მევიდა დევმა, გეიცინა და უთხრა: — ამ ზღვას გაღმა მიდგია კოშკი, იმაში არის კოლოფი და ამ კოლოფში მყავს ჩემი სულიო.

იი ყმაწვილი ყოოლდღე დადიოდა ამბის გასაგებათ და, ახლა აგი რომ დანანდვილებული დარჩა, შეჟდა რაჟზე და წვეიდა იმ კოშქთან. გაალო კოშკი, შევიდა შით, ნახა კოლოფი, კოლოფში სამი მერცხალი იყო შით. ერთი მისგლისთანავე მოკლა.

დევი სანადიროთ იყო ტყეში, ავათ გახთა და წამევიდა სახში. ამ ყმაწვილმა წამევიდა იქიდან და მევიდა დევის სასახლეში. დევიც ქი ჩამევიდა ავათ გამხთარი ეზოში. რავარც დეინახა დევი, მოორე კიდომ მოკლა. ძალიანი დასუსტთა დევი. ჰა, კტება, ისთეი მეიქცა. ახლა მივიდა დევთან და უთხრა: — ექიმი ვარ მე და მოგარჩენ შენ.

— რა გინდა, ჩემი ქონება წეიღე თლათ ყორიფელი და მომარჩინე!

— ქონება შენი არ მინდა, შენ რომ საყვირი გაქ, იი საყვირი მომეცი.

ძალიანი შეწუხთა დევმა, მარა მისა იი საყვირი. უთხრა ქალს: — ამ არდგილზე არის და მიეცი.

მუუტანა ქალმა იი საყვირი. მესამე მერცხლის სიკვდილამდი გამევიდა და გაქვავებულ ჯართან დაქრა იი საყვირი და ადგა იი ჯარი. რავარც ყოფილა, ისთე დააწყო იი ჯარი, თავის ლენერლებს მუახსენა და ისთე.

მოკლა იგი მესამეც და წამეიყვანა ქალი და წამევიდა ამ ჯართან. ჯარს ყორიფელი წყობილობა ქონდა. დაქრეს „დუხოი ბუზიკა“ და წამევიდენ მის სახენწიფოში.

რომ დაახლოდენ სახზე ექვსი ვერსით, ხენწიფემ გეიგონა მისი ბუზიკის ხმაი. მაშინ ხენწიფემ ყვირილით გეიქცა ამგენისკენ. ხენწიფის ხმაი რომ გეიგონა ამ ყმაწვილმა, მაშინ ქალს უთხრა: — შენ დედა ხარ ჩემი და მე შვილი შენო; იი ხენწიფეა შენი ქმარი, ეგერ რომ მოყვირისო.

თურმე იი ქალი ამ ბიჭის დედა ყოფილა. მივიდენ ერთქამეთთან და

გუთუცინარმა ხენწიფემ ახლა გეიცინა და გადიეხვიენ ერთქამეთს.
ოთხი-ხუთი ბია მქონდა, ხუთი-ექვსი ბრეწოული,
ღმერთმა ყვალას მოგახმაროს მამათქვენის მოწეული.

3. ბატონი და მისი ქალიშვილი

იყო ერთი ბატონი და ყავდა ქალიშვილი. მარა აი ქალიშვილი იმფერი იყო, რომ მისი ხელით ვეფერს ვერ გააკეთებდა: სხტას უნდა ჩიეცმია და სხტას უნდა ექმია. გუუჭირდა მისი რჩენა მამისაც. რა ექნა, არ იცოდა. დეიწყო სასიძოს ძებნა: იქნება გვეიცალო ხელიდანო, მარა იმისაც ქე ეშინოდა: ვაითუ მიორე დღეს გამუუშტას შინ, რომ გეიგეფს ჩემი ქალიშვილის ამბავსო.

ნახა ერთმა ბატონმა აი ქალი და კიდევაც მიეწონა. უნდოდა ეთხუა, მარა გეიგო, რომ ქალს აფერის გაკეთება არ შუუძლია მისი ხელით. დეიწყო ამ ბატონმა ყოყმანი: არ იცოდა, ეთხუა თჳარა.

დანიშნეს ქორწილი. სასიძომ დედამის უთხრა: — რა დავკლათო?

დედამისმა უთხრა: — რა დავკლათ და ცალი ხარი დავკლათო.

— კაი, მარა უღელი რაღას მუაწევიოთო? — უთხრა შვილმა.

დედამისმა უთხრა: — ღმერთი მოქცემსო.

— ღმერთმა რომ არ მოქცეს, მაშინ რაღას შობიო? — უთხრა შვილმა.

დაკლენ ხარი და ქნენ ქორწილი. როცა ხარი დაშვირდენ, ღმერთმა აღარ მიცა ხარი.

შვილმა ცალ ხართან გეიბა დედამისი და დეიწყო ისეთ ხნაი. ჩამეიარა მისმა სიმაურმა, დეინახა ასეთი საცოდოობა და უთხთრა სიძეს: გამუუხსენი აი მოხუცი დედაშენი უღელიდანო, წამოი, მე გამოგატან კას ხარსო.

წევიდენ, მივიდენ ერთ უზარმაზარ სახლთან. შით ყოფილა თურმე დანწყითული ხარი იმისანე, რომ მისი მიმკარებელი კაცი ჯერ არ დაბადებულა თურმე. ვინც კი მის დასაჭირავათ შევიდოდა, იმინუჩი წამეიცუნამდა ხარი რქაზე. შევიდა ამ კაცმა შით, დაამბა ხარს ბაწარი და გამეიყვანა. გაკვირდა ბატონი: რა კაცი ყოფილა აი ასეთიო! წამეიყვანა ამ სიძემ სახში აი ხარი, გუუბა უღელში და გახედნა.

ერ კვირეს მერე ბატონმა გააგზავნა ყმები: გამიგეთ, რა უქნა იმ ხარმა ჩემს სიძესო, მოკლა თუ რა უქნაო? მივიდენ ყმები, ნახენ, რომ აი კაცი ამუშავეფს ამ ხარს უღელში. მუახსენეს აი ბატონს. დეიბარა ბატონმა კილომ მისი სიძე და უთხრა: — ცხენს გაჩუქეფ, თუ გინდაო.

— კი მინდაო, — უთხრა სიძემ.

— აბა წაი და ამ და ამ სახში რომ გამობილი ცხენია, დეიჭირე და წეიყვანე სახშიო.

იქინე იმისანე გადარეული ცხენი იყო თურმე გამობილი, რომ მიდღემჩი კაცი არ ენახა და მის გახედნაზე ხომ არავინ იფიქრებდა: ვინც შევიდოდა, ტორებით კლავდა.

წევიდა ამ ბატონის სიძემ და დეიჭირა იი ცხენიც. შეჟდა ზეთ და მივი-

და ბატონთან. ეხლა ქლათ გაკვირდა ბატონი: რა მოხერხებით ახერხეფს აი კაცი ასეთ გადარეულ საქონლის და ცხენის მოშინაურებასო?!

მივიდა სიძემ მის სახში, მიიყვანა აი ცხენი და დააბა, შევიდა სახში. მისი ცოლი მშვიერი დახთა. რაც რომ მიეყვანეს, მას მერე აფერი არ უჭამია, რადგან მისი ხელით არ იცოდა საჭმლის გაკეთება; არც თითონ აჭამა თავის ცოლს აფერი. მოშვიდა ნამეტარი ამ ქალს, ადგა და დაფაცურდა: გამუცხო ჭადი მისი ხელით, ჩამოხვეტა სახლი, კისრამდი გუნანს მიეყარა თავი, გააკეთა კარქათ საჭმელი, დაჟდა და ჭამა. ამის შემდეგ აი ქალი სულ მისით აკეთებდა საჭმელს. იმისანე მეოჯახე დადგა, რომ იმ სოფელში სულ არ იყო იმისანე მეოჯახე ქალი.

ერ დღეს ამ ქალს და კაცს ესტუმრა მამამისი, ბატონი, ბეჭური სტუმრებით. ქმარმა უთხრა ამ ქალს: აბა შენ იცი, დაფაცურდი და კაი სტოლი გააწყვე, რომ სირცხვილი არ ვჭამოთო.

დაფაცურდა მართლა აი ქალი. ხედავს ამას ყორიფელს მამამისი და გაშტერებულა, ველარ ცნოფს, აი მისი შვილია თუ სხვა ვინმე!

ბატონი ფიქროფს: ჩემა სიძემ გადარეული ხარი და ცხენი რომ გახედნა, აი ქალი კილომ ქლა ყორიფელში გამუტუჩოვიაო. მაი ყოფილა რაცხა კაი კაცი ამ ქვეყანაზეო.

დაჟდენ სტოლზე ყველე სტუმრები. ეილო და ქალიშვილმა მამამის სტოლზე დუუდგა ორი გუუფცქნელი ხახვი. გაკვირდა ბატონი: აი რავა მკადრაო?! დუუძახა თავის შვილს: — აი რა ქენიო?

ამ ქალმა უთხრა: — შენ მასთე გეკუთნისო. რომ აფერს მისაქმებდი და უსაქმობას მიმაჩვიე, შენ იყავი დამნაშავე; ეხლა მე შენ უნდა მიგაჩვიო საქმეზე და ამიზა დაგიდევო აი გუუფცქნელი ხახვიო, — უთხრა ქალიშვილმა.

ბატონს ძაან შერცხვა, რალა ექნა, არ იცოდა. ბოლოს მხიარული დარჩა მანც იმით, რომ თავის შვილს იმფერ მოსაქმეს ხედავდა.

4. დედაჩემი, ბაბუაჩემი და თათრები

მე ობლათ დავრჩენილიყავი. ბაბიდაი მყავდა. ბაბიდაჩემა დედაჩემი წამეიყვანა ნაბარებათ ბებურიშვილისას, წამომიყვანა მე, პაწე ბალანაი, ექვსი თვის ვიყავი. ემსახურებოდა დედაჩემი ბებურიშვილს, აზნაურიშვილი იყო. ქი მზიდენ მე. თრამეტი წელიწადი ვიყავით. მე კლასში შემეიყვანა. ბებურიშვილი უცოლშვილო კაცი იყო, მოხუცებული. უთხრა ხალხმა: — ცოდვაა აი ქალი და ბალანაიო, ამდონი ხანი რომ გემსახურაო. რაცხა მისე უნდა ბალანასო. სამოსახლო მიწა მიეციო. მომცა ექვსი ქცევა მიწა. გავკაფეთ, გამოგკაფეთ და გავაშენეთ დედაჩემა და მე.

მერე ქალი შევირთე, აქოური, თოიძის ქალი. მუაწყვეთ ოჯახი. მოგვესრა შვილები, ოთხი შვილი მოგვესრა, სამი გოგო და ერთი ბიჭი. ბაღნეფს ვასტაველეთ, რაც შეგვეძლებოდა.

ახლა გამშვენიერებულია ყორიფელი. აქანაი ამფერი სახლი სა იყო!

გზაი სა იყო! ურემი ურემს ვერ მუჟარდა. ან ხალხი სა იყო ასთე გამბრავლე-ბული! ეგერ-ეგერ იყო მოსახლე.

ყანიები ქი ქონდა ხალხს, მარა ფარა არ იყო. ფეხშიშველათ ვიყავით ამ ტალახში. კლაშიც ფეხშიშველი ვიარებოდით ბაღნები.

აჭის წყალი რო გადმეიარდა, ყორიფელს აოხრებდა. ყანიები მიქონდა, მოსახლებიც წეილო, მახსოვს. რაცხა გზაი იყო, იმას სულ გააოხრებდა.

ამ თავრობამ აჭის წყალს გუჟუკეთა დამბები. ახლა ზარალს ვერ შობა.

უწინ, ნიკოლოზის დროს, კაზაკები და პლასტონები მოდიოდენ ჩონატა-ურიდან. აქნანი ახალთაობა იყო. ჩვენი ხალხი დახთენ ნასაკირალზე ნაჯახე-ბით, კაყიანი თოფებით და ფილითებით. იქინე მოკლეს ჩვენემა ორი-სამი პლასტონი და კაზაკი. მერე წავიდენ იგინი გაკუჭებული. დგაბზუდიდან რომ დეიწყეს, დაწვეს ოზურგეთამდი ყორიფელი. ოზურგეთიც დაწვეს.

კრილოვი იყო მაგინის ხელმძღვანელი. სოფელჩი დაგვიბარა მამასახლის-მა ქალიან-კაციანა. გაგვიძღვა ღვდელი ხატებით წინ. ჩაგვიყვანეს ოზურგეთჩი და დაგვაფიცეს იქინე, დაგვაჩოქეს. მე ბაღანაი ვიყავი, ვიყავი მეც. დაგვაჩოქეს და ფიცი მიგვადლებიეს, რომ არ უღალატეფთ ნიკოლოზს.

მერე გამოგვიშვეს ყვალია შინ. არეულობა იყო მაინც, არ დაწყნარდა მაინც.

ყანიები რომ ქვონდა, ათ ფუთზე ერ ფუთს ვაძლევედით საყანულს. დაყარეს პრაკლამაციები, რომე არ დათესოთ ყანიებიო. მაინც დათესა ხალხმა. ჰოდა, ჩვეიდენ და ორგანიზაციამ ღამე მოცელა. მოცელეს ყანიები ბრეჟული.

ჩოლოქს უძახით ჩვენ, კაი საყანიები გვაქ, უწინ მეზატონის იყო — ნაკაშიძნების და ბებურიშვილების. იქინე იყო მაი ამბავი.

ჩემა ბაბუამ თურმე წეიყვანა გოგო ყანაში წყალის მოსატანათ, მოსახმარებლათ. მუჟხტა თათრები თურმე და მიხავდენ გოგო. ბაბუაჩემა შეიბძოლა თურმე. თოფი ქი აქ, მარა თოფთან მისლა უნდა. თოფთან მისლამდი ხანჯალი ქრეს მუტელჩი, გამუყარიებეის შიგანი. აი ციციაც ბძოლოფს, არ მიხობა. იფორთხა შიგანგამოყრიებულმა კაცმა და მიფორთხთა თოფთან, ეილო თოფი და ერთი გასწყვიტა წელჩი. მიორე გეიქცა.

მოკტა ბაბუაჩემიც და თათარიც. გოგო გადარჩა წყყვანას.

იკივლა გოგომ და მევიდენ მეთაღრიები. ამ გოგოს ეპატრონენ, ჩვენი კტარი წამეიდეს შინ ჯალამბერით. თათარი ჩააგდეს მიწაში იმ ყანაში.

ბაბუაჩემი იყო საყვარელ ჩხაიძე.

სოფ. ლიხაური

ზ ე მ ო გ უ რ უ ლ ი

5. ნაზარად დაუჯაბნელი

იყო და არა იყო, იყო ერთი კაცი, რომელსაც სახელათ ეთქუა ნაზარად. ნაზარადი იყო მოშიში, იგი ღამე კარში ვერ გამოდიოდა, თუ გამოვიდოდა, მისი ცოლი გამოჰყვებოდა. ერთხელ ნაზარად და მისი ცოლი სახლიდან გამევიდა ღამე. ნაზარადმა დენინახა აქლემების ქარავანი და ცოლს უთხრა: მოი

შევჯდეთ იმ აქლემზეო.

ცოლმა უთხრა: — არ გეშინიაო?

— არ მეშინია, — უთხრა ნაზარადმა.

— თუ არ გეშინია, კარგო, — უთხრა ცოლმა. შევარდა სახში, კარი ჩაკეტა და ნაზარადი კარში დარჩა. ნაზარადს შეეშინა, მივიდა სვეტთან და დაჯდა. მას დიესია ჯინჯველები. ნაზარადმა მიირტყა ხელი შუბზე და მოკლარამოდენიმე ჭინჯველე. მან მოკლულ ჯინჯველას დუუუყო თვლი. შემდეგ თქვა: ეს მოკლული ჯინჯველე ათასი იქნებაო და გამოთქვა ლექსი.

„ნაზარად დაუჯაბნელი,
ერთის მოქნევით ათასის მკვლელი“.

გეიქცა მღვდელთან და ეს ლექსი ჭინჯზე დააწერია. შემდეგ მოჭრა დიდი ჯოხი და ჯოხის წვერზე ეს ჭინჯი დააბნია. გვიდა ერთ ტიალ მინდორზე და დაასო ეს ჯოხი. თვითონ ჯოხის ახლოს დაწვა და დიეძინა. ეს დაინახა დევებმა და თქუეს, რომე ჩვენი შიშით ჰაერში ფრინველი ვერ დადის, მიწაზე ჯინჯველე და ამ კაცს აქ რა უნდაო?! მივიდენ ნაზარადთან და წიკითხენ ჭინჯზე დაწერილი ლექსი და თქუენ: დუუუჰოქოთ ნაზარადს და უთხრათ: ნუ მოგკვლავ და ჩვენ დას მოგათხუებთო. დუუუჰოქეს ნაზარადს და გააღვიძეს. ნაზარადმა დევები რომ დეინახა, ისე შეეშინა, რომ ენა კინაღამ ჩუუვარდა. ის წიყვანეს დევებმა და დაი მიათხუეს.

თურმე ეს დევების დაი უყვარდა დევების მეფეს და, მეფეს ამ დევების დის გათხოვა რომ გუუგია, ჯარი გამოუშვია დევების მოსაკლავათ. დევებმა თქუეს: მეფემ რაც არ უნდა ბევრი ჯარი გამოუგზავნოს, ნაზარადი ყველას მოკლავსო. ნაზარადმა რომ გაიგო — მეფემ ჯარი გამოგზავნაო, — შეეშინა, შეჯდა ცხენზე და შინისკენ გასწია. დევებმა იფიქრენ, რომ ნაზარადი ჯარის დასამარცხებლათ მიდისო და ნაზარადს მიამახეს: ხმალი წაიღეო. ნაზარადმა ცხენი შეაჩერა, მასთან მივიდა დევები, ხმალი მიუტანეს და ცხენზე შამოუჯდენ. ერთი კილომეტრი რომ გაიარეს, ისინი დაეწია ჯარი. ნაზარადმა დეინახა ერთი მოღუნული ხე და იმ ხის ქვეშ გარება დააპირა და, ხის ახლოს რომ მივიდენ, მოსქდა ხე და მთელი ჯარი გაჰყინტა. დევებმა იფიქრა — ეს ხე ნაზარადმა მოხეტქაო — და მადლობას უხთიდენ ნაზარადს.

6. კურდღელი, დათვი და მელიე

იყო ერთი კურდღელი. აი კურდღელი ჟდანა ფულუროში, ხე მოცდა (მოსკდა), კურდღელს ეგონა — ქვეყნა იქცევაო — და გეიქცა.

მირბის გზაზე, შეხტა მამალი. მამალმა უხტრა: — სეით მიხვალო?

— ჟოყანა იქცევა და თავის საშველათ მივალო.

— აბა კაი, მეც შენთან წამუალო.

მივლიენ გზაზე. შეხტა მელიე და უხტრა: — სეით მიხვალო?

— ჟოყანა იქცევაო და თავის საშველათ მივალო.

— აბა მეც წამუალო.

მივლიენ გზაზე. მერე შეხთა დათვი და უთხრა: — სეით მიხვალო?

— ქოყანა იქცევაო და თავის საშველათ მივალო.

— აბა მეც წამუალო.

მივლიენ გზაზე და დაჯდენ. დათვმა თქუა: — აი ბიჩინჩაღე (პატარა) კურდღელი სიიდან მევიდაო? — მოჭრა თავი და თენჯერაში ჩააგდო. მერე მამალსაც მოჭრა თავი და ჩააგდო თენჯერაში. მერე დათვმა და მელიამ იი ხორცი ქე შეჭამეს. ქონი ქოთანში ჩააგდეს. მევიდა მელია და ქე ამოხვლიბა ქონი. დათვი მოატყუა — ნათლისდედა გიძახისო — და დათვი ქე წვევიდა. მივიდა ნათლიდელასთან. ამასობაში მელიამ ნაცარი ჩაყარა ქოთანში და უთხრა დათვს: დათვო, ჩვენ რომ ქონი გვაქს, იმასან ვინც მისარობს, იმის იყოსო.

მელიე და დათვი მირბიენ და მირბიენ. დათვმა მისარო, თავი შიგ ჩაყო და ნაცარი შეეყარა თვალბში.

7. ჩემი ამბავი

ჩვენი ძველი იმერეთიდან მოსულა, დასახლებულა ბახვში. მაშინ აქანა გარაყებული ხეები იყო. ხეებზე იყო გვინძლი, კურკანტელები, სურო. რაყეფში იყო გელები და ტურები.

საყანეთ ვიღებლით ქიქოძნების მიწას. ჩვენ ვიმუშეებლით და ნახევარს იგი წვიღებდა.

მამაჩემი ღარიბი კაცი იყო, სულ ქალაბანი ეცვა ფეხზე. ხავდა ოთხი ბიჭი და ორი ციცაძ.

მე რეგნობას ვისტავლე წულის კერვა, ძმამა მასტავლა. წულის კერვაზე ფოთში ვიმუშავე სამ წელიწადს.;

მერე მომიწია ჯარი. ქუთეისში ვიყავი ჯარში ოთხ წელიწადს. მუათავე სამსახური და გამოგვიშენ სახში.

სახში რომ დევიწყე მუშაობა, მევიდა შომაული ქალის მხრიდან, მითხრა: — კაი ქალიაო, ოჯახობას იზამსო და წამეიყვანეო.

წამეიყვანა იმ კაცმა და მანახვა ქალი შარაზე. ყავალი ქალი იყო, მომეწონა. დუთუქვი დღეი. მივედი, წვევიღე ბეჭედი და დავნიშნე. თუთხმეტ დღეს მერე მევიყვანე. გამომატანეს გვზითით დაყათრული ურემი და მომცეს სამოცი მანათი ფარა.

გიგო ჭელიძე იყო. ყაჭეფს ახჩობდა ოზურგეჩი. ფეჩქი ქონდა იქინე გაკეთებული. მევიდა ჩემთან და მითხრა: — ოჯახში ქალი დატიე და ხანდახან დამ მოდიო. წამოდი ჩემთან ყარაულათო.

წავყევი იმ კაცს, დევიწყე იქინე მუშაობა. ორ თვეს ვიყავი. მერე მოთავდა ყაჭი.

ყარაულათ რომ ვიყავი, ვინცხა მევიდა და მითხრა: — მომყიდე პარკიო, ფარას მოქცემო. — ვერ მოქცემო, — მე უთხარი, — გაბრუნდი უკან, თვარა

თოფს გესრიო. მერე წევიდა, გეიქცა. თურმე განგება გამუჟგზანია დიმიტრის. მიორე დღეს იმ კაცმა უთხრა დიმიტრის: — რაფერი ყარაული მოგიყვანიაო! წუხელის კალამ მომკლაო.

ნამუშიერი ოქროს ფარა მქონდა სახში, კაპეკს კაპეკზე ვაწებებდი. დიმიტრის უთხარი: — ოქროს ფარა მაქო და ქახალდის ფარაში გადამიცვალეო. ქახალდის ფარაზე ნახატი იყო და შემეხარბა. — კიო, გადაგიცვილიო, — მი-თხრა. გადამიცვალა. ოქროს ფარა მივეცი და ქახალდის ფარა მომცა.

ნიკოლოზა? გადმუაგდეს და ქახალდის ფარა დეიბრაკა. ბაღნემა დახიეს.

სოფ. ზედა ბახვი

8. დათიკო შავარდნაძე

მსურს ცოტა რამე დავსწერო,
 რაც გადამხთა მე ჩემ თავზე.
 მით მკითხველმა გეიგონეთ:
 დათიკო ვარ შავარდნაძე.
 ოზურგეთის მაზრას ვიყავ
 და ასკანაში მცხოვრები.
 ლალატით და მოტყუებით
 მე ჩემ სოფელში ვერ ვკტები.
 მოსე ჭელიძეს კი იცნოფთ,
 ვაშკაცი, გითხრათ, გმირია.
 ვინ მიფიქრებდა, იმასა
 ლალატში ქონდა წილია.
 როგორც ვაშკაცს, ვენდობოდი,
 ან რა მქონდა დასამალი!
 მიმიწვია სალალატოთ
 და მაჭამა საწამლავი.
 ისეთ უცფათ მევიწამლე,
 სისხლი ამივარდა თავში.
 შინისაკენ გავეშურე,
 სტრაჟნიკები დამხთა გზაში.
 უცფათ სროლა ამიტენენ,
 მე ჩავარდი ზალპის ალში.
 ბაჯელიძემ დამიძახა:
 — შავარდნაძე, ცოცხლათ დამჩი!
 — ცოცხლათ აღარ ჩავბარდები!
 ხელუკუღმე გვესროლე,
 ცხენზე მჯდომ სტრაჟს ტყვია ვარტყი,

სასიკვტილოთ არ დავზოგე.
 მეტი სროლა ვერ შევიძელ,
 რადგან ვიყავ მოწამლული.
 ჩემზე მტერმა გეიმარჯვა,
 მე ქი გამიგმირეს გული.
 ამხან ტირილი ისმოდა:
 — მამავ, ჩემო დათიკო!
 სიახლოვეს არ მომიშვენ,
 ამ ძაღლევს მე რა უყო!
 გადით, თქვენ მამაძაღლებო!
 კტარი მამა მიჩვენეთ!
 ცოცხალის ქი გეშინოდათ
 და კვტარს დროი უშონეთ.

სოფ. ნიგვზიანი

9. სისონა დარჩია

სისონა დარჩია იყო ჯუმათური, მაღალჯუმათური. მე თვითონ მინახავს იგი. პატარა ტანის კაცი იყო, მარა უსაშველო სწრაფი იყო. ხიდან ხეზე ხტებოდა, ხიდან თავჩაღმა ჩამევიდოდა. ჩქარი მოსაზრების კაცი იყო. რომ დიეცენ თავზე, უთხრენ: — დაქეჩიო! — არ დაქეჩიო, — დუუძახა. აგური გადააგდო ფუხრის თავიდან და იგი ქვეშ გაძვრა პოლში. დუუშინენ ტყვია აგურს. სისონაი გეიქცა. ყოოლთვის გეიქცეოდა. მას ვერ იჭირავდენ. თვითონ არ კვლიდა კაცს. მისი გაქცევის მიზეზი როსტომ დარჩია იყო. როსტომი იყო ბატონის მუჟრავი. იგი ზდევნიდა სისონას.

სისონას უყვარდა ქალი საცოლო. წაართვა როსტომის შვილმა. ხვთი-შობლობიდან წეიყვანა ქალი. მერე სისონაი გაფირალდა. მერე ძმებიც გახვა ამას. ერთი ძმაი, ვასილაი მოკლეს. ვასილას რომ ტიროდენ, მივიდა და იტირა. თოფი ეჭირა ხელში: — შენ კვტარი და მე — ცოცხალი, რაფელ გევიარო გზაშიო!

შიშით ყვალაყამ შებრუნდა. რომ წევიდა, მერე დაფაცურდენ.

რაფელ გოგუაძე იყო. იმან თქვა: — რაფელ გაგექცენ სისონაო. მეო ორივე ყურევს მევიჭრიო, თუ არ დევიჭირავ სისონასო.

სისონამ შეხთა გზაში და მიაჭრა ორივე ყური და უთხრა: — დეიკავე აგი ხელში და მუჟტანე მაზრის უმფროსო.

სისონა მერე მოკტა მისით.

სოფ. ორაგვე

ნარგიზა სურმავა

**აჭარული კილო
ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები
ს ა ხ ე ლ ი ს ბ რ უ ნ ე ბ ა
თანხმოვანფუძიან სახელთა ბრუნების ნიმუშები**

სახ.	ამბავ-ი	ამბვ-ებ-ი,ამბავ-ებ-ი/ამბი-ებ-ი
მოთხ.	ამბავ-მა	ამბვ-ებ-მა/ამბ-ი-ებ-მა/ამბავ-ებ-მა
მიც.	ამბავ-ს(Ø)	ამბვ-ებ-ს(Ø)/ამბავ-ებ-ს(Ø)/ამბ-ი-ებ-ს(Ø)
ნათ.	ამბვ-ის(ი),ამბავ-ის(ი),ამბ-ის(ი)	ამბვ-ებ-ის(ი)/ამბავ-ებ-ის(ი)/ამბ-ი-ების(ი)
მოქმ.	ამბვ-ით/ამბავ-ით/ამბ-ით	ამბვ-ებ-ით/ამბავ-ებ-ით/ამბ-ი-ებ-ით
ვით.	ამბვ-ად/ამბავ-ად/ამბ-ად	ამბვ-ებ-ად/ამბავ-ებ-ად/ამბ-ი-ებ-ად
წოდ.	ამბავ-ო	ამბვ-ებ-ო/ამბავ-ებ-ო/ამბ-ი-ებ-ო

სახ.	კლარ-ი/კტარ-ი (ქობ.)	კლრ-ებ-ი/კტრ-ებ-ი(ქობ.)/კვლრ-ებ-ი (მაჭახ.)/კლრ-ი-ებ-ი/კილრ-ი-ებ-ი (ზ.აჭ.)
მოთხ.	კლარ-მა/კტარ-მა (ქობ.)	კლრ-ებ-მა/კტრ-ებ-მა/კვლრ-ებ-მა (მა- ჭახ.)/კლრ-ი-ებ-მა/კილრ-ი-ებ-მა (ზ.აჭ.)
მიც.	კლარ-ს/კტარ-ს	კლრ-ებ-ს(Ø)/კტრ-ებ-ს(Ø)/კლრ-ი-ებ-ს(Ø)/ კვლრ-ებ-ს(Ø)/კილრ-ებ-ს(Ø)/კილრ-ი-ებ-ს(Ø)
ნათ.	კლარ-ის(ი)/კლრ-ის(ი)/ კტარ-ის(ი)/კტრ-ის (ქობ.)	კლრ-ებ-ის(ი)/კტრ-ებ-ის(ი)/კლრ-ი-ების (ი)/კვლრ-ებ-ის(ი)/კილრ-ი-ების(ი)
მოქმ.	კლარ-ით/კლრ-ით/კტარ-ით (ქობ.)	კლრ-ებ-ით/კტრ-ებ-ით/კვლრ-ებ-ით/ კლრ-ი-ებ-ით/კილრ-ი-ებ-ით
ვით.	კლარ-ად/კლრ-ად/კტარ-ათ (ქობ.)	კლრ-ებ-ად/კლრ-ი-ებ-ად/კილრ-ი-ებ-ად
წოდ.	კლარ-ო/კტარ-ო	კლრ-ებ-ო/კტრ-ებ-ო/კვლრ-ებ-ო/კლრ-ი- ებ-ო/კილრ-ი-ებ-ო

შენიშვნა: მაჭახლის ხეობაში **კვლრები** ფორმას უპირატესად უფროსი თაობა ხმარობს.

სახ.	მაწონ-ი	მაწნ-ებ-ი/მაწვნ-ებ-ი
მოთხ.	მაწონ-მა	მაწნ-ებ-მა/მაწვნ-ებ-მა
მიც.	მაწონ-ს(Ø)	მაწნ-ებ-ს(Ø)/მაწვნ-ებ-ს(Ø)
ნათ.	მაწონ-ის(ი)/მაწნ-ის(ი)/მაწვნ-ის(ი)	მაწნ-ებ-ის(ი)/მაწვნ-ებ-ის(ი)
მოქმ.	მაწონ-ით/მაწნ-ით/მაწვნ-ით	მაწნ-ებ-ით/მაწვნ-ებ-ით
ვით.	მაწონ-ად/მაწნ-ად/მაწვნ-ად	მაწნ-ებ-ად/მაწვნ-ებ-ად
წოდ.	მაწონ-ო	მაწნ-ებ-ო/მაწვნ-ებ-ო

სმოვანფუძიან სახელთა ბრუნების ნიმუშები

სახ.	ჭალა	ჭალ-ებ-ი/ჭალ-ი-ებ-ი
მოთხ.	ჭალა-მ	ჭალ-ებ-მა/ჭალ-ი-ებ-მა
მიც.	ჭალა-ს(Ø)	ჭალ-ებ-ს(Ø)/ჭალ-ი-ებ-ს(Ø)
ნათ.	ჭალ-ის(ი)	ჭალ-ებ-ის(ი)/ჭალ-ი-ებ-ის(ი)
მოქმ.	ჭალ-ით	ჭალ-ებ-ით/ჭალ-ი-ებ-ით
ვით.	ჭალა-დ	ჭალ-ებ-ად/ჭალ-ი-ებ-ად
წოდ.	ჭალა-ვ	ჭალ-ებ-ო/ჭალ-ი-ებ-ო
სახ.	ბიძა(ფ)	ბიძა-ვ-ებ-ი/ბიძა-ებ-ი/ბიძ-ებ-ი/ბიძა-ნ-ებ-ი (ქობ.)
მოთხ.	ბიძა-მ	ბიძა-ვ-ებ-მა/ბიძა-ებ-მა/ბიძ-ებ-მა/ბიძა-ნ-ებ-მა
მიც.	ბიძა-ს(Ø)	ბიძა-ვ-ებ-ს(Ø)/ბიძა-ებ-ს(Ø)/ბიძ-ებ-ს(Ø)/ბიძა-ნ-ებ-ს
ნათ.	ბიძა-ს-ი	ბიძა-ვ-ებ-ის(ი)/ბიძა-ებ-ის(ი)/ბიძ-ებ-ის(ი)/ბიძა-ნ-ებ-ის
მოქმ.	ბიძა-თ	ბიძა-ვ-ებ-ით/ბიძა-ებ-ით/ბიძ-ებ-ით/ბიძა-ნ-ებ-ით
ვით.	ბიძა-დ	ბიძა-ვ-ებ-ად/ბიძა-ებ-ად/ბიძ-ებ-ად/ბიძა-ნ-ებ-ად
წოდ.	ბიძა-ვ	ბიძა-ვ-ებ-ო/ბიძა-ებ-ო/ბიძ-ებ-ო/ბიძა-ნ-ებ-ო

შენიშვნები: 1. ზემოაჭარულში, ხულოს რაიონში შემავალ სოფლებში: დიოკნისსა და ვაშლოვანში იხმარება უპირატესად მრავლობითში **ჭალები**. ზემოაჭარულში ჭალა ნიშნავს სათიბ ადგილს, მაჭახლის ხეობაში ამ მნიშვნელობით **სათიბი** გვაქვს.
 2. ხულოს რაიონში, სოფლებში ვაშლოვანსა და თაგოში, **ბიძა-ს** (მრავლ. **ბიძავები**) ანალოგიურად მრავლობითს იწარმოებენ ნათესაობის აღმნიშვნელი სხვა სახელები: **ხალა** „დეიდა“ – **ხალავები** (ხალაები/ხალიები), **დეიდა** – **დეიდავები** (დეიდიები/დეიდეები), **ბიცოლა** – **ბიცოლავები** (ბიცოლაები), **აბლა** „ბიცოლა“ – **აბლავები** (აბლიები), **ბიბია** „მამიდა“ – **ბიბიავები** (ბიბიაები/ბიბიები), **ნენე** „ბები“ – **ნენევები** (ნენიები), **დედე** „ბაბუა“ – **დედევები** (დედეები/დედეები), **ტაია** „დედის ძმა“ – **ტაიავები** (ტაიები), **ემია** „მამის ძმა“ – **ემიავები** (ემიები), **ტადა** „ძმა, მაზლი“ – **ტადავები** (ტადაები, ტადიები). მაგრამ არ გვაქვს: დავები, ძმავები.

სახ.	და(ფ)	დ-ებ-თ/დ-ი-ები/და-ნ-ებ-ი (ქობ.)
მოთხ.	და-მ(მა)	დ-ებ-მა/დ-ი-ებ-მა/და-ნ-ებ-მა
მიც.	და-ს	დ-ებ-ს(Ø)/დ-ი-ებ-ს(Ø)/და-ნ-ებ-ს

ნათ.	და-ის/დ-ის	დ-ებ-ის(ი)/დ-ი-ებ-ის(ი)/და-ნ-ებ-ის (ქობ.)
მოქმ.	და-ით/დ-ით	დ-ებ-ით/დ-ი-ებ-ით/და-ნ-ებ-ით (ქობ.)
ვით.	და-დ	დ-ებ-ად/დ-ი-ებ-ად/და-ნ-ებ-ად (ქობ.)
წოდ.	და-ო(ვ)	დ-ებ-ო/დ-ი-ებ-ო/და-ნ-ებ-ო (ქობ.)
სახ.	ქა(ფ) „რქა“	ქ-ებ-ი/ქ-ი-ებ-ი/ქ-ებ-ებ-ი (მერისი)
მოთხ.	ქა-მ(მა)	ქ-ებ-მა/ქ-ი-ებ-მა/ქ-ებ-ებ-მა
მიც.	ქა-ს(Ø)	ქ-ებ-ს(Ø)/ქ-ი-ებ-ს(Ø)/ქ-ებ-ებ-ს(Ø)
ნათ.	ქა-ის(ი)/ქ-ის	ქ-ებ-ის(ი)/ქ-ი-ებ-ის(ი)/ქ-ებ-ებ-ის(ი)
მოქმ.	ქა-ით/ქ-ით	ქ-ებ-ით/ქ-ი-ებ-ით/ქ-ებ-ებ-ით
ვით.	ქა-დ	ქ-ებ-ად/ქ-ი-ებ-ად/ქ-ებ-ებ-ად
წოდ.	ქა-ო(ვ)	ქ-ებ-ო/ქ-ი-ებ-ო/ქ-ებ-ებ-ო
სახ.	დღე(ფ)	დღ-ი-ებ-ი
მოთხ.	დღე-მ(მა)	დღ-ი-ებ-მა
მიც.	დღე-ს(Ø)	დღ-ი-ებ-ს(Ø)
ნათ.	დღე-ის/დღ-ის	დღ-ი-ებ-ის(ი)
მოქმ.	დღე-ით	დღ-ი-ებ-ით
ვით.	დღე-დ	დღ-ი-ებ-ად
წოდ.	დღე-ო(ვ)	დღ-ი-ებ-ო

შენიშვნა: მრავლობითის ფორმა **ქებები** იხმარება მერისის ხეობაში (ქედის რაიონი). ეს წარმოება ანალოგიურია **კარებებ**-ისა. იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელს ამოსავლად აქვს მხოლოდითად გააზრებული კარები, ხოლო მხოლოდითში ქები არ დასტურდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ საერთო ამ ორ ცნებას შორის არის ის, რომ ორივე არსებობს წყვილად (კარები ტრადიციული გაგებით ორფრთიანია). თავად დიალექტში **კარებები** ფორმა არ იხმარება. რიცხვის მიხედვით ოპოზიციური ფორმებია: **კარი** — **კარები**. საინტერესოა, რომ აქ ფანჯრის ფრთას **ფანჯრი(ს)კარი** (მრავლ. **ფანჯრი(ს)კარები**) ჰქვია.

სახ.	გოგო	გოგუ-ებ-ი
მოთხ.	გოგო-მ(მა)	გოგუ-ებ-მა
მიც.	გოგო-ს(Ø,ჰ)	გოგუ-ებ-ს(Ø)

ნათ.	გოგო-მს/გოგო-ს-ი(ზ.აჭ.)/გოგო-ს	გოგუ-ებ-ის(ი)
მოქმ.	გოგო-მთ/გოგო-თ-ი/გოგო-თ	გოგუ-ებ-ით
ვით.	გოგო-დ	გოგუ-ებ-ად
წოდ.	გოგო-ვ/გო-ვ(უ)	გოგუ-ებ-ო
სახ.	ხოზო(ა)/ხფო(ა)/ხპო(ა) (ქობ.)	ხოზუ-ებ-ი/ხოზ-ი-ებ-ი/ხფ-ი-ებ-ი ხპ-ი-ებ-ი/ხპო-ებ-ი (ქობ.)
მოთხ.	ხოზო-მ(მა)/ხფო-მ/ხპო-მ	ხოზუ-ებ-მა/ხოზ-ი-ებ-მა/ხფ-ი- ებ-მა/ხპ-ი-ებ-მა/ხპო-ებ-მა
მიც.	ხოზო-ს(Ø,პ)/ხფო-ს/ხპო- ს(ქობ.)	ხოზუ-ებ-ს(Ø)/ხოზ-ი-ებ-ს(Ø)/ ხფ-ი-ებ-ს(Ø)/ხპ-ი-ებ-ს/ხპო-ებ-ს
ნათ.	ხოზო-მს/ხოზო-ს-ი/ხოზო-ს(Ø)/ ხფო-მს/ხფო-ს/ხპო-მს	ხოზუ-ებ-ის(ი)/ხოზ-ი-ებ-ის(ი) /ხოზუ-ებ-ის-ი(ზმ.აჭ.)/ხფ-ი-ებ- ის(ი)/ხპ-ი-ებ-ის/ხპო-ებ-ის
მოქმ.	ხოზო-მთ/ხფო-მთ/ხპო-მთ	ხოზუ-ებ-ით/ხოზ-ი-ებ-ით/ხპ-ი- ებ-ით/ხპ-ი-ებ-ით/ხპო-ებ-ით
ვით.	ხოზო-დ/ხფო-დ/ხპო-დ	ხოზუ-ებ-ად/ხოზ-ი-ებ-ად/ხპ-ი- ებ-ად/ხპ-ი-ებ-ად/ხპო-ებ-ად/ ხპუ-ებ-ად
წოდ.	ხოზო-ვ/ხფო-ვ/ხპო-ვ (ქობ.)	ხოზუ-ებ-ო/ხოზ-ი-ებ-ო/ხფო-ებ- ო/ხპ-ი-ებ-ო/ხპო-ებ-ო/ხპუ-ებ-ო
სახ.	ძუძუ(ა)	ძუძე-ები
მოთხ.	ძუძუ-მ	ძუძე-ებ-მა
მიც.	ძუძუ-ს(Ø)	ძუძე-ებ-ს(Ø)
ნათ.	ძუძუ-მს/ძუძუ-ს/ძუძუ-ს-ი	ძუძე-ებ-ის(ი)/ძუძე-ებ-ის-ი(ზმ.აჭ.)
მოქმ.	ძუძუ-მთ	ძუძე-ებ-ით
ვით.	ძუძუ-დ	ძუძე-ებ-ად
წოდ.	ძუძუ-ვ	ძუძე-ებ-ო

შენიშვნა: მესხეთის მომიჯნავე ზემოაჭარის სოფლებში (დიოკნისი, დანისპარაული, მათი მიმდებარე სოფლები) იხმარება — *ხპო* (ნათ. *ხპოსი*). *ხპიები*, *ხოზო* არ გვხვდება. ხოლო ხულოს რაიონის შიდა სოფლებში (ვაშლოვანი, თაგო...) გვაქვს — *ხოზო* (ნათ. *ხოზოსი*) — *ხოზეები*, *ხოპიები*.

ხოზო (ნათ. ხოზოს) — ხოზვები გავრცელებულია მაჭახლის ხეობაში.

დასტურდება ხოზო ფუძიდან წარმოქმნილი სახელები — ნა-ხოზოური (ახალმოგებული ძროხა) და სახოზოური (ხზორების სადგომი), რომლებშიც სავარაუდოა, რომ **-რ** სუფიქსია, ცირკუმფიქსების — ნა—ურ, სა—ურ შემადგენელი.

საკუთარ სახელთა ბრუნება

სახ.	აბულაძე	აბულაძე-ებ-ი/აბულაძი-ებ-ი/აბულაძ-ებ-ი/აბულაძ-ნ-ებ-ი (ქობ.)
მოთხ.	აბულაძე-მ	აბულაძე-ებ-მა/აბულაძი-ებ-მა/აბულაძ-ებ-მა/აბულაძ-ნ-ებ-მა
მიც.	აბულაძე-ს(Ø)	აბულაძე-ებ-ს(Ø)/აბულაძი-ებ-ს(Ø)/აბულაძ-ებ-ს(Ø)
ნათ.	აბულაძი-ის(ი)/აბულაძე-ს-ი/აბულაძე-ს	აბულაძე-ებ-ის(ი)/აბულაძი-ებ-ის(ი)/აბულაძი-ებ-ის-ი/აბულაძ-ებ-ის(Ø)/აბულაძ-ნ-ებ-ის
მოქმ.	აბულაძ-ით	აბულაძე-ებ-ით/აბულაძი-ებ-ით/აბულაძ-ებ-ით/აბულაძ-ნ-ებ-ით
ვით.	აბულაძე-დ	აბულაძე-ებ-ად/აბულაძი-ებ-ად/აბულაძ-ებ-ად
წოდ.	აბულაძე-ვ(Ø)	აბულაძე-ებ-ო/აბულაძი-ებ-ო/აბულაძ-ებ-ო/აბულაძ-ნ-ებ-ო

სახ.	ჯემალა-ა	ჩხუტუნეთ-ი ¹	თაგო
მოთხ.	ჯემალა-მ(მა)	ჩხუტუნეთ-მა	თაგო-მ
მიც.	ჯემალა-ს(Ø,ჰ)	ჩხუტუნეთ-ს(Ø)	თაგო-ს(Ø)
ნათ.	ჯემალა-ს(Ø)/ჯემალა-ს-ი (ზ.აჭ.)/ჯემალა-მს	ჩხუტუნეთ-ის(ი)	თაგო-მს/თაგო-ს
მოქმ.	ჯემალა-ათ	ჩხუტუნეთ-ით	თაგო-ათ/თაგო-თ
ვით.	ჯემალა-დ	ჩხუტუნეთ-ად	თაგო-დ
წოდ.	ჯემალა-ვ/ჯამალ-ო	ჩხუტუნეთ-ო	თაგო-ჟ(Ø)

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება

სახ.	სასელა-ა(Ø) სხალ-ი	ერთ-ი/ერ-ი კაც-ი
მოთხ.	სასელა(ა) სხალ-მა	ერთ-ი(Ø)/ერ-ი(Ø) კაც-მა

¹ ჩხუტუნეთი და თაგო სოფლების სახელებია მაჭახელსა და ხულოს რაიონებში.

მიც.	სასელა(ფ) სხალ-ს(Ø)	ერთ-ი(Ø)/ერ-ი(Ø) კაც-ს(Ø)
ნათ.	სასელა(ფ) სხალ-ის/სხლ-ის	ერთ-ი/ერ-ი კაც-ის
მოქმ.	სასელა(ფ) სხალ-ით/სხლ-ით	ერთ-ი(Ø)/ერ-ი(Ø) კაც-ით
ვით.	სასელა(ფ) სხალ-ად/სხლ-ად	ერთ-ი/ერ-ი კაც-ად
წოდ.	სასელა(ფ) სხალ-ო	ერთ-ი/ერ-ი კაც-ო

შენიშვნა: ერი (<ერთი) გვხვდება ძირითადად ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში.

სახ.	ხაშრ-ის(ი) ლობია-ფ	ჯემალა-სი(Ø,ს) ბაღვ-ი (ზ.აჭ.)
მოთხ.	ხაშრ-ის(ი) ლობია-მ	ჯემალა-სი(Ø,ს) ბაღვ-მა
მიც.	ხაშრ-ის(ი) ლობია-ს	ჯემალა-სი(Ø,ს) ბაღვ-ს(Ø)
ნათ.	ხაშრ-ის(ი) ლობია-ს ხაშრ-ის(ი) ლობია-ს-ი (ზ.აჭ.)	ჯემალა-სი(Ø,ს) ბაღვ-ის(ი)
მოქმ.	ხაშრ-ის(ი) ლობია-ფთ	ჯემალა-სი(Ø,ს) ბაღვ-ით
ვით.	ხაშრ-ის(ი) ლობია-დ	ჯემალა-სი(Ø,ს) ბაღვ-ა
წოდ.	ხაშრ-ის(ი) ლობია-ვ	ჯემალა-სი(Ø,ს) ბაღვ-ო
სახ.	მიხეილა-სი(Ø,ს) ბაბო „მამა“	
მოთხ.	მიხეილა-სი(Ø,ს) ბაბო-მ	
მიც.	მიხეილა-სი(Ø,ს) ბაბო-ს	
ნათ.	მიხეილა-სი(Ø,ს) ბაბო-ს ან მიხეილა-ს ბაბო-სი	
მოქმ.	მიხეილა-სი(Ø,ს) ბაბო-თ(თ-ი)	
ვით.	მიხეილა-სი(Ø,ს) ბაბო-დ	
წოდ.	მიხეილა-სი(Ø,ს) ბაბო / მიხეილა-სი(Ø,ს) ბაბო-ვ(უ)	

შენიშვნა: ფუძეუკვეცელ გენეტიურ მსაზღვრელთან ი (-ს-ი) ჩნდება ზემოაჭარულში.

ნათესაობით ბრუნვაში **ი** შესაძლოა დაერთოს საზღვრულს (თუ ის ფუძეუკვეცელი სახელია). ამ შემთხვევაში მას მართული მსაზღვრელი აღარ დაირთავს: **მიხეილა-ს-ი ბაბო-ს** ან **მიხეილა-ს(Ø) ბაბო-ს-ი**.

ზ მ ნ ის უ ლ ლ ე ბ ა

ურთავს / ჩუშურთავს „ამატებ/ჩაამატებს, ჩართავს (კერძში რაიმე სართავს)

I სერია		
აწ- მე.¹	ურთავ ურთავ ურთავ-ს	ურთავ-თ ურთავ-თ ურთავ-ენ ურთავ-ენ
უწ- ნოლ.	ურთევ-დ-ი, ურთვ-იდ-ი ურთევ-დ-ი, ურთვ-იდ-ი ურთევ-დ-ა, ურთვ-იდ-ა	ურთევ-დ-ი-თ, ურთვ-იდ-ი-თ ურთევ-დ-ი-თ, ურთვ-იდ-ი-თ ურთევ-დ-ენ, ურთვ-იდ-ენ
I კავ.	ურთევ-დ-ე, ურთვ-იდ-ე ურთევ-დ-ე, ურთვ-იდ-ე ურთევ-დ-ე-ს, ურთვ-იდ-ე-ს	ურთევ-დ-ე-თ, ურთვ-იდ-ე-თ ურთევ-დ-ე-თ, ურთვ-იდ-ე-თ ურთევ-დ-ენ, ურთვ-იდ-ენ
II სერია		
წე.²	ურთ-ე(ევ-ი) ურთ-ე(ევ-ი) ურთ-ო	ურთ-ე(ევ-ი)-თ ურთ-ე(ევ-ი)-თ ურთ-ეს, ურთვ-ეს (ენ — ქობ.)
II კავ.	ურთ-ო ურთ-ო ურთ-ო-ს	ურთ-ო-თ ურთ-ო-თ ურთ-ო-ნ
III სერია		
I თურ.	მ-ირთ-(ვ)ი-ა გ-ირთ-(ვ)ი-ა ურ-რთ-(ვ)ი-ა	გვ-ირთ-(ვ)ი-ა, მ-ირთ-(ვ)ი-ან (კრნ.-მარ.) ³ გ-ირთ-ი-ა-ნ ურ-რთ-(ვ)ი-ან
II თურ.	მ-ერთ-ო გ-ერთ-ო ერთ-ო	გვ-ერთ-ო, მ-ერთ-ეს (კრნ.-მარ.) გ-ერთ-ეს ერთ-ეს

¹ ამ ზმნის აწმყოს წრის ფორმები ასრულებენ მყოფადის ფუნქციასაც.

² II სერიის მწკრივთა ფორმები ზმნისწინის გარეშეც სრულ ასპექტს გამოხატავენ.

³ O¹-ის მრავლობითობის სუფიქსური (ზანურისებური) წარმოება დამახასიათებელია ჭოროხისპირა სოფლები — მარადიდისა და კირნათისათვის. აღნიშნული სოფლები წარმოადგენენ ნაწილს საზღვარს მიღმა დარჩენილი ნიგალის/ლივანის/ ლივანის ხეობისა. ამ ბოლო დროს, მას შემდეგ რაც შეიქმნა მეტი შესაძლებლობა თურქეთის საზღვრებში მოქცეული ქართული მეტყველების აღნუსხვა-შესწავლისა, გაჩნდა მოსაზრება ნიგალური/ლივანური მეტყველების ცალკე სამხრულ დიალექტად მიჩნევისა. ამ თვალსაზრისით, სოფლების მარადიდის და კირნათის მეტყველება წარმოადგება ლივანური კილოს შემადგენლად.

III კავ.	მ-ერთ-ო-ს გ-ერთ-ო-ს ერთ-ო-ს	გვ-ერთ-ო-ს, მ-ერთ-ენ (კრნ.-მარ.) გ-ერთ-ონ (ნენ- ზ.აჭ.) ერთ-ონ (ნენ- ზ.აჭ.)
დგამს		
I სერია		
აწ.- მე.	(და)-ვ-დგამ (და)-დგამ (და)-დგამ-ს	(და)-ვ-დგამ-თ (და)-დგამ-თ (და)-დგამ-ენ
უწ.- ნოლ.	(და)-ვ-დგემ-დ-ი (და)-დგემ-დ-ი (და)-დგემ-დ-ა	(და)-ვ-დგემ-დ-ი-თ (და)-დგემ-დ-ი-თ (და)-დგემ-დ-ენ
	(და)-ვ-დგმ-იდ-ი ¹ (და)-დგმ-იდ-ი (და)-დგმ-იდ-ა	(და)-ვ-დგმ-იდ-ი-თ (და)-დგმ-იდ-ი-თ (და)-დგმ-იდ-ენ
I კავ.	(და)-ვ-დგემ-დ-ე (და)-დგემ-დ-ე (და)-დგემ-დ-ე-ს	(და)-ვ-დგემ-დ-ე-თ (და)-დგემ-დ-ე-თ (და)-დგემ-დ-ენ
	(და)-ვ-დგმ-იდ-ე (და)-დგმ-იდ-ე (და)-დგმ-იდ-ე-ს	(და)-ვ-დგმ-იდ-ე-თ (და)-დგმ-იდ-ე-თ (და)-დგმ-იდ-ენ
II სერია		
წე.	და-ვ-დგ-ი და-დგ-ი და-დგ-ა	და-ვ-დგ-ი-თ და-დგ-ი-თ და-დგ-ეს (ენ-ქობ.)
II კავ.	და-ვ-დგ-ა და-დგ-ა და-დგ-ა-ს	და-ვ-დგ-ა-თ და-დგ-ა-თ და-დგ-ა-ნ
III სერია		
II სერია		
III სერია		
I თურ.	მქონია ქქონია ხქონია	გვექონია ქქონებიან ხქონიან
II თურ.	მქონოდა ქქონოდა ხქონოდა	გვექონოდა ქქონოდენ ხქონოდენ
III კავ.	მქონოდეს ქქონოდეს ხქონოდეს	მქონოდენ ქქონოდენ ხქონოდენ
I სერია		
აწ.	ვარები იარები იარება	ვარებით იარებით იარებიან
უწ.	ვარებოდი იარებოდი იარებოდა	ვარებოდით იარებოდით იარებოდენ
აწ. კავ.	ვარებოდე იარებოდე იარებოდეს	ვარებოდე იარებოდეთ იარებოდენ
მე.	გევარ გეიარ გეიარს	გევარავთ გეიართ გეიარებენ
ნოლ. შედ.	გევარდი გეიარდი გეიარდა	გევარდით გეიარდით გეიარდ-ენ
მე. კავ.	გევარდე გეიარდე გეიარდეს	გევარდეთ გეიარდეთ გეიარდ-ენ

II სერია		
წვ.	გევეარე გეიარე გეიარა	გევეარეთ გეიარეთ გეიარეს
II კავ.	გევეარო გეიარო გეიაროს	გევეაროთ გეიაროთ გეიარონ
III სერია		
I თურ.	გიმივარია გივიარია გიუუარია	გიგივივარია გივივიარია გიუუუარია
II თურ.	გემევარა გეგეარა გეეარა	გეგეგევარა გეგეგეარეს გეეეარეს
III კავ.	გევეარო გეიარო გეიაროს	გევეაროთ გეიაროთ გეიარონ
I სერია		
აწ.	წავდივარ წადიხარ წადის	წავდივართ წადიხართ წადიან
უწ.	წავდიოდი წადიოდი წადიოდა	წავდიოდით წადიოდით წადიოდენ
აწ. კავ.	წავდიოდე წადიოდე წადიოდეს	წავდიოდეთ წადიოდეთ წადიოდენ
მე.	წავალ წახვალ წავა	წავალთ წახვალთ წავლენ
ხოდ. შედ.	წევდოდი წეხვიდოდი წევდოდა	წევდოდით წეხვიდოდით წევდოდენ
მე. კავ.	წევდოდე წეხვიდოდე წევდოდეს	წევდოდეთ წეხვიდოდეთ წევდოდენ

II სერია		
წვ.	წვეელ წებველ წველა	წვევლთ წებველთ წვევლით
II კავ.	წვედე წებვიდე წვედეს	წვედეთ წებვიდეთ წვედენ
III სერია		
I თურ.	წვესულვარ წესულხარ წესულა	წვესულვართ წესულხართ წესულან
II თურ.	წვესულიყავ წესულიყავ წესულიყო	წვესულიყავთ წესულიყავთ წესულიყვენ
III კავ.	წვესულიყო წესულიყო წესულიყოს	წვესულიყოთ წესულიყოთ წესულიყონ

შავშურში თვალში საცემია ზმნისწინთა თავისებურებანი: წა- ზმნისწინი გამოიყენება მი-ს ნაცვლად, მა მო-ს (**მაატყვილეფ, მააპარ- ვიე**), გა შე-ს (**გავწუნდე, გავპირდი**), შა- შეს ნაცვალად (**შაშაოი, შა- მიეყვანს**); ჩე ჩას ნაცვალად (**ჩეგისხა**)

ახლანდელს შენ ვერ **მაატყვილეფ** (ხევწ.); სოკო ბილა **მააქვან** (ბაზგ.)ხეს **მაანტები** (წეთ.); **მააპარეს** ძალი (ჩაქ.); **გამამიყვანა** წყა- ლი (ხევწ.).

მეც **წავდივარ** (ზაქ.); ქალაქებში ვერ **წადიოდენ** (ჩიხ.); სიძე **წა- დის** და მოდის (მან.).

ავ და ამთემისწინიანი ზმნები უწყვეტელსა და მასზე დაფუძნებულ სხვა მწკრივებში ევ, ემ -ს გვაძლევენ. ეს წარმოებაა გავრცელებული:

სიმიინდ **ფქვევდა** (ჩაქ.); **სძინევდა** ოდაში (ბაზგ.); ისიც ასე **სწე- რევდა** (მაჩხ.).

აქვე გამოკვეთილია სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშანთა ხმარება, დასტურდება ხანმეტი და ჰაემეტი ფორმები: შევხკონავთ მოჰკლავ, მიჰსცემდი, მოჰსწველდი, ხქონდა.

ფხალსაც **მოჰხარშავ, დაჰკეპავ** (ხოხ.); ჩალსაც **შევხკონავთ** (ბაზგ.); **აჰწონავ** ერთ ემესა (ჩაქ.); არ **სწყევლო** არვის (იფხ.).

ერთპირიან ზმნაში ორი პირის ნიშანია: სწყდება, სჩანდა.

დასტუდება უნიშნო ფორმებიც: **ქვია, ქონდა.**

მესამე სუბიექტური პირის მრავლობით რიცხვში გამოკვეთილია ან სუფიქსის უნიფიკაცია: **მიღევან** გოგოს ნათესავები (სვირ.); ამათ **ესმან** (მან.).

იშვიათად წყვეტილში ნენ სუფიქსია: ერთი თუთა **გაქინენ** (ხევწ.).

თ სუფიქსის ნაცვლად უნდა ზმნას ორმაგი ან დაერთვის: უნდა-
ნან: თქვენ გურჯი მღერა **გინდანან?** (უსტ.); ბევრი რახცა **უნდანან** (ჩაქ.).

მყავს ზმნაში არ არის **ს: მყავ-** დედაბერიც მყავ აგზე (უსტ.); აქ ერთი მეზობელი მყავ (მან.).

შავშურში ერთმანეთს ენაცვლება ვნებითი გვარის ფორმათა პრე-
ფიქსული და სუფიქსური წარმოება: გვეთხვა, გვეხარა: წყალსიმერში
გვეთხვე (წეთ.); ვინცხას **მეემშევა**, ჭამოს (**ჩაქ.**); ჩემ ბაბოი **დეესახლა**
(ბ.); **გეეჩქარე**, ცქვიტა? წადი (ნიოლ.).

შავშურის გამოკვეთილი თავისებურებაა იცის შემასმენელთან
ქვემდებარის სახელობითში ჩასმა: ხოჯა იცის გურჯული (ა.); თელი სო-
ფელი თურქია არ იცის (მაჩხ.).

გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარე მოთხრობითშია: ახლანდელე-
ბა რომ მოდიან აქა, ისვენ **წადიან** (ხევწ.).

პირველი სერიის ფორმებთან პირდაპირი დამატება ხშირად სახე-
ლობითშია: ჩაი ვადულებთ (უ.); **ზოგი** მოხარშავ (ზ.).

შემოკლებათა განმარტებანი

ხევწ. ხევწრული, ზ. ზიოსი, უ. უსტამისი, ჩაქ. ჩაქველთა, წეთ. წეთილეთი, მაჩხ. მაჩხატეთი, იფხ. იფხრეველი იხილეთ წიგნში: შავშეთი (ავტორთა ჯგუფი). შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტი. ქართველოლოგიის ინსტიტუტი. თბ. 2011.

შავშურის, კლარჯულისა და ტაოურის შესახებ **ძირითადი ლიტერატუ-
რა** დაერთვის ტაოური პარადიგმების შემდეგ.

მეტყველების ნიმუშები

1. ბაზგირეთი

* * *

- აიჰანაჩარში შიწევდა დღეს, ღარჭი წიყყანა.
- რავად ჭამს, მეღლაფა პირი.
- ზეინას მიძახიანენჩული, ზეინებად მქვია.
- ცოდვა არი, დაბერებულა ნენემ, მაგათ ქალები ბევრი ყავან, ზემოთ არიან. აიჰანის ბაბოად და ჩემი ნენემ ემიაშვილები არიან.

ზემოთსახშიადღუგუნი.

- იმა ფული აართვით ბოლათ. მუყყყანეთ ქალი.
- სამი თანე შვილი მყავს, ორი ბაჯალა გათხოვილი მყავს; ღარჭი ჩემთან არი; სამი თანე ბადიში მყავს. ერთი ართვინშია, სერვის წიკავს, შოფერია. ართვინ ვინმეს საქმე აქ, წაასხამს, აქეთ წამაასხამს.

— რაზე წერავთ?

- ფენა, ფენა... ბევრი გათოვლდება, ყავარზე ავა თოვლი; ჩომა გყყავს, ხარები გყყავს, უართ; ახლა დაილაშია; სამი ხარი გყყავს, ძროხებში არ ვურევთ; ათოლიე გვაქ, კარ ვაკეთებთ, ფენჯერას, ჩემი კაცი აკეთებს.

ოცი წლისა გევეთხვე, ელჩები მოვდენ, კაცი სამი წლით პაწააა ჩემზე, გავზარდე (ხუმრობს — ჩამწ.). კაცმა ამომირჩია, ის ჩვიდმეტის იყო; საქონელ ერთად ვაძუბდით; სოფელში რომ იყო, დევნახვედი, დევლაპარიკებდით (მეხსუს მალაპარაკებენ აგზე, ახლა მივხდი).

— ჩემთან მევიდენ, ჩემთან დადგენ, ერთი თვე გახდა, ისინი გენჯები იყვნენ (სხვებიც ყოფილან აქ — ჩამწ.).

— საქმე მაქ, ოფლი დამასხა, დევლალე.

კად მეზობლები არიან, აქ არავინ არ წიკინდლებიან; ამ სახში გეარეთ, იმა ეცოდინება ბევრი.

— ეს სკამია; დიდ სკამს სანდალიეს ვეტყვით; ჩემ შვილ ჰამერი ყავს.

— სიმინდ ვთესავთ, ქერ აღარ ვთესავთ, ახლა მარტო ყართოფას ვთესავთ.

* * *

— თამამ, ეფსო, დაყარუე (ნარგიზას ეუბნება, გამორთოს ვიდეოკამერა — ჩამწ.), მევლალე ლაპარაკში. ახლა მე'ნა წევდე, ბოსტანში საქმე მაქ, რაცხაები'ნა მევტანო; მე'ნა წევდე, კარები'ნა დუყყარო.

— ამა სონერად ქვია, ერთი ლამაზათ იმღერე, შვილო (ბავშვს მიმართავს — ჩამწ.). აჰა-და, მოკალ, ცოდვა არ დეგედვა? (მიმართავს პატარას, რომელმაც ბუზი მოკლა — ჩამწ.). ამგვარ ღარჭებ თურქულა ველაპარაკები, ჩვენ გურჯულა ვლაპარაკობთ.

დეიმღერე, შვილო.

(რამდენი წლის ხარ? — ვეკითხებით პატარას).

— შვიდის-თქვა, ისე უთხარ, წრეველ'ნა წევდეს ოქულში. ღარჭები დიდვანი გყყავს.

— აგერ ვაშლი, აგზე სხალია, ქლიავი მოდის იშტე. ბალი მოდის, ჰამა ბევრი არა. წოწოლა ვაშლი გვაქ, გვალი ვაშლი არი, მოშოშოთა სხალი არი, წარია სხალი ქვია; პანტა სხალია, ფიდან გეიზდება, დაანამყენებ. თელი და-ანამყენებენ, სანთელ მიაკრენ.

* * *

— იმა ქალიც ყავს, ბაჭალაც ყავს; ჭლიკები მტკივა, მეგღალე ლაპარაკში.
— ესანიც თქვენები არიან?

* * *

— კაკალი აქ არ არი ზათი, არ იჯება, მალათ ვართ-და. ქომოდან მო-გვაქ, ფულით ვიღებთ, აქ არ იჯება, ვერ ასწრობს ზამთარ; ხმარობენ აქა, ხმა-რობენ; დემელებზე ხმარობენ, ჰამა ცოტა ბაჭალი არი, ბევრ არ ვხმარობთ; ტათლზეც ხმარობენ; ბევრ არ ვაკეთებთ, ჰო.

* * *

პურის გამოცხობა და გვერეგის გაკეთება

მოვხელ, მარილ დავაყრი, მაიას ვურთობ, მოვხელთ, უჩ საათ ისე დავა-ყენებ ჰო, სამ საათ, ედა მემრე თქერენ გავაკეთებ იმა, სამ საათ სოღრა კვე-რებ დავაკეთებ, ერთ საათსაც იმა დავაყენებთ და მემრე თქერენ ჩავსხამთ იშ-ტე სობაში და სობაში გამუაცხობთ იშტე.

გობში, ლაილონის გობში მოვხელთ, უწინ შეში გობში ვხელდით, რომ არ იყო ლაილონი... კეცში ჩავსხემდით, კეცი იყო, ტალახისას გავაკეთებდით, იქში ჩავსხემდით, ის უმფო ხას პურ გამააცხობდა, ხას ჭად გამააცხობდა. ეს სობა იმფო არ აცხობს ჰო, რა გერმელი იყო ყველა'ფერი.

(შეშის გობები გადაყარეთ?— ჩამწ.).

— არ გადაყარეთ, თავანშივე ყრიანიშტე, ვინახავთ იშტე.

მემრე გვერეგ მოვხელთ ნაღებში, პურისაც იჯება, პურსაც მოვხელთ, ჭადისასაც მოვხელთ (სიმინდის ფქვილს გულისხმობს — ჩამწ.) გვერეგ; ანი-გავასუქებთ. არამოვა, არამოვა... ფორმაში არ ამოვა.

2. მერჯიმეგი

მერჯიმეგის შორვას გავაკეთებთ, კაკლებია წვრილი ზივებსავენ, წითელი. იმა ენ წინ... არ მოვხარშავთ. ენ წინ ადლ დასწუავ, შიგან ხახვ ჩააჭრი, ჩო-მისაღს, ერბოს, არაფერ არ ჩავყრი, ზოგი აყრიან. ჩვენ ბიბერი, ემეი, ნანე-მა-ნე არ გვიყვარს და იმას არ ჩავაყრით და მოვხარშავთ იშტე, მოვხარშავთ. მა-რილ დაყრი, გახდება შორვა. გერმელია; წყალი'ნადასხა, წყალი; ხახვ ვურ-თობ, ბიბერ, მაიდანოზ — არა: არ ჭამს ე ჩვენი კაცი და. ზოგები ურთობენ, ამა არ უყვარს.

გვერეგი უთხარ?

ყართოფიანს დავდგამთ, ყართოფ დავთლით, სინში ჩავბეპლავთ, ადლ, ფშნილას მუყაყრი; ერბო, ადლი თელიერთია.

დავჭრით ასე ყართოფ. ფშნილას მოვაყრით, მალ ვურთობთ, მარილ - სინში. შევდგამთ სობაში, გამოცხვება, გერმელია.

ჰამდე, წაითახლა, ახლა სხვანი ალაპარაკეთ.

3. ზიოსი

— დედემ ბათომილამ მოვდოდა, ამა არ მოვწრებვიარ. ჩიქუნეთ გასული ვარ. მაშინ სიხი იყო და გვიჭირვედენ. ჩემი ბიჭი ამბოფს, ბათუმ'დაგვედე და მოზიკად'დაამოგტანოვო.

— მოლი ბევრია, მოჭარ, მიართვი ჩომას.

— დაჭედავ ბულებს.

— ჩიქუნეთური მაილებს მხრიდან არისგოლი. იქიდან გამოვდოდა ბულები, დემაჭედებოდენ, ვერ მიერევოდა, შევდოდენ მორევში.

— მისილოდლებიმაილებს ეტყვიან, სულეიმანი იყო მისილოდლი. ჩიქუნეთლები გამოდიოდენ აქა. იმათ მაილებში ეფრატლები არიან, მაჭეხლელები.

— მარიობას ვეტყვით ჩვენ იმა, საქორიას დავდივართ.

— საზვირელ ვეტყვით იმ ადგილ. რომ გათოვებოდა, გაწვიმებოდა, ჯარები შევდოდენ მაღარაში.

— ყაზილად გადმოიტანდენ. ერთი თენექეყაზილისამმარჩილად ილებდენ ბათუმ. ზათინ გურჯების შეერი ბათომიიყო. ოსმან დედემ ბექაძე ილებდა იქ ყველაფერს.

— ზაქიეთურიბესიმა. აიშეს დუუზახ ტელეფონია-თქვა.

— ქორწილობა დიდი დუგუნია აქა. ოქულიდაყაფანდა.

— ძველი კაცები მოვლენ, გოგოს დემნიშენენ, მემრე აღდს იქმენ.

— ვაშლი აქ ბევრია: ორთასულად, წოწოლაფაშლი, მაჭეხლელაა...

— სხალი არის, მოჩოჩთაა სხალი (მოჩეჩთაა სხალიო, ასეც ახსენა მოუბარმა — ჩამწ.).

— კარქა ვარ. მუზიკად რატომ არ მომტა? მაშინ რატომ მოხველ აქ, რომ ვერ მომტა? (ნუგზარ ცეცხლაძეს საყვედურობდა მასპინძელი — ჩამწ.).

— ოთხი თორუნი ბიჭიდან, ხუთი გოგომდან. თორუნები მყავს, ბიჭი გამძულდა. თორუნები მიყვარან.

— ბლავვიარ'დაიყო.

— შეშასავეთ დადიან ფალაზები.

— გვარი'და დემაწავლო, გვარი.

— ხელით ხვრიტოს, კაა. მაწონი კოვზით'ნახვრიტო'ნა, გემო იმა ქონდეს.

— ჩემი სიმინდი ყანა დააწვინა... გენჯები წადიან, არ ჩერდებიან...

— ორთაბათუმურას ვეტყვით საცეკვაო მუზიკას. დიგიკრათ'ნა, გაცეკვოთ'ნა...

4. ხევწრული

— ილმაზი ავით არი? ჰე, ჰე, ავით არი!

— ადკუტი ბალია (პანტა ბალს უწოდა ასე — ჩამწ.). იქ ზაღლის საფინავია. პური გადავარდა და ზაღლი გადაყვა, იმიტომ ქვია ასე.

— ბათუმი ჰითკენაა ახლა? ბათუმი გურჯისტანია! ალლარაზიოლსუნ, გორბაშოვ მაღლობა.

— ყუმარი იცოდენ აქა. ყილიჯ ითამაშებდენ, ზარებით. მეიგებდა: დუბეში, დუშეში, დუსე, შეშეში; წააგებდა: მაგანი, დუბარა, დორთხარი, დუ-მაქი.

— შეჭერში წადიან გენჯები. აქა ფუში არ უძღება კაცსა. ჩვენში ფუხრობა მეტია.

— ერთი მილიარიც რომ მეიგო, ანჯახ იქნები. ფინთი მეგ არის. უწინ აქ დავთესევდით ბუღდას, ქერს, სიმინდს... სიმინდი ალთუნაჲ არის, სხვაც... კოტრებ გემაკეთებს, ქუჩუჩ მედამს... სიმინდ დაფშნი, კუტუტაჲ დარჩება, დავწვავთ.

— რაჰათათ იყავ.

ზიოსშიბეჭირაჲ დიდი კაცია.

— ზველი სოფელი ღელეში ყოფილა. ჯარი დაკარქულა, გოლის ნაპირში უპოვიათ. მემრე აქა დასახლებულან, — უზოვნია, უზოვნია და დაწოლილა.

— ზველქითა ბებარ შეინახდენ. გაავრის ქვაჲო, რომ თქვან, არ შეინახვენ. ქითაბსაც არ შეინახვენ ჩვენი ხალხი.

* * *

— რას წერავ? ჩემზე რამდენით პაწაჲ ხარ? სიმღერის ვახტი მაქ? დიმიდინგლე! იქ გავხედე გუშინ, იქ მული მყავს-მეთქი და მიტირია და ხებერიც არ მაქ.

— ჩვენც ერთი თუთა დაგვჩა.

— ერთი დაგჩნენ?

— ყორეზე.

— ყორეზე? დიდი თუთა დაშჩნენ.

— ვერ ევდა?

— აა! ვერ ევდა და იმიტონ?

— არა, არა, აქანებენ, ადის, ადის.

— ჩვენსას იმდენი არ ასხია, მაშალა!

— წინა სირ ორი თეშტი მოვადუღე.

— რამდენი თანეა თუთა?

— ოთხი.

— წრეველ ბევრი არ ასხია თუთას. ერთ კიდენ მოვადუღო-მეთქი და, ერთი ჰაჯერას ჩუუსხი ახლა-და მე ქი უმიანათან ვარ. ხანდახან გავალ ჰაჯერასთან-და.

— მუსაჲ რა იჯება, მუსაჲ?!

- მუსაე ემლაქჩია, ებლაყუნება, არი.
- არ შევიდა საქმეში?
- არ შედის, ა?
- არ საქმობს?
- ემლაქჩია-და, საქმობს.
- კააა, კაა, ისაქმოს'და.
- რაი აქვან? ტიტველაა ნუ იქნები-და.

5. შავშათი

* * *

- რავაი ხარ? იქიდან რომ მოსულხარ, კარგა ხარ.
- კაა გიგიხდი აქითაბი.
- სა მარეთ ახლა? ბაზგირეთ იყავით? ბითევი სოფლები დეარეთ, არა? რა ჰალი გივლიათ! სვირევიდან აქ წამოხველით? ამისი სოფელი მაღლი არი. ცოტა ლამაზი არ არი. ვაკე, ლამაზი ადგილია, აშელიგებენ ახლა.
- ერთი ემეა მოიდოდა, რე იქნა არ ვიცი, ვერ მოიდა.
- ბათუმიდან იყო?
- თიფლისიდან იყო.
- ეს მოიდეს, იმან კარგა იცის. ცქვიტად წერაგს, ნახე! პაწაა ადგილი გვაქ, ჰამა დიდი გულია. თუ არ მეგეწონებიან, თუ არ გეამა, არ ჭამოთ; ესა მერჯიმეგია, წყრილ-წყრილია, ლობისავეთ; აქვერი წყალი ფენა კაა. ცოტა დავდო, თუ გეამებათ, მითხარით. ხორცები არ ჩასულა, მეტაა, დივიდვა. ამაში არი კართოფილი, თომათესი, ბიბერი; ეს თულლია. მერჯიმეგ წყალში მოხარშავ, მაღში გააბრაწებ, ნიორსაც გუჟრევ.
- ჭამოთ'ნა, აბა! ჯერ რა იქნა, ქათამიც არი. ყუსურზე არ დიმირჩეთ.
- ესა შეშის გაკეთებულია, თეფშ ვეტყვით. მაწონი ამოჭამეთ, აქვერი მაწონი გერმელია.
- ერთი იქვერობას დევნახევედე! ესენი წამოვდენ, მეიარეს, ჩვენ არაფერი; თურქია იცი? რომ იქნებოდე აქ, დემწავლი; ერთი ქალი არი, იმან დემწავლა.
- საზღვარი გემსნა, მოდიოდენ ქართველები, მოვასხამდი სახში („მოვიყვანე“ — ერთი თანე, ბევრი — „მოვასხი“). ქართველებს ერთი რუსი ეხლა, ჩვენი საჭმელები არ მედწონა, წევიდა, ერთი კონსერი მეტანა, გასხნა კონსერი, დადვა ბეთი სული; ქართველმა უთხრა, ფენჯერზე დადგო.

* * *

- გოგვები ორი ისტამბულ არიან. ეს ბიჭი ვერ დავალაგეთ. გეიარა დრომ. იქ მოდიოდენ ბევრი გოგვები, არ მოწონს.
- ჩემი გოგვები ჰემ საქმობენ, ჰამა სახლის საქმეც იცია.
- ჩემი გოგო არაბაში იყო; ისა დაკვირვებულა, მაბანჩი არ იქს-მეთქი. მე ბევრი ვიდერდე, არ მინდოდა, ჰამა იმან იმსოა ლამაზათ ილაპარაკა,

წეყვანო, ამანაც უთხრა. ლურჯი თვალები ასხია; დაბანჩი სიძე არ გვინდოდა; ამა თქვენ გებნევით, იმას არა. თერბელი მუა, წავა. არ ვაგინე მე, იმსოა კამ სიძე გამოდგა! ჯარში საქმობს. მალ-მალე იცლის ქალაქს. ესენიც ისტამბულში არიან, ბავშები ყავს, ბადიშები ყავს.

— არ ვიცი, გელინი საიდან და მეყვანოთ, გურჯი დაჰა კამ იქნება.

ბიჭი ცოტა შეშლილი არიან (!): მოდიან იქ გოგვები. კამ იქნება, არ იქნება...

წინ-წინ გოგოს არვინ არ კითხევდა, მეფწონებდა არ მეფწონებდა. ის ადეთი უმფო კამ იყო. ახლა არ გვიდინგლავს. გოგოს და ბიჭ ერთმანეთი უყვარან, მამას და დედას არ უნდა, გოგოს უნდა, მომიპარეო, ეტყვის.

მოტაცება ზორით არი.

ახლა ისე ყოლადა.

დედ-მამამა „არმინდა“ თქვას, თვრამეტი წლის გათავდება, წაყვება გოგო.

* * *

— ეს მოსულა ჩემ სანახავად. მაშინ ადეთი არ იყო. ოდიდან კარში ბილე არ გამემიშვეს. გამევიდა გარეთ, ჰემ ხელები დევიბანოთ. აგზე ლაპარაკი მესმის. ბალკონზე ჩემი ახრება იყო. ვინ არის-მეთქი. არ ვიციო, ბაძვირული ვინცხა არიო. მილეთი ეარეოდენ, ჩემ ბაბოს არ იამებოდა.

ჩემი ბაბოა ვის ელაპარაკება-მეთქი? არ ვიციო. მე გამევიდე-მეთქი? სა მიხვალო? — ბაბომ. კარები და დავგავო-მეთქი. შედიო, არაფერი დავა არ გინდაო. ამას მეგერ უნდოდა ჩემი თავი. არ დამანახვეს. ის წევიდა, არ დუუნახავს, ერთი ემიაშვილი ყავს, იმისთინ შუჟივილია, არ დამანახვესო.

დილა რომ გახდება, ბალკონს დავგვისო, დაბერტყავსო, დემანახავო. არა-ბაში შესულა, კამიონში შესულა, თავი ანას უნდოდა ჩემი თავი. სხვებიც იყვნენ, მარა ჩემ ბაბომ ჩვენი თერევის უმფო მეფწადინა. ელჩად ბევრი (=ბევრჯერ) არ მოსულა, ერთი-ორჯერ — თავისი ბაბოა. ბაბომ დემანახა, მეეწონა. ოცდაერთი წლის ვიყავ, არა?

— ჩემთან იჯექი, ვილაპარაკოთ.

— მივხდი მეც. წევიდენ, თექრენ მოიდნენ, მეტანეს მარტო ბეჭედი და დასაკიდებელი. ბეჭედი ალთუნი იყო. ჩვენ მას ერთი ბეჭედი მივეცით. ის დაკარგა. ჩვენ გოგვებმა, ისე არ გიხდებო და... დუგუნამდე გაზაფხულიდან ოქული რომ იწყება, დუგუნამდე ხუთი-ექსი თვე გევიდა, ჰიჩ არ დიმიანახავს. ჩუმსაც არ ვიღებდი. ჩემ ანას, ბაბოს მოწონდა. ჩვენი სოფელი სხვაა, იმათი-სხვა, ხეწრულს ზემოდან. მოქონდენ ჩასაცემლი. ერთი-ორი-სამი ყათი რაცხა მეტანეს, ისენი მოდიოდნენ.

— მე ველაპარაკებოდი ჩემ დედამთილ, მამამთილ. დოდოფალი არ დედლაპარაკებდა.

— დუგუნი იქნა. ადეთი არი — დუგუნამდე მისი მშობლები მოდიოდნენ. მოიდა დრო, სოფელში წეველით ბითავი მეზობლები. ბევრი საჭმელები

იყო: ყაურმა, ფაფა-მაფა, ფილაფი, ბორელი, ფშნილასაც მაყური, გამხმარი ქლიავი, ისენი თელი.

მაშინ სოფელში გზა არ იყო.

ნიქაპი: ამას კითხავს, შენ ეს კაცი ქმარად გინდა, თუ არაო.

დაპატიყებდნენ მეზობლებ, მაყარი იქნებოდა. დადე, ამისი ემოსი დის ქალი, მოიდა; დადე სამიცი იქნება, მარა იმდენ ცხენებს ვერ იპოვიდა.

— დოდოფალი წამოყვანამდი დადეები წვევილოდნენ დოდოფალთან. ქალები ამას დემანხევდნენ, რაცხებს აჩუქებდნენ, ჩვენაც რაცხებს მიცემდით — ფული, ჩასაცმელი, ალთუნი, მაზმა.

— გიგიცივდა შენ ეს, სვი... არა, რაი'ნა დევილალო?!

— იმას, „იმედს“, ამ დღეებში არ აჩვენებენ, რა დეემართა, არ ვიცი.

ძველ ინსნებმა იცოდნენ ბათუმი, ჩვევილოდნენ, მევილოდნენ. ართვინში ჩასლამდე ბათუმი ახლოა. იქიდან ქი არ მიდიოდნენ ბათუმში ფეხდაფეხ. დილას ავდგებოდით, მზიჩასლამდე მივდოდით. ვაჭრობა იქიდან ქონდათ.

— ამას ჩემზე მეტი ცოდნია.

— დადესთან მე შემოყვანეს, დადესთან კულანდელიადეთით ჩამაცვეს ლამაზათ, წასლიხან ჩამაცვეს ამის ბაჯის მოტანილი. ცხენით წამომიყვანეს. მასრაცხას გამაატანებენ, სკივრი. გამოყვანი ხანეზი ეთ მიცემენ მამამთილ. ფარება რთმენ იმას ხისიმები.

კარების დაკეტვაც არის. ვთქვათ, ამისი დამკეტები იქნება ამისი ძმები, ძმა თუ არა ყავს-ბიძაშვილები.

დედას მუუტანებენ საჩუქარ. წამოყვანი ხან დედა, მამა, ძმა, მამამთილიც იქნება.

— ამისი ახლო ქალები გამეყვანებენ, შეაყდუმლებენ ცხენზე, ქორწილი ბიჭის თერეფში იქნება, ერთ ღამეს გათენდება, ბევრი იქნებიან, მეზობლებთან დაწვებიან დაპატიყებული ხალხი.

დადე არაფერ არ აკეთებს. წინ იქნება ბიჭის დადე, შუაზე დოდოფალი იქნება, უკან გოგოს დადე იქნება, გული არ შუუწუხდეს, აწავლის.

— რა გაწავლეს?

მღერობენ, თურქულად მღერობენ, ჩემმა ნენემ ბევრი იცოდა, ამ დეყეზე არ მომავონდება. გზაში სიმღერა იქნება, მღერობენ, გზაში ჭიბონ უკრენ. ახლა ადგა ჭიბონი. სიმღერა ზოგი მახსოვს.

„ვაკეთკენ მიმავალი,

ქვაზე ფეხი წამოვკარ,

უკნესკენ მინავალი

ჩემ მარ თვალი წამოვკარ.“

„ეს აჯარა ღომია

ჩიქინი ქმარი გყოლიაო,

ის გააგდე და მე მომყევ,

სირცხვილი ნუ გგონიაო“

6. სამეურნეო შელოცვები

* * *

ნისლო, წადი ეიყარე,
ბზედ გამევედესო.
ნისლო, ეიყარე, ბზევ, გამოდ!
ნისლო, ეიყარე, ბზევ გამოდ!
ნისლო, ეიყარე, ბზევ, გამოდ!
ცხვარ დიგიკლავ, ბზევ, გამოდ!
შემცივდა, ბზევ, გამოდ!
კალოზე ყოჩ დიგიკლავ,
ბზევ, გამოდ, გამათბე!

მზე, მზე, გამოდი,
ქატო-მარილ დაგიყრი,
ყოჩ დიგიკლავ.
თუ ვერ შეჭამე,
მეც დეგეშველები.

ნაზარ, ნაზარ, ნაგეზარ,
ნაზარ, ბურდა, ნაგეზარ!
ღმერთო, მოგვე წვიმა-წყალი,
შეგვეწყინა მზე და მთვარე!

ტექსტები გადმობეჭდილილია: **შავშეთი**, თბილისი, 2011

მამია ფალავა, ნანა ცეცხლაძე

კლარჯული კილო

ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები

კლარჯული კილო ისტორიული კლარჯეთის მკვიდრთა მეტყველებაა. მისი გავრცელების ძირითადი არეალი ჭოროხის ხეობის ქვემო წელია. ძველი კლარჯეთის უმეტესი ნაწილი დღეს თურქეთის რესპუბლიკაში, ართვინის ილის (გუბერნიის) ბორჩხის, ართვინის, მურღულისა და არტანუჯის ილჩებშია (რაიონებში) მოქცეული, სამი სოფელი საქართველოში საზღვრებშია, — მირვეთის, ქვემო მარადიდისა და კირნათის (აჭარის არ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) მკვიდრი მოსახლეობა ძველი კლარჯების ჩამომავლები არიან, მათი მეტყველება კი — კლარჯული. აქვე აღვნიშნავთ, რომ დღეს ქართული მთელი ისტორიული კლარჯეთის ტერიტორიაზე არ ისმის, მისი ნაწილი მექართულეა, ნაწილიც — მეთურქულე.

კლარჯული სოფლები (60-ზე მეტი) გვხვდება თურქეთის სხვადასხვა გუბერნიაში, მათი მცხოვრებნი რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ მუჰაჯირად წასულ კლარჯთა შთამომავლები არიან.

პარადიგმების შედგენისას გამოვიყენეთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის** (შემდეგ **ქართველოლოგიის ინსტიტუტი**, ახლა **ქართველოლოგიის ცენტრი**) მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიციის (ხელმძღვანელი, პროფესორი მამია ფალავა) მიერ სხვადასხვა დროს კლარჯთა სოფლებში შეკრებილი დიალექტოლოგიური და ფოლკლორული მასალები.

სახელის ბრუნება

თანმოვანფუძიანი ფუძეკუმშვადი სახელები		
სახ.	(მ)გელ-ი	(მ)გლ-ებ-ი
მოთხ.	(მ)გელ-მა	(მ)გლ-ებ-მა
მიც.	(მ)გელ-(ს)	(მ)გლ-ებ-(ს)
ნათ.	(მ)გელ-ის/(მ)გლ-ის	(მ)გლ-ებ-ის
მოქმ.	(მ)გელ-ით/(მ)გლ-ით	(მ)გლ-ებ-ით
ვით.	(მ)გელ-ათ/(მ)გლ-ათ	(მ)გლ-ებ-ათ
წოდ.	(მ)გელ-ო	(მ)გლ-ებ-ო

სახ.	სოფელ-ი	სოფლ-ებ-ი
მოთხ.	სოფელ-მა	სოფლ-ებ-მა
მიც.	სოფელ-(ს)	სოფლ-ებ(ს)
ნათ.	სოფელ-ის // სოფლ-ის	სოფლ-ებ-ის
მოქმ.	სოფელ-ით // სოფლ-ით	სოფლ-ებ-ით
ვით.	სოფელ-ათ	სოფლ-ებ-ათ
წოდ.	სოფელ-ო	სოფლ-ებ-ო
ფუძეუკუმშველი		
სახ.	ლექს-ი	ლექს-ები
მოთხ.	ლექს-მა	ლექს-ებ-მა
მიც.	ლექს-(ს)	ლექს-ებ-(ს)
ნათ.	ლექს-ი(ს)	ლექს-ებ-(ის)
მოქმ.	ლექს-ით	ლექს-ებ-ით
ვით.	ლექს-ად	ლექს-ებ-ად
წოდ.	ლექს-ო	ლექს-ებ-ო

თანხმოვანფუძიანი სახელები მეტწილად უკუმშველია: სოფელი-დან, ფხალის, ყურძენის (შდრ.: საჭამელები)

სახ.	კად ქალ-ი
მოთხ.	კად ქალ-მა
მიც.	კად ქალ-ს(ა)
ნათ.	კად ქალ-ის
მოქმ.	კად ქალ-ით
ვით.	კად ქალ-ად
წოდ.	კად ქალ-ო

ხმოვანფუძიანი კვეცადი

(-ა ფუძიანი) ა ფუძიანი ზოგი სახელი ებ-იან მრავლობით რიცხვში ორ ე-ს იჩენს: თა — თეები, გზა — გზეები

სახ.	თა	თე-ებ-ი
მოთხ.	თა-მ	თე-ებ-მა
მიც.	თა-ს	თე-ებ-ს
ნათ.	თ-ის(ა)	თე-ებ-ის
მოქმ.	თ-ით	თე-ებ-ით(ა)
ვით.	თა-თ	თე-ებ-ად(ა)
წოდ.	თა-ვ(//ო)	თე-ებ-ო

თეებიც არის, მადენის თა, ბუდეითის თეები (ჩვენ. 296); ზოლ ძუელი გზეებია (ჩვენ. 298).

კვეცადი (-ე ფუძიანი)		
სახ.	დღე-ე	დღი-ებ-ი
მოთხ.	დღე-მ	დღი-ებ-მა
მიც.	დღე-ს	დღი-ებ-ს
ნათ.	დღ-ის	დღი-ებ-ის
მოქმ.	დღ-ით	დღი-ებ-ით
ვით.	დღე-თ	დღი-ებ-ათ
წოდ.	დღე-ო	დღი-ებ-ო
სახ.	მამა-ე	მამი-ებ-ი
მოთხ.	მამა-მ	მამი-ებ-მა
მიც.	მამა-ს	მამი-ებ-ს
ნათ.	მამ-ის	მამი-ებ-ის
მოქმ.	მამ-ით	მამი-ებ-ით
ვით.	მამა-თ	მამი-ებ-ათ
წოდ.	მამა-ვ	მამი-ებ-ო

ჩვენი მამის მამიები არიან შამილიშვილები (კლარჯ. 238).

სახ.	ნალია	ნალი-ებ-ი
მოთხ.	ნალია-მ	ნალი-ებ-მა
მიც.	ნალია-ს	ნალი-ებ-ს
ნათ.	ნალია-ის	ნალი-ებ-ის
მოქმ.	ნალია-ით	ნალი-ებ-ით
ვით.	ნალია-თ	ნალი-ებ-ათ
წოდ.	ნალია-ვ	ნალი-ებ-ო

უკვეცელი (-ო ფუძიანი)

კლარჯულში არსებითი სახელი **ღვინო** უკვეცელია

სახ.	კალო	ღვინო
მოთხ.	კალო-მ	ღვინო-მ
მიც.	კალო-ს	ღვინო-ს
ნათ.	კალო-ის	ღვინო-ის
მოქმ.	კალო-თ(ი)	ღვინო-ით
ვით.	კალო-თ	ღვინო-თ
წოდ.	კალო-ვ	ღვინო-ვ

უკვეცელი (-უ ფუძიანი)

სახ.	ბუ/ა	ბუ-ებ-ი
მოთხ.	ბუ-მ	ბუ-ებ-მა
მიც.	ბუ-ს	ბუ-ებ(ს)
ნათ.	ბუ-ღს	ბუ-ებ-ის
მოქმ.	ბუ-ათ	ბუ-ებ-ით
ვით.	ბუ-თ	ბუ-ებ-ათ
წოდ.	ბუ-ვ	ბუ-ებ-ო

კუმშვად-კვეცადი

სახ.	ქვეყანა	ქვეყნ-ებ-ი
მოთხ.	ქვეყანა-მ	ქვეყნ-ებ-მა
მიც.	ქვეყანა-ს	ქვეყნ-ებ-ს
ნათ.	ქვეყნ-ის	ქვეყნ-ებ-ის
მოქმ.	ქვეყნ-ით	ქვეყნ-ებ-ით
ვით.	ქვეყნ-ათ	ქვეყნ-ებ-ათ
წოდ.	ქვეყანა-ვ	ქვეყნ-ებ-ო

საკუთარი სახელები თანხმოვანფუძიანი

სახ.	მემელაა	კახაბერი
მოთხ.	მემელა-მ//მა	კახაბერ-მა
მიც.	მემელა-ს	კახაბერ-ს
ნათ.	მემელა-ღს//ს-ი	კახაბერ-ის
მოქმ.	მემელა-ათ	კახაბერ-ით
ვით.	მემელა-ათ	კახაბერ-ათ
წოდ.	მემელა-ვ	კახაბერ-ო

ხმოვანფუძიანი სახელი არ იკვეცება

სახ.	ბორჩხა
მოთხ.	ბორჩხა-მ
მიც.	ბორჩხა-ს
ნათ.	ბორჩხა-ის
მოქმ.	ბორჩხა-ით
ვით.	ბორჩხა-თ(ი)
წოდ.	ბორჩხა-ვ

მსაზღვრელ-საზღვრული

სახ.	ჩემ-ი	შვილ-ი	ჩემ-ი	შვილ-ები
მოთხ.	ჩემ	შვილ-მა	ჩემ	შვილ-ებ-მა
მიც.	ჩემ	შვილ(ს)	ჩემ	შვილ-ებ(ს)
ნათ.	ჩემ	შვილ-ის	ჩემ	შვილ-ებ-ის

მოკმ. ვით. წოდ.	ჩემ შვილ-ით ჩემ შვილ-ათ ჩემ-ო შვილ-ო	ჩემ შვილ-ებ-ით ჩემ შვილ-ებ-ათ ჩემ-ო შვილ-ებ-ო
სახ. მოთხ. მიც. ნათ. მოკმ. ვით. წოდ.	ფრიალო კლდე ფრიალო კლდე-მ ფრიალო კლდე-ს ფრიალო კლდე-ისა ფრიალო კლდე-ით ფრიალო კლდე-თ ფრიალო კლდე-ვ	ფრიალო კლდე-ებ-ი ფრიალო კლდე-ებ-მა ფრიალო კლდე-ებ-ს ფრიალო კლდე-ებ-ისა ფრიალო კლდე-ებ-ით ფრიალო კლდე-ებ-ათ ფრიალო კლდე-ებ-ო
სახ. მოთხ. მიც. ნათ. მოკმ. ვით. წოდ.	ერთი დააა ერთ დააა-მ ერთ დააა-ს ერთ-ი დააას(ი) ერთ-ი დააა-თი ერთ-ი დააა-თ ერთ-ო დააავ	
სახ. მოთხ. მიც. ნათ. მოკმ. ვით. წოდ.	ხეს სახლი ხეს სახლ-მა ხეს სახლ-ს ხეს სახლ-ის ხეს სახლ-ით ხეს სახლ-ათ ხეს სახლ-ო	მიწი ხაპი მიწი ხაპ-მა მიწი ხაპ-(ს) მიწი ხაპ-ი(ს) მიწი ხაპ-ით მიწი ხაპ-ათ მიწი ხაპ-ო

ზმნის უღლება

I სერია		
1.	აწმყო	რას ვიჯები?
2.	უწყვეტელი	რას ვიქნევდი?
3.	აწმყოს	რას ვიქნევდე?
4.	მყოფადი	რას ვიქავ?
5.	ხოლმეობით-შედევობითი	რას ვიქავდი?
6.	მყოფადის კავშირებითი	რას ვიქავდე?
II სერია		
7.	წყვეტილი	რა ვქენ?
8.	II კავშირებითი	რა ვქნა?

III სერია		
9.	I თურმეობითი	რა მიქნია?
10.	II თურმეობითი	რა მექნა?
11.	III კავშირებითი	რა მექნას?

ვნებითი გვარის ზმნები მეორე სერიაში ავლენს რედუცირებულ ფორმებს: **მეიყრა, გეიშლა, გეიზდა.**

ახლა სოფელია, ცოტა **გეიზდა** (კრებ. VI. 268); **შეიშლა** კაცი (იქვე, 194).

მეორე სერიაში, **წვეტილში** დასტურდება **დენახვევი** ტიპის ფორმები: დანაყე, დანაყევი, ორთვენი ერთად (კლარჯ. VI. 236); ჩუნა ერთი სახლიდან დევბანტევით (ლივან. 306).

კლარჯულის თავისებურებაა II კავშირებითში მრ. რიცხვის მესამე პირში ე ნიშნის ნაცვლად ო-ს გამოყენება: **ამოვდონ, წევდონ.**

სული მიწუხდება, როისნა **ამოვდონ** (ნიგ. 150)

ობიექტური წყობის ზმნებში შემონახულია ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ნაშთები: **გამახარებდენ, მყავან, მომყავდენ, მეჭამეს.**

გოგვებისა მეტი **გამახარებდენ**, ფულსაც ცოტა ამართებდინ (ნიგალი, 149); ერთი დაია **მყავან** სამ ძმასა, გასათუთებულია იშტა (ლივან. 308); თუთუნი **მომყავდენ** (ლივ. 329); ესეც გეიზდა, დესწავლავს, იმღერავს (კლარჯ. VI. 261); ჩუნაც **მომწონან** ისინი (ლივან. 297); ზარმელი **მეჭამეს** და ისე წავსულიყავ (ჩვენებ. 296); ჩუნენ ქითაბი **მაქვანან** (ლივან. 306); ბევრი არაფერი **მახსოვან** (ლივან. 297).

პარადიგმებში ასახულია პარალელური ფორმებიც. ისინი სპორადულად, მაგრამ მაინც გვხვდება.

ერთთემიანი ზმნები

I სერია		
აწ-მე.	(და)ვწერავ	(და)ვწერავთ
	(და)წერავს	(და)წერავთ
	(და)წერავ	(და)წერვენ
უწ-ნოლ.	(და)ვწერევილ// (და)ვწერავდი	(და)ვწერევილთ// (და)ვწერავდით//
	// (და)ვწერვიდი	(და)ვწერვიდით
	(და)წერევილ// (და)წერავდი//	(და)წერევილთ// (და)წერავდით//
	(და)წერვიდი	(და)წერვიდით
	(და)წერევილა// (და)წერავდილა//	(და)წერევილენ// (და)წერავდილენ//
	(და)წერვილა	(და)წერვილენ

I კავ.	(და)ვწერავდე// (და)ვწერევდე// (და)ვწერვიდე (და)წერავდე// (და)წერევდე// (და)წერვიდე (და)წერავდეს// (და)წერევდეს// (და)წერვიდეს	(და)ვწერავდეთ// (და)ვწერევდეთ// (და)ვწერვიდეთ (და)წერავდეთ// (და)წერევდეთ// (და)წერვიდეთ (და)წერავდენ// (და)წერევდენ// (და)წერვიდენ
II სერია		
წყ.	დავწერევი დაწერევი დაწერა	დავწერევით დაწერევით დაწერენ
II კავ.	დავწერო დაწერო დაწეროს	დავწეროთ დაწეროთ დაწერონ
III სერია		
I თურ.	დიმიწერია// დემიწერია დიგიწერია// დეგიწერია დუუწერია	დიგვიწერია// დიმიწერია დიგიწერიან დუუწერიან
II თურ.	დემეწერა დეგეწერა დეეწერა	დეგვეწერეს// დემეწერეს დეგეწერეს დეეწერენ
III კავ.	დემეწეროს დეგეწეროს დეეწეროს	დეგვეწეროს// დემეწეროს დეგეწერონ დეეწერონ
I სერია		
აწ.- მყ.	(შე)ვჭამავ (შე)ჭამავ (შე)ჭამავს	(შე)ვჭამავთ (შე)ჭამავთ (შე)ჭამვენ
უწ.- ნოლ.	(შე)ვჭამავდი (შე)ჭამავდი (შე)ჭამავდა	(შე)ვჭამავდით (შე)ჭამავდით (შე)ჭამავდენ
I კავ.	(შე)ვჭამავდე (შე)ჭამავდე (შე)ჭამავდეს	(შე)ვჭამავდეთ (შე)ჭამავდეთ (შე)ჭამავდენ
II სერია		
წყ.	შევჭამევი შეჭამევი შეჭამა	შევჭამევით შეჭამევით შეჭამენ

II კავ.	შევვამო შევამო შევამოს	შევვამოთ შევამოთ შევამონ
III სერია		
I თურ.	შიმიჭმია შიგიჭმია შუუჭმია	შიმიჭმიან//შიგიჭმიან შიგიჭმიან შუუჭმიან
II თურ.	შემეჭამა შეგეჭამა შიეჭამა	შემეჭამენ//შეგეჭამენ შეგეჭამენ//შეგეჭამეს შიეჭამენ//შიეჭამეს
III კავ.	შემეჭამოს შეგეჭამოს შიეჭამოს	შემეჭამოს//შეგეჭამოს შეგეჭამონ შიეჭამონ

-ი თემის ნიშნის (ყიდავს)

I სერია		
აწ.- მყ.	(გა)ყიდავ (გა)ყიდავ (გა)ყიდავს	(გა)ყიდავთ (გა)ყიდავს (გა)ყიდავენ

ამავე კილოში გვხვდება განზოგადებული აწმყოს ნიმუშებიც: სი-
ლირი **იყიდის** და ჰიჯარეთით **ყიდის** (კრებ. IX).

I სერია		
უწ.- ნოლ.	(გა)ყიდავდი (გა)ყიდავდი (გა)ყიდავლა	(გა)ყიდავდით (გა)ყიდავდით (გა)ყიდავდენ
I კავ.	(გა)ყიდავდე (გა)ყიდავდე (გა)ყიდავდეს	(გა)ყიდავდეთ (გა)ყიდავდეთ (გა)ყიდავდენ
II სერია		
წყ.	გაყიდევი გაყიდევი გაყიდა	გაყიდევით გაყიდევით გაყიდეს
II კავ.	გაყიდლო გაყიდლო გაყიდოს	გაყიდლოთ გაყიდლოთ გაყიდონ

III სერია		
I თურ.	გიმიყიღია გიგოყიღია გუუყიღია	გიმიყიღიან//გიგოყიღიან გიგოყიღიან გუუყიღიან
II თურ.	გემეყიღა გეგეყიღა გეეყიღა//გიეყიღა	გეგეყიღა//გემეყიღენ გეგეყიღენ//ს გეეყიღენ//გიეყიღენ
III კავ.	გემეყიღოს გეგეყიღოს გეეყიღოს//გიეყიღოს	გეგეყიღოს//გემეყიღოს გეგეყიღოს//ს გეეყიღოს//გიეყიღოს

-ავ თემის ნიშნის (წვეთევა, ხნევა, რეკევა, დათესევა)
 კლარჯულში -ავ თემის ნიშანი დაერთვის ფუძერეკად ზმნება-
 საც: ზილავს, დახრისავთ, ღმეჭავს.

I სერია		
აწ.- მე.	(და)ვხნავ (და)ხნავ (და)ხნავს	(და)ვხნავთ (და)ხნავთ (და)ხნვენ
უწ.- ნოლ.	(და)ვხნევდი (დავხნებდი) (და)ხნევდი (დახნებდი) (და)ხნევდა (დახნებდა)	(და)ვხნევდით (და)ხნევდით (და)ხნევდენ
I კავ.	(და)ვხნევდე (და)ხნევდე (და)ხნევდე	(და)ვხნევდეთ (და)ხნევდეთ (და)ხნევდენ
II სერია		
წყ.	დავხან დახან დახანა	დავხანთ დახანთ დახანეს
II კავ.	დავხანა დახანა დახანას	დავხანათ დახანათ დახანან
III სერია		
I თურ.	დიმიხნია დიგოხნია ღუუხნია	დიმიხნიან//დიგოხნიან დიგოხნიან ღუუხნიან
II თურ.	დემეხნა დეგეხნა დეეხნას	დემეხნა//დეგეხნა დეგეხნენ დეეხნეს

III კავ.	დემენას დეგენას დეენას	დემენას//დეგვენას დეგენას დეენას
---------------------------	------------------------------	----------------------------------------

-ავ თემის ნიშანი დაერთვის ერთთემიან, **-ი, -ავ, -ებ** თემისნიშნიან ზმნებსაც:

0/-ი/-ებ/ -ამ// -ავ გააცხელავს, დაამზადავს, დუუძახავს, დეიყვირავეს, უძახავთ, უყარავს, აჭრავს, ყიდავს, გავთალავთ (შესაბამისად, მოვჭრევდით, წერევდა, ჩეიცვემდა, წერევდა, მოხნევდა... აქა-იქ **ევ თემა** დაჩნდება აწმყოსა და მყოფადშიც: **დახრისევ**

წერავ? ჩემი ნათქვამი არ ქნა ქითაბში (ნიგ. 162); **დეიბანავ** იქ-ზე (ნიგ. 159); ცოტა წყალს გუდუურევთ და **ვჭამავთ** (ნიგ. 159); ამის ნენემ ვერ **იტირავს** (კლარჯ. VI.253); ამას გაათხელავ სუფრაზე გარგნით (ლივან. 297); ბათუმში ფაბრიკას **ავაშენავთ** (კლარჯ. VI. 255); ყველაფერი **ავათავავ** (ლივან. 327); **ვუყარავ** და **ვაკეთავ** (ნიგ. 152); დოდოფალი რომ **ატირავთ**, ის სიმღერა რატომ არ იძახით? (ლივან. 309); ვინცხას უნდა, **ისამავს** (ნიგ. 152); **ვადუღავთ** ახლა (ნიგ. 157); შოთი **გავაცხელავთ** (ნიგ. 158); დერგში **ჩავასხემდით** ყაიმილი, გარგნით ვრეკევდით (ლივან. 320); საქონელს ეილებდენ, ბათუმში გედეიტანდენ, **გაყიდევდენ** (ნიგალი, 153); ჩემ დედეი ჰემ წერევდა, ჰემ კითხულობდა (კრებ. VI. 268); თხილი წინ **ვყიდევდით** (კლარჯ. VI. 256).

დასტურდება **ცეშვენ, ჰამვენ** ფორმებიც.

გვხვდება ვიდ- მიდიანი ზმნები: **მირტყმიდა, დავმალვიდი**: გოგო და ბიჭი ერთმანებს ვერ დეინახვიდენ (კრებ. VI. 265).

-ავ თემის ნიშანს ზოგჯერ ცვლის ებ: ზიდებდა, ნახებენ ყაჰვეს სმენ, **ნახებენ** (ლივან. 321); სიმინდ **დავთესებდით** (ნიგ. 170); კევი **დეჭებდა**, დეჭებული გადაყლურწებდა (ნიგ. 144); ყურანს **იკითხებენ** (კლარჯ. VI.252).

-ავ თემისნიშნიან ზოგ ზმნას -ი თემის ნიშანი აქვს: გარმონი **უკრიდა** (ნიგ. 143).

-ავ თემის ნიშანს ხანდახან ი-ც ცვლის: ბერი ხარის რქამან **მონისო** (კრებ. IX. 176).

I სერია		
აწ.	ვზიდავ ზიდავ ზიდავს	ვზიდავთ ზიდავთ ზიდვენ
უწ.	ვზიდებდი ზიდებდი ზიდებდა	ვზიდებდით ზიდებდით ზიდებდენ

აწ. კავ.	ვზიდებდე ზიდებდე ზიდებდეს	ვზიდებდეთ ზიდებდეთ ზიდებდენ
მე.	ავზიდებ//ფ აზიდებ//ფ აზიდებს	ავზიდებთ აზიდებთ აზიდებენ
ხოლ. შედ.	ავზიდებდი აზიდებდი აზიდებდა	ავზიდებდით აზიდებდით აზიდებდენ
მე. კავ.	ავზიდებდე აზიდებდე აზიდებდეს	ავზიდებდეთ აზიდებდეთ აზიდებდენ
II სერია		
წე.	ვზიდევი ზიდევი ზიდა	ვზიდევით ზიდევით ზიდენ
II კავ.	ვზიდო ზიდო ზიდოს	ვზიდოთ ზიდოთ ზიდონ
III სერია		
I თურ.	მიზიღია გიზიღია უზიღია	გვიზიღია გიზიღიან უზიღიან
II თურ.	მეზიღა გეზიღა ეზიღა	გვეზიღა გეზიღენ ეზიღენ
III კავ.	მეზიღოს გეზიღოს ეზიღოს	გვეზიღოს გეზიღოს ეზიღონ

**ავ თემისნიშნისანი ზოგი ზმნა ი თემის ნიშანს დაირთავს მო-
ხნის, მოკლის, უკრის**

I სერია		
აწ.- მე.	(დუ)ვუკრი (დუ)უკრი (დუ)უკრის	(დუ)ვუკრით (დუ)უკრით (დუ)უკრიან
უწ.- ხოლ.	(დუ)ვუკრიდი (დუ)უკრიდი (დუ)უკრიდა	(დუ)ვუკრიდით (დუ)უკრიდით (დუ)უკრიდენ

I კავ.	(ღუ)ვუკრიდე (ღუ)უკრიდე (ღუ)უკრიდეს	(ღუ)უკრიდეთ (ღუ)უკრიდეთ (ღუ)უკრიდენ
II სერია		
წყ.	ღუუკარ ღუუკარ ღუუკრა	ღუუკართ ღუუკართ ღუუკრეს
II კავ.	ღუუკრა ღუუკრა ღუუკრას	ღუუკრათ ღუუკრათ ღუუკრან
III სერია		
I თურ.	ღიმიკრია ღიგიკრია ღუუკრია	ღიგვიკრია ღიგიკრიან ღუუკრიან
II თურ.	ღემეკრა ღეგეკრა ღეეკრას	ღეგვეკრა ღეგეკრეს ღეეკრან
III კავ.	ღემეკრას ღეგეკრას ღეეკრას	ღეგვეკრას ღეგეკრენ//ს ღეეკრან

I სერია -ამ თემის ნიშნინანი ზმნა ავ- თემის ნიშნის დაირთავს (შე-სვავს, დგავს, აართვავს, ურტყავს, ასხავს, აბავს, იზავს, მიართვავ, დაასხავს)

ჩემი ბიჭი ღვინოს არ სვავს (კლარჯ. VI. 254); შინავრები ალთუნ დააბავს (ნიგ. 167); გოგოს საჭმელ მიართვავენ (კრებ. VI. 267); ამის მე-მრე ბეტონ დავასხავთ (ნიგ. 149)...

I სერია		
აწ.- მე.	(და)ვასხამ//ავ (და)ასხამ (და)ასხამს	(და)ვასხამთ (და)ასხამთ (და)ასხმენ
უწ.- ნოლ.	(და)ვასხემდი (და)ასხემდი (და)ასხმიდა	(და)ვასხემდით (და)ასხემდით (და)ასხმიდენ
I კავ.	(და)ვასხმიდე (და)ასხმიდე (და)ასხმიდეს	(და)ვასხმიდეთ (და)ასხმიდეთ (და)ასხმიდენ
მე.	დავასხამ დაასხამ დაასხამს	დავასხამთ დაასხამთ დაასხმენ

II სერია		
წყ.	დავასხი დაასხი დაასხა	დავასხით დაასხით დაასხეს//ენ
II კავ.	დავასხა დაასხა დაასხას	დავასხათ დაასხათ დაასხან
III სერია		
I თურ.	დომისხმია დივისხმია დუუსხმია	დივისხმია დივისხმიან დუუსხმიან
II თურ.	დემესხა დეგესხა დეესხა	დეგესხა დეგესხენ დეესხენ
III კავ.	დემესხას დეგესხას დეესხას	დეგესხას დეგესხან დეესხან

-ებ თემის ნიშნის ზმნები -ავ თემის ნიშნის დაირთავენ (ააშენავს, აათავავს, იგნავს, ატყვილავს, იგონავს, უყურავს, იჩხუბავს, იტირავს, აწუხავს, ატყაბუნავს, ისაქმავს, იმღერავს, დეიძახავს, ილაპარაკავს, მუაგონავს, გაარიგავს, ატყვილავს, მეიკიდავს, ისეირავს, იგონავს, ატოლავს, უყურავს, აჩუქავს, დააბავს, იფერხულავს, მოტაცავს, იმღერავს, მუხუნიზმეთავს, დეიყვირავს, ისაქმავს, უყურავს, ისამავს, გააკეთავს, აგნავს, ატყვილავს, იგონავს, იჩხუბავს, აცინავს).

ხარჩო **გაკეთავ** (ლივან. 305); გამოცხოვნილი ჭადი **დავხრისავ**, იალში ხახვი **მოვშუშავთ** (იქვე, 305); კიტრი **გავთალავთ** (იქვე, 303); სალათა **გავაკეთავთ** (კლარჯ. 253); ამის ნენემ ვერ **იტირავს** (კლარჯ. VI. 253); რაისთინ **წერავს**, რაისთინ? (კლარჯ. VI. 265); **ვარიგავ**, ჰამა თელი ვერ ვარიგავ (კლარჯ. VI. 262); ტათლი **გავაკეთავ** (კრებ. VI. 267); ახორ **დავასუფთავთ** (ნიგ. 142), გენჯების საქმე ჩვენ არ **გავარიგავთ** (კრებ. VI. 272)

-ებ თემის ნიშნის დაერთვის ერთემიან და სხვა თემისნიშნის ზმნებსაც: 0/-/ი/-/ამ/-/ავ -ებ დააბებენ, შექხედებენ, გატეხებენ, კლებენ, იკითხებენ, მეიპარებენ, ყიდებდენ, დარგებენ, გატეხებდა, თესებდა.

ყაპვეს სმენ, **ნახებენ**, ისამებენ (ლივან. 321); შექხედებენ, **შექხედებენ**, სიძეს უთხარით (კრებ. VI. 264).

-ი/ -ობ მღერობენ

-ებ// 0 ღუუძახ, **შეინახ...** ტელეფონი ვიცოდე, **ღუუძახ** (კრებ. VI. 269).

-ავ დაერთვის მწკრივში ფუქემონაცვლე ზმნებსაც: **გითხრავ, ვიქ-ნევლით:** ვიცოდე, გითხრავ (კლარჯ. VI. 263).

-ებ// -ავ მონაცვლეობა დასტურდება კაუზატივის, შუალობითი კონტაქტის ფორმებშიც: გააცინავს, აფაქავს, დააყენავს, აცემიავს, დაა-ლევიავეს, მარუნიავეს, გაგატეხიავეს, ატირავს, დაგაწერიავეს, დაგაწყები-ავს, დააღვიავეს, აარუნიავეს, აწერიავეს.

თელი **დაგაწერიავე** (კრებ. VI. 264); შიშის კოვზ **გაატეხიავეს** (ლი-ვან. 221); **გადაწყებიავე**, ბახანუმ (ნიგ. 146); **მარუნიავეს** იქ (ნიგ. 144).

ზოგჯერ **-ობ** თემის ნიშნის მონაცვლე **-ებ -ევ**-ს იძლევა: **გამუა-ცხევლით**

-ი/-ავ- მობილი იმა **ყიდავეს** (კრებ. VI. 270),

ფუქედრეკადი / ავ- : ჩვენში თლათ ისეა, ორი სახელი **ზილავს** (ნიგ. 157).

თემის ნიშანთა მონაცვლეობა ამ კილოს გამოკვეთილი თავისებუ-რებაა.

აწმყოსა და მყოფადში აქა-იქ დაჩნდება -ევ თემის ნიშანიც: **ზი-დევეს, აკოჭევს, ძინევს (კირნ. მარად.);** სობაში შევდებ, გავათობ, გა-ძრება, **დანრისევ...**

I სერია		
აწ- მე.	(გა)ვაკეთავ (და)აკეთავ (და)აკეთავ	(და)ვაკეთავთ (და)აკეთავთ (და)აკეთავენ
უწ- ნოლ.	(და)ვაკეთავდი (და)აკეთავდი (და)აკეთავდა	(და)ვაკეთავდით (და)აკეთავდით (და)აკეთავდენ
I კავ.	(და)ვაკეთავდე (და)აკეთავდე (და)აკეთავდეს	(და)ვაკეთავდეთ (და)აკეთავდეთ (და)აკეთავდენ
II სერია		
წე.	გავაკეთევი გააკეთევი გააკეთა	გავაკეთევით გააკეთევით გააკეთენ
II კავ.	გავაკეთო გააკეთო გააკეთოს	გავაკეთოთ გააკეთოთ გააკეთონ

III სერია		
I თურ.	გიმიკეთებია გიგიკეთებია გუუკეთებია	გიმიკეთებია//გიგვიკეთებია გიგიკეთებიან გუუკეთებიან
II თურ.	გემეკეთა გეგეკეთა გეეკეთა	გემეკეთეს//გეგვეკეთეს გეგეკეთენ გეეკეთენ
III კავ.	გემეკეთოს გეგეკეთოს გეეკეთოს	გემეკეთოს//გეგვეკეთოს გეგეკეთონ გეეკეთონ

სტატიკური ზმნა

I სერია		
აწ.	მაცვია გაცვია აცვია	მაცვიან//გვაცვია გაცვიან აცვიან
უწ.	მაცვიოდა გაცვიოდა აცვიოდა	გვაცვიოდა//გვაცვიოდენ გაცვიოდენ აცვიოდენ
აწ. კავ.	მაცვიოდეს გაცვიოდეს აცვიოდეს	გვაცვიოდეს გაცვიოდენ აცვიოდენ
II სერია		
წე.	მეცვა გეცვა ეცვა	მეცვა/გვეცვა გეცვა ეცვა
II კავ.	მეცვას გეცვას ეცვას	გვეცვას გეცვან ეცვან
III სერია		
I თურ.	მცმია გცმია სცმია	გვცმია გცმიათ სცმიათ
II თურ.	მცმოდა გცმოდა სცმოდა	გვცმოდა გცმოდა სცმოდა

III კავ.	მცმოდეს	გვცმოდეს
	გცმოდეს	გცმოდენ
	სცმოდეს	სცმოდენ

რაცხა მაცვიოდა ის იყო (კრებ. IX. 188)

I სერია		
აწ.- მე.	(ა)ვღგები	(ა)ვღგებით
	(ა)ღგები	(ა)ღგებით
	(ა)ღგება	(ა)ღგებიან
უწ.- ნოლ.	(ა)ვღგებოდი	(ა)ვღგებოდით
	(ა)ღგებოდი	(ა)ღგებოდით
	(ა)ღგებოდა	(ა)ღგებოდენ
I კავ.	(ა)ვღგებოდე	(ა)ვღგებოდეთ
	(ა)ღგებოდე	(ა)ღგებოდეთ
	(ა)ღგებოდეს	(ა)ღგებოდენ
II სერია		
წე.	ავღექ	ავღექით
	აღექ	აღექით
	აღგა	აღგენ
II კავ.	ავღგე	ავღგეთ
	აღგე	აღგეთ
	აღგეს	აღგენ

ერთპირიან უნიშნო ვნებითათვის ამ კილოში გვაქვს **მესამე** სერიაში მიმღეობური ფუძეები: ხოჯა გახდილა (ლივ. 314); დიდი კაცი გახდილა (ნივ. 161).

III სერია		
I თურ.	ავმღარვარ	ავმღარვართ
	ამღარხარ	ამღარხართ
	ამღარა	ამღარან
II თურ.	ავმღარიყავ	ავმღარიყავით
	ამღარიყავ	ამღარიყავით
	ამღარიყო	ამღარიყვენ
III კავ.	ავმღარიყო	ავმღარიყოთ
	ამღარიყო	ამღარიყოთ
	ამღარიყოს	ამღარიყონ

I სერია		
აწ.	მქვია გქვია ქვია	გვქვიან გქვიან ქვიან
მე.	მექვიება გექვიება ექვიება	გვექვიება გექვიება ექვიებიან
II სერია		
წე.	მერქვა გერქვა ერქვა	მერქვენ//გვერქვა გერქვენ ერქვენ
II კავ.	მერქვას//მექვიოს გერქვას//გექვიოს ერქვას//ექვიოს	გვერქვას//გვექვიოს გერქვან//გექვიოთ ერქვან//ექვიოთ
I თურ.	მქვიებია გქვიებია ქვიებია	გვქვიებია//მქვიებია გქვიებიან ქვიებიან
II კავ.	მქვიებოდა გქვიებოდა ქვიებოდა	მქვიებოდა/გვქვიებოდა გქვიებოდენ ქვიებოდენ
III კავ.	ქვიებოდეს გქვიებოდეს ქვიებოდეს	მქვიებოდეს/ქვიებოდეს ქვიებოდენ ქვიებოდენ
I სერია		
აწ.	მინდა გინდა უნდა	გვინდა//მინდანან გინდებიან//გინდანან//გინდარან უნდანან
უნ.	მინდოდა გინდოდა უნდოდა	გვინდოდენ//მინდოდენ გინდოდენ უნდოდენ
აწ. კავ.	მინდოდეს გინდოდეს უნდოდეს	გვინდოდეს//მინდოდეს გინდოდენ უნდოდენ
მე.	მომინდება მოგინდება მუუნდება	მოგვინდება//მოგვინდებიან//მომინდება// მომინდებიან მოგინდებიან მუუნდებიან

ხოლ. შედ.	მომინდებოდა მოგინდებოდა მუჟნდებოდა	მომინდებოდენ//მოგვინდებოდენ მოგინდებოდენ მუჟნდებოდენ
მე. კავ.	მომინდებოდეს მოგინდებოდეს მუჟნდებოდეს	მოგვინდებოდეს//მომინდებოდეს მოგინდებოდენ მუჟნდებოდენ
II სერია		
წყ.	მომინდა მოგინდა მუჟნდა	მოგვინდა მოგინდენ მუჟნდენ
II კავ.	მომინდეს მოგინდეს მუჟნდეს	მოგვინდეს//მომინდეს მოგინდენ მუჟნდენ
III სერია		
I თურ.	მომლომებია მოგლომებია მონლომებია	მოგვლომებია//მომლომებია მოგლომებიან მონლომებიან
II თურ.	მომლომებოდა მოგლომებოდა მონლომებოდეს	მოგვლომებოდა//მომლომებოდა მოგლომებოდენ მონლომებოდენ
III კავ.	მომლომებოდეს მოგლომებოდეს მონლომებოდეს	მოგვლომებოდეს//მომლომებოდეს მოგლომებოდეს//ნ მონლომებოდეს//ნ
I სერია		
აწ.	მაქვა//მაქვან გაქვა აქვა	გვაქვა//გვაქვან//მაქვან გაქვან აქვან
უწ.	მქონდა (მქონდენ) ქქონდა ქონდა	გვქონდა//მქონდა ქქონდენ ქონდენ
აწ. კავ.	მქონდეს გქონდეს ქონდეს	გვქონდეს//მქონდეს გქონდენ ქონდონ
მე.	მექნება გექნება ექნება	გვექნებიან//მექნებიან გექნებიან ექნებიან

ნოლ. შედ.	მექნებოდა გექნებოდა ექნებოდა	გვექნებოდა//მექნებოდენ გექნებოდენ ექნებოდენ
მე. კავ.	მექნებოდეს გექნებოდეს ექნებოდეს	გვექნებოდეს//მექნებოდეს გექნებოდენ ექნებოდენ
III სერია		
I თურ.	მქონია ქქონია ქონებია	გვქონია ქქონიან ქონინ
II თურ.	მქონოდა ქქონოდა ქონოდა	მქონოდენ//გვქონებოდენ ქქონოდენ ქონოდენ
III კავ.	მქონოდეს ქქონოდეს ქონოდეს	მქონოდენ//გვქონებოდენ ქქონოდენ ქონოდენ
I სერია		
აწ.	ვიზღები იზღები იზღება	ვიზღებით იზღებით იზღებიან
უწ.	ვიზღებოდი იზღებოდა იზღებოდა	ვიზღებოდი იზღებოდი იზღებოდენ
აწ. კავ.	ვიზღებოდე იზღებოდე იზღებოდეს	ვიზღებოდეთ იზღებოდეთ იზღებოდენ
მე.	გევზღები გეაზღები გეაზღება	გევზღებით გეაზღებით გეაზღებიან
ნოლ. შედ.	გევზღებოდი გეაზღებოდი გეაზღებოდა	გევზღებოდი გეაზღებოდი გეაზღებოდენ
მე. კავ.	გევზღებოდე გეაზღებოდე გეაზღებოდეს	გევზღებოდეთ გეაზღებოდეთ გეაზღებოდენ

II სერია		
წყ.	გევზდი გემზდი გემზდა	გევზდით გემზდით გემზდენ
II კავ.	გევზდე გემზდი გემზდას	გევზდეთ გემზდეთ გემზდან
III სერია		
I თურ.	გავზდილვარ გაზდილხარ გაზდილა	გავზდილვართ გაზდილხართ გაზდილან
II თურ.	გავზდილიყავ გაზდილიყავ გაზდილიყო	გავზდილიყავთ გაზდილიყავთ გაზდილიყოთ
III კავ.	გავზდილიყო გაზდილიყო გაზდილიყოს	გავზდილიყოთ გაზდილიყოთ გაზდილიყონ
I სერია		
აწ.	მივალ მიხვალ მივა	მივალთ მიხვალთ მივლიან
უწ.	მივდოდი მიხვიდოდი მივდოდა	მივდოდით მიხვიდოდით მივდოდენ
აწ. კავ.	მივდოდე მიხვიდოდე მივდოდეს	მივდოდეთ მიხვიდოდეთ მივდოდენ

აწმყოს აქვს მყოფადის გაგებაც; უწყვეტელს — ხოლმეობით-შედევობითის, აწმყოს კავშირებითს — მყოფადის კავშირებითის.

II სერია		
წყ.	მიველ მიხველ მივლა	მიველთ მიხველთ მივლენ
II კავ.	მივდე მიხვიდე მივდეს	მივდოთ მიხვიდოთ მივდონ

III სერია		
I თურ.	მიესულვარ მისულხარ მისულა	მიესულვართ მისულხართ მისულან
II თურ.	მიესულიყავ მისულიყავ მისულიყო	მიესულიყავთ მისულიყავთ მისულიყონ
III კავ.	მიესულიყო მისულიყო მისულიყოს	მიესულიყოთ მისულიყოთ მისულიყონ

შემოკლებათა განმარტება

ლიგ. — ლივანური მეტყველება — წიგნში შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი 1993.

ნიგ. — ეთერ ბერიძე, ნიგალი. ბათუმი. 2009.

კლარჯ. — მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებული VI. 2009, ბათუმი.

კრებული IX — მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, იმერხეული ტექსტები. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. 2014. ბათუმი;

კირნ. მარად.: — აჭარული ტექსტები. ჩაწერილია მ. ცინცაძის მიერ 1951 წელს, ქესს VII. 1998, თბ.

შავშურის, ტაოკლარჯულისა და ტაოურის შესახებ **ძირითადი ლიტერატურა** დაერთვის ტაოური პარადიგმების შემდეგ.

მეტყველების ნიმუშები

1. საუბრის ნაწევრები

- ჰადდან მოხვალ, გო? ჰადმე სხვაგან არ იარებოდე!
- მაგას წეყყუნ მე და სხუა არ ჩამუალ.
- სახში მივალ, გო, საღამოზე ჩამუალ.
- პური მარცვალ გარცხა მინდა და ისე დაკაზმა.
- რაფერ გაჯლკნა თუთუნები! ერცხვა არ შამუღუშვეფ ეს ბაღნები ამ საშრობში.
- ზივერავ, ზივერ! ე თუთუნები, ასე სერთი, შენი ანემსილია?

- ესენი, რემელცხა გმირები არიან, ისინი ასხმენ.
- ჩვენ საშრობ ძალი უყიდეთ, მივართვათ.
- ჰელე, მიყევ, გო, ვისი ძაფები შექმნება!
- რადთ ჭრი, ნაზიმ ბიძასი ჩაქი აქაა?
- რამითი აბავ, გო, ერთპირ ოძლოთხი ძაფი?
- მე ვერ ვსხავ თუ არა, ერთ სოლოხში ავასხავდი.
- წყალი ვის გინდანან?
- რა იჯები, გო, აგზე?
- ვისვენი, რა'ნა ვქნა რომენ.
- ნეზირევე, შენ რომ ადექ, თან მივხთი, რაზე ადექ.
- ერთი ლემსი ეიღევ და გადაფუშე მაგა!
- ქედ-ქედ გადავლილი არ ხარ ჰიჩ?
- მან მითხრა, ჰამა ვერ წეველი.
- იქ რომ ვერ გავლილხარ, ახლა რაფერ'ნა მივღეთ?!
- ჩვენი მაშინა ღამეში მივა, რომენ ნომერი არ აქვა.
- ღამეში ჰად'ნა წევსულიყავი, გო, რა იძახ შენ?
- რადთ ჭრი, გო, ესე, დანადთ, ჰო?
- ორნავემ დეეწიკეთ და ჩაბით!
- ამ ძაფ ავაბავ, სხვა ვერ დავყდები. ერთი ორი-სამი ქანდარა თუთუნნი მეც გავკიდო, ჩემსას არ უნდა ბზე თუ?
- თავბრუ დემესხა ტიალში, გოდორი არ მოტიალდა და ჰალილად შენ'ნა მოტიალდე.
- გო, მაგნების ამბავიც უთხარ, ყვირიან-თვა.
- რას მღერობენ, გეფგნა'ნა თვარა, ისე არაფელი არალი ხომ?
- დაწერე მაგნების ამბავი, ჰყიპინობენ-თვა, შენზე არიან მეტი გაბღე-ზებული და ჰა იმისთინ დემწყებენ კაკანობა დილაზე. იქ რომ ისამებენ, აქი-დან დემნახ.
- ძველათ გამოვლოდენ მეგერ გაღმადან, ბაღნები მეფარვიდენ და გა-ყიდევდენ სტამბულ.
- ენალებიან თლათ და იმისთინ დემწყებენ კაკანობა.
- რატონ დამატყვილე, გო, შენი ბაღანა ვიყავ, აჯაფ?
- მარადიდ არ გევდა იმან გუშინეზე?
- დედაშენმა ერთი ჩამოვდეს საშრობში.
- რატონ ასე ადრე მოხველ, გო?
- რატონ? იმიტონ, რომ იგზე ვინმე არ იყო.
- ეჰე, ხატიჯე, ხელებიდან გამანურიე.
- ედკიდი, ბაღანავ, გავორებულხარ ამ თუთუნზე, მაგისმეტა ჰკვამ არ გიჭრის?

- ნენეგ, გო, მაგ ბალანა გუშინეზე მივდოდა მარადიდ, ახლა ჰიდან მოვა?
- ამ თუთუნებმა, ამნებმა, გახმება-და აგზე წვიმა არ მოვა ხომ?
- რადსთინ მოტეხე ახლა მაგა?
- ხუთიპირ ვუთხარ იმა, ჰამა ყურში არ შუტუშვა. რამდენი თუთუნი დამჩა ასასხმელი, სარტყმელი ვარ.
- თენზილევ, მე მივალ სახში, მომემშია.
- გავლაჲ გაღმა არ დადგე!
- ბალანამაც მოტიალდა და წევდა მის დედესთან.
- ამეზღამ მირვეთ მივალ, წამოჲ, ადშედც მივა მისი აბლამისის სახში.
- ახლა მაშინადს საქმე'ნა გევგნა, რომენ მალე გავგზანო'ნა.

2. მარადიდი

- გაღმა რომ წეხვალ, გავლაჲ გუგუმები წედღე.
- სალამოზენა შეამოწმონ, მე გუშინ შიშა მაჭრევიეს, უსტა'ნა მოვდესო, დრო გევდაო.
- ჩემი დახურვილი შენ მოშალე?
- რემზო! ერთი გოგომა ის დამაწავლენ მე და შენ, ბალინცა, გამყვენ იქა, გახსოვს?
- მე უთხარ ბიძას ე ამბავები, ჰამა არ დიმისმინა. რომ ლაპაჲკოფ, მაგზე ხალას დუუძახე და იმან გეტყვის.
- ჯემალაჲ გიძახს, გო, ზომო, ჯემალამ რა ქთხოვდა, ჟავე ქთხოვდა ჰო!
- ვისი გოდორია აგზე?
- რომელი?
- ესე!
- იმას კაჲ სხალეები უსხია, ისე გავ.
- მურთაზას სხალი მეგერ დამბალა თლათ.
- თხა ბალნებმა წედყვანონ ტადადის სხალი ძირში, იმათებში აძვონ.
- მაგ ვაშლი მე მოვცრიე წლან, სახლი თავ ვიყავ.
- რადსთინ მირბი ასე ჩქარი, გო, ვინები მოვდევენ?
- გზიზედთ ვაშლი რომაა, იმას ასხია აჯაფ?
- გვარიქედი ბოლოს არაფელი არალი.
- ახლა აღარ მაქვენ სხალეები, დავგლიჯევი ბოდნე.
- ბახჩა არ დიმივლია, სველში არ გემეველებიან და რამბვობაა აჯაფ ბახჩიეფში, ვინმემ არ იცის.
- გვარიქედის ბოლოს, გზიკუთხეს, გასამეჩხრებელია. წრეველაჲ სიმინდებმა წვერში აძლევენ კლავი. ანჯახ გავამეჩხრე, გაჭარ და წედღევ.
- შენ წვერებმა გაფხიკეს გზა. შენ გოლიდან ვინმე არ ეკლო.

- მეზფულევ, დილის მემრენ აქ ხარ, ემრიემ ხომ არ ჩავლილა?
 - ღელი გაღმადან ავლილა ისი.
 - ილიას! სახში ეხველ და მოხველ? ამღონ ხანს რატონ არ ჩამოხველ?
- ჰილმამს გოგსთან იმისთინ წეველ, მენახეს'ნა.

3. ბორჩხა

— მე მიყვარს საქართველო, პირველად გეიხსნა (გულისხმობს საზღვრის გახსნას — ჩამწ.), მესამე კაცი ვარ გადასული.

ზაქარიძეებიც არიან, ზაქარაძეებიც; ხელვაჩაურშიც არიან ზაქარაძეები.

შენ ნაცნობი ხარ, პირველად დიგინახე და არ ვიცი, საიდან. ბათუმში შეიძლება, ბევრჯელ დავდიოდი, ორმოცდაათი-ასი კაცი ჩამოვდიოდი, დავღვევდი. მე დაღვევა მიყვარს, მე ქართველი ვარ და მიყვარს. აქა გვაქ.

ხვალ შეიძლება, მე არ ვიყო, თეთრ ღელეში ვარ თაზე; დილას ავღვეთ, წევღეთ. მაჭახელი, ბათუმი ჩანს იქიდან; აქავრი ხალხი თელი ქართველია.

— საიდან ხართ, საიდან, ბათუმში შიგნიდან ხართ? ესა (ზაზა შაშიკაძე-ზე ამბობს) თურქს გავს. აქ ახალი გვარები აქვან; კანოღლი ზეთ ბელღევანი-დანაა, მარადიდთან ახლოსაა; ჩემი სოფელი ბელღევანია.

— აქ პირველად ხართ? ეს მე ვარ, ეს ჩემი დეღეა (ფოტოს გვიჩვენებს — ჩამწ.); ასე ხოფიდან მოხვედით? ეკლესიაში არ გასულხართ? დილას'ნა წევღეთ. ეს შენი დეღაა? ფესთივალი ხვალ თავღება. ისამებენ ჩვენებურები, ქართველები. თეთრ ღელეში სამი სოფელია, ქართველი აქ არი.

— თქვენ ძმები ხართ?

ვივაზირით!

ხაჯიშვილი თემური იყო, მოკლეს, ვინმე არ დარჩა; თემური ჩემი ძმაკაცი იყო, მაგარი ბიჭი იყო; პატარა საქმე იყო.

4. ჯივანი

— მე ვქორღები, თვალღების ჩინი წიმიღდა; რიზეში'ნა წევღეთ.

— მაშალა, მაშალა, სუფხანღლა.

თქვენ რუსია არ ხართ, გურჯი ხართ, ვიცი. მე ნენეღლული მყავღა, ჰუღლული ჩეიჭრა, აქევრღელები იქეთ დარჩენ.

გამომწიე. სიტყვა სიტყვას მიღბას. აქევრღელები ზორ ბევრი არიან. ცოღამ დავბერღი, ცოღამ ჭკვა არ მაქვა.

* * *

— იმა, ლობიას ლამაზათ დავტეხავთ, ჩავჭრით თენჯერეში, სოღან ჩავჭრით, წყალი არნა დაასხა, ზეთში'ნა მომუშო, ლამაზათ ჩეიშუმღის.

— მუსაფირი გომიხარღებიან, მიამებინ; ის აქევრი არაა, ისტამბულღია; ყვეღა ფერის ადღილი აირია; მეტი არ ვიცი, ჯიღველი ნანაღ მე გურჯიჯა არ ვიცი.

„გელინო, გელინო, ლელ-ლელა წამეარე,
 კარი თავი მაღალი, ფეხი არ წამეყრა,
 დედამთილი დედასავენ, მამამთილი მამასავენ,
 მაზლი გყავს და ძმასავენ,
 მული გყავს და დასავენ...“
 უკანაა თურქია.

* * *

— მე ქვედა მეჭელეს გოგო ვარ. სამი თანე სოფელი ერთი იყო, დიდი გოლია.

— ი ხარი აქ არ არი, ი ხარი კარჩხალშია, გემიგონია; გემიგონია, სხვა, უკანაა არ ვიცი. აქ ერთმა იცოდა, მოხუცმა. ლოცვა არ დავაწავლე. შენ არ გარგებს; არა, არ ვიცი, გეყურებანე, არ მიკითხია. მაჭახლედი ხოჯა მყავან, იმან გურჯიჯა ვაიზი იცოდა, რას არ იტყოდა!

წყევლა? ვიცი!

— ღმერთმა გაქცვითოს, გაგაფაქოს, კარგობა არ მოგცეს! ეს დუნია ჰერამი იყოს!

დალოცვა: ღმერთმა კარგობა მოგცეს! ღმერთმა ბევრი მოგცეს! ის დუნია კაი მოგცეს!

ჩემმა ბაღმებმა არ დეიწავლენ; ორი ბაღში მყავს. გურჯიჯა დუას ვიტყვით. დეიკარგეთ აქიდან! ერთი კაი დემელაპარიკე, გეგვნოთ.

ისინი გურჯი არიან, ყური მომიგდე, მეტი ვიმერაყე, ვერ ვილოცე, ფიქრი წიმივიდა, ფიქრი დავკარგე, ჩემი მერაყობა მე დამჩა.

— ერთმანეთის რა ხართ, არხაბები ხომ? ერთათ ხართ?

ბათუმი რომ გეიხსნა, აქიდან ბევრი წევდა.

ვერ ვიგონებ, ფიქრი არ მაქ.

ახალ წელზე ის ადეთი მაქვან: დილაზე არ'ნა დეილაპარიკო, წყალი არ'ნა მოასხა. ერცხვა წლამდი რომ ზარალი მექნას, იმიდან დავთლი; მივართვავთ, წყალი ვასხავთ, ვიმუშავებთ. ჩვენში ადეთი ამფერი არი, იმსოდ შეები აქ არ არი.

— იმის თვალი არ გეცეს, ხელი ამეისვი, თავზე მისვი: ბევრი საქონელი ყავან ვუკითხავთ.

— მოკტენ, მცოდნელები მოკტენ. თვალი რომ ეცემა, ის შელოცვა თურქია.

ექსიპირ ეს'ნა ჩეიკითხო, მეშვიდეზე ეს'ნა თქვა (თურქულად ამბობს — ჩამწ.).

ვინ მათამაშებდენ?! მე ბაღნობა არ დიმიანხიან, ნენეა დავხარჯენ, შვიდი წლისა ვიყავ. თამაშობა არ დიმიანხიან, ახლა ვუყურავ, რასოდ ჩეიცივემენ. დეიბურვენ, სარკეში უყურებენ, მიხდებო. ბაბოა ხეირსუზი მყავდენ; ჩემი დიდნენეა მეტი სიფილათ იყო. ამის ნენეა მაჭახელია, ჰუდუდი რომ ჩეიჭრა, რუსის კარზე დარჩენ, გადასულან იქიდან, ილაპარიკებდენ. თქვენი კანონი აირია. ეს

ზათი, ახლა? გუშინ ამოველით, ჩემი კაცისაა ოთელი, რიზელი არიან, იმიდან გეგვენ. ტრაპენიდან ვარ, ამან იცის, კაცებმა არ იციან.

— ფეთმიშ ფედი ყოფილა.

ჩემი კაცი საქმეში იყო, ედღა, ის ქი მოკტა, ათი წელი გახდა, იმის ფარას მე ვართვავ.

— ფარა, ფული, ანტერი ფული! ღმერთმა ანტრად დაგტიოს!

ძროხები გაქცევიან, ვერ მეეწევი.

გელინი მოკტა, გელინი მევრე ეს მევევანე, იმ თერეფიდანაა. იმ თერეფისკენ გურჯული არ იციან; არ ვიცი, რა ვთქვა. იმა „საფრიალას“ ვეტყვით.

5. ბუჯური

* * *

— ჯემალი ვარ, ძველათ ჯეგდეთს მეტყვიან.

მე ქარხანა მაქვა. ერთი დანგრეველი ქილისა არი ზომო, აქ ქილისები დანგრეველი არი. თემელიც არ დარჩა; ყალე აქ ზოგი არიან, დანგრეველი არაა, ყალე უძახით ჩვენ, „ეს ყალე, ის ყალე“, არ ვიტყვით. გასული არ ვარ, ჰამა...

— ილაჯებ ვსვამ ახშამ-საბაჰ.

რამდენი, რამდენი დაწერა ამ პროფესორმა! რას იწერავს?

— დასახლილი ხარ თუ? ცოლი გყავსა თუ?

ჩოქ გუზელია ბათუმი. ჩემი ბიჭმა იქ მარება, შოფიერია. ბადიშები მყავს, ბიჭი ორი არიან, ერთი მურღულაა.

— ბაშკოე აგ ზეა, ათვალყურებდით?

ოცდაშვიდი წელი ვიმუშავე. ზომო სპილენძის ქარხანა იყო, დაქფილია, ქფილისავენ მივა, სამსუნ ადნობენ. ემექლი გავზდი.

— ათი ძმები ვართ; პირველი დაბადული მე ვარ. დედა ოთხმოდხანთი წლისაა, გარგნებით ხელში მარება; ვის უკეთავ, ვებნევი, ვინმე ჭად არ ჭამენ-მეთქინ, მე რამეს არ ვიჯები, მე მარტო სული ვარ, ვრა ბიჭი ვართ, ორი მოკდა.

— აქ ტყეები არ იყო, აქ ვერ გემარდი, დათვი შეგჭამდა. პილენძის ქარხანა იყო. ახლა პილენძი არ არი, იქ ტუნელი არი; იქიდან, სოფლიდან, წყალი მივა. დეინახო, რეებ აკეთებენ, კაცი აკეთებს, ბარჯებს აკეთებენ. იმის ცოტა იქეთაა საავატყოფო, გაღმიდამ'ნა წახვიდე, ზომო სოფელში წახვალ, მადენ ვეტყვით, იმას იქეთ არი.

— აქ არიან, თბილისელი არი, დაქორწილდა, გუშინ ქორწილი გუუკეთეთ, დიდი ქორწილი. გათხოვნა სხვაზე აკძალულია, თქვენ მიგცეს უფლება, ჩვენ — არა. თუ მისით წავა, რამე არაა, შენ თუ გააგდე ცოლი, ჰუქუმათი გაგიყოფს ოჯახს, ეგიწერავს, დეგიწერავს, დედას გიტირავს: კანონში ერთი ქალია. ისე ყოფილიყო, ათი ქალ მევევანდი. გააგდე, მეიყვანე, გააგდე, მეიყვანე; გყავს ერთ წელწად, გააგდე. ჩემი ცოლი ოძდათრამეტი წლისა იყო, მოკდა.

— რანშე ესე თავრობის ადგილი იყო. შუამთაში შეველ, ეკლესია დაბალი იყო, მოდრეკილი შეველ.

— რუსეთი სხვა ამბავია, იქ კულტურა სხვა ამბავია; ფოთში გემზე ვიყავი. ჰამლეტ ჭანტურია ქალაქის სამშობიაროს უფროსია. იტყოდენ, რანშე, მაშინ საზღვარი ტრაპიზონამდე იყო. საქართველოში სად არ ვიყავი, მანავიდან ნავალი ვარ.

მე არ მივალ, ესე მივა გურჯისტან.

— ჰემშილები, ერევანელები - სომხები არიან, კაი არიან. ჩვენთან ღალატობა არ იციან. ლაზებია და ჩვენ ვერაფერს გვეტყვიან, გლახას ვერ გვეტყვიან, ეშინიან.

— მე თურქს არ მეყვან. ახლა თელეფონით შეყვარება გამოჩნდა, უწინ თვალთ იყო.

— ოქული ქართული არ გვაქ. თავრობას საქმე დეელია, ოქული გასხნას? ჩემი ოჯახი ქართველია; ჩემი ბიჭი ქართველია, რძალი ქართულია, ცოლი ქართული იყო; ეს ჩემი ბიძაშვილია, ტაძაშვილია. ტაძაშვილებში ქორწილება არ იქნება. მე ბაჯანალი ვარ ამისი.

— დაათვალყურე, ცივ წყლებთან გეყვანე. კიდეც დეგინახავთ. ღვინო არ გაქვან? კახელი არ ყოფილხართ.

აქ დირეგები იყო, ყალე არ არიან.

საუბრობდა **ჯემალ ჩოლოყალოღლი**
(ჩოლოყაშვილი). 60 წლის, უმსახურია
რუსეთში.

6. მურღული

* * *

— ეს ძველი დავანგრიე, ახალი'ნა მოვქსოვო, სველია, გაშრეს'ნა, ასე'ნა დააშრო. კითხულობ თუ შენა? რა'ნა გახდე? ჩემი ბიჭი ახლა სახში არ არი. რა'ნა ქნა ესენი? ჩვენი და თქვენი გურჯული არ ებმება.

— სამი გოგო, ერთი ბიჭი მყავს; აშილი ვიყავი, ნენეს ეცოდინებოდა, ნახევდა, მოვდოდა ქი ელჩები, მაშინ გეიგნებდენ.

ზამთარში მივალთ იზმითში. სამ-ოთხ თვეს გათოვლდება. ეს გამეცტანე (ნიშნავს გამოვიყვანე — ჩამწ.), ამან იცის ბელქი.

ამისი და ჩემი გვარი გულსუი, პავლიაშვილია.

— დედამთილი იყო უფროსი, კაცი არ ყავდა, კაცი მომკდარიყო; დედამთილი არ ისაქმებდა, ავადევილი იყო. ჩემი კაცი, აქ ფაბრიკა იყო, მადენში და იქ საქმობდა. იქნებოდა საქმე, იქმოდა, ისვენდა, მოლი მოთიბდა. ხარი მუშაობა იყო, შიშა გააკეთებდა, ჯამეში წევდოდა; გაჰერსდებოდა, მუუფერებდი; სახში არ ისაქმებდა, მე იქ ვისაქმეო და ახლა შენ ისაქმეო; ვისაქმებდი. შენ შენური საქმე დაგჩა, პურ გამუაცხოვდი, ყველამფერ ვიქმოდი; ახლა გადავარდა საქმე, ახლანდელი ქალები არ საქმობენ. მოკდენ ბებერები.

- მუსაფირები მყავს, მეიღალნენ, კოღვებ უკბენიან, მახანჯები ნახენ.
- პატვანებმაც, იმათმაც ნელ-ნელა გურჯულ დეიწავლებენ.
- შენ აქევრი სახელი გაქ - „მერიემი“.

7. გურბინი

* * *

— იმის იქეთად ფოროსეთია.

კაცის უკანა ვარ მარტო, ზამთარში იზმითში ვარ. ჰიჩ რამ არა, ვერ ვი-
ჯები, ავადველი ვარ. ბებერები არიან, ახლებიც არიან, ქართული იციან.

— იქინდი ღროა, ჰამა ჯერ ეზანი არ დუუძახნიან.

ეძარევით, შოთები გაყავან.

— ჩინი არ მაქვა, ვერ ვილაპარაკებ. ექსი თანე გოგო მყავს, ორი — ბი-
ჭი. ბადიშები ირმი თანე არიან, საქმობენ. გაღმა სოფელი ჭილაგრია, გაღმის-
კენ.

— მე ღარჭი ვიყავ, გამომტყვილეს, ბაბოდ გაფყარე, ამასთან წამოველ
იშტე. ნენე არ მყავდა, ბაბოდ მყავდა, პაწინა ვიყავ. პაწიწვანი ვიყავი, ერ-
თმანეთ შეეხედვედით.

წყალი ზეიდან მოვა, ჰამა ზორ კად არი.

სოფ. **ქართლა**

— ესა ჩემი გელინის დაა. ეს ბიჭია ჩემი, ეს არ მყავდეს, მე რას ვიქ?!
არ წეიყვანოთ, შორ ვერ გავათხვებ. მუხლები მტკივა, ვერ გიმივლია, რამდენი
გარგნები, ჯოხები მაქ; ჩეცვი, მარა გული მეკოჭვის, სიხინთი მერევა.

— ნადი აბა არ ვიცი? მე ვიმღერებდი, ჩემი ძალი ჩამოთლის, მე არ
ვიცი.

ის ვიცი — სალათლული, სიმინდი, ლობიო, ქინძი, პრასა — თელი იშტე
დავთესავთ. ეს პალკონია. უწინდელ დროს ყაბი-მაბი არ იყო, წყალ ამევლებ-
დით ამით, კოშ ვეტყვი. ძველი კოში არ მაქვა, დავპანტე, ამას ატეხებენ, ში-
გან ჩიჩეგს დებენ.

კაი გელინი მყავს. ეს გელინისაა, მიერეც გელინისაა, აირი-აირია.

— რამდენი წლისა ვარ? მე რა ვი, ბევრი ხნისა არ ვარ, ამა ამ ჭლიკებ-
მა...

ძროხებ თაზე წევყვანდი, ჯინჭრებში ვიარდი, დევშუშხე. ღმერობა არ
ვიცი. მე იმდენი არ მიკითხია, ჩემ დრობიხან არ იყო კითხვა.

ვინ ყაინანა იძახს ახლანდელი ძალისთვინ, კაი ძალი მყავსო? (რძალი
ხუმრობს, დედამთილზე ამბობს — ჩამწ.).

— ხმა არ აქ, ჭლიკი არ აქ, თვალები არა, რამეს არ დეინახავს, კაი დე-
დამთილი მყავს. თურქჩა ნათქმები მაქ, იმსოდ რაცხები არ ვიცი, ნამღერი მაქ-
ვა, ჰამა სიმღერა-მიმღერა არ მიმღერია.

— მე ამ სოფლიდან ვარ, შორ არ წევვლ, არ გაფყარე ანა და ბაბოდ,
ესენი დავბადე, გოგვები მყავს.

თემბელი ვარ, ორ ძროხას ანჯახ ვუარ. ძროხებს ქვია ასლანად, ნიკორი აქვა - ნიკორად, ჰილდიზად, ყარაყიზად - შავი თუა; გულბეიზ - სულ თეთრი, ამდენი თეთრი, ამდენი შავი. ნაზლი, ზორ თუ მიყვარან.

განაყოფი მყავს, გურჯიჯა კაი იციან.

— ჩვენთან კაი წყალია. არიან **გუგუსერის წყალი**, **ქომა სოფლის წყალი**, **ბოგნარის წყალი** — ცივია, ჰამა ახლა თბება, **ნაბელავის წყალი**, **სხლოვანის წყალი**, **თხილვანის წყალი**, **კოროლი** — ახლა დენიზი გახდა, უწინ ჭოროლი იყო. ჰაცხან ყანა არი, იქა წყალია; არის **ავაზანთის წყალი**, **ახოების წყალი**, თისკენ ევართ — **ცივწყარიეთი**.

— ჩემი ღარჭები არიგებენ, არიგებენ, ჰამა ლაშიდან ვერ უთქმიან.

— წისქვილი იყო, ახლა თელი დეინგრა. ზამთარ-ზაფხულ აქ ვარ. მაილას **ქართლა** მაილა ქვია.

8. ნაცარქექიამ

ერთი ნაცარქექიამ იყო მეგერ და დეეფხანაკა დივებ, წაყვა მათ სახში. წევდენ დივებმა ჰაცხან საქმეზე. ამას დააბარეს მეგერ, ჭადი დაკრილი არი და შენ აყარეო.

ჰაწახანს უკან მეგერ შეხედა, რომენ ჭადი გამომცხვარა; აყარა ჭადი; აყარა მეგერ დიდი კეცი ჭადი, ჰამა ჭადიქვეშ შეემწყურია მან. მოვდენ დივებმა.

— რა იჯები მაქაო?

— რა ვიჯები და მუცელი ვწყავ, გვეყოფა ჭადი თუ არა; შენ ხარ, შენ ხარო, შენც ხარო. არაფელი. ადგა მეგერ ქვეშიდან. ერთმა დივმა გაჰერსდა მეგერ (დივები დიდვანი კაცებია). ერთმა ამეძქენუა მეგერ და ნაცარქექიამ თაროზე შიავდო.

— რა იჯებიო?

— რა ვიჯებიო-და, თქვენ რაცხა სხვაფრათ ხართ. დანა მაქ დამალილიო, თქვენ'ნა დაქკლათო.

დაბენთა მეგერ დივები. დივები ისე დიდვანი კაცები იყვენ მეგერ, ჰამა ნაცარქექიამ დააბეჩა. კარქი, არაფელი. ჩამუხტა. ახლა მეგერ დივმა მეძტანა ისი, დიდი გუდამთ წყალი (გუდამთ წიკვიდენ მეგერ წყალი მაშინ ხალხმა).

— რა არი ესეო, მე ერთ თითით მევტან მაგას, ჰამა თქვენე არ გასვაფთო, დავაქცეო.

წევდა, ჩუუბერა, ჩუუბერა გუდამი და გაბერა სულით. ერთი ღრამი წყალი ჩაასხა და მეძტანა ერთი თითით.

— აჰა, მევტანეო და დააქცია.

დივებმა თქვეს, რომ ვავგზანოთ ესე, თვარა ამან კამ საქმე არ დავგმარებ. უთხრეს მეგერ, სახში'ნა წეხვიდეო.

— რაზე'ნა წევდეო? — ვარი უთხრა მეგერ დივებს წასლაზე.

— ერთ ვირ ალთუნ მოქცემთო, თქქემ წედიო.

— კაჟო!

წიგლო მეგერ ალთუნი ვირით; დივებმა მიატანიეს სახში, მოსხნეს მეგერ ჭვირთი ვირ. ახლა დივებს საჭმელი'ნა აჭამოს. ბაღნებმა დაბეჩთენ ვირიდან. დეფწყეს ტირილი.

— რა ივებინ?

— შენ'ნა შეგჭამონ და მე არ ვაძლევ ნებაო.

დივებმა დაბეჩთენ: არ გვინდა შენი საჭმელიო და გეძქვენ მეგერ.

9. გერი ფადიმე

ერთი დედაბერი ყოფილა. ერთი გოგო ყოლია. ერთიცდა ის ყოლია... გერი. მოვდენ მეგერ. ახლა'ნა გაათხვოს ის გერი. მოვდა ერთმა მეგერ, დაანახვიოს'ნა გერი. ჰამა დედაბერმა გერი დამალა, გამუტუნინა მისი შვილი. მოვდა მეგერ მამალმა, დედახა: „ყიყლიყო, ფადიმე ქოლონ'შია!“ გააძეს მეგერ, მოვდა და კიდვენ თქვა; ერცხვა გააძეს, ერცხვა დედახა მეგერ, სოლნი მიხთენ მეგერ. ერთი მოვნახოთო; ნახეს მეგერ და გოგო დედნახეს შიან.

— ვინ ხარ შენო?

— მე გოგო ვარ, გერიო.

— ჩვენ ნახვისთვინ მოველთ, შენ ხარ ისიო?

— ჰო.

— კარქი.

მიერე ღღეს დედაბერმა მეგერ დუტია კანაფი დასართავი: ეს კანაფი დაართა'ნაო და ძროხებიც'ნა აძვო სალამომდიო. დეფწყო გოგომ ტირილი (სალამომდი იმდონი საქმე რაფერ გააკეთებდა რომენ?!). ძროხებმა კითხეს მეგერ, რა გატირეფსო.

— რაფერ'ნა დავართა სალამომდი ამდონი კანაფიო.

ძროხებმა მიეხმარენ: ერთმა ის ქნა, ერთმა ის და დაართეს მეგერ.

მიერე ღღეს მეგერ დედაბერმა გუდუურია პური და ბრინჯი: ეს'ნა დაართიო სალამომდიო. ტირის. მოვდა მამალმა.

— რა გატირეფსო?

— რაფერ'ნა დავარჩიო პური და ბრინჯი ერთმანებში არი არევილიო.

მამალმა დუტახა ქათმებ, ემედენი გადაარჩიეს მეგერ აირი-აირი (არ შეჭამეს ხომ ქათმებმა მარცვალი).

მიერე ღღეს მეგერ დედაბერმა თხები გაატანა საძვებლად ღელი პირში. ერთმა დედაბერმა ქალმა მოვდა.

— რა ივებო?

— თხებ ვაძვებო.

— ტილები მყავან ბევრი, თავი მომიხილო — უთხრა მეგერ დედაბერმა. თავი დედაბრისა ყარს მეგერ, ჰამა გოგომ „ყარსო“ განა არ უთხრა მეგერ, „რა კად სული გიდისო“.

— წაფო, თეთრ წყალ შუშუშვირე თავიო.

შუშუშვირა მეგერ გოგომ თავი და თლათ ალთუნი გახდა მეგერ.წვედა სახში. ქალმა მეგერ გაგზანა შვილი. დედაბერმა მოახილია თავი. „ფუ, რა ბეთი სული გიდისო“ — უთხრა მეგერ და თან ქიები გამეხსნა (უყურე ახლა შენ: ლამაზი ენა რომ უთხრა მიერემ, ალთუნი გამეხსნა, ბეთი სიტყვა რომ თქვა, იმა ქიები გამეხსნა მეგერ).

10. შვიდობით, ჩემო კირნათო

ვიყავ ტყეში ყაჩაღვით, როგორც წინათაც გითხარი,
აჭარაში ცხოვრებაზე გულმა მეზნეოდა ვარი.
სხვაგან წასლა გადავწყვიტე, დაწვილი და დაჩაგრული,
რა მექნა, რომ ამ გზის მეტი არ მქონდა გამოსავალი.
წასლიხან ვეველ ქედზედა, დავკექ და კირნათს ვუტირე,
ბოლოს დევემშვიდობე და თვალცრემლით ასე უტირე:
შვიდობით, ჩემო კირნათო, მე მივალ, შენ კარგად იყავი,
რაც თუ ჩემზე ემელი გაქ, ყველა ჰელალი მიყავი.
გშორდები, ჩემო სამშობლოვ, ჩემი მოსლა ორში არი,
შენ არა ხარ დამნაშავე, ყველა ბრალი ჩემი არი.
გეხვეწები, მაპატივე, შენი ფასი არ ვიცოდი,
შენ დედასავით ამზარდე, მე პატივს არ გეცემოდი,
შვიდობით, ჩემო ჭოროხო, ვენაცვალე შენ ტალღებსა,
ჩემი წასლა და ტირილი უთხარ კირნათის ქალებსა.
შვიდობით, ჩემო სამშობლოვ, შვიდობით, კირნათის გზებო,
შვიდობით, ჩემო მინდორო, შვიდობით, აფხანაკებო.

11. დიალოგებში ჩართული პოეზია

* * *

ჯივანი

გელინო, გელინო, ლელ-ლელა წამეარე,
კარი თავი მაღალი, ფეხი არ წამეიკრა.
დედამთილი დედასავენ, მამამთილი მამასავენ,
მაზლი გყავს და ძმასავენ,
მული გყავს და დასავენ.

აიშე გორმეზი (ჰელიმოლლი).

* * *

ერგუნა

თავზე თეთრი ლაჩაქი,
თხუთმეტი ყაწიმია,
თეთრი გულზე ბემლული,
დათვალე ათიმია.
წელზე დაყრილი თმები,
იფეგის ნართიმია,
შუშასავენ ხელები,
სედეფის ყუთინია.

* * *

ბებერების თეთრი თმა,
ნუ გინდაო ბევრი თქმა.

გირგილარ სანუ (მაზრუმოლი).

* * *

ხელზე ბეჭედი მაქვა,
ბეჭედს თვალი არ აქვა,
შენზე თვალი მაქვა,
მე ცუდად ნუ მიყურავ.
ოზმანი შამოვლობე,
ბუჯურა, გევრიანი,
ერთი ფაცოი გევჩინე,
ჟუჟუნა თვალიანი.
ქალები ვამუშავე,
თავშავა კვალიანი.

* * *

დილას ცეცხლი ვერ ანთობენ,
კატრის კვარი დეილია.
განვალ ბაშქოის სოხანებში,
ზამთარ-ზაფხულ სველიაო,
ფორესეთის სახლები
ჰაცხან მოხვალ, ნალიაო.

ტექსტები გადმობეჭდილია: **კლარჯეთი**, ბათუმი, 2016.

მამია ფაღავა, ნანა ცეცხლაძე

ტაოური კილო

ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები

ტაოური კილო გავრცელებულია ისტორიულ ტაოში.

ტაო ისტორიულად ვრცელი ქვეყანა იყო, რომელიც ორად იყოფოდა: იმიერ ტაო და ამიერ ტაო. ტაოს ქვეყნის დიდი ნაწილი დღეს მეთურქულეა, ქართული ისმის მხოლოდ რამდენიმე სოფელში: **ქილათი, ელიასხევი, ბალხი, ცუცეკარი, ქვაბაი კარი, ხევეკი...** (იხ. ფაღავა... 2005). ისტორიულ ტაოს უნდა მიეკუთვნოს კიდევ ერთი მექართულე სოფელი **ბინათი**, რომელიც კლარჯეთისა და ტაოს საზღვარზე მდებარეობს (იხ. ფაღავა, 2015: 69-75). ქართულის კვალი ჩანს მეთურქულე ტაოშიც ქართული ტოპონიმისა და ტაოელთა თურქულ მეტყველებაში დალექილი ქართული ლექსიკის სახით. მომავალში ტაოურის დახასიათებისას მისი გათვალისწინება აუცილებლად მიგვაჩნია.

სახელის ბრუნება

ტაოურ კილოში ბრუნვის ნიშნების ხმარებისას დასტურდება შემდეგი თავისებურებანი:

თანხმოვანფუძიანი სახელების ბრუნებისას ჭარბობს **შეკუმშული ფორმები**: პარხალში **მანქნით** ავალთ (ტაო, 172); **პარხლის** წყალი აქეთვე მოვა (ტაო, 170); აქა იწურვის წყალი, **პარხლის წყალი** (ტაო, 171).

აქა-იქ უკუმშველი ფორმებიც დასტურდება: ჩუენ თამარ **დედოფალის** გურჯიჯა მაქვან (ტაო, 172); თამარ **დოდოფალის** ვსწერთ? (ტაო, 173).

მრავლობით რიცხვში უკუმშველი ფორმებია გავრცელებული: იქი-დამ ჩომოვლენ **გელები** (ტაო, 171).

ნათესაობითსა და მიცემითში ბრუნვისნიშნისეული **ს** თანხმოვანი ხშირად დაკარგულია: მთებ ვხედავ, ძმი გული, დელი წყალი, **თი თავში** ტბა არი (ტაო, 176).

თანმოვანფუძიანი ფუძეკუმშვადი		
სახ.	დოდოფალ-ი	დოდოფალ-ებ-ი/დოდოფლ-ებ-ი
მოთხ.	დოდოფალ-მა	დოდოფალ-ებ-მა/დოდოფლ-ებ-მა
მიც.	დოდოფალ(ს)	დოდოფალ-ებ(ს)/დოდოფლ-ებ(ს)
ნათ.	დოდოფალ-ის/დოდოფლ-ის	დოდოფალ-ებ -ის/დოდოფლ-ებ-ის
მოქმ.	დოდოფალ-ით/დოდოფლ-ით	დოდოფალ-ებ-ით/დოდოფლ-ებ-ით
ვით.	დოდოფალ-ათ/დოდოფლ-ათ	დოდოფალ-ებ-ათ/დოდოფლ-ებ-ათ
წოდ.	დოდოფალ-ო	დოდოფალ-ებ-ო/დოდოფლ-ებ-ო
სახ.	სოფელ-ი	სოფელ-ებ-ი
მოთხ.	სოფელ-მა	სოფელ-ებ-მა
მიც.	სოფელ-(ს)	სოფელ-ებ(ს)
ნათ.	სოფელ-ის	სოფელ-ებ-ის
მოქმ.	სოფელ-ით	სოფელ-ებ-ით
ვით.	სოფელ-ათ	სოფელ-ებ-ათ
წოდ.	სოფელ-ო	სოფელ-ებ-ო
ფუძეუკუმშველი		
სახ.	წიგნ-ი	წიგნ-ებ-ი
მოთხ.	წიგნ-მა	წიგნ-ებ-მა
მიც.	წიგნ-(ს)	წიგნ-ებ-(ს)
ნათ.	წიგნ -ი(ს)	წიგნ-ებ-ი(ს)
მოქმ.	წიგნ-ით	წიგნ-ებ-ით
ვით.	წიგნ-ათ	წიგნ-ებ-ათ
წოდ.	წიგნ-ო	წიგნ-ებ-ო

ხმოვანფუძიანი სახელები

კვეცადი ე'ფუძიანი ზოგი სახელი ებ'იან მრავლობითში ორ ე'ს იჩენს: ქილისეები, ღელეები; ბევრია დისიმილირებული ფორმა: **თხიე-ბი, ქვიები, დედიები, ბანჩიები, ხოჯიები.**

ბევრი **ქილისეები** არი (ტაო, 181); ეს **ღელეები** ჭორუხ შუუერ-თდება (ტაო, 178); სირთილამ რომ გადახედავ, **ქვიებია** (ტაო, 173); ძველათ აქ მამის **დედიები** როგორ ჩამოიღენ (ტაო, 147); **ბანჩიებია** ამ თერეფში (ტაო, 147).

ა-სა და ე-ზე დაბოლოებული სახელები უმეტესად უკვეცელია:

სახ.	ქვა	ქვი-ებ-ი
მოთხ.	ქვა-მ	ქვი-ებ-მა
მიც.	ქვა-ს	ქვი-ებ-(ს)

ნათ.	ქვა-მს/ქვი-ი(ს)	ქვი-ებ-ი(ს)
მოქმ.	ქვა-მთ/ქვი-ითი	ქვი-ებ-ით
ვით.	ქვა-თ	ქვი-ებ-ათ
წოდ.	ქვა-ვ(ო)	ქვი-ებ-ო
კვეცადი (-ე'ფუძიანი)		
სახ.	ღელე-მ	ღელი-ები/ღელე-ები
მოთხ.	ღელე-მ	ღელი-ებ-მა/ღელე-ებ-მა
მიც.	ღელე-(ს)	ღელი-ებ(ს)/ღელე-ებ(ს)
ნათ.	ღელე-მს/ღელ-ი(ს)	ღელი-ებ-ი(ს)/ღელე-ებ-ი(ს)
მოქმ.	ღელე-მთ/ღელ-ით	ღელი-ებ-ით/ღელე-ებ-ით
ვით.	ღელე-თ	ღელი-ებ-ათ/ღელე-ებ-ათ
წოდ.	ღელე-ვ	ღელი-ებ-ო/ღელე-ებ-ო
კვეცადი (-ა'ფუძიანი)		
სახ.	ძმა-მ	ძმ-ებ-ი
მოთხ.	ძმა-მ	ძმ-ებ-მა
მიც.	ძმა-(ს)	ძმ-ებ-(ს)
ნათ.	ძმ-ი(ს)	ძმ-ებ-ი(ს)
მოქმ.	ძმ-ით	ძმ-ებ-ით
ვით.	ძმა-თ	ძმ-ებ-ათ
წოდ.	ძმა-ვ	ძმ-ებ-ო
უკვეცელი (-ა'ფუძიანი)		
სახ.	ძია-მ	ძია-ებ-ი
მოთხ.	ძია-მ	ძია ებ-მა
მიც.	ძია-(ს)	ძია-ებ-(ს)
ნათ.	ძია-მს/ძია-სი	ძია-ებ-ისა
მოქმ.	ძია-მთი	ძია-ებ-ით
ვით.	ძია-თ	ძია-ებ-ათ
წოდ.	ძია-ვ	ძია-ებ-ო
უკვეცელი (-ო'ფუძიანი)		
სახ.	ღრო-მ	ღვინო-მ
მოთხ.	ღრო-მ	ღვინო-მ
მიც.	ღრო-(ს)	ღვინო-(ს)
ნათ.	ღრო-ს	ღვინო-მს
მოქმ.	ღრო-მთ	ღვინო-მთ
ვით.	ღრო-თ	ღვინო-თ
წოდ.	ღრო-ვ	ღვინო-ვ

უკვეცილი (-უ'ფუძიანი)		
სახ.	კუ-ფ	კუ-ებ-ი
მოთხ.	კუ-მ	კუ-ებ-მა
მიც.	კუ-(ს)	კუ-ებ(ს)
ნათ.	კუ-ფს/კუსი	კუ-ებ-ის
მოქმ.	კუ-ფთ/კუთი	კუ-ებ-ით
ვით.	კუ-თ	კუ-ებ-ათ
წოდ.	კუ-ვ	კუ-ებ-ო
კუმშვად-კვეცადი სახელები		
სახ.	მანქანაფ	მანქნ-ებ-ი
მოთხ.	მანქანა-მ	მანქნ-ებ-მა
მიც.	მანქანა-(ს)	მანქნ-ებ-სა
ნათ.	მანქნ-ი(ს)	მანქნ-ებ-ის
მოქმ.	მანქნ-ით	მანქნ-ებ-ით
ვით.	მანქნ-ათ	მანქნ-ებ-ათ
წოდ.	მანქანა-ვ	მანქნ-ებ-ო
საკუთარი სახელები თანხმოვანფუძიანი		
	კახაბერ-ი კახაბერ-მა კახაბერ-(ს) კახაბრ-ის/კახაბერ-ის კახაბრ-ით/კახაბერ-ით კახაბრ-ათ/კახაბერ-ათ კახაბერ-ო	
ხმოვანფუძიანი გეოგრაფიული სახელი უკვეცილია:		
სახ.	აჭარა	
მოთხ.	აჭარა-მ	
მიც.	აჭარა-ს	
ნათ.	აჭარა-ფს	
მოქმ.	აჭარა-ფთ	
ვით.	აჭარა-თ	
წოდ.	აჭარა-ვ	

ქობაიძემ უნდა წიხვიდე ხევექ (ტაო, 162); ჩვენი დედები ყოფილან იმტე **აჭარაიძამ მოსული** (ტაო, 147); ჩვენი დედეები **აჭარაიძამ მოსულ არიან** (ტაო, 151). ჩვენი დედები ყოფილან იმტე **აჭარაიდან** მოსული (ტაო, 146).

მსაზღვრელ-საზღვრული

თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელის საზღვრულთან ერთად ბრუნებისას ტაოურში ვულგარული სახეობა გვაქვს. ხანდახან სახელობითი ბრუნვის ნიშანიცაა დაკარგული: შირანში ასკერობა იჯება **ჩემ ბიჭი** ირანთან (ტაო, 165); **ჩემ ერთ არაბას** აქნა მეეცადნა (ტაო, 172); **ჩემ მამამს დედა** იმსო იქა ყოფილა (ტაო, 146); **მალალ ხმითი** ილაპარაკებენ, იხვართებენ (ტაო, 175); **დიდვან კასრებით** წამოვლებთ ვოტკას (ტაო, 146); ოთხი **მარცუალ** გამეილებენ (ტაო, 181).

სახ. მოთხ. მიც. ნათ. მოქმ. ვით. წოდ.	ბეური ფულ-ი ბეურ ფულ-მა ბეური ფულ-(ს) ბეურ ფულ-ის ბეურ ფულ-ით ბეურ ფულ-ათ ბეურო ფულ-ო	ოთხი მარცუალ-ი ოთხ მარცუალ-მა ოთხი მარცუალ-(ს) ოთხი მარცუალ-ის ოთხ მარცუალ-ით ოთხ მარცუალ-ათ ოთხო მარცუალ-ო
სახ. მოთხ. მიც. ნათ. მოქმ. ვით. წოდ.	ვიწრო გზა-ა ვიწრო გზა-მ ვიწრო გზა-(ს) ვიწრო გზ-ი(ს) ვიწრო გზ-ითი ვიწრო გზა-თ ვიწრო გზა-ვ	ვიწრო გზე-ებ-ი/გზი-ებ-ი ვიწრო გზე-ებ-მა/გზი-ებ-მა ვიწრო გზე-ებ(ს)/ გზი-ებ (ს) ვიწრო გზე-ებ-ი(ს)/გზი-ებ-ი(ს) ვიწრო გზე-ებ-ით/გზი-ებ-ით ვიწრო გზე-ებ-ათ/გზი-ებ-ათ ვიწრო გზე-ებ-ო/გზი-ებ-ო
სახ. მოთხ. მიც. ნათ. მოქმ. ვით. წოდ.	ერთი ძმა-ა ერთ ძმა-მ ერთ ძმა-(ს) ერთ ძმა-ა(ს)/ძმ-ი(ს) ერთ ძმა-ა(თ)/ძმ-ით(ი) ერთ ძმა-თ ერთ-ო ძმა-ვ	

მართული მსაზღვრელი		
სახ.	თი(ს)	წყალ-ი
მოთხ.	თი(ს)	წყალ-მა
მიც.	თი(ს)	წყალ(ს)
ნათ.	თი(ს)	წყალ-ის/წყალ-ის
მოქმ.	თი(ს)	წყალ-ით/წყალ-ით
ვით.	თი(ს)	წყალ-ათ/წყალ-ათ
წოდ.	თი(ს)	წყალ-ო

ზმნის უღლება

I სერია		
1.	აწმყო	რას ვიჯები?
2.	უწყვეტელი	რას ვიჯებოდი?
3.	აწმყოსკავშირებითი	რას ვიჯებოდე?
4.	მყოფადი	რას ვიზამ?
5.	ხოლმეობით-მედევობითი	რას ვიზამდი?
6.	მყოფადის-კავშირებითი	რას ვიზამდე?
II სერია		
7.	წყვეტილი	რა ვქენე?
8.	II კავშირებითი	რა ვქნა?
III სერია		
9.	I თურმეობითი	რა მიქნია?
10.	II თურმეობითი	რა მექნა?
11.	III კავშირებითი	რა მექნას?

ზმნურ ფორმათა წარმოებისას ტაოურში გამოკვეთილია სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშანთა ხმარება, დასტურდება ჰაემეტი და სანნარევი ფორმები: ის ხალხი მოიკრიფებიან, გამუალთ აქა, **დავჰკლავთ**, **დავჰჭრით**, აღუღებენ, იმა **შევჰჰამთ** (ტაო, 147); გევღეთ და **დავჰკლათ** ყურბნები (ტაო, 151); იმ ცხოვრებ **დაჰკლვენ** (ტაო, 147); **დაჰკრიბავ**, მეიტან, ჰინძაში **ჩაჰყრი**, ფეხებით **შესღები** (ტაო, 181); ქალები ზროხებ **მოსწველენ** ვინახავთ (ტაო, 160); **დაჰკრეფენ**, **გაჰყიდიან** ეზრუმ (ჩგ. 181); ტაბანი **მოვჰკვეთო**, ვიტყვი (ჩგ. 181); თურქები მოდიან, ჩვენდა **დავჰკლან** (ტაო, 147); ჩუენ **დავჰცინით** იმათა (ჩგ. 173); კიღევ **დაჰწერე** (ჩგ. 171); ქალები ზროხებ **მოსწველენ** ვინახავთ (ტაო, 160); ყაიმალში ყველ **ჩაჰყრი** (ჩგ. 180); **შეჰჰამავ**, **შეჰღევ** ფურუნში (ჩგ. 180); მე ერთი **მოვჰკალი**

(ტაო, 163); მე ერთი **მოვჰკალი** (ტაო, 160); მერე **მოვჰკრეფავთ** კაცებ ბიჭის თერეფიდამ (ტაო,164);ზამთარ გათოვდება, ვაჭუმთ იმას (ტაო,164); იამთ გელი-მელი ვერ **მეწევა, ვერ შესჰამს** (ჩგ. 175).

გვხვდება უნიშნო ფორმებიც: **ყავდა, ყოლია**: თხები **ყოლია** თაში (ჩგ. 176); ბეური ფულეზი **ქონებთან** (ტაო, 147).

წყვეტილში სუბიექტური მესამე პირის ნიშანი მრავლობით რიცხვში ძირითადად **ეს-ია**, რაც ძველი ქართულისებურია: ერმენებიც **ის-ხდეს, ხევენგში იჯდეს** (ჩგ. 178); ყაზიალი **ვიღებდეს, გეღეიტანდეს** ჯორით (ჩგ. 174); ქალებიც **იყვნესა, კაცებიც იყვნეს** (ჩგ. 175); ყალი არ **იყვეს**, ბუქი არა **იყვეს** (ტაო, 147).

ამავე მწკრივში მხოლობითი რიცხვის მესამე პირში დადასტურდა **ა-ს ნაცვლად ო**: ჩუენ სოფელში ერთი ღარჭი **მოკდო** (ჩგ. 170).

მე-2 კავშირებითშიც ო ხშირია: თქუენ შომოქხედე, არ **შეშინდონ-**მეთქი (ჩგ.171); ღმერთმა მშვიდობა **მოქცოს** ყველასა (ჩგ.172).

დასტურდება **ინკლუზივ-ექსკლუზივის** შემთხვევებიც: მათი ლაპარაკი რომ არ **მეამებთან**, დაგჰცინით იმათა (ჩგ.173); ჩუენი თავი **მოქვწონან** (ჩგ.173); ისინიც ჩუენ **მეტყვიან** (ჩგ. 174); ბათუმის ხალხი ძალუან **მიყვარან** (ჩგ. 178); ჯარი **მაქვან** (ჩგ. 180); **მეზარებთან** დათესვა ჩვენა (ჩგ.177); დედადც გურჯი **მყავდენ** და მამადც (ჩგ.178); ამხანაგები **მყვანდეს, მეტყოდეს ...**(ჩგ. 177).

ტაოურში წყვეტილში თავს იჩენს ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ე. წ. „პირდაპირი ობიექტის მრავლობითის“ **-ენ** სუფიქსი.

ზოგლი **დევეჩვიენით** ამასა (ჩგ. 170); **დეიღალენით?** (ტაო, 158); აქ **დევბადენით**, აქ **გევზარდენით** და კაი გუეჩვენება ჩვენი ადგილები (ტაო,150).

მეორე სერიაში დასტურდება ევ'იანი ზმნები: უთხრეს ფადიშაჰსა, ეს ბერი **დევჭირევითო** (ჩგ. 175); ეგ გუდა თქვენ **ვიკიდევით** (ჩგ. 175); **დეინახევით**, ფენა კაი დასანახველია (ჩგ.172); ახლა **გავაგდევით** (ტაო, 164); ალით სოფელში და **ჭამევით** (ჩგ. 181).

ერთთემიანი ზმნების უღლება

I სერია		
აწ.- მე.	(და)ვსწერავ (და)სწერავ (და)სწერავს	(და)ვსწერავთ (და)სწერავთ (და)სწერავენ/(და)სწერვენ
უწ.- ნოლ.	(და)ვსწერვიდი (და)სწერვიდი (და)სწერვიდა	(და)ვსწერვიდით (და)სწერვიდით (და)სწერვიდენ

I კავ.	(და)ვსწერვიდე (და)სწერვიდე (და)სწერვიდეს	(და)ვსწერვიდეთ (და)სწერვიდეთ (და)სწერვიდენ
II სერია		
წყ.	დავსწერევი დასწერევი დასწერა	დავსწერევით დასწერევით დასწერეს
II კავ.	დავსწერო დასწერო დასწეროს	დავსწეროთ დასწეროთ დასწერონ
III სერია		
I თურ.	დიმიწერია დიგიწერია დუუწერია	დიმიწერიან/დიგვიწერია დიგიწერავენ დუუწერავენ
II თურ.	დემეწერა დგეწერა დეეწერა	დემეწერა/დგევეწერა დგეწერენ დეეწერენ
III კავ.	დემეწეროს დგეწეროს დეეწეროს	დემეწეროს/დგევეწეროს დგეწერონ დეეწერონ
I სერია		
აწ.- მე.	(შე)ვსჭამ (შე)სჭამ (შე)სჭამს	(შე)ვსჭამთ (შე)სჭამთ (შე)სჭამენ
უწ.- ხოლ.	(შე)ვსჭამდი (შე)სჭამდი (შე)სჭამდა	(შე)ვსჭამდით (შე)სჭამდით (შე)სჭამდენ
I კავ.	(შე)ვსჭამდე (შე)სჭამდე (შე)სჭამდეს	(შე)ვსჭამდეთ (შე)სჭამდეთ (შე)სჭამდენ
II სერია		
წყ.	შევსჭამევი შესჭამევი შესჭამა	შევსჭამევით შესჭამევით შესჭამეს
II კავ.	შევსჭამო შესჭამო შესჭამოს	შევსჭამოთ შესჭამოთ შესჭამონ

III სერია		
I თურ.	შიმიჭამია შიგიჭამია შუუჭამია	შიმიჭამიან/შიგივიჭამია შიგიჭამიან შუუჭამიან
II თურ.	შემეჭამა შეგეჭამა შიეჭამა	შემეჭამეს/შეგუეჭამა შეგეჭამეს/ნ შიეჭამეს/ნ
III კავ.	შემეჭამოს შეგეჭამოს შიეჭამოს	შემეჭამოს/შეგუეჭამოს შეგეჭამოს/ნ შიეჭამოს/ნ
I სერია -ი'თემისნიშნისანი (ყიდავს)		
აწ.- მყ.	(გა)ყვიდავ (გა)ყიდავ (გა)ყიდავს	(გა)ყვიდავთ (გა)ყიდავთ (გა)ყიღვენ/(გა)ყიღვენ
უწ.- ხოლ.	(გა)ყვიდავლი (გა)ყიდავლი (გა)ყიდავლა	(გა)ყვიდავლით (გა)ყიდავლით (გა)ყიდავლენ
I კავ.	(გა)ყვიდავდე (გა)ყიდავდე (გა)ყიდავდეს	(გა)ყვიდავდეთ (გა)ყიდავდეთ (გა)ყიდავდენ

ხევას აკეთებენ, გაახმობენ, **გაჭყიდვიან** (ჩვ. 180); ჰამა რა **ყვიდავ**, მოაკეთონ კარგა (ტაო, 154).

II სერია		
წყ.	გავყიდვი გაყიდვი გაყიდა	გავყიდვით გაყიდვით გაყიდეს
II კავ.	გავყილო გაყილო გაყილოს	გავყილოთ გაყილოთ გაყილონ
III სერია		
I თურ.	გიმიყიღია გიგიყიღია გუუყიღია	გიმიყიღიან/გიგივიყიღია გიგიყიღიან გუუყიღიან
II თურ.	გემეყიდა გეგეყიდა გეეყიდა	გემეყიდა/გეგვეყიდა გეგეყიდენ გეეყიდენ

III კავ.	გემეყიდოს გეგეყიდოს გეეყიდოს	გემეყიდოს/გეგუეყიდოს გეგეყიდონ გეეყიდონ
-----------------	------------------------------------	-----------------------------------------------

ავთემისნიშნისანი ზმნები თემისნიშნისეულ ხმოვანს მეტწილად იკვეცენ: საწურავში **გაწურვენ, შესჭამენ** (ჩვ. 180); ისინი **მუუკლავენ** (ტაო, 147); ქართულებ როგორ **უკითხვენ?** (ტაო, 65).

-ავთემისნიშნისანი ზმნებთან **ვკლევდი** ტიპის ფორმები იშვიათია, **ვიდ-მიდიანი** კი — ბევრია: ვერძ **დავკლიდით** (ტაო, 154); აქ ირანელები იყვნენ, უშექროს **სმიდეს** (ტაო, 154).

მეტად საინტერესოა ფორმები: **დავკაფიდით, დევმალოვდით**: ძველათ ნეკერ **დავკაფიდით**, ფურცელი დაკაფე, დაჯოხე (ტაო, 152); დღისი **ტყოვნარში დევმალოვდითო**, ღამი ჩამოვდოდით (ტაო, 147).

ზმნათა უმრავლესობაში ხშირად გვაქვს ამ თემა: ერბო **შევდლობამ**, ხაიწ **იქამ** (ჩვ. 177); სადღვებელიდამ **მოდღვებამ** (ჩვ. 180); ყაიმალ **აადულამ** (ჩვ. 179); **დასდგამ** ოჯალზე, **აადულამ** (ჩვ. 180).

I სერია		
აწ.-მე.	(ა)ვადულამ (ა)ადულამ (ა)ადულამს	(ა)ვადულამთ (ა)ადულამთ (ა)ადულამენ
უწ.-ხოლ.	(ა)ვადულამდი (ა)ადულამდი (ა)ადულამდა	(ა)ვადულამდით (ა)ადულამდით (ა)ადულამდეს
I კავ.	(ა)ვადულამდე (ა)ადულამდე (ა)ადულამდეს	(ა)ვადულამდეთ (ა)ადულამდეთ (ა)ადულამდეს
II სერია		
წყ.	ავადულევი აადულევი აადულა	ავადულევით აადულევით აადულეს
II კავ.	ავადულო აადულო აადულოს	ავადულოთ აადულოთ აადულონ
III სერია		
I თურ.	იმიდულეზია იგიდულეზია უუდულეზია	იმიდულეზიან/იგვიდულეზია იგიდულეზიან უუდულეზიან

II თურ.	ემედულეზია ეგედულეზია ეედულეზია	ემედულეზია/ეგვედულეზია ეგედულეზიეს/ნ ეედულეზიეს/ნ
III კავ.	ემედულეზიოს ეგედულეზიოს ეედულეზიოს	ემედულეზიოს/ ეგვედულეზიოს ეგედულეზიოს/ნ ეედულეზიოს/ნ

ტაოურში **ავ** თემის ნიშანი დაერთვის ერთთემიან, **ი** თემისნიშნიან და ფუძედრეკად ზმნებსაც: იქ ბევრ **ვეიდავ**, მოაკეთონ კარგა (ტაო, 155); იმ კილდე თუ **გამოჭრავ**, მოქცემთ (ტაო, 147); არა **ვჭყიდავთა**, ეილა დათვები ჭამენ (ტაო,164); ჩაირსა **ვკრიბავთ**, ძროხებ ვინახავთ (ტაო, 160).

I სერია		
აწ.- მე.	(და)ვ(ბ)კაფავ (და)კაფავ (და)კაფავს	ვ(ბ)კაფავთ კაფავთ კაფავენ/კაფვენ
უწ.- ნოლ.	(და)ვ(ბ)კაფავდი/(და)გკაფიდი (და)კაფავდი/(და)კაფიდი (და)კაფვიდა/(და)კაფიდა	(და)ვ(ბ)კაფავდით/(და)გკაფიდით (და)კაფავდით/(და)კაფიდით (და)კაფვიდენ/(და)კაფიდენ
I კავ.	(და)გკაფდე (და)კაფდე (და)კაფდეს	(და)გკაფდეთ (და)კაფდეთ (და)კაფდენ
II სერია		
წყ.	დავჰკაფე დაჰკაფე დაჰკაფა	დავჰკაფენით დაჰკაფენით დაჰკაფეს
II კავ.	დავჰკაფო დაჰკაფო დაჰკაფოს	დავჰკაფოთ დაჰკაფოთ დაჰკაფონ
III სერია		
I თურ.	დიმიკაფია დიგიკაფია დეუკაფია	დიმიკაფიან/დიგიკაფიან დიგიკაფიან დეუკაფიან
II თურ.	დემეკაფა დეგეკაფა დეეკაფა	დემეკაფეს/დეგვეკაფა დეგეკაფეს/ნ დეეკაფეს/ნ
III კავ.	დემეკაფოს დეგეკაფოს დეეკაფოს	დემეკაფოს/დეგვეკაფოს დეგეკაფოს/ნ დეეკაფოს/ნ

I სერია		
აწ.- მე.	(შე)ვჰკონავ (შე)ჰკონავ (შე)ჰკონავს	(შე)ვჰკონავთ (შე)ჰკონავთ (შე)ჰკონავენ/(შე)ჰკონვენ
უწ.- ნოლ.	(შე)ვჰკონვიდი (შე)ჰკონვიდი (შე)ჰკონვიდა	(შე)ვჰკონვიდით (შე)ჰკონვიდით (შე)ჰკონვიდენ
I კავ.	(შე)ვჰკონვიდე (შე)ჰკონვიდე (შე)ჰკონვიდეს	(შე)ვჰკონვიდეთ (შე)ჰკონვიდეთ (შე)ჰკონვიდენ
II სერია		
წყ.	შევჰკონევი შეჰკონევი შეჰკონა	შევჰკონევთ შეჰკონევით შეჰკონეს
II კავ.	შევჰკონო შეჰკონო შეჰკონოს	შევჰკონოთ შეჰკონოთ შეჰკონონ
III სერია		
I თურ.	შიმიკონია შიგიკონია შუჰკონია	შიმიკონიან/შიგვიკონია შიგიკონავენ შუჰკონავენ
II თურ.	შემეკონა შეგეკონა შეეკონა	შემეკონეს/შეგვეკონა შეგეკონეს/ნ შეეკონეს/ნ
III კავ.	შემეკონოს შეგეკონოს შიეკონოს	შემეკონოს/შეგვეკონოს შეგეკონოს/ნ შიეკონოს/ნ

ავთემისნიშნისანი ზოგი ზმნა ი თემის ნიშანს დაირთავს: **მონის, მოკლის, უკრის...**

I სერია		
აწ.	ვუკრი უკრი უკრის	ვუკრით უკრით უკრენ
უწ.	ვუკრიდი უკრიდი უკრიდა	ვუკრიდით უკრიდით უკრიდეს

აწ. კავ.	ვუკრიდე უკრიდე უკრიდეს	ვუკრიდეთ უკრიდეთ უკრიდენ
II სერია		
წყ.	დოუკარ დოუკარ დუუკრა	დოუკართ დოუკართ დუუკრეს
II კავ.	დოუკრა დოუკრა დუუკრას	დოუკრათ დოუკრათ დოუკრან
III სერია		
I თურ.	დიმიკრია დიგიკრია დუუკრია	დიმიკრიან/დიგვიკრია დიგიკრავენ დუუკრავენ
II თურ.	დემეკრა დეგეკრა დეეკრას	დემეკრეს/დეგვეკრა დეგეკრეს/ნ დეეკრეს/ნ
III კავ.	დემეკრას დეგეკრას დეეკრას	დემეკრას/დეგვეკრას დეგეკრას/ნ დეეკრან

მაწვნი დედას ორი კოვზით იმაში **ურთებ** (ჩვ. 179); მარილ **ურ-
თებენ** (ჩვ. 180)...

I სერია		
აწ.- მყ.	(და)ვასხამ (და)ასხამ (და)ასხამს	(და)ვასხამთ (და)ასხამთ (და)ასხამენ/ასხმენ
უწ.- ნოლ.	(და)ვასხმიდი (და)ასხმიდი (და)ასხმიდა	(და)ვასხმიდით (და)ასხმიდით (და)ასხმიდეს
I კავ.	(და)ვასხმიდე (და)ასხმიდე (და)ასხმიდეს	(და)ვასხმიდეთ (და)ასხმიდეთ (და)ასხმიდენ

ვერძ **დავკლიდით** (ტაო, 154); იმის ქომოთკე ფეხდაფეხ წევლო-
დით, ცხენილამ **ჩამომსმიდა** (ჩვ. 173); **ჩევცმიდე** ყაზმაღსა, არ შემცი-
ვა (ჩვ.177).

II კავ.	დავასხა დაასხა დაასხას	დავასხათ დაასხათ დაასხან
III სერია		
I თურ.	ღიმისხმია ღიგისხმია ღუუსხმია	ღიმისხმან/ღიგვისხმან ღიგისხმან ღუუსხმან
II თურ.	ღემესხა ღეგესხა ღეესხას	ღემესხეს/ღეგვესხა ღეგესხეს/ნ ღეესხეს/ნ
III კავ.	ღემესხას ღეგესხას ღეესხას	ღემესხას/ღეგვესხას ღეგესხას/ნ ღეესხას/ნ
I სერია		
აწ.- მე.	(შე)ვსუამ (შე)სუამ (შე)სუამს	ვსუამთ სუამთ სუამენ
უწ.- ნოლ.	(შე)ვსვუამდი/(შე)ვსმიდი (შე)სვუამდი/(შე)სმიდი (შე)სვუამდა/(შე)სმიდი	(შე)ვსვუამდით/(შე)ვსმიდით (შე)სვუამდით/(შე)სმიდით (შე)სვუამდეს/(შე)სმიდეს
I კავ.	(შე)ვსვუამდე/(შე)ვსმიდე (შე)სვუამდე/(შე)სმიდე (შე)სვუამდეს/(შე)სმიდეს	(შე)ვსვუამდეთ/(შე)ვსმიდეთ (შე)სვუამდეთ/(შე)სმიდეთ (შე)სვუამდენ/(შე)სმიდენ
II სერია		
წე.	შევსუი შესუი შესუა	შევსუით შესუით შესუეს
II კავ.	შევსუა შესუა შესუას	შევსუათ შესუათ შესუან
III სერია		
I თურ.	შიმისხმია შიგისხმია შიუუსხმია	შიმისხმან/შიგვისხმან შიგისხმან შიუუსხმან
II თურ.	შიემესუა შიეგესუა შიეესუას	შიემესუეს/შიეგვესუა შიეგესუა/ნ შიეესუა/ნ

III კავ.	შემესუას შეგესუას შეესუას	შემესუას/შეგვესუას შეგესუას/ნ შეესუას/ნ
I სერია		
აწ.- მე.	(ა)ვღგები (ა)ღგები (ა)ღგება	(ა)ვღგებით (ა)ღგებით (ა)ღგებიან
უწ.- ნოლ.	(ა)ვღგებოდი (ა)ღგებოდი (ა)ღგებოდა	(ა)ვღგებოდით (ა)ღგებოდით (ა)ღგებოდეს
I კავ.	(ა)ვღგებოდე (ა)ღგებოდე (ა)ღგებოდეს	(ა)ვღგებოდეთ (ა)ღგებოდეთ (ა)ღგებოდენ
II სერია		
წუ.	ავღექ აღექ აღგა	ავღექით აღექით აღგეს
II კავ.	ავღგე აღგე აღგეს	ავღგეთ აღგეთ აღგენ
III სერია		
I თურ.	ავმღგარვარ ამღგარხარ ამღგარა	ავმღგარვართ ამღგარხართ ამღგარან
II თურ.	ავმღგარვიყავ ამღგარიყავ ამღგარიყო	ავმღგარვიყავთ ამღგარიყავთ ამღგარიყვენ
III კავ.	ავმღგარვიყო ამღგარიყო ამღგარიყოს	ავმღგარვიყოთ ამღგარიყოთ ამღგარიყონ
I სერია		
აწ.	მინდა გინდა უნდა	მინდანან/გვინდანან გინდანან უნდანან
უწ.	მინდოდა გინდოდა უნდოდა	მინდოდენ/გვინდოდა გინდოდენ უნდოდეს

აწ. კავ.	მინდოდეს გინდოდეს უნდოდეს	მინდოდეს/გვინდოდეს გინდოდენ უნდოდენ
მე.	მამინდება მაგინდება მუუნდება	მამინდებიან/მაგვინდება მაგინდებიან მუუნდებიან
ხოლ. შედ.	მამინდებოდა მაგინდებოდა მუუნდებოდა	მამინდებოდენ/მაგვინდებოდენ მაგინდებოდენ მუუნდებოდენ
მე. კავ.	მამინდებოდეს მაგინდებოდეს მუუნდებოდეს	მამინდებოდეს/მაგვინდებოდეს მაგინდებოდენ მუუნდებოდენ
II სერია		
წყ.	მამინდა მაგინდა მუუნდა	მამინდა/მაგვინდა მაგინდენ მუუნდეს
II კავ.	მამინდეს მაგინდეს მუუნდეს	მამინდეს/მაგვინდეს მაგინდენ მუუნდენ
III სერია		
I თურ.	მამლომებია მაგლომებია მანლომებია	მამლომებია/მაგვლომებია მაგლომებიან მანლომებიან
II თურ.	მამლომებოდა მაგლომებოდა მანლომებოდა	მამლომებოდა/მაგვლომებოდა მაგლომებოდა/ენ მანლომებოდა/ენ
III კავ.	მამლომებოდეს მაგლომებოდეს მანლომებოდეს	მამლომებოდეს/მაგვლომებოდეს მაგლომებოდეს მანლომებოდენ
I სერია		
აწ.	მაქ გაქ აქ	მაქვან/გვაქვან გაქვან აქვან
უწ.	მქონდა გქონდა (ჰ)ქონდა	მქონდენ/გვქონდა გქონდენ (ჰ)ქონდენ

აწ. კავ.	მქონდეს გქონდეს ჰქონდეს	მქონდეს/გვქონდეს გქონდენ (ჰ)ქონდენ
მე.	მექნება გექნება ექნება	მექნება/გვექნება გექნებიან ექნებიან
ხოლ. უედ.	მექნებოდა გექნებოდა ექნებოდა	მექნებოდა/გვექნებოდა გექნებოდენ ექნებოდენ
მე. კავ.	მექნებოდეს გექნებოდეს ექნებოდეს	მექნებოდეს/ვექნებოდეს გექნებოდენ ექნებოდენ
II სერია		
წე.		
II კავ.		
III სერია		
I თურ.	მქონებია ქქონებია (ჰ)ქონებია	მქონებია/გვქონებია ქქონებიან ჰქონებიან
II თურ.	მქონებოდა ქქონებოდა (ჰ)ქონებოდა	მქონებოდა/გვქონებოდა ქქონებოდენ (ჰ)ქონებოდენ
III კავ.	მქონებოდეს ქქონებოდეს (ჰ)ქონებოდეს	მქონებოდენ/გვქონებოდენ ქქონებოდენ (ჰ)ქონებოდენ
I სერია		
აწ.	ვიარები იარები იარება	ვიარებით იარებით იარებიან
უწ.	ვიარებოდი იარებოდი იარებოდა	ვიარებოდი იარებოდი იარებოდეს
აწ. კავ.	ვიარებოდე იარებოდე იარებოდეს	ვიარებოდეთ იარებოდეთ იარებოდენ

მე.	გეგვარ გეარ გეარს	გევიართ გეართ გეარებენ
ხოლ. შედ.	გევიარდი გეარდი გეარდა	გევიარდით გეარდით გეარდენ
მე. კავ.	გევიარდე გეარდე გეარდეს	გევიარდეთ გეარდეთ გეარდენ
II სერია		
წე.	გეგვარე გეარე გეარა	გეგვარეთ გეარეთ გეარეს
II კავ.	გეგვარო გეარო გეაროს	გეგვაროთ გეაროთ გეარონ

განი გვინდა, **გეგვაროთ** (ტაო, 161); თოვლი **მოიდეს**, მოვლენ (ტაო, 160); აქ **გეგვაროთ** (ტაო, 154); გენჯობაჩი **ვიარებოდით** (ტაო, 164)...

III სერია		
I თურ.	გიმივლია გიგივლია გუუვლია	გიმივლიან/გიგივივლია გიგივილიან გუუვილიან
II თურ.	გემეველო გეგეველო გეეველო	გემეველეს/გეგეველო გეგეველეს/ნ გეეველეს/ნ
III კავ.	გემეველოს გეგეველოს გეეველოს	გემეველოს/გეგეველოს გეგეველონ გეეველონ
I სერია		
აწ.	მივალ მიხვალ მიდის	მივალთ მიხვალთ მიდიან
უწ.	მივლოდი მიხვილოდი მივლოდა	მივლოდით მიხვილოდით მივლოდეს

აწ. კავ.	მივლოდე მიხვილოდე მივლოდეს	მივლოდეთ მიხვილოდეთ მივლოდენ
მე.	წომოვალ წომოხვალ წომოვა	წომოვალთ წომოხვალთ წომოვლიან
ხოლ. შედ.	წომოვლოდი წომოხვილოდი წომოვლოდა	წომოვლოდით წომოხვილოდით წომოვლოდენ
მე. კავ.	წომოვლოდე წომოხვილოდე წომოვლოდეს	წომოვლოდეთ წომოხვილოდეთ წომოვლოდენ
II სერია		
წყ.	წომოველ წომოხველ წომოიდა	წომოველთ წომოხველთ წომოინეს

ტაოელები თავად აღნიშნავენ: — **გომოინეს** ჩვენ ვიტყვით, მურღულელები იტყვიან, **გამოიდნენო** (ჩვ. 173).

II კავ.	წომოვდე წომოხვიდე წომოიდეს	წომოვდეთ წომოხვიდეთ წომოიდენ
III სერია		
I თურ.	წომოვსულვარ წომოსულხარ წომოსულა	წომოვსულვართ წომოსულხართ წომოსულან
II თურ.	წომოვსულიყავ წომოსულიყავ წომოსულიყო	წომოვსულიყავთ წომოსულიყავთ წომოსულიყვენ
III კავ.	წომოვსულიყო წომოსულიყო წომოსულიყოს	წომოვსულიყოთ წომოსულიყოთ წომოსულიყონ

ტაოურში თვალში საცემია ზმნისწინთა თავისებურებანი:

ჩა ზმნისწინი > **ჩო'ს**, **წა**>**წო'ს**, **და**>**დო'ს**, **გა**>**გო//გე** ვარიანტებს **და** **ა.შ.** ოქრო ქონებიან, ვერ **წოუდიან**, **ჩოუფლიან** მიწაში, **დოუმალავან** (ჩვ. 171); **გოუდენიან** ერმენები აქედამა (ჩვ. 171); მემრე **შოუტოლდეფ** მიორე ჭაღებსაც (ჩვ. 180); **შოუტოლებ** მიორე ჭაღებსაც (ჩვ. 181); ბექ-

მეზი თუთიღამ **გომოა** (ჩგ. 180); ცერცვ და ქერ **გოურევენ,გომოფქვენ** წისქვილში (ჩგ. 180). აღარ **გეგიშვებენ**, სტუმარი იქნებით (ჩგ. 173).

შემო ზმნისწინი გვაძლევს **შომო-ს: შომოტყორცნა**, თან მაადარა (ჩგ. 175).

ზმნისწინისეული **ა** ხმოვნის დავიწროება კარგად ჩანს რთულ ზმნისწინებში: ეიგერ **გომოჩნდა** მახათეთი სოფელი (ჩგ. 171); აქიღამ **ჩომოვდენ** სოფელი კუბრეთი (ჩგ. 171); წყალი **ჩომოდიოდა** აქეღამ (ჩგ. 172); ჩუენა ამ სოფლიღამ **გომოსულნი** ვართ (ჩგ. 171); ეს ქარაფი არ **ჩომოწვეს** ჩვენზედ (ჩგ. 172); არაბაის ყაიშსა **გომოჭირება** უნდა, **გომოჭირება** (ჩგ. 172); რით **გომოთხარეს**, არავინ იცის (ჩგ. 176); იქეღამ წყალი **წომოა**, ჭოროხაქეთ **ჩომოა** (ჩგ. 173); გზენარი ასე მომშლილი მგონებოდა, არ **წომოვდოდი** (ჩგ. 172); მე იქ ვერ **წომოვალ** (ჩგ. 171); გახსნავ ლავაშებ, საჯზე **გომოაცხოზ** (ჩგ. 180); წეიღეფ, **გომოფქვენ** წისქვილში (ჩგ. 180); **გომოცხვება**, ადულ შერბეთ, მოსიქლო შერბეთ და-ასხამ (ჩგ. 180); დაჰღვამ ცეცხლზე, ადულეფ, **გომოა** ტკბილი (ჩგ. 180).

დასტურდება აღმოსავლური დიალექტებისთვის დამახასიათებელი ზმნისწინებიც: კაკალა **მააყრიან**, ერბოს **მაასხამენ**, იქნება ქადა (ჩგ. 180); კაი იქნება, გურჯის იაზ **შაასწავლებლით ბაღვებსა** (ჩგ. 179); მაწონ **შააყენებ**, ნაწველ **აადულამ**, მუურეფ ერბოში (ჩგ. 179); ბევრი ქი **შააყენებ**, **შედლობავ** (ჩგ. 180); შიგან ჩადებენ, ერბოს **მაასხამენ**, იქნება ქადა (ჩგ. 180); ადულ შერბეთ, მოსიქლო შერბეთ **მაასხამ** (ჩგ. 180).

ვნებითი გვარის ზმნათა დაბოლოება **არქაულია**: დაო, ახლაც ხომ არ **გეშინის?** (ჩგ. 170); აყირო **მეიხარშვის ...**(ტაო 166). ამგავრ ზმნათა თურმეობითი მიმღეობისგანაა ნაწარმოები: საფლავიც იქიღამ მოღის, იქიღამ **დამჩალა** (ჩგ. 177).

ამ და სხვა თავისებურებებებით ტაოური კილო მკვეთრად განსხვავდება სამხრულის სხვა კილოებისგან.

ჩგ.: ტაოს ქართულის ნიმუშები — შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი 1993;

ტაო: მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, ელგუჯა მაკარაძე, რეზო დიასამიძე, ლილე თანდილავა, — ტაოური მეტყველების ნიმუშები — საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი კრებული IV ბათუმი, 2005.

ძირითადი ლიტერატურა

(სამხრული კილოებისათვის)

- ახვლედიანი ნ.**, კირნათ-მარადიდის მეტყველების ზოგი თავისებურება (2001 წლის ივლისის ექსპედიციის მასალების მიხედვით); ა. ჩიქობავას საკითხავები, XIV; თბ., 2003.
- ბარამიძე მ.**, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების ზოგიერთი თავისებურება. ბსუ ქართველოლოგიის ინსტიტუტი, კრებული, VII, ბათუმი. 2013
- ბარამიძე მ., ცინცაძე მ.**, ზმნის ზოგი თავისებურება კლარჯულში. XXXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი. 2011
- ბერიძე ე.**, ნიგალის ხეობა სამეცნიერო წყაროებისა და კარტოგრაფიული მასალების მიხედვით. ბსუ ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული, VI, ბათუმი, 2009.
- სურმავა ნ.**, კირნათ-მარადიდის მეტყველების ერთი თავისებურების შესახებ; იკე, XXIX; თბ., 1990.
- ფარტენაძე ნ.**, ზმნისწინთა მონაცვლეობა და დამატებითი ფუნქციები სამხრულ მეტყველებაში. XXX რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბილისი, 2010.
- ფარტენაძე ნ.**, მო- და შე- ზმნისწინთა ვარიანტები ჩვენებურების მეტყველებაში. XXIX რესპუბლიკური დიალექტური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2009.
- ფარტენაძე ნ.**, პირის ნიშნები და პირთა კომბინაციები კლარჯულში. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, VIII, ბათუმი, 2014.
- ფარტენაძე ნ.**, სიტყვაწარმოება შავშურში. ბსუ ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი, ფილოლოგიური მაცნე, 1, თბილისი, 2013.
- ფაღავა მ.**, „ევ კილოს“ კვალი სამხრეთ საქართველოში. ჰუმანიტარული მეცნიერებანი ინფორმაციულ საზოგადოებაში, II. საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ბათუმი, 2014.
- ფაღავა მ.**, თანდებული შავშურში. ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, III, თბილისი, 2011.
- ფაღავა მ.**, თემის ნიშანთა მონაცვლეობა კლარჯულში. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, IX, ბათუმი, 2014.
- ფაღავა მ.**, სუფიქსური წარმოება შავშეთის ტობონიშიაში. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, X, ბათუმი, 2015.

- ფაღავა მ.**, ქართული ენისა და კულტურის კონცხულები მეთურქულე კლარჯეთში. იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გორი, 2015.
- ფუტკარაძე შ.**, თურქიზმები ქართველ მუჰაჯირთა მეტყველებაში. ბსუ, IV სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და თეზისები, ბათუმი, 1993.
- ფუტკარაძე შ.**, იმერხევის ქართული. გაზ. ლიტერატურული საქართველო, №3, თბილისი, 1995.
- ფუტკარაძე შ.**, კლარჯეთის ქართული. გაზ. ლიტერატურული საქართველო, №40-41, თბილისი, 1994.
- ფუტკარაძე შ.**, ლივანური ქართულის თავისებურებანი. ყ. განთიადი, 2, ქუთაისი, 1994.
- ფუტკარაძე შ.**, ობიექტის პირველი პირისა და რიცხვის გამოხატვის თავისებურებათა შესახებ ლივანური (ისტორ. ნიგალი, ნიგალის ხევი) მეტყველების მიხედვით; XIV რესპ. დიალექტოლ. სამეცნ. სესია, (ბათუმი, 28-29. X. 1993); თეზ.; თბ., 1993.
- ფუტკარაძე შ.**, უთანდებულო მოქმედებითი აჭარელ მუჰაჯირთა მეტყველებაში; XV რესპ. დიალექტ. სამეცნ. სესია, (ბათუმი, 24-25. XI. 1995); თეზ.; თბ., 1995.
- ჩონარაძე მ., ჩონარაძე თ.**, ქართული ენა და სოფლები ბურსას პროვინციაში. ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში, II საერთაშორისო კონფერენციის მასალები, I, ბათუმი, 2014.
- ჩონარაძე მ., ჩონარაძე თ.**, ქართული ენა თანამედროვე თურქეთში. XXXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის მასალები, თბილისი, 2014.
- ცეცხლაძე ნ.**, -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნათა თავისებურებანი კლარჯულში. დიდაჭარობა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2011.
- ცეცხლაძე ნ.**, ინვერსიულ ზმნათა თავისებურებანი კლარჯულში. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული VIII, ბათუმი, 2014.
- ცეცხლაძე ნ., ხახუტაიშვილი მ.**, -ავ და -ამ თემის ნიშნის ხმარების თავისებურებანი კლარჯული და ქობულეთური კილოკავის მიხედვით. არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 71-ე სამეცნიერო სესია, თბილისი, 2012.
- ცეცხლაძე ნ., ხახუტაიშვილი მ.**, ზმნურ ფორმათა ერთი თავისებურება მუჰაჯირთა მეტყველების მიხედვით. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული VIII, ბათუმი, 2014.
- ცინცაძე მ.**, პარალელური ფორმები შავშეთის ქართულ მეტყველებაში (ფონეტიკა). XXX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2010.

- ცინცაძე მ.**, ტაოური ქართულის ზოგი თავისებურება; XXI რესპ. დიალექტ. სეს., მასალ.; ბათუმი, 2001.
- ცინცაძე მ., ფაღავა მ.**, კლარჯული მასალები. რსუ ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული, VI, ბათუმი, 2009.
- ცინცაძე მ., ფაღავა მ.**, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა, V-XVIII სს. ბათუმი, 1998.
- ხახუტაიშვილი მ.**, თემის ნიშანთა უნიფიკაცია კლარჯულში. XXXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, მოხსენებათა გეგმა და თეზისები. თბილისი-მესტია, 2014.
- ხახუტაიშვილი მ., ცეცხლაძე ნ.**, -ავ და -ამ თემის ნიშანთა ხმარების თავისებურებანი კლარჯული და ქობულეთური მასალების მიხედვით. არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 71-ე სამეცნიერო სესია, თბილისი, 2012.
- ჯორბენაძე ბ.**, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

მეტყველების ნიმუშები

1

ძველათ ერმენები აქ ყოფილან. ერთი ფაფაზი ყოლიათ. ძველათ აქა არ უთოვლებია. ერთხელ თის წვერზე ცოტა გათოვებულა. ერთი კვირა დამჩალა, იმდენი გათოვებულა. იმ კაცებ გუუგზანია, ერთი შეხედეთ, ის რა არიო, ფორი. არ დგებაო. ცოტა გასულან, ბიჭებ უნახიან კი თოვლი, ცივი, ხელში უწევნიან, ხელებ უტკივნებიან, გამქრალა, გამდნარა. ჰოდა, უთქვიან იმ ფაფაზისთუნ ასე: ვაველით, ხელში ვწევთ, ხელს ვგატკივნებს, მოგვაქვს, იკარქვის. იმას უთქვია, კი: აქ აღარ იცხოვრებაო, ადექით, წევდეთო. ასე ილაპარაკებენ, წორი, მართალი არ ვიცი.

ელიასხევი

2

ინგლისურებ დაომებულა თურქეთი. აქ ერმენებ უცხოვრიან. ყველა ერმენები ყოფილან. ისინი ოქი ინგლისურებ ეომებოდა, თურქულებ არ გარეველან. ჩვენ სომხები ვართ და რათ გვენადლება, არ გარეველან. ერთიც რა უქნიან. აქოვრობაში სუყველა ერმენები ყოფილან. ოქი თურქეთი კაცები საომებლად წასულან. იმათ აქ ქალები უხეთქიან, რაცხაფერა უჭრიან, უკდუნებიან ქალები, ღარჭები. ოქი, ეომება გათავებულა თურქეთში. ათათურქი იციო? იმას უთქვია კი: სუყველა ერმენები გადაჰყაროთ თურქეთში. ეს არი თარიღში. მაშინ რა უქნიან? უყრიან გარესკე. ოქი, უთქვიან კი, მოდიან თურქელები, ჩვენდა დაგვკლან სუყველა, მაშინ ამდგარან, გაქცეულან. მაშინ ბეური ფულები ქონებიან, ალთუნი ფულები. ისინი მიწაში ჩუღდვიან, გამქცარან. აქ ბეურნი მოვლნეს თურისტები. ღამით თხრიან, იღებდეს, ბევრი ამედღეს. ამისაც ასე ილაპარაკებენ კი: თურქები მოდიან, ჩვენდა დაგვკლან,

ემენი ჩუღდვიან მიწაში, ამდგარან, გაქცეულან. ისინი მუჟკლავენ. იმასაც ისეე ლაპარაკობენ კი. ვისაც რა იმეთი წორია, ისიც არ ვიცი. იმენი ქალები, ბერები ილაპარაკებენ კი; იმ სომხებ იმ თურქი ქალები ჯოხებზე უცვიან, ყოლაფერა უქნიან. ოქი თურქეთი მობრუნებულა, შეშინებულან, ესენი აქ აღარ გვარგებენ, გვაკდუნებენ და გაქცეულან. იმეთი ჩვენი დედები ყოფილან იმტე აჭარადამ მოსული, იმათი ქართულებ ცოდნიათ... ის მიორე.

ელიასხევი

3

ძველათ ჰო? აა, ვიცი. ძველათ როგო ყოფილა, იცი? იქ, ქომო, ელიასხევ არი, ქვეით მეტი ხალხ არ ყოფილა. ძველათ გზა-მზა არ ყოფილა ქომოთ. ყანა-ჭალიდან მოსულ აქ სუყველა აქ სახლობდა. სუყველა აქ უცხოვრია და ბევრი ნადგომ ადგილია აქა. გზა-მზა მოვდა, ხალხმა იქ გადასახლდა. რაცხაფერე იქ გააკეთეს, იქ ყოლამფერ მოვა... აქა მოვა ზაფხულ, საქონელ აძუეფს, წველაგს, ის არი.

ელიასხეველები არიან ფატმა|ფათმა ავჯი და ნესლიან აჯარი. აქ ცხოვრობენ სულბანნი, სალიანნი, ხოჯანნი, აჯარები, ჭიკვალეები, მოლიანნი, ამალიანნი, კარჩხლიანნი... სხვა აღარ ვიცი.

აქ საფლაფყანაა, იგი – ქორეთი, გაღმა – არტანი (II არტანისი).

ელიასხევი

4

ჰად მივდივართა? პარხალი გურჯი არ არი, ბალხი არი, ქობაღ არი. გენჯები მიდიან, ახალეებმა არ იციან, ქართული ლაპარაკი აბლი დარჩა.

ჩემი დედემ ბათუმ არი, მე სულ არ დევნახე ჩემი დედემ. ჩვენი დედიები აჭარადამ მოსულ არიან. ჩემი ხანუმი გურჯია. ხანუმის დედემ იცის, მარა ახლა აქ არ არი.

ელიასხევი

5

დიდრუანი ლაპარაკობენ, წურილნი-წურილნი აღარ პარაკობენ. ზამან-ზამან ადგება; ქობაკი სულ გურჯი ყოფილა.

– აქ დევბადენით, აქ გევზარდენით და კამფუეჩვენება ჩვენი ადგილები.

– ძველათ ერთათობა იყო.

– პარხალჩი მეც გასულ ვარ, ქილისე არ დევნახე, ისე ფოტოში დანახულ ვარ.

– ეს ამისი დეგანია. ჩემი ძმიშვილია.

ელიასხევი

6

მინდოდა ველაპარაკო გურჯიჯა. ბიჭები მოდიოდეს და ცოტ-ცოტა დევწავლე. პირველ წელიწად ხოფაში ვიყავ. ერ-ორ დღეს ჩამოვედი.

– ძველებმაც აღარ იციან, ერთ სიტყვაზე ხდებიან, გამოცლილია სიტყვები, ჩუენში თურქი გარეულია.

– ამ სოფელში სუყველა ქართველია, სხუა არ არი. ქართველი ვარ, ქართველ ვიყო. სისხლი არ იცლება.

– ძველათ აქ მამის დედეები როგორ ჩამოდდენ, არ ვიცი. წყალი უპოვნიან და დამსხდარან. კარქა ძველათ აქ ერმენები უსხდომიან, წასულან; ასიორასი წლის მემრენ გურჯები მოსულან, არვინ იცის, სადდან. ადრე ხრისტიანი გურჯები ყოფილან.

– მეზრები დუზია.ორი მეტრი თოვლი მოდის. ხუთ თვეს აქ ვცხოვრობთ, მაისში მივდივართ.

ელიასხევი

7

– მოდი აქა ჩემ გვერცა.

– გედემარე, გადმემარე, გადადი, გადმოდი.

– „ლექსები“ ვერ მივხთი, რა არი. სიმღერა არ მახსონს.

– „ღელე“ ვიცით. ღელე პატარაა, დიდი „ჭოროხია“. ართვინში რომ მივა, იმის სახელი ჭოროხია, ჭოროხ ერევა. პარხალიც ჭოროხია. „ნაკადი“ ვებნევით, საწყავის ჩამოსაგდებათ რომ იქნება. „გოზი“ წყაროა. ბახჩიებია ამ თერეფში, ვწყავთ. არ მორწყა, გახმება. ზემოთკენ ხმელია. ხე მოჭრა დასალია.

– დაბნელდება, მოდიან დათვები... არ კლენ და იმისთინ იზდება.

– ძველათ ნეკერ დაგვაფიდიოთ, ფურცელი დაკაფე, დაჯოხე.

– ვიცით წალდი, თოხი, ნიჩაბი. პეტრად ნაჯალია, დიდი-ცული. ჩუქუჩი, ბოსელი, ქორი.

– ჩაი თესლი ამევტანე, დავთესე, არ ამოვდა. ბორჩხაში არი ჩაი, ართვინში არ არი, ჰამა მოვა.

– ჩაი შევსვათ და მემრე ვილაპარიკოთ.შექერი წედლე.

– გშია, პური ვჭამოთ, რომელიცხა გინდანან, ჭამეთ. ჩუენი ჩაი წარეა. ბევრ ჩაყრი, წარე იქნება. ემეში სამი კოვზი ჩაყრი. წყალ ცალკე ვხარშავთ, ათი ღეყა იქნება, მემრე ვსუამთ.

– თქუენში მექთეფი რამდენზე იხხნება ამ თვის?

– ვიცით ზემო, ქომო, გალმი, მოლმი.

ელიასხევი

8

– ნეკერზე მიდიან.

– ქონობან მივდივარ.

– კევზე, კევის საკრეფელათ მიდიოდეს.

– ჩემი დედესი ჭალაა... ჭალანა მორწყა.

– ოცი წელი არ შეიქნა, გზა რომ გააკეთეს, ეს გზა ასი წელი მოსულიყო, ქართული არ იქნებოდა... კარი გედსხნა.

– ერთი მაგან არ იცის, ამ სოფელჩი, სუყველამ იცის.

ცუცეკარი

9

- მელი, კურდღელი, კვერნა, დათვი, ტახები. ტახებ არიან. მე ღორი არ ვჭამ.
- ქომო თერეფში გედევვაროთ.
- ეს ძეწკნია, ძეწკნი. ასკილი, ტირიფი, კაკალა. ქუმა ჩვენც ვაკეთავთ. ყურძნიდამ თქუენ შარაფ აკეთეფთ, ჩუენ ტკიბილ ფაფას. ფესტილ თუთილდამ გააკეთებენ, ქლიავილდამ ცოტა ჟავეა.
- აქ საცხოვრებელი ადგილი არ არი. ვაკეში ავლენ, ისაქმებენ, ფულ ეძღებენ, ბევრი ხალხი იქნებოდა.

ელიასხევი

10

- ახლა მივდივართ ქობაკს. იმის გაღმისკე არი სოფელი. ახლა გავალთ, განახვეფთ.
- მანდეგრი გზა კად არ არი. სირთზე გავალთ კადა. აქ ყურალობა იჯება; ზემო ერევა გზები, ბეჩია გზა. აქ ერმენები ყოფილან. იქილამ, მიერე თერეფილამ, მოკლე გზა გუაქ. ზამთრი ქომო ჩავალთ. ამ მაჰალესი მაილეხია!
 - იმ სირთზე დავდგეთ, ისტერსან ბალხში მივდეთ.
 - ესენი კატარ ვუძახით, ნაძვი მოშავოა. აქ იქნება ნაძვი. აქ არი მეზრა. იმ თას ბოწმინდა ქვია, აქ კუბრეთია, გზა რომ მივა – გუდასხევი.
 - ქვედაზორ დაჰწერედ ენაზე მიდგა, ვერ მითქვია. თეფე ენ მაღალი ადგილია, თვენარი ბევრი თაა.
 - მეცხვარეები აძოვებენ თხეფს.
 - ვიპარიკოთ. აქ დეკაცი ყოფილა...
 - ვაზები ყოფილა, გურჯები მოდიოდეს.
 - გმოლი ბუერია, ჭრელი გმოლია, წყალი არაა.
 - ბევრთ იზოეს ალთუნი, ყოლ წელ მოდიან, ართვინ მიდიან.
 - ართვინში ვერ მითქვია ქართველი ვარო, მეხათრება.

ელიასხევი

11

- პეპელი არი, ფრინავს. კალი ხტის.
- აწმის იქეთ დავწერ, აწმამდი არ ვიცოდი. მე სულ არ მაგონდება. სიმღერა ვიმღეროთ.
- „ჰადლე წევდეთ რუს უკან,
გოგო მოდის ჩემ უკან...“
- ორი ცალი დავლიოთ, მემრე გედხნება. რას ვიქმოდიოთ, იცი? ვერძ დავკლიდით.
- ამ ტომოტოს ქარხანა გედხსნა თურქიეში ერთი წელია.
- მოვედით წითლეკარ, „ველარ მოვალ“ ნუ იტყვი.
- ურანიუმი ეძებენ, ყოფილა აქა.

- ჩუენ ამა ვებნევიტ „ქართოლ“.
- ქერი ყოფილა, მუტუჭრია.
- ამა რა ეტყვიტ თქუენა? წისქვილი?
- სავლელა მოსულა ბუერი, საწერელაჲ ქალი არ ყოფილა.
- აქ ხარებ ჭედდენ. ნახვარ საათი ფეხით მიხვალ. მაჰალეში გზა არ მი-
ვა. აქ გევევართო.
- ცერცი, ლეზიო არი. გადაღმა ბორჩხაა, მურღულია.
- დაილები ქონდეს, ახლა აღარ მიდიან.
- წევდეთ ახლა, აქო დავდგნეთ, დავსხნეთ, დავჯნეთ. ეს წყალი არ
შედსმევა.
- ეფეღჯა ვიპაჲკეთ.

წითლეკარი

12

- რა გინდანან - ქი?
- გეღგნებენ, ვერ ილაპარიკებენ.
- ამას ვუმდერო მეა თუ?
- ჩუენი ლაპარიკი ერთმანეფს არ ეწყობა.
- შენ სახელი რა გთქვია? მაწონი შესვი. შენი შვილები დასახლულია?
- ზაფხულში თელი აქ მოდიან, სიცხე უჭირდებიან.
- ჩემ დედეს ბათუმ ქალი უპოვნია, ფურუნი ქონია, დეკაც ვერ გუუჲ-
ლია, წუუყვანია.
- ლექსი, შელოცვა არ ვიცი.
- „ჭიაო, ჭიაო, ჭიადედაო,
რა ეძგერები ვერძსათვენ?
რა ბღუიხარ ხარსათვენ?
რა ბრუნავხარ ნართსათვენ?
ამოსავლელი ხარ, ამეარე.

ქუაბავი

13

- გურჯიჯა აღფაბე არ არი.
- შეიშვილია?
- აქ სახლი იყო, ხოხონი, ბურსაში წევდენ.
- ამას ხერტალი ვეტყვიტ, ამას ტარი, ამას გუუტოლეფთ და ორი ხერ-
ტალიტ დავართათ.
- დაძახვა, შერთვა, დართვა.
- ამას მატყლ ვეტყვიტ, თხისას -ლაზლა. ესა ჭალი, ესა სათივლეა, და-
საჯოხებელი, დასაჯოხავი, „საბზე“.
- ვიცით თუარე, ზე, ზითუალიც ვიცით; ამ ორთანებმა კაჲ იციან.

- ზროხები მოასხა, დაბმულ არიან.
- აქ ქართოლ, ყველ, ერბოს ვიჯებით. თივა, სათიბელი... ვკლავთ, ცყი-დავთ. აქ ქომოდამ არიან.
- წყალი ავსობა უნდა? წყალი ავავსოთ ხევში.
- შენ ხარა? მუა? სამღერებლად წიმიყვანებ საქართველოში. ყვავები იქნებიან ბევრი, იმას ვაძლევ კონსერს (კონცერტს).
- თქვენ „აბლ“ ამბობთ თუ „ცოტას“?

ქუაბაგი

14

- ჭალები ერთი-ორჯერ თიბავენ. მეგრე ზროხები მოძოვენ, კად ალაგ მოთიბავენ, ბეჩ ალაგებ ზროხები მოძოვენ.
- ჩემი დედემ დოსტი ყოფილა რაამეთლი.
- სასმელი წყალი მიჰყავდეს და არ იქნა.
- კარმა არ მიჰკრას.
- ჰა-გევნეთ სახში. ბეჭირი ჩემ მამას დის ბერია.
- იქინდი ულოციან და მოდიან. აი ხოჯა არი, იმამია. დავსხნეთ. თურქია, თავში არ აქვა, დაჰკვიანდესო, აქ მეყვანეთ.

ქუაბაგი

15

- წყალი მაღლიდამ, კლდიდამ მოდის. სავლელი თუალზე კად მოსაჩინებელი არის. იქ ჩუენი მეზრებია. დედ-მამა მეზრეში არ არიან. ორი ძმა მყავან. ერთი არი ათ და ორი წლის, ერთი ათ წლის. ჩემზე დიდი და გათხოვილია, ადაფაზარში.
- თურქეთში ძველათ მამა, დედა ჭალა-ყანას მუშაობდეს. ფული მეც მაქვა. სახლი მაქვა ართვინში. ჰოსპიტალი არის, ჰოსპიტალის ცოტა ქომო.
 - ქათმებ ვინ შეხედავსა? ბურსაში იქ საქმე მქონდა. ქალი იქ იყო. მართო დედა არი. დედა ნახვარი ავათ არი.

ქუაბაგი

16

- ჭრიან, მასალია? კიდე ჭრიან, ხალხმა რა იცის „მასალი“?
- გუდასხევეში ქართველები არ არია.
- დედლაენით?
- ქუაც ბევრია, ბუქი ბევრია და ქუაბუქი, ქობაქი|ქობაკი.
- ქართული ნამცოდნი პარხალ არ იქნებიან.
- ხალხმა ქართული არ იცის, ბელქი ჭრიჭინამ იცის.
- ძველათ აქევრის წინ მოსული კაცი ყოფილა, მის მერე გავყარენი აქევრობა, სხუანი აძოვებენ.

– დედეს ვინცხას უშენებია, უშენებია, ამდენი ხე მუუწიკია, ჩუენ გავყა-რეთ, სამ დღე სარწყავის მარტო ჩუენი წყალი იყო.

როგორი კაპიტალისტი ყოფილა, იცი? ახლა სხუა სოფლებიდან ფული დაჭირდებოდეს, მედტანებდენ ოქრო, იმა ახურდავებდა. ერთი ბიჭი, ერთი გოგო ყოლია. იმდენი ძროხა, ჭარბი ყოლია. აქ დიდი თოვლდება, ზამთარი აქიდან გამუყურია-ქი. იქ გზაბაწარზე გეძარებენ ხარები: ორი ხარი თურქი ფულით ეფეძე ფული იჯება. შინებიან ხალხსა-ქი, ადგებიან, მოვდეს, ეფერე-ბოდეს. პეტერე ბავში ვიყავ, ძველათ რა იყო, აღება არ იყო, ყიდვა. სახში რაცხა მეძყვან, ისნა ჭამო. ხალყი დამსხნარან ძველათ, ასი თავი ცხვარი იქნე-ბოდეს, დიდრონი იქნებოდეს, ზაფხულჩი არ წევდოდეს სამუშაველა, ასაღე-ბელა. ახლა ყოლამფერ იღებენ, მოდიან ზაფხულჩი, ზამთარი მიდიან.

ელიასხევი

17

– ძროხის სახელები გინდა? შეველაძ, ფახლაძ, მიჭვრიტი. ქომო ვაძო-ვეფ.

– შეშიდამ ასხამს წყალი, მიდი დედნახე.

– იქ მომკლენ. თქუენ გურჯიჯა მაინც ვერ მიგმხთარვარ.

– მული მყავს, პეტერაძ მული გათხოვილია ადაფაზარ.

– ლექსი რა არი, არ ვიცი, ვერ მივხთი. შირი არ ვიცი.

– თენტელა ჰქვია, ზოგნი თენტელა ებნევიან, ზოგნი – თენტენეს.

– ძიდან ვიჯებით ყველ, სადველ ვიჯებით, ერბო ვიჯებით. ნაწველ ვასხამთ მაქინაში, ვაბრუნეფთ – კაძმალი, კაძმალიდამ – ერბო.

– დოფაფა იცი? აძრანში ფქვილი ჩაყრი, მუურეგ, ადუღებ, თამამ.

– ხორცი წყალში ვაღუღეფთ, იხარშვის. ვიცით კიტრი, თომატესი, პა-ტრიჯანი

– ბიბერი, სოლანე (რომ ჭამ და თუალეფში გინდება, ძა ისი), აყრო, მარო (სალათში ურეგ). პრასა აქ არ ვთესავთ, ლებოი დალეწავ, მოხარშავ ცივ წყალში, მემრე წყალ გუღუუწურავ, ერბო მოასხამ.

– მე ანამ მაწავლა გურჯიჯა. ქმარი იკითხავს მექთეფში, იგიც ირმი წლი-საა, ეშები ვართ.

– მომიტანა ბილეზული, საათი, ბეჭედი, ზენჯირი, ძელედი, ძეთეგი (ეთეგი) წინდები, ლასტიკები, ფოთინი.

– ეს ორჭვანია, სხენან და ბრუნვენ.

ჩუენი გურჯიჯა თქუენი არ დეძჭირვის, ვერ მიგმხტარვარ

– მოძებნე და არ იპოვე?

– კაცი ყურბეთშია.

– ჩაი ვინმემ შეგასვა ქობაკში?

- ჩუენი მეზრე ბოწმინდა არი, ჰამა ჩუენ არ მივდივართ – ქი ახლა.
- ჩუენ „ბგანო“ ვეტყით, თქუენ – გოგო.

ისერი შაირებ ვწერ. ერთი დუზ კირქ თანე დაწერილი მაქ, ჰამა თურ-ქულეფ დაწერილია. მე არ მაგონდება, კი არის იშტა:

ჰაიდე, წევდეთ რუს უკან,
 რა შეგხდება ჩემს უკან,
 დელე-დელე შევარე,
 დელე ტალახიანი იყო,
 ერთი გოგო დევნახე,
 ზოვლად კად იყო.
 მალლა, მალლა რა ფრინავს?
 ორბია თუ ყართალი,
 მე ერთი რამ გეგვონე,
 ტყვილია თუ მართალი?!

ტექსტები გადმობეჭდილია: მ. ფალავა, მ. ცინცაძე, ე. მაკარაძე, რ. დიასამიძე, ლ. თანდილავა, **ტაოური მეტყველების ნიმუშები**: ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის კრებული, IV, ბათუმი, 20005.

შინაარსი

წინასიტყვა „ახალი ქართული ენის“ მეოთხე წიგნისათვის (გ. გოგოლაშვილი).....	3
ქართლური კილო (მ. კობერიძე).....	7
კახური კილო (ქიზიყური კილოკავი) (დ. ჩხუბიანიშვილი, ნ. ყანდაშვილი).....	36
ინგილოური კილო (კაკური კილოკავი) (მ. ბარინაშვილი).....	69
ფერეიდნული კილო (დ. ჩხუბიანიშვილი).....	86
ხევსურული კილო (ა. არაბული).....	113
ფშაური კილო (ზ. ქავთარაძე).....	122
თუშური კილო (გ. ცოცანიძე).....	146
მთიულური კილო (მ. კობიაძე, გ. ბედოშვილი).....	170
მოხეური კილო (მ. კობიაშვილი).....	185
სამცხურ-ჯავახური კილო (მ. ბერიძე).....	210
ქვემოიმერული კილოკავი (ვანური თქმა) (ნ. შარაშენიძე).....	241
ზემოიმერული კილოკავი (ნ. შარაშენიძე, გ. ჭაუჭიძე).....	273
რაჭული კილო (გლოლური) (რ. ლანდია).....	301
ლენხუმური კილო (კ. კაკიტაძე).....	322
გურული კილო (გ. დგებუაძე).....	336
აჭარული კილო (ნ. სურმავა).....	367
შავშური კილო (მ. ფაღავა, ნ. ცეცხლაძე).....	396
კლარჯული კილო (მ. ფაღავა, ნ. ცეცხლაძე).....	428
ტაოური კილო (მ. ფაღავა, ნ. ცეცხლაძე).....	460
შინაარსი.....	490

